VOYAGER

BY SOLO

ნიდერლანდები

შემოდგომა 8/2017

მოგზაურობა • ცხოვრების სწავლა • ბასტრონომია • არქიტექტურა • დიზაინი • სპორტი

GUCCI

timepieces

g-timeless automatic collection
swiss made

TIME

რუსთაველის 46 აღმაშენებლის 96 პეკინის 18 ს/ც თბილისი მოლი ს/ც ისთ ფოინთი ს/ც ჯი თი სი
tel: +995 32 2000280

ამსტერდამი, XVII საუკუნის არხების საუფლოა, ლეგენდარული არქიტექტურითა და წარმტაცი ქარის წისქვილებით. ლიბერალური ღირებულებების „სამოთხე“ თავისუფლების ხიბლით მილიონობით მოგზაურს იზიდავს, მაგრამ ის მაინც ბევრად უფრო მეტს სთავაზობს მნახველს, ვიდრე მხოლოდ არხები, წითელი ფანრების უბანი თუ ე. წ. Coffee Shop-ებია.

ნებისმიერ ამინდში (ამსტერდამში წელიწადში 270 დღე წვიმს) გარეთ გაეშურეთ და ტურისტების მიერ უთვალავჯერ გავლილ გზებს გაუყევით; ისეირნეთ გემით Singel-ის, Herengracht-ის, Keizersgracht-ის, Prinsengracht-ის არხებზე; ათვალიერეთ მათ სანაპიროებზე მდგარი ხელიხელჩაკიდებული სახლები; შეარჩიეთ თქვენთვის ყველაზე მშვენიერი ტერასა მომხიბვლელი ხედით და მიირთვით ჰოლანდიური ლუდი.

გაისეირნეთ ველოსიპედით – ამსტერდამში 800 000-ზე მეტი ველოსიპედია. დიახ, ამ ქალაქში უფრო მეტი ველოსიპედია, ვიდრე ადამიანი! ეს აქაური ცხოვრების სტილია; ამსტერდამის ვაკე ლანდშაფტისა და წრიული მარშრუტების ქსელის გამო, არ არსებობს იმაზე უკეთესი საშუალება ამსტერდამის ღირსშესანიშნაობების აღმოსაჩენად, ვიდრე ველოსიპედის პედლების ტრიალია.

დაიკარგეთ წარმტაც იორდაანში – ამსტერდამის ყველაზე შთამბეჭდავ უბანში ხეტიალისას თანდათან იგრძნობთ, რომ წარსულში მოგზაურობთ. ოდესღაც მუშათა კლასის საცხოვრებელი ადგილი, ამჟამად თავისი ვიწრო ქუჩებითა და უჩვეულო შენობებით, არტგალერეებით, ანტიკვარიატის მაღაზიებით, შიდა ეზოებში გაშენებული ბაღებით, მყუდრო ბარებითა და რესტორნებით დაუვიწყარ თავგადასავლებს გპირდებათ.

შეიგრძენით ადგილობრივი სურნელი – თუ ნამდვილი ამსტერდამის ნახვა გსურთ, გაერიდეთ ქალაქის ტურისტულ ცენტრს და აღმოაჩინეთ De Pijp. ეს ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადგილია გემრიელი საკვებით, სასმლითა და საშოპინგო სივრცეებით; De Plantage XIX საუკუნის ელეგანტურობით მოგხიბლავთ, Oosterpark-ში კი მფეთქავი მულტიკულტურალიზმი უსათუოდ გაგაკვირვებთ.

შეისრუტეთ კულტურა Museumplein-ში – Rijksmuseum, Van Gogh Museum და Stedelijk Museum of Modern Art – ეს ამსტერდამის გასაოცარი მუზეუმების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. მუდამ სიახლის მაძიებელი მხატვრებისა თუ დიზაინერების ახალი თაობის წყალობით, ჰოლანდიელი ლეგენდარული ოსტატების მემკვიდრეობა დღეს უკვე სხვაგვარად აგრძელებს სიცოცხლეს.

გასინჯეთ ქაშაყი ფორნიდან – უმი ქაშაყის ხსენებაზე შეიძლება გამოუცდელ გურმანებს ოდნავ შეეშინდეთ კიდეც, მაგრამ ამ კულინარიული შთაბეჭდილების გარეშე ამსტერდამიდან ნუ წახვალთ. მთელ ქალაქში შეამჩნევთ ქაშაყის ფორნებს, რომლებშიც ეს ჰოლანდიური დელიკატესი იყიდება. სწრაფად გადასანსლეთ, ჩასაფრებულმა თოლიამ ლუკმა პირიდან რომ არ მოგტაცოთ.

ჩაიტარეთ შოპინგ-თერაპია – პირდაპირ 9 Straatjes-ისკენ, ანუ „9 ქუჩისკენ “ გაეშურეთ. ამ უბანში, ერთმანეთში უჩვეულოდ გადახლართულ ქუჩებში, ქალაქის მთავარ არხებს შორის, ვინტაჟურ და კონცეპტუალურ მაღაზიებს აღმოაჩენთ, სადაც შეიძენთ ყველაფერს, დიზაინერული კაბებით დაწყებული, არტიზანული კოსმეტიკით დამთავრებული.

თუკი ორიგინალურ სუვენირებს ეძებთ, გაექეცით ტურისტებისათვის განკუთვნილ ხაფანგებს და შეიძინეთ ნამდვილი ჰოლანდიური დიზაინის ნივთები და ხარისხიანი ამსტერდამული ბრენდები De Hallen-ში.

ამსტერდამში ცხოვრებას ერთი სიტყვა მართავს: **Gezelligheid.** ამ სიტყვის ზუსტი ეკვივალენტის პოვნა რთულია, მიახლოებით კი მყუდროს, თბილსა და სასიამოვნოს ნიშნავს. დღის ოთხ საათზე დალეული კოქტეილი სანთლით განათებულ მაგიდასთან, რომელიც არხებს გადაჰყურებს, გარეთ კი ცივი ზამთარია, არის – **Gezelligheid**. ჭექა-ქუხილის დროს სადმე თავის შეფარებაც **Gezelligheid**-ია. ეს ის სიტყვაა, რომლითაც აქაური მაცხოვრებლები ბედნიერებას გამოხატავენ. ამ ბედნიერებასთან საზიარებლად, ამსტერდამში **Voyager by SOLO**-სთან ერთად, აუცილებლად უნდა გაემგზავროთ. ბოლომდე შეიგრძენით მისი მრავალმრიანი განწყობილებები – მოკლედ, ამსტერდამი გაითავისეთ!

თეა სხიერელი
მთავარი რედაქტორი

EY
Building a better working world

Can unstructured data reveal structural risks?

Our accounting and reporting service team can help you achieve statutory compliance and avoid risks.
Contact us: +995 (32) 215 8811
George.Chaganava@ge.ey.com

The better the question. The better the answer. The better the world works.

© 2017 EYGeorgia LLC. All Rights Reserved.

იოს დაუმა,
ნიდერლანდების სამეფოს
ელჩი საქართველოში

ჩემთვის დიდი პატივია, მივესალმო ჟურნალ Voyager by Solo-ს მკითხველებს. წინა ნომრები მართლაც შთამბეჭდავი იყო და იმედი მაქვს, ჰოლანდიისადმი მიძღვნილი ეს გამოცემაც გაამართლებს მკითხველის მოლოდინს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩემს მეუღლესა და მე მართლაც შეგვიყვარდა საქართველო და გვინდა, საკუთარი წვლილი შევიტანოთ როგორც ამ ქვეყნის შემდგომ განვითარებაში, ისე ორმხრივი თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში. დიდ სიამოვნებას გვანიჭებს საქართველოში მოგზაურობა და ახალი ადამიანების გაცნობა. ეგ კი არა, ქართველი ძაღლიც კი ავიყვანეთ და რამდენჯერმე უკვე ჩვენთან, ჰოლანდიაშიც გვყავდა ჩაყვანილი.

საქართველოს მსგავსად, ნიდერლანდებიც პატარა, ზღვისპირა სახელმწიფოა, თუმცა მსგავსება ამ ორ ქვეყანას შორის ალბათ ამით ამოიწურება. საქართველოსაგან განსხვავებით, ჩემს სამშობლოში მდინარეები დაბლობზე მოედინება და დიდ დელტას ქმნის, რაც მართალია, ნიადაგს კი ანოყიერებს, მაგრამ წყალდიდობის საშიშროებასაც წარმოშობს. ახალ წელთაღრიცხვამდე, როდესაც კოლხეთი უკვე ცნობილი იყო თავისი ოქროთი და უნიკალური ნაკეთობებით, ჩვენი ქვეყანა ჯერ ისევ ღარიბი გახლდათ და ხალხსაც, ძირითადად, მარტივი მიწათმოქმედებით გაჰქონდა თავი. თუმცა, ქართველების არ იყოს, არც ჩვენ გვაკლდა სიამაყე და აქ მოსახლე უძველესი ტომებიც თავგამოდებით იცავდნენ საკუთარ დამოუკიდებლობას ჯერ რომაელთა, შემდეგ კი უკვე ფრანკი დამპყრობლებისაგან.

თანდათანობით ბუნებრივ და პოლიტიკურ გარემოსთან მორგებაც ვისწავლეთ და შუასაუკუნეების დროინდელი უფრო მსხვილი ერთობების ნაწილიც გავხდით – იქნებოდა ეს ფრანკთა სამეფო თუ წმინდა რომის იმპერია. თუმცა მე-16 საუკუნის ბოლოდან თავისუფლებისთვის მძიმე ომში ჩავებით, რომელიც 80 წელს გრძელდებოდა და მხოლოდ 1648 წელს დასრულდა ჩვენი სუვერენიტეტის აღიარებით.

ამასობაში ჰოლანდიელები ზღვაოსნობაშიც დავხელოვნდით, ყველა ზღვა და ოკეანე გადავსერეთ და არაერთი ქვეყანა თუ მხარე დავიმორჩილეთ – ინდონეზია გნებავთ, სამხრეთ აფრიკა, ინდოეთის, დასავლეთ აფრიკისა თუ ორივე ამერიკის სხვადასხვა ნაწილი. მჭიდრო სავაჭრო კავშირურთიერთობები დავამყარეთ ჩინეთსა და იაპონიასთან. თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ნიდერლანდები იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც იაპონიაში კარი მუდმივად გახსნილი ჰქონდა, რის კვალი ჯერაც შეინიშნება როგორც იაპონიაში, ისე ნიდერლანდებში. და მაინც, ჩვენი ქვეყნის შემოსავლის უდიდესი ნაწილი უშუალო ევროპელ მეზობლებთან ვაჭრობაზე მოდიოდა. შემდგომში სოფლის მეურნეობაც და მრეწველობაც განვითარეთ, თუმცა არც ზღვაოსნობასა და ვაჭრობაზე გვითქვამს როდისმე უარი. ჩვენი ქვეყნის კულტურა და მსოფლმხედველობაც სწორედ ამ დარგების – ზღვაოსნობის, მსოფლიო მასშტაბით ვაჭრობის, სოფლის მეურნეობისა და ურბანიზაციის ურთიერთგადაჯდობილობამ განაპირობა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ნიდერლანდებისადმი მიძღვნილი ჟურნალის ეს ნომერი კიდევ ერთხელ დაადასტურებს წარმოდგენას ნიდერლანდებზე, როგორც თავგადასავლების მოყვარულ, სიახლის მაძიებელ და პრაგმატულ ქვეყანაზე. როცა საქმე სიახლეთა დანერგვასა და ახლებურ მიდგომებს ეხება, საერთაშორისო მაჩვენებლებით ჩვენ მუდამ მოწინავე მდგომარეობა გვიკავია, რასაც ალბათ ჩვენივე გაუნელებელი ცნობისწადილი (მართლაც, დედამიწის რომელ კუთხეში არ ნახავთ ჰოლანდიელ მოგზაურებს), პრაგმატულობა და ტოლერანტობა უდევს საფუძვლად.

დღეისათვის ნიდერლანდები ტერიტორიულად საქართველოზე ოდნავ პატარა, მჭიდროდ დასახლებული, 17-მილიონიანი ქვეყანაა, რომელიც ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოთა შორის. მშვენივრად გვესმის, რომ ჩვენს კეთილდღეობას იმ გარემოს უნდა ვუმადლოდეთ, რომელშიც ვცხოვრობთ – კერძოდ, ჩრდილო-დასავლეთ ევროპის დაბლობზე ცხოვრებასა და, აგრეთვე, ჩვენს მუდმივ თანამშრომლობას მეზობლებთან თუ, ზოგადად, მთელ სამყაროსთან.

წინსვლა-განვითარება სამომავლოდაც უნდა გაგრძელდეს, ამას კი ღია, გლობალური სისტემა, ევროკავშირში ინტეგრირება და მთელ მსოფლიოში კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა სჭირდება. გლობალურ, კონკურენტულ გარემოში ჩვენ, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყანამ, გაეროს მიერ განსაზღვრული, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება უნდა შევძლოთ მუდმივი განახლებისა და გამოწვევებთან ღირსეულად გამკლავების გზით.

AMERICAN EXPRESS

Platinum-ი გასაოცარი სამყაროა, სადაც წინ გელით მრავალფეროვანი შეთავაზებები, უპირატესობები და გამოცდილება...

Platinum-ის დახმარებით თქვენ შეძლებთ:
- გყავდეთ პირადი კონსიერჟი;
- დაგეგმოთ მოგზაურობა:
  - დაისვენოთ განსაკუთრებული პირობებით მაღალი კლასის სასტუმროებში;
  - ეწვიოთ 1 000-ზე მეტი აეროპორტის ლაუნჯს 120-ზე მეტ ქვეყანაში;
  - ისარგებლოთ სასტუმროების ლოიალურობის პროგრამებით;
- აღმოაჩინოთ ცხოვრების ახალი სტილი American Express Invites-თან ერთად;
- დააზღვიოთ თქვენი მოგზაურობა და სხვ.

გახდით SOLO CLUB-ის წევრი, გაიზიარეთ American Express Platinum-ის ახალი გამოცდილება და ისარგებლეთ სპეციალურად თქვენზე მორგებული მრავალფეროვანი უპირატესობებით.

SOLO CLUB-ი თქვენთვის მხოლოდ სრულყოფილ მომსახურებას უზრუნველყოფს.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ თქვენს SOLO ბანკირს ან დაგვიკავშირდით ნომერზე: (0 32) 2 44 41 00

ამსტერდამი
უგნეები/სასტუმროები / მუზეუმები / რესტორნები /კაფეები / ბარები კუბეები / შოპინგი — 14/53

კონტრასტული ამსტერდამი — 54

მეშეშკვიდრეობითი თავისუფლების მიწები — 56

დამზადებულია ჰოლანდიაში — 59

საშეფო ოჯახი — 60

ზღვის მბრძანებლები — 68

ჰოლანდიური არქიტექტურის გრამატიკა — 72

ყური — 76

ცეკვა საერთაშორისო ენაზე — 80

ჰოლანდიის სპორტული ოქრო-ვერცხლი — 86

განათლება ჰოლანდიაში — 89

წითელი ფანჯრების ამბები — 92

დაკანონებული „გადაცდომები“ — 95

რატომ უნდა ვჭამოთ ყვავილები — 98

გასტრონომია — 102/106
ჰოლანდიური ყველის გურმანული პალიტრა

ყვავილების ქვეყანა — 108

ქალაქები — 110/127
დელფტი / უტრეხტი / ჰაგა
როტერდამი / მაასტრიხტი / ლეიდენი
ჰაარლემი / გოთჰორნი / ზაანდამი

გამოფენების კალენდარი

2017

26–28 ოქტომბერი — THF'17 – თბილისის მედიცინის ფორუმი
www.healthcareexpo.ge
- **სამედიცინო აღჭურვილობა**
  სამედიცინო ტექნოლოგიისა და აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენა
- **ესთეტიკური მედიცინა**
  ესთეტიკური მედიცინის საერთაშორისო გამოფენა
- **სტომატოლოგია**
  სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიური აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენა

9–12 ნოემბერი — თბილისის წიგნის დღეები 2017
www.bookexpo.ge

20–22 ნოემბერი — AGRO FOOD DRINK TECH EXPO GEORGIA
www.agroexpo.ge
სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე-17 საერთაშორისო გამოფენა

1–2 დეკემბერი — თბილისის სკოლების გამოფენა

8–9 დეკემბერი — ELCOMM CAUCASUS 2017 / AQUATHERM TBILISI 2017
www.elcommexpo.ge
www.aquatherm.ge
- ენერგეტიკის, ელექტროტექნიკისა და კომუნიკაციის მე-4 საერთაშორისო გამოფენა
- გათბობის, წყალმომარაგების, სანტექნიკის, კონდიცირების, ვენტილაციისა და აუზის მოწყობილობების მე-4 საერთაშორისო გამოფენა

2018

23–24 თებერვალი — IEFG – განათლების საერთაშორისო გამოფენა
www.educationfair.ge
უმაღლესი და პროფესიული განათლების, საზღვარგარეთ სწავლისა და სტუდენტური სერვისების მე-8 საერთაშორისო გამოფენა

12–14 აპრილი — CTF'18 – CAUCASUS TOURISM FAIR
www.tourismexpo.ge
მე-20 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა

26–29 აპრილი — CAUCASUS BUILD 2018
www.buildexpo.ge
მშენებლობისა და ინტერიერის 23-ე საერთაშორისო გამოფენა

15–17 ივნისი — WINEXPO GEORGIA'18
www.winexpo.ge
- ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-11 საერთაშორისო გამოფენა
- ღვინის მე-10 საერთაშორისო კონკურსი

გამოფენების ცენტრი ექსპოჯორჯია | www.expogeorgia.ge | expo@expogeorgia.ge | +995 32 234 11 00

VOYAGER BY SOLO

8, 2017

მთავარი რედაქტორი
თეა სხიერელი

არტდირექტორი
ნინო დარასელი

რედაქტორი
სალომე დადუნაშვილი

დიზაინერი
ნინო ყაველაშვილი

მხატვარი-ილუსტრატორი
მაია სუმბაძე

სტილის რედაქტორი
ნინო ლურსმანაშვილი

ფოტო - **Shutterstock, Holland Media Bank I amsterdam Mediabank**

ავტორები:
აკა მორჩილაძე
ბიძინა ბარათაშვილი
ლაშა ბუღაძე
ნიკოლოზ ჩხაიძე
მარინა ყიფშიძე
ციუკა ყიფშიძე
ირინა ბაგაური
მარიკა შალიკაშვილი
ნანუკა ჯავჯანიძე

ადმინისტრაციული თანაშემწე
გიორგი ვასაძე

სარეკლამო გაყიდვების მენეჯერი
ნაზი გოშაძე

პროექტის ხელმძღვანელი / SOLO-ს დირექტორი
ეკა დუჩიძე

პროექტის კონსულტანტი
ნინო გეგეშიძე

SOLO-ს ბრენდმენეჯერი
ქეთი ნიკოლეიშვილი

სპეციალური მადლობა ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს საქართველოში,
სოფიო კოტიაშვილს, რიმა შაგინიანს, მაკა კეკელიძეს, ანი თავაძეს

SOLO

გამომცემელი: შპს „სოლო“
ვებგვერდი: www.solo.ge
ტელ.: +995 32 2 44 44 00
ISSN: 2346-8130

რეკლამა ჟურნალში: +995 599 330 364

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს შპს „სოლოს“ საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება კომპანიის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.



www.solo.ge

ტელ.: +995 32 2 44 44 00

საშემოდგომო აქცია

ექსკლუზიურად SOLO მომხმარებლებს

დააზღვიეთ ავტომობილი ალდაგში და მიიღეთ 20%-იანი ფასდაკლება

დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ თქვენს SOLO ბანკირს

ალდაგი

2 444 999

ALDAGI.GE

EUROPEAN PROPERTY AWARDS
DEVELOPEMENT

in association with

The Telegraph

★★★★★

BEST MIXED-USE DEVELOPMENT GEORGIA

King David
by Rezid Holding GmbH

2016-2017



მრავალფუნქციური კომპლექსი

KING DAVID

EUROPEAN PROPERTY AWARDS
გამარჯვებული პროექტი ნომინაციაში

"საუკეთესო მრავალფუნქციური
კომპლექსი საქართველოში"

განსაკუთრებული შეთავაზება მხოლოდ SOLO მომხმარებელთათვის -10%

200 18 18

მერაბ ალექსიძის ქ. #12, საქართველო, თბილისი 0171

WWW.KDR.GE

ლობი

რეზიდენციები

ბაღი

რესტორნები

საცურაო აუზი,
სპა,ფიტნესი

ხელჩაკიდებული სახლების ქალაქი

სალომე დადუნაშვილი

გადაქანებული სახლები ერთმანეთს ფრონტის წინა ხაზზე მოხვედრილი ახალწვეულებივით ეკვრიან. ზოგიერთი წინ ისე გადმოხრილა, თითქოს მწკრივიდან გაქცევას ლამობსო, მეგობრები კი აკავებენ. ვიწრო შუკებში დაქანებული სახურავები ერთმანეთისკენ ისე ილტვიან, როგორც განშორებული შეყვარებულები.

ამ ქალაქში არ არის არც ერთი სწორი ხაზი.

ამ ქალაქს არაფერი უკვირს და, პრინციპში, არც არაფერი აღელვებს.

ამ ქალაქში ყოველი მეორე სახლი შავია, მაგრამ მაინც ფერადი.

ეს ამსტერდამია – არხების, ველური ველოსიპედისტებისა და თოლიების ქალაქი.

ვარდისფერი კვარტლის ვიწრო ქუჩებში ხელმისაწვდომი სიყვარულისა და მხიარული ბოლისგან აღელვებული ხალხის დაგროვილი სექსუალური ენერგია შუშის კედლებს ეხეთქება, რომლის მიღმაც ღამის პეპლები თითქმის სრულად პლასტიფიცირებულ სხეულებს ამზეურებენ.

სახლის სახურავები ისეა მორთული თეთრი დეკორით, როგორც ჩვენი ბავშვობის ტორტები – მოხარშული კრემის უხვი დოზით.

დაქანებულ კრამიტის სახურავებზე ამაყად მიდი-მოდიან თოლიები და დროდადრო საკვამურებზე შემოსკუპებულები დასცინიან ტურისტთა ამაო ფუსფუსს.

ამსტერდამელები არ ცნობენ ფარდებს და ეს შესანიშნავია, რადგან აკვარიუმივით უზარმაზარი შუშის ფანჯრებს იქით, სულ სხვა განზომილებაში მიმავალი ცხოვრება გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე ის, რაც არხების გასწვრივ ხდება.

იქ, იისფრად მოკამკამე ცის ანარეკლში ლივლივებენ წარმოუდგენელი სილამაზის თაიგულები. კოლიბრებივით ეგზოტიკური ყვავილები თავს უხრიან ხუჭუჭა ტიტებს. ყველა ყვავილი სხვადასხვაა, დაფიქრებულად შერჩეული, აზრის მქონე.

იქ, მაღალი სარკეების კუთხეებში იმალება მე-17 საუკუნის ამსტერდამის აჩრდილები. თამამი მეზღვაურებისა და ავანტიურისტების, ნახევრად მეკობრეობით მოპოვებული სიმდიდრის ნაშთები. კვერცხისხელა მარგალიტებად და ჩინური ფაიფურის ვარდის ფურცლის სისქის ნამსხვრევებად რომ დაილექა ამ ქალაქში.

კმაყოფილი ვაჭრების ქალაქში სიმდიდრესთან ერთად მშვენიერების მოხოვნილებაც გაიზარდა. ახალი სახლების კედლების დასამშვენებლად რემბრანდტებისა და ვერმეერების მსგავსი მხატვრები დღედაღამ ქმნიდნენ კმაყოფილი ან მკაცრი ვაჭრებისა და მათი ცოლების პორტრეტებს, ეგზოტიკური პროდუქტებითა და ძვირფასი ყვავილებით დახუნძლულ ნატურმორტებსა და ჟანრულ, ათასი საიდუმლო კოდით გაჯერებულ სცენებს.

მიწის ყოველი გოჯი, რომელიც ჰოლანდიელებმა ზღვას და ჭაობს გამოსტაცეს დაუნდობელ ბრძოლაში, ათასი ფერის ტიტად აყვავდა. ტიტის ბოლქვი ოქროს მონეტებად იქცა, ოქროს მონეტები კი ასობით ჰოლანდიელი მხატვრის ჯიბეში ჩაჩხრიალდა. სამაგიეროდ, ახლა მუზეუმების დარბაზების კედლებიდან, წარმოუდგენელი დამაჯერებლობისა და სიმართლის პორტრეტებიდან გვიცქერენ „ვან-ვიღაცათა“ კმაყოფილი სახეები.

უცნაური ქალაქია ეს ამსტერდამი. საკმარისია კონცენტრაცია დაკარგო და მისი სახელი სამუდამოდ ამოგეჩხაპნება გულის კუთხეში, ისე როგორც მის უძველეს ეკლესიაში უბრალო ქვაზეა ამოჩხაპნილი ბედნიერი და უბედური ქალის სახელი – სასკია.

სახელი, რომელიც ჯადოსნური სიმღერასავით ჩაესმის ყველას, ვისაც ოდესმე მაინც ჩაუხედავს რემბრანდტ ვან რეინის პორტრეტების ფონად შედედებულ, უსასრულო სივრცეში. ყველა დროის უდიდესი მხატვრის ერთგული ცოლი და მუზა, რომლის საფლავიც ქმარმა გაყიდა.

ეს კარგი გარიგება იყო. რემბრანდტს ფული უჭირდა, შავი ჭირით შეწუხებულ ამსტერდამს კი – დასასაფლავებელი ადგილები, ამიტომაც ეკლესიის ფილებს დროდადრო ყრიდნენ და ნაკლებად იღბლიანი ცხედრების ძვლებს, რომლებიც ახლობლებმა ამ უჩვეულო მოგზაურობისთვის გაიმეტეს, ახალი გარდაცვლილებით ანაცვლებდნენ.

ამსტერდამის კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეტანილი უთვალავი სახლის კენწეროზე აუცილებლად დაინახავთ კაუჭს. ამ ამწით სარგებლობენ ამსტერდამელები, როცა მე-17 საუკუნის ვიწრო სადარბაზოებში ავეჯის შეტანა ვერ ხერხდება.

აი, მიცურავ ასე, მოთუხთუხე გემით მდინარე ამსტელზე და ხედავ, როგორ მიფრიალებს ზემოთ ფორტეპიანო ან კიდევ რაიმე საჭირო საოჯახო ნივთი.

ეს სახლები თავად ამსტერდამელებს ჰგვანან, ვიწრონი და მაღლები. ჩაგიქროლებს გვერდით ასეთი წეროსფეხება არსება სტვენა-სტვენით და ადგილზე დაგაბზრიალებს.

ჰო, მართლა, არსად მინახავს „მხატვრული სტვენის“ ამდენი მოყვარული ერთ ქალაქში.

ყველა ქალაქს აქვს საკუთარი ხმა, განუმეორებელი აუდიო რიგი. ამსტერდამიც დაგელაპარაკებათ, თუ მოუსმენთ. წყლის ჩუმი ტყლაშუნით, თოლიების ირონიული სიცილით, ველოსიპედების ზარის ხმით, გემების გაბმული სიგნალის გუგუნით. ეს ამსტერდამის ხმაა, მაგრამ დიდი ხნით თვალების დახუჭვა არ ღირს, თორემ რომელიმე მოჭიკჭიკე არსების ცისფერი ველოსიპედის ბორბლებქვეშ მოხვდებით და არხში ამოყოფთ თავს.

CENTRUM, DE WALLEN

ხალხმრავალი მოედნები, შოპინგი და ისტორიული ადგილები

ამსტერდამის ცენტრში ერთდროულად ძალიან ხმაურიანი ან მიყუჩებული, მეფური სიდიადისა და უმშვიდესი ადგილები შეგხვდებათ. აქაა 1889 წლის ცენტრალური სადგური, Barlage-ს 1896 წლით დათარიღებული საფონდო ბირჟა, მეთხუთემეტე საუკუნის Nieuwe Kerk და უზარმაზარ Dam Square-ზე მდებარე მეჩვიდმეტე საუკუნის Town Hall, რომელიც ახლა სამეფო სასახლეა.

De Wallen კი ქალაქის ყველაზე ძველი დასახლებაა, სადაც ამსტერდამის უძველესი, მეთორმეტე საუკუნით დათარიღებული ფეხსაცმლის ლანჩებია ნაპოვნი. აქვეა ყველაზე ძველი ქუჩა Warmoesstraat და ყველაზე ძველი ეკლესია Oude Kerk. Dam Square-იდან Leidseplein-ის მიმართულებით მოდური მაღაზიების მთელი ჯაჭვია გადაჭიმული, აქაურობას ტურისტულ სეზონებზე, ხალხმრავლობის გამო, ჯობს, მოერიდოთ.

I amsterdam

სლოგანი, ერთიანობის სიმბოლო და ფიზიკურად ხელშესახები იდეა – I amsterdam ქალაქისა და მის მცხოვრებთა აკვიატებული ფრაზაა. Rijksmuseum-ის უკან, Museumplein-ზე დადგმული უზარმაზარი I amsterdam-ის სლოგანი სწრაფადვე გახდა ქალაქის სიმბოლო.

სლოგანი ორ მეტრზე მაღალი და 23.5 მეტრი სიგრძისაა. იმავე ასობის წყობა ამსტერდამის აეროპორტში ეგებება სტუმრებს, ხოლო მესამე სლოგანი მუდმივად იცვლის ადგილსამყოფელს მთელ ქალაქში.

RED LIGHT DISTRICT

ამსტერდამში პროსტიტუცია იმდენივე წლისაა, რამდენისაც თვით ეს ქალაქი. XV საუკუნეში ამსტერდამის პორტში ლუკმაპურის ფულის საშოვნელად მეძავები ჩამოდიოდნენ. პოლიციამ მათ ქუჩაში დგომა აუკრძალა. ნებადართული იყო მხოლოდ ფარდაჩამოფარებულ ფანჯარასთან ჯდომა. თუ ვიწრო ღრიჭოდან წითელი შუქი გამოდიოდა, მამაკაცს შიგნით შესვლა შეეძლო. დღეს ღია ფანჯრები აკრძალული აღარ არის, მაგრამ წითელი ფარნების გამოყენების ტრადიცია ისევ ძალაშია.

ქუჩაში სიარული უსაფრთხოა, თუმცა გარკვეული წესები უნდა დაიცვათ. სამუშაოს დროს ქალებისთვის ფოტოს გადაღება დაუშვებელია. თუ ქუჩის მოვაჭრეები თავს მოგაბეზრებენ ველოსიპედის ან ნარკოტიკების შემოთავაზებით, უარი უნდა უთხრათ. ისინი არალეგალური საქონლითა და მოპარული ნივთებით ვაჭრობენ და თუ ამ დროს პოლიცია დაგაკავებთ, დიდი ჯარიმის გადახდა მოგიწევთ.

თუ თქვენი ინტერესის სფეროა სამხატვრო გალერეები და ანტიკვარული მაღაზიები, სარკეების კვარტალს Spiegelkwartier აუცილებლად უნდა ეწვიოთ.

CANAL DISTRICT, NINE STREETS

ოქროს ხანის ღირსშესანიშნაობები, საუკეთესო შოპინგი

თოთხმეტკილომეტრიანი არხების სისტემა, შესანიშნავი სანაპირო შენობებით, პატარა ქუჩებითა და ოთხმოცი ხიდით, ნამდვილად შთამბეჭდავია, ამ ყველაფრის შუაგულში კი Nine Streets-ის უბანია – შოპინგის მიკროსამყარო, სადაც უამრავი კაფე, მაღალი კლასის ბუტიკები, საუკეთესო სასტუმროები და დიზაინერული მაღაზიებია.

PLANTAGE, OOSTERPARK

გამწვანებული უბნები

აქ ულამაზესი პატარა სახლები, განიერი ბულვარები და გამწვანებული უბნებია: Tropenmuseum, ბოტანიკური მუზეუმი De Hortus და ზოოპარკი Artis-ია. Plantage-ში რემბრანდტის სახლ-მუზეუმი, ჰოლანდიური რენესანსის მუზეუმი, ებრაული მუზეუმი, სამეცნიერო მუზეუმი NEMO და განახლებული საზღვაოსნო მუზეუმებია. რაც შეეხება კიდევ უფრო აღმოსავლეთით მდებარე Oostenpark-ს, აქ ქალაქის ჰაერი კიდევ უფრო გამჭვირვალე ხდება – სიმწვანე ტრამვაის სარკინიგზო ხაზებსა და ბილიკებს, ნეორენესანსის სახლებს შორის აუცილებლად მოგჭრით თვალს. აქ ყოფილი სამხედრო შენობები სახელოვნებო სივრცეებადაა ქცეული. ახლომდებარე უბანი Beunklein კი კულინარიის ნამდვილი ცენტრია, სადაც შესანიშნავ პიცას, ყავას და ნაყინს მიირთმევთ.

JORDAAN, HAARLEMMERBUURT, WESTERPARK

მოდური მაღაზიები და ბოჰემური ბურჟუაზია

არხებს შორის მოქცეულ ფერწერულ უბანში, ვიწრო ქუჩებზე ჩამწკრივებულა მოდური მაღაზიები, თანამედროვე რესტორნები და ტრადიციული კაფეები. იორდანე სხვა უბნების არისტოკრატიულ ხიბლს არასოდეს იზიარებდა. მუშათა კლასისა და მეამბოხეების საცხოვრებელი სახლები ქალაქის ყველაზე არტისტულ და გარიყულ ადამიანებს იზიდავდა, მათ შორის, რემბრანდტს. ეს უბანი პატარა ქუჩების ნამდვილი ლაბირინთია. იორდანეს შუაგულში ბაზრობა Noordermarkt-ია – კაფეებით, მოდური რესტორნებითა და ორგანული პროდუქტების ბაზრობით.

Westerstraat-სა და Rozengracht-ზე არტიზანული ნაწარმის, უნიკალური მოდისა და ჰოლანდიური დიზაინის კვანძია. რამდენიმე ნაბიჯშია Haarlemmerstraat – გრძელი ქუჩა, სადაც უამრავ ვინტაჟურ, დიზაინის მაღაზიებსა და ყავის კაფეებს იხილავთ. ფესტივალები და შემოქმედებითი ვორქშოპები მეცხრამეტე საუკუნის Westergasfabriek-ში ტარდება. წყნარი Haarlemmerbuurt კი არქიტექტურული რენესანსის ეპიცენტრშია – ეს დასახლება სწრაფად იცვლება.

AMSTEL RIVER, UTRECHTSESTRAAT

წყნარი არხები

ქალაქის სეხნია მდინარე ამსტერდამელების განსაკუთრებული სიყვარულია. მდინარის ნაპირზე არის 1887 წელს აშენებული ისტორიული თეატრი Carre, ხიდი Magere Brug, XIX საუკუნის ხის ასაწევი ხიდი.

აქვე მდებარე პოპულარული სკვერი Rembrandtplein 1668 წლიდან არსებობს, მის გაყოლებაზე კი გრძელი ქუჩა Utrechtsestraat სავსეა მოდური ბუტიკებით, შესანიშნავი კაფეებითა და კონცეპტუალური მაღაზიებით. ეს ქუჩა არხების ქსელს კვეთს, იქვე კი შთამბეჭდავი მუზეუმი Van Loon-ია, XVII საუკუნის სახლი შესანიშნავი ეზოთი.

OLD SOUTH

ლეგენდარული მუზეუმები, მაღალი მოდის ბუტიკები

Old South ქალაქის ყველაზე პრესტიჟული უბანია. აქ არის ჯადოსნური Museumplein – ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მწვანე სკვერი, რომლის ტერიტორიაზეც არქიტექტურული საოცრებებია: Rijksmuseum, Royal Concertgebouw, Van Gogh და Stedelijk მუზეუმები. Hoofstraat-ის ქუჩაზე მაღალი კლასის საშოპინგო სივრცეა, ხოლო Baerlestraat-ზე = შესანიშნავი მაღაზიები და კაფეები.

აქ დიდ განსხვავებას ვერ დაინახავთ ახალსა და ძველს, მდიდარსა თუ საშუალო ფენის ადამიანებს შორის, მაგრამ პრივილეგირებულობის სურნელი ამ უბანში ყოველთვის ტრიალებს.

DE PIJP

ქუჩის ბაზრობები, ბოჰემური ცხოვრების სტილი და პატარა ბუტიკები

შემოქმედებითი ატმოსფეროსა და კულტურული მრავალფეროვნების გამო დე პეიპს ამსტერდამის ლათინურ კვარტალსაც უწოდებენ. კოლორიტული რაიონი ყველაზე ხმაურიანი და სიცოცხლით სავსეა ამსტერდამში.

XX საუკუნის განმავლობაში De Pijp ნიდერლანდების ყველაზე ეთნიკურად ეგზოტიკურ ქუჩის ბაზრობასთან, Albert Cuyp Market-თან ასოცირდებოდა. მას შემდეგ, რაც უფრო მეტმა ახალბედა კომპანიამ გახსნა აქ მაღაზიები, ეს უბანი სარეკლამო კრეატიულობის ბუდედ იქცა.

De Pijp-ი საოცრად მრავალფეროვანია. აქ როგორც ქუჩის ბაზრობა, ისე მაღალი კლასის ბუტიკებია, სენდვიჩის დახლები და მოდური კაფეები გვერდიგვერდაა, ხალიჩების გამყიდველები და ეთნიკური სასადილოები ერთად თანაარსებობენ.

ეს უბანი, აგრეთვე, ცნობილია მუზეუმით Heineken Experience, რომელიც ძველ ლუდის ქარხანაშია.

OLD WEST, DE BAARSJES

ტალანტების საუფლო, კრეატიული კულტურა

მეცხრამეტე საუკუნეში ამსტერდამის თითქმის მთლიანი დასავლეთი ნაწილი მუშათა კლასით იყო დასახლებული. მისი არქიტექტურა ნაკლებად გამოირჩევა დახვეწილობით, უფრო მეტად საბჭოთა კავშირისეულია, ვიდრე ჰოლანდიური, მაგრამ ამას კულტურული ეკლექტიკურობითა და შემოქმედებითი ატმოსფეროთი ანაზღაურებს. აქაურობა ჯენტრიფიკაციის სამიზნე გახდა, უძრავი ქონება ახალგაზრდა ურბანულმა ოჯახებმა შეიძინეს; მალე სუპერმარკეტების ქსელები, ველოსიპედების მაღაზიები და ვინტაჟური ავეჯის ბუტიკები გაჩნდა. აქვეა ყოფილი ტრამვაების მწარმოებელი ქარხანა De Hallen, რომელიც კულინარიული ინგრედიენტების ერთ-ერთი საუკეთესო ბაზრობაა და მის ტერიტორიაზე კინოთეატრი, ბიბლიოთეკა და სტუდიებია. De Baarsjes-ში კი ძველი სასკოლო შენობები შესანიშნავ სტუდიებადაა ქცეული.

NORTH, IJ SHORELINE

არქიტეტურული ტრანსფორმაცია

მდინარე Ij-ის ჩრდილოეთ მხარეს, ქარიან ქუჩებში, ისტორიულად, მხოლოდ ცენტრის ფუფუნებას მოშორებული მუშათა კლასი ცხოვრობდა. აქაურობის ხიბლი კი ის არის, რომ ამჟამად იაფი უძრავი ქონება, ცარიელი საამქროები და ქარხნები დიდი კულტურული ტრანსფორმაციის საშუალებას იძლევა. ოთხმოციანი წლებიდან არქიტექტორები, შემოქმედებითი სააგენტოები და ღონისძიებათა ორგანიზატორები ჩრდილოეთის უბანს შეესივნენ და აქაურობა საფესტივალო, საცეკვაო საღამოების სივრცედ აქციეს. უბნის კაფეები დაიხვეწა და მათი ფართო ტერასები მდინარიდან მობერილ სიოს ახვედრებს სტუმრებს. North-ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღირსშესანიშნაობა EYE Film Museum-ია, მის მეზობლად კი უზარმაზარი Amsterdam Tower-ი აღმართულა.

2018 წლისთვის ამ ცათამბჯენის გვერდით რამდენიმე ასმეტრიანი სასტუმრო გაიხსნება.

როცა ამბობთ სიტყვას „არხი“, ყველას ვენეციას ახსენდება, მაგრამ როგორც კი ამ სიტყვას მრავლობით რიცხვში გამოიყენებთ, თვალწინ ამსტერდამი დგებოდეთ. ამ ქალაქში 165 არხია, მათგან ოთხი კი – SINGEL, HERENGRACHT, KEIZERSGRACHT და PRINSENGRACHT – ყველაზე სახელგანთქმულია. მეჩვიდმეტე საუკუნეში შექმნილი და 2010 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობაში შესული ეს წყლის წალკოტი, რომელიც ერთმანეთთან ოთხმოცი ხიდითაა დაკავშირებული, ყოველწლიურად მილიონობით დამთვალიერებელს მასპინძლობს.

CANALS

ამსტერდამის სიმბოლოდ მიჩნეული XVII საუკუნის არხების წრედი აუცილებლად უნდა მოინახულოთ.

GOUDEN BOCHT – „ოქროს კლაკნილად“ წოდებულ ადგილას, Leidsestraat-იდან Vijzelstraat-ამდე, Heregracht-ის არხის პირას ყველაზე ლამაზი და დიდებული სახლებია განლაგებული. „ერთი ხედი, თხუთმეტი სახლი“ - Reguliersgracht-ისა და Herengracht-ის არხების კუთხიდან განუმეორებელი ხედი იშლება, რომელშიც ერთდროულად 15 ხიდია ჩატეული, ოღონდ ყურადღება მიაქციეთ, აუცილებლად ქუჩის კენტი ნომრების მხარეს უნდა იდგეთ.

MAGERE BRUG

მდინარე ამსტელზე მდებარე, „წვრილი ხიდი“ ამსტერდამის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ფერწერული ხიდია. ღამღამობით ის 1800 ნათურით ნათდება. დღევანდელი ხიდი 1934 წელს ააშენეს, თუმცა ამ ადგილას 1691 წლიდან მდებარეობდა კერკსტრაატის ხიდი, 1994 წლამდე ის იხსნებოდა და ერთდებოდა ხიდის ორი ოპერატორის ნამდვილი ოსტატობისა და ძალისხმევის შედეგად – ხიდის შეერთებისას მისი ორი ნახევარი იდეალურად უნდა შეპირაპირებულიყო ერთმანეთთან. ოპერატორები ხიდის სხვადასხვა ნახევარზე იდგნენ და საკუთარი წონის გამოყენებით ბალანსის რეგულირებას ახდენდნენ.

ამსტერდამის დათვალიერების საუკეთესო საშუალება წყალზე გასეირნებაა. ამისათვის არხებზე კრუიზების მრავალფეროვანი არჩევანია. ამსტერდამი კომპაქტური ქალაქია – სულ რაღაც ერთი-ორი საათის განმავლობაში შეძლებთ მრავალ არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობას ცურვით ჩაუაროთ. რამდენიმე სამოგზაურო ტური არხებზე მუშაობს პრინციპით – Hop on-Hop off, რაც იმას ნიშნავს, რომ შეგიძლიათ ნებისმიერ გაჩერებაზე ხმელეთზე გადახვიდეთ და პირიქით.

AMSTERDAM CANAL CRUISE

ამ კომფორტული, მშვიდი ექსკურსიის დროს ამსტერდამის ერთიან ხიბლს შეიგრძნობთ. **ფასი:** 16€

HOP ON – HOP OFF BOAT TOUR 24 H.

ისიამოვნეთ 24-საათიანი თავისუფალი კრუიზით ამსტერდამის ისტორიულ არხებზე. **ფასი:** 25€

ეს უძველესი სახლები მდიდრულად მორთული ფასადებითა და წვეტიანი სახურავებით ნიდერლანდების ეროვნული მემკვიდრეობის ნაწილია. არხების წრედის გარშემო ამ საკვირველი ნაგებობების უმეტესობა ჰოლანდიის ოქროს ხანაში აშენდა, როცა მშენებლობის გადასახადის ოდენობა ფასადის სიგანის მიხედვით გამოითვლებოდა. ვიწრო სახლები გამორჩეული ფენომენია; ასეთი სახელი სამ ცნობილ შენობას ჰქვია. მათი სიგანე 2 მეტრზე ოდნავ მეტია, მსოფლიოში ყველაზე ვიწრო სახლის სტატუსს ერთმანეთს რამდენიმე სახლი „ეცილება“. ასეთი არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სახლი მისამართზე: Kloveniersburgwal 26.

OUDE HOOGSTRAAT 22

ამსტერდამის ყველაზე ვიწრო სახლად მიჩნეული შენობა 1600 წელს აუშენებიათ. მისი სიგანე 2,02 მ-ია, ხოლო სიგრძე – 5 მ; ყოველ სართულზე ერთი პაწაწინა ოთახია. ჩანს, ამ სახლში ადამიანები ძალზე არაკომფორტულად ცხოვრობდნენ. ამუამად შენობა საზოგადოებისთვის ღიაა და მასში ამსტერდამის ყველაზე პატარა საჩაიეა განთავსებული.

SINGEL 7

სინგელის არხზე მდებარე ამ გასაოცარი ნაგებობის კონსტრუქცია მართლაც უნიკალურია. მას ყველაზე ვიწრო უკანა ფასადი აქვს, თუმცა წინა მხრიდან „უფრო განიერია“. ამსტერდამისათვის დამახასიათებელი ვიწრო სივრცეების ნათელი მაგალითია ქუჩა Trompettersteeg. მისი სიგანე ერთი მეტრია.

MUSEUM HET REMBRANDTHUIS

რემბრანდტის სახლ-მუზეუმში შენობის ფასადს და ინტერიერს პირველადი სახე აქვს შენარჩუნებული – სწორედ ასეთი იყო XVII საუკუნეში, როდესაც აქ რემბრანდტი ცხოვრობდა.

მუზეუმში დაათვალიერებთ რემბრანდტის სახელოსნოს, საცხოვრებელ ოთახებს, აგრეთვე, კაბინეტს, სადაც თავმოყრილია ხელოვნების მრავალი ნიმუში და იშვიათი ანტიკვარული ნივთები; ეს არის უნიკალური ოთახი, სადაც წარმოდგენილია რემბრანდტის მდიდარი კოლექცია.

მხატვრის საცხოვრებელი ბინის ცხრა ოთახი მთლიანად აღდგენილია პირვანდელი სახით.

სახლ-მუზეუმში გამოფენილია, ასევე, რემბრანდტის თანამედროვე მხატვრების ნახატები. შენობის ახალ ფრთაში რემბრანდტის გრაფიკული ნამუშევრების თითქმის სრულ კოლექციას ნახავთ. მუზეუმის განსაკუთრებული სიამაყეა მხატვრის ხელით შესრულებული 4 სპილენძის გრავიურა.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-18.00 სთ.

ბილეთის ფასი: 13€

Jodenbreestraat 4
www.rembrandthuis.nl

MUSEUM VAN LOON

სახლი, რომელიც ადრე შეძლებულ ჰოლანდიურ ოჯახს ეკუთვნოდა.

ჰენდრიკ ვან ლონმა, 1602 წელს ოსტინდური კომპანიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა თავისი ვაჟიშვილისთვის – ვილემ ვან ლონისთვის იყიდა, როგორც საქორწილო საჩუქარი.

შესანიშნავად შემონახული სახლი საშუალებას გვაძლევს, გავეცნოთ XVIII საუკუნის ჰოლანდიური ოჯახის ცხოვრებას, სახლის შიდა მოწყობილობა საუკუნეების განმავლობაში ხელუხლებელი დარჩა და დღესაც სრულად ასახავს ოქროს საუკუნის ინტერიერის ბრწყინვალებას. **ბილეთის ფასი:** 9€;

ღიაა: ყოველდღე – 10.00-17.00 სთ

Keizersgracht 672

AMSTERDAM ARENA

ამსტერდამ-არენა საფეხბურთო კლუბის, „აიაქსის“ სტადიონია, რომელიც 53 000 მაყურებელს იტევს. ნაგებობა იმითაა გამორჩეული, რომ მოძრავი სახურავი აქვს, ცუდი ამინდის შემთხვევაში ის იხურება და მატჩები თუ კონცერტები არასდროს გადაიდება.

Arena Boulevard 1

HERMITAGE AMSTERDAM

„ამსტერდამის ერმიტაჟი“ სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟის ფილიალია და სწორედ პეტერბურგის უმდიდრესი კოლექციების ექსპონატებს გამოფენს.

Amstel 51

STEDELIJK

თანამედროვე ხელოვნების გასაცნობად უკეთეს ადგილს ვერ იპოვით – ეს დინამიკური მუზეუმი ხელოვნების განვითარების ტენდენციებზე გვიყვება.

მუდმივი ექსპოზიციის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მიმართულებები: „სტილი“ (De Stijl), „კობრა“ (Cobra), „ახალი რეალიზმი“ (Nouveau Realisme), პოპარტი, მინიმალიზმი და Zero-art.

სხვადასხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლებს შორის იხილავთ პიკასოს, მონეს, სეზანს, მატისს, შაგალს, რენუარს, ასევე, ჰოლანდიელ კარელ აპელსა და პიტ მონდრიანს.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-18.00; პარასკეობით – 22.00-მდე.

ბილეთის ფასი: მოზრდილთათვის – 17,5€, 18 წლამდე – უფასოა.

Museumplein 10
www.stedelijk.nl

CONCERTGEBOUW

მსოფლიოში საუკეთესო აკუსტიკის მქონე საკონცერტო დარბაზი Museumplein-ზე მდებარეობს.

ყოველწლიურად ამ დარბაზში კლასიკური, პოპ და ჯაზური მუსიკის 600-ზე მეტი კონცერტი იმართება.

„კონსერტგებაუში“ მუშაობს მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარებული ნიდერლანდების სამეფო ორკესტრი.

ამ დარბაზში უდირიჟორია მალერს, რახმანინოვს, სტრავინსკის; სცენას ახსოვს ისეთი მუსიკოსები, როგორებიც არიან: ლეონარდ ბერსტაინი, იეჰუდი მენუჰინი და ვლადიმირ ჰოროვიცი.

Concertgebouwplein 10

BLOEMENMARKT

ის მსოფლიოს ერთადერთი ყვავილების ბაზრობაა, რომელიც წყალზე დაცურავს. ამსტერდამის ერთ-ერთი საკულტო სივრცე 1862 წელს გაიხსნა.

ოდესღაც მდინარე ამსტელზე მეყვავილეებს თავიანთი კარჭაპებით (ბარჟებით) ქალაქის ცენტრისკენ გასაყიდი საქონელი მოჰქონდათ.

ამჟამად წყალზე მოტივტივე კარჭაპების გემბანებზე სათბურია მოწყობილი აქ შეგიძლიათ შეიძინოთ არა მხოლოდ ყვავილები, არამედ სხვა მცენარეებიც, ბოლქვები, კალმები და თესლები საკუთარი ბაღისათვის.

Singel 1012

VOYAGER კომენტარი

ქალაქში, რომელიც ყვავილების დახლებითაა სავსე, საჩუქრად ლამაზი თაიგულის მირთმევა ყოველთვის კარგი ჟესტია, თანაც, ამსტერდამელებს შეუძლიათ ერთმანეთისგან განასხვავონ სადგურზე ნაჩქარევად ნაყიდი თაიგული და არტიზანულ უბანში სათუთად შერჩეული ყვავილები; და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ყვავილების ჯიხური თაიგულს თავის სტიკერს აკრავს.

VONDELPARK

ყოველწლიურად 45 ჰექტარზე გაშლილ მწვანე ზონას 10 მლნ ადამიანი სტუმრობს. თეატრი ღია ცის ქვეშ, საბავშვო მოედნები, კაფეები, რესტორნები – XVII საუკუნის ჰოლანდიელი პოეტის, იან ვონდელის სახელობის პარკი ნებისმიერ სეზონზე აქტიური ცხოვრების ნამდვილი ოაზისია. პარკი 1865 წელს ლანდშაფტის არქიტექტორმა იან ზოხერმა შექმნა. მან დიზაინში ინგლისური პეიზაჟის პრინციპი გამოიყენა. გააშენა განმატოებული ბილიკები, ნამდვილი ტყეები, გუბურები, რამაც იდეალური ბუნებრივი ლანდშაფტის შთაბეჭდილება შექმნა. პარკში შესვლა უფასოა.

BEGIJNHOF

„ბეგინჰოფი“ ამსტერდამის ერთ-ერთი უძველესი შიდა ეზოა და ქალაქის აურზაურისაგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალება.

ძველად ეს ადგილი ბეგინების სამყოფელი იყო, რელიგიური, დაუქორწინებელი ქალებისა, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ.

აქ სტუმრობა მართლაც რომ სიურრეალისტური გამოცდილებაა და ნამდვილად ღირს Begijnensteeg-ზე საიდუმლო შესასვლელის ძებნად.

ONS' LIEVE HEER OP SOLDER

„ეკლესია საყვარელისა უფლისა ჩვენისა სხვენზე“ – ასე ითარგმნება ამსტერდამის უძველესი მუზეუმის სახელწოდება. ჰოლანდია ოქროს ხანაში, რეფორმაციის შემდეგ, პროტესტანტული ქვეყანა გახდა, სადაც კათოლიკეებს აეკრძალათ რელიგიური მსახურება საჯარო ადგილებში.

ამიტომაც 1661 წელს მდიდარმა ვაჭარმა იან ჰარტმანმა გადაწყვიტა, ფარული ეკლესია მოეწყო შენობის სხვენში. აქ კათოლიკე მრევლი სხვადასხვა ადგილიდან მოემგზავრებოდა წირვაზე დასასწრებად და აღსარებისთვის.

ეს სწორედ ის ადგილია, საიდანაც რეალურად დაიწყო ჰოლანდიაში აღმსარებლობის თავისუფლება.

Oudezijds Voorburgwal 38
www.opsolder.nl

OUDE KERK

ყველა მხრიდან პატარა სახლებით გარშემორტყმული ძველებური ეკლესია მყუდრო, მშვიდ სამოთხედ რჩება მშფოთვარე წითელი ფანრების კვარტლის გულში. ეკლესიის 8-წახნაგოვანი გოთიკური სამრეკლო ორიენტირის როლს ასრულებდა მეზღვაურებისთვის, რომლებიც ჰოლანდიის ნაპირს უახლოვდებოდნენ.

Oudekerksplein 23

WESTERKERK

ვესტერკერკი ჰოლანდიის უდიდესი პროტესტანტული ტაძარია, რომელიც 1631 წელს აიგო. ულამაზესი შენობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს 85 მეტრის სიმაღლის კოშკით, რომელიც მთელ ამსტერდამს გადაჰყურებს. 1669 წელს აქ, რომელიღაც ადგილას (დღემდე არავინ იცის, სად) დაკრძალეს მხატვარი რემბრანდტ ვან რეინი.

Prinsengracht 279

NIEUWE KERK

ნივეკერკი (რაც თარგმანში „ახალ ეკლესიას“ ნიშნავს) ამსტერდამის ცნობილი ღირსშესანიშნაობაა, აქ საუკუნეებია ნიდერლანდების მეფეთა კორონაცია იმართება.

ANNE FRANK HUIS

1957 წელს ანა ფრანკის ფონდმა მემორიალური მუზეუმი გახსნა იმავე სახლში ამსტერდამში, სადაც ანა ფრანკის ოჯახი 2 წლის განმავლობაში ემალებოდა ნაცისტებს. ჩხრეკის შედეგად დარბეულ ოთახებს ადრინდელი სახე დაუბრუნეს, მუზეუმის სხვა დარბაზებში კი უჩვენებენ ბიოგრაფიულ ფილმს ანაზე, აგრეთვე, მასალებს ჰოლოკოსტზე, ფაშიზმსა და ანტისემიტიზმზე ევროპაში. ამ სევდისმომგვრელი და ძალზე პოპულარული მუზეუმის შესასვლელთან, როგორც წესი, ყოველთვის დიდი რიგი დგას.

სულ რაღაც 2 წელიწადში ნაცისტების მიერ ოკუპირებულ ამსტერდამში 90 ათასი ებრაელიდან მეორე მსოფლიო ომს მხოლოდ 10 ათასამდე ადამიანი (მათ შორის, 3,5 ათასი ებრაელი ბავშვი) გადაურჩა...

ღიაა: ყოველდღე, თუმცა დილის 9.00-იდან 15.30 საათამდე მხოლოდ ონლაინ ბილეთების მფლობელთათვის. ასეთი ბილეთი მუზეუმის ვებგვერდზე ორი თვით ადრე უნდა შეიძინოთ.

15.30 საათიდან შეძლებთ ადგილზე (მუზეუმის შესასვლელთან) ბილეთის ყიდვას.

ბილეთის ფასი: მოზრდილთათვის – 9€, 10-იდან 17 წლამდე მოზარდებისთვის – 4,5€

Prinsengracht 263-267
www.annefrank.org

ებრაულ კვარტალში მდებარეობს ებრაული ისტორიის მუზეუმი, სადაც უნიკალური ხელნაწერები და უძველესი წიგნებია დაცული.

PORTUGUESE SYNAGOGUE

პორტუგალიური სინაგოგა ამსტერდამში სეფარდი ებრაელების თემს ეკუთვნის. სინაგოგის უზარმაზარი შენობა 1671-1675 წლებში აიგო ელიას ბაუმანის პროექტით და დღემდე თითქმის არ შეცვლილა. აქ დღესაც არ არის გაყვანილი ელექტროენერგია და 350 წლის წინანდელი სკამები დგას. პროექტის ავტორი სოლომონის

ტაძრის ძველი აღქმისეული აღწერით ხელმძღვანელობდა. მან ნამდვილად შეძლო მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი სინაგოგის აგება. ამ ადგილის მთავარი ეფექტი ისაა, რომ დროის შეგრძნება ქრება და ადვილად წარმოიდგენ თავს XVII, XVIII საუკუნის ან ნებისმიერი სხვა ასწლეულის ადამიანად.

Mr. Visserplein 3

დასავლეთის იერუსალიმი

ამსტერდამს დასავლეთის იერუსალიმი ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ეწოდა – უკვე იმ დროისთვის ითვლებოდა აქაური ებრაული თემი ევროპაში ყველაზე მრავალრიცხოვნად. თავისი 700-წლიანი ისტორიის მანძილზე ამსტერდამმა არაერთხელ შეიფარა ინგლისიდან, საფრანგეთიდან, პორტუგალიიდან და პოლონეთიდან დევნილი თუ ესპანეთიდან ინკვიზიციას, იტალიიდან ფაშისტებს და გერმანიიდან ნაცისტებს გამოქცეული ებრაელები.

XVI საუკუნის ბოლო ათწლეულებში, უტრეხტის უნიის შექმნის (1579 წ.) შემდეგ ნიდერლანდებში, ფაქტობრივად, რწმენის თავისუფლება გამოცხადდა და მას უამრავი რელიგიური დევნილი მოაწყდა.

რწმენის თავისუფლების გარდა ჰოლანდიაში ადამიანთა მასობრივ ჩამოსახლებას მეორე მიზეზიც ჰქონდა: ამ დროისთვის ამსტერდამი დასავლეთ ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ საზღვაო პორტად იქცა და აქ საქმის წამოწყებისთვის კარგი შესაძლებლობები არსებობდა.

ამსტერდამის ებრაულ კვარტალში გაცხოველებული ვაჭრობა მიდიოდა, აქ ალმასების დამამუშავებელი სახელოსნოები და ვესტ და ოსტინდოეთის კომპანიის მეპაიეთა მდიდრული სახლები იყო თავმოყრილი. რემბრანდტი, რომელიც ებრაელთა კვარტალთან ახლოს ცხოვრობდა, თავისი ბიბლიური პერსონაჟების ნატურებს სწორედ აქ პოულობდა.

უკვე XIX საუკუნეში ებრაულ კვარტალ იოდენბიურტში შეძლებული ადამიანები ცხოვრობდნენ – ბირჟის მაკლერები, ფარმაცევტები, მოვაჭრეები, ადვოკატები. მათ შორის ბევრი მდიდარი ადამიანი იყო, ხოლო „ალმასების ციებცხელების“ გამო ზღაპრულად გამდიდრებულმა ბრილიანტების ფაბრიკების მფლობელებმა მეზობელ მდიდრულ რაიონში – პლანტაჟში დაიწყეს ვილების მშენებლობა.

ებრაელებმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს ნიდერლანდების ეკონომიკის განვითარებაში. მათი საქმიანობის შედეგად ამსტერდამი XVII საუკუნეში მსოფლიო ვაჭრობის ერთ-ერთ ცენტრად იქცა.

სეფარდები მონაწილეობდნენ მრეწველობის ზოგიერთი დარგის შექმნასა და განვითარებაში, როგორიცაა: შაქრის, აბრეშუმის, თამბაქოს, შოკოლადის წარმოება; ამსტერდამი ალმასის დამამუშავებელი მრეწველობის ცენტრი გახდა, ხოლო ბრილიანტების დაწახნაგება გამორჩეულად ებრაულ საქმიანობად იქცა.XVII საუკუნის მეორე ნახევარში გაიზარდა ებრაელთა საბანკო ანაბრები, გაჩნდნენ მსხვილი ებრაელი ბანკირები, რომლებიც ნიდერლანდების ხელისუფალთ სესხებს აძლევდნენ.

© Erik Smits

ათასი არხით დასერილ ამსტერდამს საკუთარი მუზეუმების კუნძული აქვს. სამუზეუმო კვარტლის არსებობა ყველა დიდი ქალაქის თვისებაა. ეს გაცილებით უადვილებს საქმეს დამთვალიერებელსაც და, ცხადია, მუზეუმების მესვეურებსაც უკეთეს სამუშაო პირობებს უქმნის. დღეს სამუზეუმო საქმის მარკეტინგი სამუზეუმო სივრცეების დაახლოებას გულისხმობს. ამსტერდამის ამ უბანში ვან გოგის, თანამედროვე ხელოვნების, ბრილიანტებისა და კიდევ უამრავი სხვა შესანიშნავი მუზეუმის ნახვაა შესაძლებელი.

მეტსაც გეტყვით: ყველა ეს შენობა, პრაქტიკულად, ერთ დიდ, შესანიშნავ მწვანე მდელოზე დგას. გოთიკურ სტილში შესრულებული რიკსმუზეუმის აგურის მასშტაბური შენობა სრულიად დომინირებს ამ სივრცეში.

მუზეუმი, რომლის კოლექციის მნიშვნელობის აღსაწერად მხოლოდ ორი ტილო – რემბრანდტის „ღამის გუშაგები“ და ვერმეერის „მერძევეც“ კმარა, ნამდვილი შედევრებითაა სავსე. რიკსმუზეუმმა ნაციონალური ხელოვნების გალერეის სახელით 1800 წელს დაიწყო ფუნქციონირება ჰააგაში, 1808 წელს კი ის ამსტერდამში გადაიტანეს

Self Portrait as the Apostle Paul, Rembrandt Harmensz. van Rijn, 1661 © Rijksmuseum

Night Watch, Rembrandt Harmensz. van Rijn, 1642 © Rijksmuseum

და კოლექცია სამეფო სასახლეში დააბინავეს. მას შემდეგ მუზეუმმა არაერთხელ იცვალა ბინა. მისი კოლექცია საბოლოო სახით 1885 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა მუზეუმის დაარსების იდეა გაცილებით უფრო ადრე – 1798 წელს გაჩნდა (ამ დროს მთელ ევროპაში დაფრინავდა ნაციონალური მუზეუმების შექმნის იდეა).

გახსნისას მას 200 ექსპონატი ჰქონდა. მისი პირველი შენაძენი – იან ასელინის „გედი“ დღესაც საპატიო ადგილზეა გამოფენილი.

როცა 1808 წელს ახალმა მეფემ, ლუი ნაპოლეონმა კოლექციის ამსტერდამში გადატანა ბრძანა, ამით იგი ახალი დედაქალაქის მნიშვნელობის გაზრდას ცდილობდა.

ამსტერდამში კოლექციას არაერთი შედევრი შეემატა. მათ შორის იყო რემბრანდტის „ღამის გუშაგები“.

კოლექციის გამდიდრებისა თუ გაყოფის ეპოპეა არაერთ წელს გაგრძელდა. საბოლოოდ არქიტექტორმა პიერ კუპერსმა ახალი, სპეციალურად მუზეუმისთვის დაპროექტებული შენობა შექმნა, თუმცა კრიტიკოსებს ის ზედმეტად შუასაუკუნოვანად და არასაკმარისად ჰოლანდიურად მიაჩნდათ.

1885 წელს ოფიციალურად გახსნილ მუზეუმს არაერთი დეპარტამენტი შეემატა და დღეს ის ჰოლანდიის ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი სახელოვნებო სივრცეა. მუზეუმის კოლექცია გასაოცრად მრავალფეროვანია. აქ ყველა მისთვის გამორჩეულად საინტერესო დარბაზს იპოვის. დეკორატიული ხელოვნებისა და სამკაულების მოყვარულებს საოცარი სიამოვნება ელით.

The Milkmaid, Johannes Vermeer, c. 1660 © Rijksmuseum

Winter Landscape with Ice Skaters, Hendrick Avercamp, c. 1608 © Rijksmuseum

Portrait of a Couple, Probably Isaac Abrahamsz Massa and Beatrix van der Laen, Frans Hals, c. 1622 © Rijksmuseum

Still Life with Cheese, Floris Claesz. van Dijck, c. 1615 © Rijksmuseum

The Jewish Bride, Rembrandt Harmensz. van Rijn, c. 1665 - c. 1669 © Rijksmuseum

მე-16 და მე-17 საუკუნეებში შექმნილი უძვირფასესი ავეჯი, რომელიც მანამდე მდიდარი ამსტერდამელი ვაჭრების სახლებს ამშვენებდა, მთელი თავისი დახვეწილი დიდებულებით წარდგება თქვენ წინაშე.

ჰოლანდიელების, როგორც გამორჩეული მეზღვაურების, შესახებ მოწმობს გემების მაკეტების უმდიდრესი კოლექცია, რომელსაც მუზეუმი ფლობს. ყველა პატარა ბიჭს თვალები უნათდება ამ დარბაზებში მოხვედრისას. „კარიბის ზღვის მეკობრეების“ აფრიანი გემების უზარმაზარი, საოცარი სკრუპულოზურობით შესრულებული მოდელები ამ პატარა ქვეყნის ფლოტის სიძლიერის მაჩვენებელია.

რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი დამთვალიერებელი „ღამის გუშაგების“ დარბაზში იყრის თავს. რემბრანდტის ეს შესანიშნავი, მასშტაბური ტილო, რომელიც, პრაქტიკულად, ქალაქის მილიციის ჯგუფური პორტრეტია, მუდმივად ყურადღების ცენტრშია. ეს დინამიკური სცენა, რომელიც ესოდენ განსხვავდება მხატვრის თანამედროვეების მიერ დახატული მილიციის სხვა ჯგუფური პორტრეტებისგან, პრაქტიკულად, კინოკადრია. ტყუილად არ გაუჩნდა სახელგანთქმულ კინორეჟისორს პიტერ გრინვეის ამ ნახატის შესახებ ფილმის გადაღების სურვილი. რემბრანდტი, როგორც საოცარი ფერმწერი და, რაც მთავარია, ინოვატორი, აქ სრულიად სხვა მასშტაბით წარდგება თქვენ წინაშე.

რიკსმუზეუმში დაცული რემბრანდტის ტილოები კიდევ იმითაცაა საინტერესო, რომ აქ საშუალება გეძლევათ დინამიკაში გაადევნოთ თვალი ამ ბრწყინვალე ფერმწერის განვითარებას. 26 წლის რემბრანდტის მიერ შექმნილი პორტრეტები და სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე შესრულებული ტილოები ტალანტის ევოლუციის საოცარი მაგალითია.

© Rijksmuseum

ამავე დარბაზში გამოფენილ ვერმეერის „მერძევესა“ და სხვა ტილოებთან მუდმივად რიგია. გასაგები მიზეზების გამო, ვერმეერის ყველა ჟანრული სცენა დაუოკებელ ინტერესს იწვევს, თუმცა მისი თანამედროვეების ასევე ფრიად საინტერესო ტილოები ეპოქის შესახებ შესანიშნავ წარმოდგენას შეგიქმნით.

ის, რაც აუცილებლად უნდა ნახოთ:

❶ **„დიდების გალერეა“,** რომელშიც წარმოდგენილია ჰოლანდიური ოქროს ხანის დიდოსტატების ნამუშევრები, მათ შორის, ფრანს ჰალსის, იან სტენის, ვერმეერისა და რემბრანდტის მსოფლიო მნიშვნელობის შედევრები.

უამრავ შთამბეჭდავ ექსპონატს შორისაა რემბრანდტ ვან რეინის „ღამის გუშაგი“ და იან ვერმეერის „მერძევე ქალი“. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დრო ცოტა გაქვთ, ამ დარბაზს ეწვიეთ, რადგან ერთად თავმოყრილს იხილავთ მთელი ოქროს ხანის საუკეთესო ნაწარმოებებს.

❷ გაიგეთ მეტი ოქროს ხანის შესახებ, შეიხედეთ ისტორიულ „თოჯინების სახლებში“, რომელთაგან უძველესი 1676 წლით თარიღდება.

ერთ-ერთი გამორჩეული დარბაზი ეგრეთ წოდებული თოჯინების სახლების ექსპოზიციაა. პეტრონეტა ორტმანი ამსტერდამელი ვაჭრის, იოჰანეს ბრანდტის მეუღლე იყო. გაუგებარია, რატომ გადაწყვიტა ამ პატივცემულმა ქალბატონმა თოჯინების სახლი ანონიმური ავტორისთვის შეეკვეთა, მაგრამ ფაქტია, რომ შედეგად აბსოლუტური შედევრი მივიღეთ. თოჯინების სახლი, რომელიც ზრდასრული ადამიანის სიმაღლისაა, სრული სიზუსტით იმეორებს მდიდარი ვაჭრის სახლის ინტერიერს. მარმარილოს პაწაწინა ბუხრები, წითელი ხის ავეჯი და ძვირფასი ქსოვილის ფარდები, მოხატული კედლებიც კი ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც რეალობაში.

Dolls' house of Petronella Oortman anonymous, c. 1686 - c. 1710 © Rijksmuseum

Bloempyramide, De Metzade Pot (toegeschreven aan), naar Lambertus van Eenhoorn, ca. 1692 - ca. 1700 © Rijksmuseum

თუ კერამიკა და განსაკუთრებით ფაიფურის ისტორია გაინტერესებთ, შეგიძლიათ თვალი გაადევნოთ შესანიშნავ მოგზაურობას, რომელიც ჩინურმა ფაიფურმა ევროპისკენ გაიარა. თქვენ თვალწინ გადაიშლება ჰოლანდიელების მცდელობათა და წარმატებათა რიგი საკუთარი ფაიფურის შექმნისა.

მაგიდას ათობით პაწაწინა ფაიფურის ლურჯად მოხატული თეფში და ჭიქა ამშვენებს, სამზარეულოში კი სპილენძის კავებზე საჭირო ჯამ-ჭურჭელი კიდია.

© Rijksmuseum

სამკაულების დარბაზში ასობით ბრილიანტი ბრწყინავს ვიტრინაში, მაგრამ ნაკეთობები, რომლებსაც ეს ძვირფასი ქვები ამშვენებს, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ბრილიანტებს არც კი მიაქცევთ ყურადღებას.

განსაკუთრებით საინტერესოა უზარმაზარი მარგალიტებით შექმნილი დეკორატიული ფიგურები. მარგალიტის მუცლიანთავიანი, ემალითა და ძვირფასი ქვებით გაფორ-მებულ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცუ-ნები საოცარი სანახაობაა.

ასევე არაჩვეულებრივად მიმზიდველია დელფტის ქარხანაში დამზადებული, მუზეუმში გამოფენილი ფაიფურის ნივთების ასლები. მათი ფასი გაცილებით მაღალია და ნივთები საკმაოდ მოცულობითია, მაგრამ მსურველებს მუზეუმი შესანიშნავ სერვისს სთავაზობს: თქვენ მიერ შეძენილ ნივთს სამშობლოში, მითითებულ მისამართზე გამოგიგზავნიან.

VOYAGER რეკომენდაცია

მუზეუმის დასათვალიერებლად აუცილებლად მთელი დღე უნდა გამოყოთ. თუ მართლა გსურთ გვიანი შუასაუკუნეების ფერწერისა და სკულპტურის, გემების გამაოგნებელი მაკეტების, ავეჯის, კერამიკისა და სამკაულების და, რაც მთავარია, ფერწერის საოცარი კოლექციის სრულად ხილვა, მუზეუმის კაფეში შესვენების მოწყობა აუცილებლად მოგიწევთ.

ბევრი მუზეუმისგან განსხვავებით რიკსმუზეუმს მართლაც შესანიშნავი კაფეტერია აქვს. აქ ამსტერდამელები დილის საუზმისთვის ხშირად მოდიან, მაშინაც კი, როცა კოლექციების დათვალიერება არ აქვთ დაგეგმილი.

ბილეთების ყიდვა მუზეუმის შიდა სივრცეში შეიძლება და ამიტომ უზარმაზარ ატრიუმში შესვლა ყველას შეუძლია. შუადღისას მუზეუმის კაფე არაჩვეულებრივ ლანჩს შემოგთავაზებთ, თუმცა ამ დროისთვის ხალხის რაოდენობა და, შესაბამისად, მაგიდის დასაკავებლად რიგის სიგრძეც საგრძნობლად იმატებს.

მუზეუმში მისვლა დილით ჯობს. მიუხედავად იმისა, რომ აქ ლუვრის მსგავსი რიგები იშვიათად არის, დილის 10 საათზე იდეალური სიმშვიდით შეგიძლიათ ბილეთის შეძენაც და დილის კრუასანის მირომევაც.

მუზეუმს გამორჩეულად საინტერესო მაღაზია აქვს. იქვე, დარბაზებში ნანახი, ჰოლანდიელი მხატვრების მიერ ესოდენ დიდი სიყვარულით დახატული მინის ჭიქები თუ დოქები მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ. უმაღლესი ხარისხის რეპლიკები, რომლებსაც შუშის ხელოსნები საათითაოდ, ხელით ქმნიან, 29-იდან 170 ევრომდე ღირს.

მუზეუმი ღიაა: ყოველდღე – 9.00-17.00, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ ბილეთების სალარო 16.30-ზე იკეტება. გირჩევთ, წინასწარ შეიძინოთ ელექტრონული ბილეთი, რომლის მეშვეობითაც ე. წ. „სწრაფი შესასვლელით“ ისარგებლებთ და რიგში დგომა არ მოგიწევთ.
ბილეთის ფასი: მოზრდილთათვის – 17,50€; ბავშვებისთვის (18 წლის ჩათვლით) უფასოა.
Museumstraat 1

რიკსმუზეუმის პარკს, მაღაზიებსა და კაფეს 9.00-იდან 18.00 სთ-მდე უბილეთოდაც შეგიძლიათ ესტუმროთ. თუ გსურთ ექსპონატების დათვალიერებას სადილობაც შეუთავსოთ, რესტორანი RIJKS ღიაა ყოველდღე 11.30-იდან 23.00 სთ-მდე.

VOYAGER რჩეული მარშრუტი

ამსტერდამში წყლის ტრანსპორტის ისეთი მრავალფეროვანი არჩევანია, რომ სტუმართა უმეტესობა Canal District-ს მხოლოდ არხში ლივლივით ჩაუვლის და ამ უბანში მიწას ფეხს არ აკარებს.

დაბეჯითებით გირჩევთ, ერთი დღე მთლიანად არხების უბნის სანაპირო ზოლზე ფეხით სეირნობას დაუთმეთ, თვალწინ სრულიად სხვა სამყარო გადაგეშლებათ – ფანტასტიკური სასახლეები, დიზაინერული მაღაზიები, წყნარი ბარები და კაფეები, რომელთაც ადგილობრივების გარდა იშვიათად თუ სტუმრობს ვინმე.

ჩვენი რჩეული ადგილების ათეული:

1. Café Tabac (Brouwesgracht 101, Jordaan) – Canal District-ის ყველაზე წარმტაც გზაჯვარედინზე მდებარე ეს მეჩვიდმეტე საუკუნის კაფე იდეალური ადგილია ნავების საცქერად, თანაც ის იორდანეს უბნის შესასვლელშია.
2. Anne Frank House (Prinsengracht 263-267, Canal District) – ანა ფრანკს ჩვენი წარდგენა არ სჭირდება. ეს სახლი, რომელიც ახლა მუზეუმადაა გადაკეთებული, მას და მის ოჯახს ნაცისტებისგან იფარებდა 1942-1944 წლებში.
3. Pulitzer's Bar (Keizersgracht 234, Canal District) – ამ კლასიკურ არტ-დეკოს სტილის ბარში, რომელსაც ქალაქის ინტელექტუალური ელიტა სტუმრობს, დღის სამი საათიდან შეგიძლიათ კოქტეილები დააგემოვნოთ.
4. Nine Streets (Keizersgracht 359, Negen Straatjes) – ეს პატარა ქუჩების ერთობლიობა მოდის მოყვარულთა სამოთხეა, Nine Streets-ის ყველა კუნჭულში „არამეინსტრიმული შოპინგისათვის" იდეალური ბუტიკებია.
5. The Frozen Fountain (Prinsengracht 645, Canal District) – აქ შეგიძლიათ ყველაზე შთამბეჭდავი დიზაინერული კოლექცია იხილოთ: სანათები, წიგნები, საათები და ხალიჩები, რომელთაც სამუზეუმო კოლექციებში თუ ნახავთ.
6. Museum Het Grachtenhuis (Herengracht 386, Canal District) – მეჩვიდმეტე საუკუნის შენობაში შეგიძლიათ ფუფუნების საგნების ისტორიასა და არხების უბნის დეტალურ მემკვიდრეობას გაეცნოთ.
7. De Gouden Bocht (Herengracht-ს, Leiderstraat-სა და Vijzelstraat-ს შორის, Canal District) – შესანიშნავი ბაღები, მეჩვიდმეტე საუკუნის ულამაზესი სახლები და 15 წარმტაცი ხიდი ამ სივრცეშია მოქცეული.
8. Museum Van Loon (Keizersgracht 672, Canal District) – რემბრანდტის თანამედროვე ფერდინანდ ბოლის სახლ-მუზეუმი, სადაც დეტალურადაა შემონახული სამზარეულო, ბაღი და ფარდული.
9. Bloemenmarkt (Singel, Koningsplein-სა და Vijzelstraat-ს შორის, Canal District) – ევროპის ყველაზე დიდი წყალზე მცურავი ყვავილების ბაზრობა, სადაც ყვავილების მრავალფეროვნება თვალს მოგჭრით.
10. Hoppa! (Singel 460, Canal District) – ეს პატარა ტავერნა, რომელიც ისტორიულ Odeon Theatre-ში მდებარეობს და არხებს გადაჰყურებს, მხოლოდ ადგილობრივ სასმელებს შემოგთავაზებთ.

როგორ ვიმგზავროთ აეროპორტიდან

მატარებელი

Schiphol-ის რკინიგზის სადგურიდან ამსტერდამის ცენტრისაკენ და ნიდერლანდების სხვა ქალაქებისაკენ მატარებლები მოძრაობს ყოველ 15-30 წუთში, ღამის 0.30-5.00 სთ-ების მონაკვეთის გამოკლებით, როცა ისინი ერთსაათიანი შუალედით გადიან. ამსტერდამის ცენტრამდე მგზავრობას დაახლოებით 20 წუთი სჭირდება და 4,20€ ღირს.

ავტობუსი

აეროპორტიდან ავტობუსები დილის 5 საათიდან ყოველ 15-30 წუთში ერთხელ გადის. მუზეუმპლეინამდე #197 ექსპრეს ავტობუსით მგზავრობას 30 წუთი სჭირდება. **ბილეთის ფასი:** 4.75€.

ტაქსი

ქალაქის ცენტრამდე ტაქსით დაახლოებით 20-30 წუთს იმგზავრებთ. ფასი 40-50€ + ფეხის ქირა 10%. გადახდა ნაღდი ფულითაც შეგიძლიათ და ბარათითაც. ამსტერდამში ტაქსის მომსახურება მთელ ევროპაში ყველაზე ძვირადღირებულია. ასევე არ გირჩევთ ავტომობილის დაქირავებას ან საკუთარი ავტომანქანით ნიდერლანდებში გამგზავრებას.

- ამსტერდამის ცენტრში ყველაფერი ერთ ხელის გაწვდენაზეა. ტრამვაი საუკეთესო ტრანსპორტია, **ბილეთის შეძენა** უშუალოდ ავტობუსის მძღოლთან ანდა ტრამვაის კონდუქტორთან შეგიძლიათ. ერთჯერადი ბილეთი, რომლითაც ერთი საათის განმავლობაში შეგიძლიათ რამდენჯერმე იმგზავროთ, 2.90€ ღირს. თუ რამდენიმე მგზავრობას გეგმავთ, გირჩევთ მთელი დღის ბილეთი შეიძინოთ (**ფასი** 10.50€).
- **გახსოვდეთ**, მგზავრობის ბარათები ყოველ ჯერზე ტრანსპორტში ასვლისას და ჩამოსვლისას უნდა გააქტიუროთ გასასვლელში დამონტაჟებულ სპეციალურ აპარატზე უბილეთოდ ანდა ვადაგასული ბილეთით მგზავრობისთვის ჯარიმა ადგილზე გადახდის შემთხვევაში 70€-ს შეადგენს, ხოლო მოგვიანებით გადახდისას – უკვე 85€-ს.
- **ნუ მოსწევთ სიგარეტს** მატარებლებსა და რკინიგზის სადგურებში. ამისათვის საგანგებო ზონებია შექმნილი. მოწევისათვის 25€-თი დაგაჯარიმებენ, ხოლო ნამწვის გადაგდება 40€ „დაგიჯდებათ".
- **თუ მანქანას იქირავებთ, გახსოვდეთ:** უაღრესად მკაცრი შეზღუდვებიდან გამომდინარე, ქალაქში მანქანის გაჩერება ძნელიცაა და ძვირიც. საათვალთვალო აპარატურა დღედაღამ ჩართულია. თუ უადგილო ადგილას გაჩერებული თქვენი მანქანა ვიდეოჩანაწერში მოხვდა, საქარე შუშაზე აუცილებლად დაგხვდებათ ყვითელი ფურცელი, რომელიც გატყობინებთ, სად და რა ვადაში უნდა გადაიხადოთ ჯარიმა – 67€.

ექსკლუზიურად SOLO მომხმარებლებისათვის

- 5% ფასდაკლება
- პირველადი შენატანი 0%
- თქვენზე მოერგებული გადახდის გრაფიკი
- შიდა უჰოსენტო განვადება 2017 წლის ბოლომდე

WELL HOUSE
House of Your Dream

- ✓ იზოლირებული სასხოვრებელი კომპლექსი ევროსტანდარტის დასვით
- ✓ ქალაქის ცენტრალურ უბანში, 3 წუთი საბურთალოს გუდვილიდან
- ✓ 2 დონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომი:
  - ვენტილაციის სისტემა;
  - სენსორული განათება;
  - სახანძრო ჰიდრონატი.
- ✓ მოსასვენებელი, რეკრეაციული და გავშვთა გასართობი ზონები
- ✓ მაღალხარისხიანი ევროპული სამშენებლო მასალები
- ✓ თანამედროვე OTIS -ის ფირმის ლიფტები
- ✓ Ytong -ის ფირმის ენერგოეფექტური სამშენებლო ბლოკი გარე და შიდა კერიმეტრზე
- ✓ კიბის უჯრედისა და სადარბაზოს მოპირკეთება გუნებრივი გრანიტით
- ✓ Rehau -ს ფირმის კარ-ფანჯრები და ვიტრაჟები
- ✓ ფრანგული აივნები
- ✓ შესასვლელი რკინის კარი

www.facebook.com/wellhouse.ge

ელ-ფოსტა: mari@wellhouse.ge
ვებგვერდი: www.wellhouse.ge
ტელ.: (+995 32) 2 21 28 13; 2 31 28 14
მობ.: (+995) 577 22 45 85

PULITZER

სასტუმრო XVII-XVIII საუკუნეების 25 ძველ არხისპირა ნაგებობაშია განთავსებული და ამსტერდამის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ უბანში მდებარეობს. მოდური Nine Streets და იორდანეს უბნის უნიკალური მაღაზიები იმდენად ახლოსაა, რომ ფეხით, ველოსიპედითა თუ ნავით ყველაფერს მცირე დროში მოინახულებთ. Pulitzer-ი სტუმრებს 225 ნომერს, ჰარმონიული სიმშვიდისთვის – შიდა ბაღს, რესტორანსა და ბარს სთავაზობს.

1960 წელს პიტერ პულიცერმა (პულიცერის პრემიის დამაარსებლის, ჯოზეფ პულიცერის შვილიშვილმა) არხის პირას გაშენებულ ძველ შენობებში დიდი პოტენციალი დაინახა, თორმეტი მათგანი შეიძინა და ამსტერდამს პირველი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო აჩუქა. შარშან სასტუმრო განახლდა – კლასიკურ ელეგანტურობას თანამედროვე სტილი შეემატა.

Pulitzer-ში კულინარიულ ოსტატობას უდიდესი ყურადღება ექცევა.

აქ მდებარეობს Pause – ბაღის ნათელი კაფე, სადაც მთელი დღის განმავლობაში შეგიძლიათ წაიხემსოთ. ასევე რესტორანი Jansz, სადაც მარტივი, თუმცა გამორჩეულად მომზადებული, ევროპული სამზარეულოთი შთაგონებული კერძებია. Pulitzer-ის ბარი კი იდეალური ადგილია ოსტატურად გაზავებული უგემრიელესი სასმელების მისართმევად.

Jansz ერთი შეხედვით სადა, თუმცა უმაღლესი კლასის რესტორანია, სადაც ყველაზე დიდ აქცენტს ხარისხიან ინგრედიენტებზე აკეთებენ. შესანიშნავად მომზადებული თანამედროვე და კლასიკური კერძები ჰოლანდიური აქცენტებით გამოირჩევა, ამ ყველაფერს კი ინტერნაციონალური არომატები და გემოები ემატება.

Pause - ენერგიის აღდგენა ამ კაფეს წყნარ ბაღებსა და გარე ტერასებზე ძალიან სასიამოვნოა. სწორედ აქაა ჩაფლული Pause, საიდანაც სამოთხისებური ხედების, მწვანე ოაზისისა და წარმტაცი ძველი ნაგებობების ცქერა შეგიძლიათ. Pause-ში შესანიშნავ საუზმეს, დილის ყავას, მსუბუქ კერძებსა და ჭიქა ღვინოს შემოგთავაზებენ.

ფასი: 350€-დან

Prinsengracht 315-331
www.pulitzeramsterdam.com

DYLAN

Dylan ცნობილია, როგორც ამსტერდამის ყველაზე დახვეწილი სტილის მქონე სასტუმრო. ის Keizersgracht-ის არხების შენობებისგან შედგება. ინტერიერი თანამედროვეობისა და კლასიკის შეხამების შესანიშნავი მაგალითია..

Dylan-ი საყვარელი ადგილია მათთვის, ვინც ხარისხს აფასებს. მომაჯადოებელი ძველი ფასადი უნიკალურ და მდიდარ ისტორიაზე მიგვანიშნებს, ხოლო ინტერიერი საოცრად მყუდრო და შინაურულია. შუაში მდებარე ბაღი და გასტრონომიული კონცეფციები სასტუმროს დახვეწილობასა და ელიტურობას სძენს.



Dylan-ში 40 ოთახი და სუიტია. თითოეულ მათგანს სხვადასხვა სტილის ინდივიდუალური დიზაინი და ფერების პალიტრა აქვს. 2014 წელს სრულიად განახლებული 16 ნომერი შთამბეჭდავი დეკორითა და სპილენძისფერი ტონებით გამოირჩევა.

სასტუმროს რესტორანი **Vinkeles** ერთი მიშლენის ვარსკვლავის მფლობელია და Gault Millau-ის 18 ქულითაა შეფასებული. ის 38 სტუმარს იტევს და თანამედროვე შტრიხებით გაჯერებული ფრანგული სტილის მენიუ აქვს. მეთვრამეტე საუკუნის ავთენტიკური საცხობის მსგავსი გარემო და შეფ-მზარეულის ექსკლუზიური მომსახურება კიდევ უფრო მეტ ხიბლს სძენს აქაურობას. დარბაზში ძველისძველი ღუმლებით ხართ გარშემორტყმული, ფანჯრებიდან კი ბაღს გადაჰყურებთ. შეფ-მზარეული უახლეს ინგრედიენტებს იყენებს თავის სეზონურ მენიუში და კერძების არომატები მართლაც გამორჩეულია. სტუმრები Vinkeles-ს აღწერენ, როგორც „აღმაფრთოვანებელს, სადასა და რაფინირებულს“.

კონცეფცია **High Wine** სწორედ აქ გამოიგონეს. ალბათ გახსენდებათ მისი წინამორბედი High Tea – სწორედ ამ პრინციპით, ოღონდ სხვა სასმლის მონაწილეობით შეგიძლიათ შესანიშნავი გამოცდილება შეიძინოთ. ყოველდღე, 15:30-დან 17:30-მდე სტუმრებს ოთხი სხვადასხვა ღვინითა და მათი თანმხლები სხვადასხვა პაწია „კერძით“ უმასპინძლდებიან, რაც ერთ ადამიანს 39,50€ დაუჯდება. ყოველ სეზონზე ეს მენიუ იცვლება. აქაური ღვინოები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდანაა.

ფასი: 245€-დან

Keizersgracht 384
www.dylanamsterdam.com

ANDAZ

ამსტერდამის ლეგენდარული ისტორია ჰარმონიულად ერწყმის სასტუმრო Andaz Amsterdam Prinsengracht-ის მჩქეფარე ენერგიას. ეს სასტუმრო 122 ნომრისა და სუიტისგან შედგება, სადაც შინაური ცხოველების სტუმრობაც დაშვებულია. შენობის ყველა კუნჭულში, ლიფტებით დაწყებული, სააბაზანოებით დამთავრებული, ხელოვნების უნიკალურ ნაწარმოებებს წაწყდებით, მათ შორის, ჯადოსნურ კედლის მოხატულობებს, შპალერზე აღბეჭდილ სიუჟეტებს, სკულპტურულ ავეჯსა და ა. შ.

ისტორიულ ამსტერდამში მდებარე ეს სასტუმრო დახვეწილი სტილის ოთახების ლაბირინთია. აქ სტუმრებს Prinsengracht-ის არხზე წარმტაცი ხედები, ბაღების ლანდშაფტი და ექსკლუზიური ობსერვატორია დახვდებათ. თითოეული ამ სივრცის დიზაინი ჰოლანდიელ არქიტექტორსა და დიზაინერს, მარსელ ვანდერსს ეკუთვნის.

რესტორან **Blue Spoon**-ში ჰოლანდიური კულინარიული ტრადიციები, უმაღლესი ხარისხის ადგილობრივი და რეგიონული ინგრედიენტები და შეფ-მზარეულის ოსტატობა თავს იყრის კერძებში, რომლებიც იდეალურადაა შეკმაზული და უნიკალური შტრიხებით გაოცებთ. მაგალითად, ჰოლანდიური ვირთევზა და მოშუშული ოსპი ბეკონის ვინეგრეტით. ბაღს შეგიძლიათ ჭიქებისაგან აგებული კედლის მიღმა უყუროთ, ამ ყველაფრის ინსპირაცია კი „ალისა საოცრებათა ქვეყანაშია“. რესტორანი სადა დიზაინით გამოირჩევა: ფაიფურისებრი ლურჯი და თეთრი ფერები, სუფთა ხე, შავი ტყავი.

კვირაობით აქ ისეთ ბრანჩს მიირთმევთ, რომელიც თქვენზე წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებს. ახალი სალათები, შინაურული ცომეული, საუკეთესო ადგილობრივი თევზეული, ძეხვეული და ყველი. ყველაფერი კი ახალთახალი სეზონური ინგრედიენტებითაა დამზადებული.

ბრანჩი კვირაობით, 12.00-დან 15.00-მდეა, უფროსებისთვის 39€ ღირს, ხოლო 6-12 წლის ბავშვებისთვის – 19,50€. 6 წლამდე ბავშვებისთვის აქ კვება უფასოა.

ფასი: 350€-დან

Prinsengracht 587
www.amsterdamprinsengracht.andaz.hyatt.com

SEVEN ONE SEVEN

სასტუმრო 717 Prinsengracht-ის ქუჩაზე, არხების სისტემის შუაგულში მდებარეობს. ორი ჯადოსნური სუიტი მეჩვიდმეტე საუკუნის Prinsengracht-ს გადაჰყურებს.

კიდევ უფრო წარმტაცი ხედებისთვის მუხის ხისაგან დამზადებულ კიბეს აუყვევით, რომელიც ასევე შვიდ უზარმაზარ სუიტს უკავშირდება. აქ დიკენსის, გოეთეს, მალერის, პიკასოსა და შუბერტის სახელობის ნომრებია.

თავის დროზე ეს შენობა მდიდარ შაქრით მოვაჭრეს ეკუთვნოდა. საკუთარი სიმდიდრის ხაზგასასმელად მან სხვა ახლოს მდებარე ნაგებობებიც შეიძინა და საცხოვრებელი კომპლექსი შექმნა.

ზაფხულობით შეგიძლიათ ელეგანტურ შიდა ეზოში, ძველი ნეკერჩხლის ხის ქვეშ ინებივროთ. ეს ადგილი თავისი დამამშვიდებელი და წყნარი ატმოსფეროთი სახლის მაგივრობას გაგიწევთ. სასტუმროს ძიძის, პერსონალური შოპინგ-მრჩევლისა და მასაჟისტის ნომერში მომსახურების სერვისიც აქვს. **ფასი:** 470€-დან

Prinsengracht 717; www.717hotel.nl/en

CONSERVATORIUM

მდიდარი სახელოვნებო ისტორიის სასტუმრო Conservatorium ამსტერდამის მუზეუმების რაიონის შუაგულში და ელიტურ საშოპინგო რაიონთან, P.C. Hooftstraat-თან ახლოს მდებარეობს. 2008 წლამდე ეს კონსერვატორიის შენობა იყო (სასტუმროს ნომრებში ახლაც საოცარი აკუსტიკაა), ახლა კი სასტუმროების ქსელს – The Set Hotels-ს – ეკუთვნის.

შესასვლელიდანვე თვალს მოგჭრით უმარმაზარი სივრცე კლასიკური და თანამედროვე დეტალების შეხამებით. ოთახებსა და სუიტებში მუხის იატაკი და შესანიშნავი ავეჯი შემოდგომის ფერთა პალიტრაშია გადაწყვეტილი.

სააბაზანოებში დიდი, წვიმისებური საშხაპეები და მარმარილოს აბაზანებია. განსაკუთრებული ნებივრობისთვის შეგიძლიათ Akasha-ს ჰოლისტიკურ გამაჯანსაღებელ ცენტრს ეწვიოთ.

ამსტერდამში ერთ-ერთ საუკეთესო სამკურნალო სპა-პროცედურებს სწორედ Spa Akasha-ში ჩაიტარებთ, სადაც ინოვაციური დასავლური ტექნოლოგიები უძველეს აღმოსავლურ ტრადიციებთან იდეალურადაა შერწყმული. აქ არის პერსონალური ჰამამი გამწმენდი სკრაბებისა და მასაჟებისთვის, ხოლო ჰიდროთერაპიული რიტუალებისთვის – Vichy-ს შხაპები. Akasha-ში იხილავთ ერთადერთ Watsu-აუზს ამსტერდამში, სადაც ჰიდრომკურნალობა და

მედიტაციაა შესაძლებელი.

წარმტაცი დეკორითა და მყუდრო ატმოსფეროთი გამორჩეული ელეგანტური **Tunes Bar** უგემრიელეს კოქტეილებს შემოგთავაზებთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ეგზოტიკურ კოქტეილებსა და მათზე მისაყოლებელ საკვებში მრავალფეროვანი კულინარიული გამოცდილება იმალება.

რესტორანი **Taiko** ამსტერდამის ერთ-ერთ ულამაზეს სასადილო სივრცედ მიიჩნევა. დიზაინი ფოლადის, მინისა და ბამბუკის ელემენტებისგან შედგება, ეს ყველაფერი, დრამატული

განწყობის განათებასთან ერთად, შესანიშნავი სტილის, თანამედროვე იაპონურ რესტორანს ქმნის. აქ ჰოლანდიელი შეფ-მბარეული ნაცნობი იაპონური კერძების ახლებურ ვერსიებს შემოგთავაზებთ – მაგალითად, ვაგიუს ტარტარს, ვეფხვისებრ კრევეტებსა და კიმჩი გიოზას, სომელიე კი შესაფერისი სასმლის არჩევაში მოგეხმარებათ. სამუშაო დღეებში ადრიანად

შეიარეთ, ხოლო შაბათ-კვირისთვის აუცილებლად დაჯავშნეთ ადგილი. კვირაობით დაკეტილია.
სეტ-მენიუ – 85-110€; à la carte – 70€.

ნომრის ფასი: 500€-დან;
Van Baerlestraat 27
www.conservatoriumhotel.com

DE L'EUROPE

1896 წელს გახსნილი De L'Europe მაშინვე იქცა ამსტერდამის ელიტისა და მსოფლიოში ცნობილი ადამიანების საყვარელ სასტუმროდ. აქ 48 ოთახი და 63 სუიტია. ყველა მათგანს ჰოლანდიელი მხატვრების რეპროდუქციები ამშვენებს.

ორი მიმლენის ვარსკვლავით დაჯილდოებულ რესტორანში **Bord'Eau -ში** გასაოცარი ინგრედიენტებით დამზადებული კერძები არომატების სიმფონიას გთავაზობთ, ამ ყველაფერს კი მსოფლიოს საუკეთესო ღვინოების (აქ 850 დასახელების ღვინის არჩევანია) თანხლებით მიირთმევთ. Les Caves De L'Europe სასტუმროს ფასდაუდებელი ღვინის საცავია.

Promenade - კომფორტულ ტერასაზე გამორჩეულ კოქტეილებს, ნამდვილ ლონდონურ ჩაის, მსუბუქ მენიუსა და უგემრიელეს ნამცხვრებს შემოგთავაზებენ. **De L'Europe**-ში შუადღის ჩაი (42.50€) 15.00-დან 18.00-მდე შეგიძლიათ მიირთვათ, ხოლო შამპანურით მისი გამრავალფეროვნება 10€ დაგიჯდებათ.

Freddy's Bar ამსტერდამის ერთ-ერთი სიმბოლოა და ადგილობრივი რჩეული საზოგადოება იყრის თავს. აქ პიანისტი უკრავს და უგემრიელესი წასახემსებელი საკვებია.

აქვეა **Freddy's Fumoir** – ძველმოდური ჯენტლმენთა კლუბი, სადაც შეგიძლიათ ისიამოვნოთ უგემრიელესი სადილით, კონიაკით და საუკეთესო სიგარაც გაბოლოთ.

ნომრის ფასი: 260€-დან

Nieuwe Doelenstraat 2-14

THE HOXTON

ეს ერთ-ერთი ყველაზე მოდური ბუტიკური ტიპის სასტუმროა ამსტერდამში. ის ისტორიული სავაჭრო სახლის შენობაშია განთავსებული სინგელის არხის პირას. სასტუმროში 111 ნომერია, ყოველი მათგანიდან მშვენიერი ხედი იშლება.

სასტუმროს პირველ სართულზე იტალიური რესტორანი **Lotti's** მდებარეობს. ძირითად მოსასვენებელ სივრცეს ასაწევი მინის სახურავი ამშვენებს, რომელიც მზის ამოსვლისას იღება. უკან კი პლუშისა და ხავერდის ტახტებსა და სავარძლებს შენიშნავთ. აქ ვახშმობა განსაკუთრებით კომფორტულია.

რესტორანში იტალიური სამზარეულოს სეზონურ კერძებს შემოგთავაზებენ, რომლებსაც ჰოლანდიური გავლენა ეტყობა. აუცილებლად გასინჯეთ ცნობილი Bitterballen ბარის მენიუდან.

ნომრის ფასი: 250€

Herengracht 255
www.Thehoxton.Com



W HOTEL

W Hotel ამსტერდამში საუკეთესო მდებარეობით გამოირჩევა, ზედა სართულის ლობიდან ქალაქის პანორამული, 360-გრადუსიანი ხედი იშლება, ტერასის აუზი კი სამეფო სასახლეს და Dam-ის მოედანს გადაყურებს. სასტუმროს ინტერიერი, 217 ნომერი და 21 ლუქსი ძველი სატელეფონო სადგურის ელემენტებითაა შთაგონებული. W Hotel-ი მრავალფეროვან გასტრონომიულ არჩევანსაც გთავაზობთ:

რესტორანან **The Duchess**-ის მენიუ სამხრეთ საფრანგეთისა და იტალიის მსუბუქი, დახვეწილი არომატებითაა შთაგონებული. ამ ტიპის სამზარეულოში ფრანგული ხმელთაშუა ზღვის კერძები იტალიურ გავლენას განიცდის. არტიშოკი, ყაბაყი, ლიმონი, ზეთისხილი, ტრიუფელები, ზღვის პროდუქტები, პომიდორი, პასტა და ახალი ხორცი – ამ პროდუქტებით ჯანსაღ, მსუბუქ საკვებს მოგიმზადებენ.

რესტორანი **Mr Porter**-ი გემოების განუმეორებელ თავსებადობასა და მაღალი ხარისხის პროდუქტის გამოყენების შთამბეჭდავ მეთოდებს შემოგთავაზებთ. აქაური კერძები ერთდროულად უბრალოცაა და ექსტრავაგანტურიც.

მენიუში მრავალფეროვნებაა - შესანიშნავი სტეიკებით დაწყებული,

ნაირ-ნაირი შემწვარი ბოსტნეულით დამთავრებული.

Butcher-ში შეგიძლიათ უგემრიელესი ჰამბურგერები მიირთვათ, ის ამსტერდამული „ფასტ-ფუდის" მექაა.

ნომრის ფასი: 450€

Spuistraat 175

VOLKSHOTEL

ამსტერდამში ძალიან ბევრი კაფე, რესტორანი, ბარი თუ კლუბი იმ ნაგებობებშია განთავსებული, რომლებსაც ადრე სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა.

ბევრი საწყობი კლუბებად, ძველი ქარხანა კი დღეისათვის საუკეთესო რესტორნადაა ქცეული. ამგვარ სახეცვლილებათაგან ყველაზე შთამბეჭდავი მაინც Volkshotel-ია, სადაც ერთ დროს ჰოლანდიის ყველაზე დიდტირაჟიანი გაზეთის რედაქციის ოფისი იყო. ამ 175-ნომრიანი სასტუმროს თითოეული ოთახი შუშით, ბეტონითა და ხითაა გაწყობილი, თუმცა ზოგიერთი

მათგანი საგანგებოდ დიზაინერების და მფლობელთა მეგობრების მიერაა დაპროექტებული.

მერვე სართულზე მდებარე მოსასვენებელ სივრცეში სტუმრებს ცხელი აბაზანების მიღება თუ საუნით სარგებლობა ქალაქის ხედებით ტკბობასთან ერთად შეუძლიათ.

ერთი სართულით ქვემოთაა რესტორანი და კლუბი Canvas. ამ მუდამ ხალხმრავალ ადგილას მენიუ ყველასათვის ხელმისაწვდომია, მაგრამ აქაურობა განსაკუთრებით ცნობილია იმით, რომ 11 საათის შემდეგ დილამდე შეგიძლიათ ცეკვა.

ნომრის ფასი: 69€-დან

Wibautstraat 150, Oost, Volkshotel.Nl

KIMPTON DE WITT

თუ სიცოცხლით სავსე, ხალისიანი და გარკვეულწილად უცნაური ატმოსფერო გხიბლავთ, ეს სასტუმრო სწორედ თქვენთვისაა. Palace Quarter-ის არქიტექტურული ტრიო, რომელთა შორისაა XVI საუკუნის ნაგებობა, 274-ნომრიან მოდერნისტულ საოცრებად იქცა. აქ დაგხვდებათ მუქი, შეღებილი ხის იატაკები, გეომეტრიული დეკორის ხალიჩები, კედლები პასტელის ტონებით, Atelier Areti-ს ლამპებში „გამომწყვდეული" Pols Potten-ის ფაიფურის თუთიყუშები და დიზაინის მთავარი ელემენტი – შესასვლელის მწვანე, ბოტანიკური დეკორის კედელი და წყნარი შიდა ეზო მცენარეებით – Lobby Courtyard.

სასტუმრო-ბუტიკი Kimpton De Witt იდეალურ ადგილას მდებარეობს – ამსტერდამის შუაგულში.

ნომრის ფასი: 190€-დან

Nieuwendijk 60
Www.Kimptondewitthotel.Com



CIEL BLEU

CHEF'S TABLE

სასტუმრო Okura-ში არაერთი შესანიშნავი რესტორანია, რომელიც ევროპული თუ აზიური სამზარეულოს მოტრფიალე გურმანებს იზიდავს.

სასტუმროს იაპონური რესტორანი Yamazato ცნობილი ადგილია სუშის მოყვარულებისთვის. „იამაზატოს“ უკვე აქვს ერთი მიშლენის ვარსკვლავი, თუმცა „ოკურას“ მთავარი სიამაყეა ორი მიშლენის ვარსკვლავის მფლობელი რესტორანი Ciel Bleu.

„ინსპირაციისთვის, ტრადიციულად, მოგზაურობას მივმართავთ, მაგრამ ასევე საოცრად შთამბეჭდავია ახალი თაობის შეფების მუშაობის სტილი. ფაქტია, რომ მეცნიერება და ინოვაცია დღევანდელი სამზარეულოს ნაწილი ხდება“.

Ciel Bleu-ს ფრანგული სამზარეულო შეფებისეული ინტერპრეტაციაა. **შეფების მაგიდასთან თუ მოხვდით (დაჯავშნა აუცილებელია; 4-იდან 10 კაცამდე), თქვენ თვალწინ სრულად**

გადაიშლება ვირტუოზი მზარეულების სამზარეულოს საიდუმლოებები. სასინჯი მენიუ, რომელიც რესტორნის კონცეპტის გასაგებად შესანიშნავი საშუალებაა, 160 ევრო ღირს. თუ კერძების ღვინოსთან დაწყვილებაც გსურთ, ამ თანხას 95 ევრო დაემატება.

„რესტორანი თანამშრომლობს ჰოლანდიურ კომპანიებთან, რათა ადგილობრივ პროდუქციას პოპულარიზაცია გაუწიოს. ცხადია, ეს მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქტია. მაგალითად, ამსტერდამში

Ciel Bleu-ს ორი შეფი მართავს. არიან სპილმანი და ონო კოკმეიერი ერთად ქმნიან, ავითარებენ და იგონებენ ახალ კერძებს. მათი ტანდემი უცვლელი წარმატების რეცეპტია.

მდებარე ლუდსახარშ Brouwerij 't IJ-სთან გვაქვს შეთანხმება. ჩვენ ჰოლანდიაში მაქსიმალურად ვიყენებთ ბუნებრივ რესურსებს. მტკნარი და მარილიანი წყლის სიუხვე პროდუქტების მრავალფეროვნებაზეც მოქმედებს“.

ამსტერდამი კარგა ხანია იქცა კულინარიულ მიმართულებად ევროპაში, ამიტომ ის, თუ რა სურთ კლიენტებს, ყველა რესტორატორისთვის მთავარი კითხვაა. მაღალი კლასის რესტორნების კლიენტების სურვილებიც წლიდან წლამდე უფრო და უფრო დახვეწილი ხდება. Ciel Bleu-მ შარშან მთლიანად უარი თქვა „ა ლა კარტ“ მენიუზე და ის შეფების მენიუთი ჩაანაცვლა.

„ვინაიდან კლიენტმა ვახშმისთვის ჩვენი რესტორანი შეარჩია, უკვე კარგად იცის, თუ რა არის Ciel Bleu“ – მას ჩვენ მიერ შეთავაზებული გამოცდილების მიღება სურს; სურს, უკეთ გაიგოს ჩვენი იდეები და სიურპრიზებს ელის, ამიტომ არჩევანს საკუთარ თავზე ვიღებთ“.

Ciel Bleu-ს მთავარი კონცეპტი, კეთილგანწყობის, სტუმართმოყვარეობისა და უმაღლესი დონის მომსახურების გარდა, საკვების განუმეორებელი, დაუვიწყარი გემოა.

LA RIVE

ხმელთაშუა ზღვის არომატები

La Rive ნამდვილი მოგზაურობაა გემოების სამყაროში. აქ დაგხვდებათ ფრანგული და ხმელთაშუა ზღვის არომატები და უნიკალური მენიუ, რომელიც სეზონურად იცვლება. ნატიფი აზიური შტრიხები რესტორნის დიზაინსა და მის კულინარიაში

კერძებს ჰარმონიულ ბალანსს სძენს. ყოველი კერძის გაფორმება განსაკუთრებულია.

აქ საკვირველ ინგრედიენტებს გთავაზობენ – კინკანი, მწვანე პომიდორი, ქაცვი – რას არ იხილავთ აქაურ კულინარიაში! რესტორნის პროფესიონალი სომელიეები კი კერძისათვის იდეალურ ღვინოს შეგირჩევენ. აქ ვეგეტარიანულ საკვებსაც მიირთმევთ და là carte-საც. 7 კერძისაგან შემდგარი მენიუს ფასი 90€-დან იწყება. **ღიაა:** სადილისთვის – ორშაბათი-კვირა – 18.30-22.00

Professor Tulpplein 1
www.restaurantlarive.nl

ENVY

ნეო-ჰოლანდიური სამზარეულო

აქ საუკეთესო შეფები ქმნიან ყველაზე გამომგონებლურ ახალ ჰოლანდიურ კერძებს (მაგალითად, ჯინჯერის ლუდში დამარინადებული მოლუსკები მარილიანი ფოროთხლის ნაჭრებით), რომლებსაც ოთხ ლუკმაში გადასანსლავთ. შეგიძლიათ ინდივიდუალური მენიუ ან ხუთ ექვსკერძიანი ტაპასები შეუკვეთოთ.

აქ ნახავთ იტალიურ ლორსაც და ჰოლანდიურ ძეხვებსაც, ისეთსაც კი, რომელიც ლავანდის არომატით სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ. დაჯავშნისას განსაპირა მაგიდა აირჩიეთ, რადგან შუა მაგიდები მაღალია და მათთან მდგარი ბარის სკამები არც ისე კომფორტულია. ჩვენი რჩევაა, ადგილი რამდენიმე დღით ადრე დაჯავშნოთ, რადგან პარასკევსა და შაბათს აქ შუა მაგიდებიც კი დაკავებულია.

ლანჩი დაახლოებით 35€ ღირს, **სადილი** – 45€.

ღიაა: ლანჩისთვის პარასკევს, შაბათსა და კვირას – 12.00-15.00, სადილისთვის ორშაბათიდან კვირის ჩათვლით – 18.00-01.00.

Prinsengracht 381; www.envy.nl

SINNE

კლასიკური ფრანგული სამზარეულო

მიშლენის ვარსკვლავით დაჯილდოებულ რესტორან Sinne-ში შეგიძლიათ განსაკუთრებული სადილი მიირთვათ. თავად სახელწოდება კი შვედური სიტყვაა, რომელიც „შეგრძნებას“, „ხასიათს“, ანდა „გუნება-განწყობას“ ნიშნავს. სწორედ ასეა საკვები ამ რესტორანში წარმოდგენილი – კერძებს არა მარტო მიირთმევთ, არამედ განიცდით კიდეც მათ. ექსკლუზიურ სამ რვანაწილიან მენიუში ყველა კერძი დიდი მონდომებითაა შექმნილი. შეგიძლიათ მათი დამზადების პროცესსაც ადევნოთ თვალი უკანა ნაწილში მდებარე ღია სამზარეულოში.

სამკერძიანი მენიუ: 38,00€

ოთხკერძიანი მენიუ: 47,00€

Ceintuurbaan 342
www.restaurantsinne.nl

LION NOIR

ევროპული სამზარეულო

ჩაბინდებული განათება, მუქი ხე, მუქმწვანე კედლები ღია ფერის ნახატებით და სიურრეალისტური შტრიხები აქაურობას უნიკალურ სივრცედ აქცევს და რესტორანმა წლის დიზაინის სახელიც მოიპოვა. სერვისსა და მენიუზეც იგივე შეიძლება ვთქვათ: მომსახურე პერსონალი მეგობრულია, ხოლო შეფ-მზარეული საკმაზების გამოყენებას არ ერიდება. აქ შეგიძლიათ ბაღშიც ისადილოთ, ნაგებობის ელეგანტურ უკანა ფასადთან, ან ტერასაზე – ზაფხულის დღეებში.

ლანჩი და სადილი – 44 €

ღიაა: ორშაბათი-პარასკევი – 12.00-14.30, 18.00-22.00; შაბათ-კვირა – 18.00-22.00.

Reguliersdwarsstraat 28; www.lionnoir.nl

LASTAGE

ფრანგული სამზარეულო

ფრანგული მეთოდები და ჰოლანდიური ინგრედიენტები ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს ამ პაწია, 30-ადგილიან, მიშლენის ვარსკვლავის მფლობელ რესტორანში, რომელიც ამსტერდამის წითელი ფანრების რაიონთან ახლოს მდებარეობს. მისი ზომით არ მოტყუვდეთ – შეფ-მზარეული როგიერ ვან დამი კულინარიის მწვერვალებს აღწევს თავისი ინოვაციური კერძებით. ის ჰოლანდიურ არომატებს იყენებს, მაგალითად, სკუმბრიისა და ჯენევერისას, ძეხვეულსა და შაშხებს კი თავად ამზადებს.

Geldersekade 29
www.restaurantlastage.nl

JOHANNES

ხმელთაშუა ზღვის სამზარეულო

სწორი ხაზები და შავ-თეთრი სადა დეკორი პირველივე წამებში მიგანიშნებთ იმაზე, რომ Johannes-ში ყურადღება, უპირველე ყოვლისა, კერძების დიზაინს ექცევა. 2016 წლის ივნისში ამ რესტორანში ახალი შეფ-მზარეული, როდერიკ გოორესი დამკვიდრდა, რომელიც მანამდე La Rive-ის სამზარეულოში ახდენდა სასწაულებს, მასთან ერთად კი რესტორანში გამოჩნდა უნიკალური კერძები ფრანგული და სამხრეთ ევროპული გავლენებით.

მენიუ ყოველთვიურად იცვლება და შეგიძლიათ სასურველი საკვები მარტივად აირჩიოთ ოთხ, ხუთ, ექვს და შვიდნაწილიან მენიუებს შორის. ეს უკანასკნელი ისეთი გურმანებისთვისაა, რომელთაც მთელი საღამოს განმავლობაში შეუძლიათ „გამომგონებლური“ კერძების დაგემოვნება. ყოველ მენიუს კი რჩეული ღვინო უწყვილდება.

ოთხნაწილიანი მენიუ 52,50€ ღირს, ექვსნაწილიანი – 72,50€.

რესტორანი Johannes ყოველდღე **ღიაა** 17.00-დან, ხოლო 21.30-ის შემდეგ მხოლოდ ოთხნაწილიანი მენიუს შეკვეთაა შესაძლებელი.

Herengracht 413

WOLF ATELIER

განსაკუთრებული გარემო

Wolf Atelier-ს გულგრილად ვერ ჩაუვლით – უზარმაზარი რკინისა და მინის სტრუქტურა, რომელიც ძველ სარკინიგზო ხიდზე მდებარეობს, შესანიშნავ სადილებს შემოგთავაზებთ.

ელეგანტური და სადა ინტერიერი მუქ ნაცრისფერ ტონებშია, რასაც

ემატება ხის მასალა და ფირუზისფერი შტრიხები. შეფ-მზარეული მაიკლ ვულფი ნიდერლანდების ყველაზე მეტი ჯილდოს მფლობელ რესტორანშია გამოზრდილი, ასე რომ, მისი კერძები შთამბეჭდავია.

აქ შემოგთავაზებენ à la carte სადილის მენიუს, ხუთკერძიან მენიუ „მუდმივ გამოფენას“ და თხუთმეტკერძიან მენიუ „ატელიეს“. ლანჩის საათებში, ტარტარის მენიუში ექვსი სხვადასხვა ტარტარია, კლასიკური კვერცხიანი სტეიკით დაწყებული, ლიმონიანი ბადრიჯნითა და ისრაელური კუსკუსით დამთავრებული.

ხრაშუნა Pinot Blanc-თან და მსუბუქ სალათასთან ერთად ეს იდეალური ლანჩია. **კვირაობით დაკეტილია. ფასები: სეტ მენიუ** – 45-70€; **à la carte** – 45€

Westerdoksplein 20
www.wolfatelier.nl

TOSCANINI

იტალიური სამზარეულო

იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაგიდას რამდენიმე დღით ადრე დაჯავშნით, სრულიად შესაძლებელია, რომ ბართან დამატებით ნახევარი საათი მოგიწიოთ ლოდინი. ამის მიზეზი კი ისაა, რომ არავის სურს Toscanini-დან გასვლა.

ეს იმ იშვიათ რესტორანთაგანია, სადაც სტუმრები სამუშაო დღეებშიც კი გვიანობამდე სხედან.

მენიუში შესანიშნავი კერძები, ხოლო ღვინის ჩამონათვალში ექსკლუზიურად იტალიური წარმოების სასმელებია ქვეყნის ყველა რეგიონიდან.

იმის გამო, რომ Toscanini საოცრად პოპულარულია, აქაური მომსახურება შესაძლოა არც ისეთი იდეალური იყოს, თუმცა ჩათვალეთ, რომ ეს იტალიური სილაღის გამოხატულებაა და საღამოთი დატკბით.

ლანჩის საათებში და კვირადღეს დაკეტილია. ფასები: სეტ-მენიუ – 49€; **à la carte** – 40€

Lindergracht 75
www.restauranttoscanini.nl

RONGASTROBAR

აზიური ფიუჟენი

თუ ამსტერდამში სეირნობისას აზიური სამზარეულოს ნოსტალგია მოგაწვათ, არ იდარდოთ. Rongastrobar ერთერთი საუკეთესო რესტორანია ქალაქში, სადაც აზიური ფიუჟენის უაღრესად დახვეწილ კერძებს იგემებთ. თუმცა ამის შესახებ ბევრმა იცის, ამიტომ აქ ადგილის წინაწარ დაჯავშნა აუცილებელია. თუ გსურთ მაინც ბედი სცადოთ, ლანჩისთვის 12 საათიდან 14.30-მდე ვახშმისთვის კი 5.30-დან 23.00-მდე უნდა იბრძოლოთ მაგიდისთვის. ის, რომ ამ რესტორანში მისვლა ღირს, ფაქტია. არ არსებობს სიტყვები, რომლებიც შეფის სპეციალური რეცეპტით მოზადებული ხბოს ნეკნების სინაზეს ან ტკბილ-ცხარე სოუსში მოთავსებული კრევეტების საოცარ გემოს აგიღწერთ. იხვის, კრევეტებისა და ქათმის საოცარ დამფლინგებზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს ადგილი ყველა ამსტერდამელი გურმანის სიის ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. **ვახშამი 2 პერსონაზე** სასმლითა და ძირითადი კერძების გასინჯვით საშუალოდ 100 ევრო დაგიჯდებათ.

Kerkstraat 23; www.rongastrobaroriental.nl

THAIS RESTAURANT LEMONLEAF

ტაილანდური

ეს რესტორანი სახელგანთქმული ადგილია, აქ არაჩვეულებრივი მეპატრონე და მომსახურე პერსონალი, უმაღლესი ხარისხის ტაილანდური კერძები დაგხვდებათ. აუცილებლად დაჯავშნეთ ადგილები, რადგან განსაკუთრებით შაბათ-კვირას მაგიდის პოვნა თითქმის შეუძლებელია.

ღიაა: სამშაბათი-შაბათი – 15:00-22:30, კვირა – 16:00-22:30.

Plantsoenstraat 29; www.lemon-leaf.nl

FOU FOW RAMEN

ავთენტიკურად იაპონური

ჩინურ-ჰოლანდიური წარმოშობის რეჟისორმა ფო პინ ჰუმ იაპონიაში ხუთწლიანი ცხოვრების შემდეგ გადაწყვიტა, გაეხსნა რესტორანი, სადაც ყველა შეძლებდა მისი საყვარელი იაპონური ეროვნული ატრიის კერძების დაგემოვნებას. ფო იორდანეში დაფუძნდა თავისი ახალი რესტორნით და საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი. ქათმის ატრია „შიო“ იდეალურადაა შეზავებული, თანაც, ნებისმიერი სოუსით გემრიელია. ღორის ხორცის ატრია „ტონკოცუ“ მსუყეა და კმაყოფილებას მოგგვრით. მენიუში ვეგეტარიანული ატრია „შოიუცაა“ – სანელებლებით გაჯერებული, ოდნავ მოტკბო ეგზოტიკური კერძი, რომლის მსგავსსაც რთულად იპოვით ამსტერდამში.

ორშაბათობით დაკეტილია.

ფასი: à la carte – 18€.

Elandsgracht 2A; www.foufow.nl

DE JAPANNER

შუაღამის იზაკაია

ქალაქში, სადაც რამდენიმეკერძიანი მენიუები ნორმად მიიჩნევა, მაგრამ შუაღამის შიმშილისას ხელში მხოლოდ კროკეტები და ქაბაბის მაღაზიები შეგრჩებათ, ეს პატარა იაპონური იზაკაია ღამის სამ საათამდე ერთგულად ემსახურება მსუნაგებს. De Jappaner-ში სტუმრობისას აუცილებლად გაგიჩნდებათ შეგრძნება, რომ ღამის ტოკიოს ან ოსაკას რომელიმე ხალხმრავალ ბარში ახლად მომზადებულ გიოზას, აგედაშის ტოფუს ან ქათმის კაცუს ცივ ლუდთან ან საკესთან ერთად შეექცევით.

ლანჩის საათებში დაკეტილია.

ფასი: à la carte – 25€

Albert Cuypstraat 228
www.dejappaner.com

MOMO

თანამედროვე აზიური სამზარეულო

Momo იმ წუთიდან გახდა პოპულარული, როგორც კი ამსტერდამს თანამედროვე აზიური კულინარია შესთავაზა. აქ სამკუთხედის ფორმის ბარია და კოქტეილებიც აზიური გავლენებით მზადდება, მაგალითად, ჩინური ხუთსანელებლიანი ძველმოდური სასმელი და ვისკი ჩოიას ქლიავის ღვინით.

Momo-ს მენიუ მრავალფეროვანია – სტარტერებში სევიჩესა და ტაკოს იაპონური ვერსიებია, ყველაფერი კი სუშისა და საშიმის თვალუწვდენელი მენიუთი გვირგვინდება. უფრო დიდი მოცულობის კერძები, როგორიცაა: შავი ვირთევზა ცხარე მისოთი, მოშუშული ქორჭილა შავი ცერცვითა და ჯინჯერით, უზარმაზარი კიბორჩხალა, ხამანწკებისა და კრევეტების „კარი“ –აზიურ სამზარეულოში გამოგზაურებთ. აქ შეგიძლიათ სუშისა და შამპანურისთვის შეირბინოთ, ან ვახშმისთვის დარჩეთ.

ფასები: სეტ-მენიუები – €62-€72; à la carte – €70

Hobbemastraat 1
www.momo-amsterdam.com

DYNASTY

ფიუჟენი

შესანიშნავი ადგილია ლობსტერის, აზიურ სტილში მომზადებული ბატის ღვიძლისა და ლემონგრასიანი ჰალტუსის დასაგემოვნებლად. ზაფხულობით შეგიძლიათ სუფრას ბაღში მიუჯდეთ. აქაური უნიკალური კერძები ტაილანდური და ჩინური მეთოდებით მზადდება. Dynasty უკვე 30 წელია არსებობს და სამეფო ოჯახის წევრები თუ პოლიტიკოსები მისი ხშირი სტუმრები არიან.

ღიაა: ყოველდღე – 17.30-22.30.

Reguliersdwarsstraat 30
www.restaurantdynasty.nl

THE SEAFOOD BAR

ზღვის პროდუქტები

თუ ზღვის პროდუქტების თაყვანისმცემელი ხართ, მაშინ რესტორანი Sea Food Bar-ი თქვენი ოცნების ადგილია. ამ პატარა, მაგრამ კომფორტულ, ნათელ გარემოში, ყინულზე გამოფენილი ოკეანის მთელი სიმდიდრე გელით.

დამწყებთათვის ეს, პრაქტიკულად, აკვარიუმის მონახულებაა. ზღვის პროდუქტების გამოცდილი მოყვარულებისთვის კი ნამდვილი გასტრონომიული ზეიმის დასტური.

თუ მეგობრებთან ერთად ხართ, გირჩევთ ზღვის პრდუქტების შერეული კერძი შეუკვეთოთ. Combination-combination of the fruits de mer 'seafood bar' and the mixed grill. ეს, პრაქტიკულად, რესტორნის სრული ასორტიმენტია, რომელსაც სამ უზარმაზარ ლანგარზე მოგართმევენ.

რესტორანს ასევე ხამანწკების შესანიშნავი არჩევანი აქვს. ჩვენ Umami no. 3 ან Boudeuse no. 4-ს გირჩევთ.

ეს ბარი იმისთვის შეიქმნა, რომ ბურგუნდიული ცხოვრების სტილის მოყვარულთა ნებისმიერი გურმანული კაპრიზი ასრულდეს – ახალთახალი ზღვის პროდუქტებისაგან დამზადებული კერძები და ჭიქა ღვინო ვახშმად. ფრანგული ტრადიციები შემონახულია და ეს ბარის ინტერიერს კარგად ეტყობა. აქ შეგიძლიათ მიირთვათ სეზონური ხილი, ესპანური სევიჩე, იაპონური ტემპურა – კრევეტები და ინგლისური თევზი ჩიპსით.

ღიაა: ყოველდღე – 11.00-22.00.

Ferdinand Bolstraat 32

BRIDGES

თევზის რესტორანი

აქ ჰოლანდიურ თევზს ფრანგული შტრიხებით გთავაზობენ, წარმოიდგინეთ, სათუთად მომზადებული ფარგა შებოლილი გველთევზასა და ჰოლანდიური ვენახების ბინადარი ლოკოკინების გარნირით, ანდა სკუმბრიის ტარტარი მწვანე მარწყვითა და სეზამის მარცვლებით. ხოლო მათთვის, ვისაც ზღვის პროდუქტები ნაკლებად უყვარს, აქ უამრავი ხორცისა და ფრინველის კერძი მზადდება. თუკი მსუბუქად წახემსება გსურთ, ბარს ეწვიეთ. ადგილები წინასწარ დაჯავშნეთ.

ლანჩი 60€, **სადილი** კი 65€ დაგიჯდებათ. **ღიაა:** ორშაბათი-შაბათი – 12.00-14.30; 18.30-22.30, კვირას – 18.30-22.30

Oudezijds Voorburgwal 197

RED

სტეიკი და ლობსტერი

რა შეიძლება ითქვას რესტორნის შესახებ, რომელიც ასეთი პოპულარულია, მაგრამ მხოლოდ ორი მთავარი კერძი აქვს? საკვირველად დახვეწილი, მთლიანად მწვანე ინტერიერი, ლაღი და ყურადღებიანი მომსახურე პერსონალი, შესანიშნავი ადგილმდებარეობა და ხელმისაწვდომფასიანი ღვინოების ჩამონათვალი ამ რესტორანს თავისებურ ხიბლს სძენს.

თუმცა ეს თავისებურებები ამ დაწესებულებას სახელგანთქმულს ვერ გახდიდა, ორი გამორჩეული მთავარი კერძი – სტეიკი და ლობსტერი რომ იდეალურად გემრიელი არ იყოს.

ლანჩის საათებში დაკეტილია.

ფასი: à la carte – 30€

Keizersgracht 594; www.restaurantred.nl

VISAANDESCHELDE

ზღვის პროდუქტები

არცთუ შთამბეჭდავი გარემოს, ცუდი ადგილმდებარეობისა და არც ისე წარმტაცი ფასადის მიუხედავად, Visaandeschelde ქალაქში ერთ-ერთ საუკეთესო ზღვის პროდუქტების რესტორნად მიიჩნევა. სამზარეულოში დიდი ოსტატობით, ორიგინალური იდეებითა და განსაკუთრებული ინგრედიენტების კომბინაციით მაღალი კლასის ზღვის პროდუქტების კერძები იქმნება. მსუბუქად შებოლილი ორაგული, რომელსაც ფუმფულა ქინოასა და ერბოკვერცხთან ერთად, ქაშაყის ხიზილალით მოგართმევენ, აქაური მადისაღმძვრელი კერძების ერთ-ერთი მაგალითია; აქაური სალათა კი ლობსტერის, იხვის ღვიძლის,

ტრიუფელისა და ბალზამიკოსგან შედგება. მართალია, ტურისტებმა ამ ადგილის შესახებ არ იციან, მაგრამ Visaandeschelde ამსტერდამელებითაა სავსე, ამიტომ ადგილი წინასწარ დაჯავშნეთ.

კვირას დაკეტილია. ფასები: სეტ-მენიუ – 45-65€; à la carte – 50€

Scheldeplein 4; www.visaandeschelde.nl

VOYAGER კომენტარი

ფეხის ქირა სუბიექტური საკითხია. ის ზუსტ პროცენტებში არ გამოითვლება, უფრო ხშირად, თანხას ამრგვალებენ. ამსტერდამში 2.85 ევროდ ღირებული კაპუჩინო 3€-მდე მრგვალდება, 37.50-იანი ტაქსის მომსახურება კი – 40-მდე. იმის გამო, რომ ადგილობრივი მაცხოვრებლები გადახდისას საბანკო ბარათებს უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე ჯიბის ფულს, ფეხის ქირის შესახებ ვერბალურად ამცნობენ მომსახურე პერსონალს: „სამი იყოს“.

გამონაკლისი მხოლოდ რესტორანში ან კაფეში სადილის მირთმევისას არსებობს; აქ სერვისი უფრო მეტად ფორმალურია და ფეხის ქირა სტანდარტული 10 პროცენტია. სასტუმროს შვეიცარებისთვის, დამლაგებლებისთვის, გარდერობის მომსახურე პერსონალისა და კონსიერჟებისთვის ფეხის ქირის გადახდა არ მოგეთხოვებათ. მეტიც, ადგილობრივები ისურვებდნენ, რომ ასე არ მოიქცეთ, რადგან შემდეგ იმავეს გაკეთება თავადაც მოუწევთ.

D'VIJFF VLIEGHEN

ჰოლანდიური სამზარეულო

ეს ცნობილი ადგილია ჰოლანდიური კერძებისთვის. სასადილო სივრცე განაწილებულია სხვადასხვა ოთახში, მათ შორის ერთ-ერთი გრავირებულია რემბრანდტის მიერ. მენიუში ტიპური ჰოლანდიური ინგრედიენტებით დამზადებული კერძების თანამედროვე და შემოქმედებით ინტერპრეტაციებს შეხვდებით.

Spuistraat 294-302, city centre

WORST

გასტრობარი

აქ საოჯახო, ხელით დამზადებული ძეხვების გარდა (მათ შორის ლობსტერებისა და სისხლიანი ძეხვები საუკეთესოა), სხვა ხორციან საუზმეულსაც დაადგემოვნებთ: პროშუტოს, ჰაერზე გამომშრალ კულატელოს, ზელცს, ასევე ნაირ-ნაირ პიკულებს. მათ კი, ვისაც ხორცი მაინცდამაინც არ უყვარს, ვურჩევთ, მეზობელ კარში შებრძანდეს, რომლის იქით განთავსებულია Worst-ის შვილობილი რესტორანი Marius.

Borentszstraat 171

LA LUNA

სტეიკის სახლი

ამბობენ, რომ აქ ქალაქში საუკეთესო არგენტინულ სტეიკს მოგართმევენ. თუკი ნეკნის ხორცს, სუკსა და გავის სტეიკს შორის არჩევანის გაკეთება გაგიჭირდებათ, აქაური მეგობრული მომსახურე პერსონალი აუცილებლად დაგეხმარებათ გადაწყვეტილების მიღებაში. ეს რესტორანი ამსტერდამის ხმაურიან ადგილთან, Leidseplein-თან ახლოსაა, ასე რომ, აქ სტუმრობა თქვენი ღამის ვოიაჟის საუკეთესო დასაწყისი იქნება. სტეიკის საშუალო ფასი 11.00 ევროა. **ღიაა:** ორშაბათი-ხუთშაბათი – 15.00-დან, პარასკევი-კვირა –13.00-დან.

Lange Leidsedwarsstraat 25

MOEDERS

ჰოლანდიური სამზარეულო

სახლში დამზადებული საჭმელი საუკეთესოა, მაგრამ ამსტერდამში მოგზაურებს ყოველთვის არ აქვთ შესაძლებლობა, ადგილობრივებს ესტუმრონ სადილად. ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია ქალაქის ცენტრში განთავსებული რესტორანი Moeders („დედა"). ამ რესტორანში მხოლოდ ტრადიციულ ჰოლანდიურ კერძებს ამზადებენ, რომლებიც სახლის გემოებს ინარჩუნებენ.

Rozengracht 251, Canal ring

CHOUX

კრეატიული, ინდუსტრიული დიზაინი

ეს ბოლოხანს გახსნილი, ამსტერდამში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რესტორანია. მისი მეპატრონეები Choux-ს დაარსებამდე ორ წარმატებულ რესტორანში, Foyer-სა და Repere-ში მუშაობდნენ. Choux-ს სამნაწილიანი – ბოსტნეულის, თევზისა და ხორცის სეტ-მენიუ მუდმივად იცვლება. რესტორნის სამზარეულოში არ უფრთხიან ტექსტურებითა და არომატებით ექსპერიმენტირებას და შესანიშნავ, ოსტატურად მომზადებულ კერძებს გთავაზობენ, რომლებიც ჰარმონიაში მოდის სადა, ინდუსტრიულ დიზაინთან. ღამღამობით Choux ენერგიით ივსება, ყველა მაგიდა დაკავებულია და სასადილო დარბაზში ნამდვილი კაკაფონიაა. გირჩევთ, რომ მაგიდა წინასწარ დაჯავშნოთ.

დაკეტილია ორშაბათს სადილის საათებში, შაბათს – ლანჩის დროს და კვირას მთელი დღე.

ფასები: სეტ-მენიუ – 33-55€

De Ruijterkade 128; www.choux.nl



GEBROEDERS HARTERING

ნეო ჰოლანდიური სამზარეულო

სადილები ხუთ ან შვიდკერძიანი დღის მენიუსაგან შედგება. სტარტერებში აპეტაიზერები, ადგილობრივი ხამანწკები და ძეხვეული შედის. იდეალურად მომზადებულ, ინგრედიენტების სათუთი შეხამებითა და სანელებლებით გაჯერებულ მთავარ კერძებს შორისაა, მაგალითად, შემწვარი ღორის ხორცი ჩედერითა და კარტოფილის პიურეთი, ბრილის ფილე შესანიშნავი ანჩოუსის კარაქით. სხვა მსგავსი რესტორნებისგან განსხვავებით, აქ შეგიძლიათ მხოლოდ მთავარი კერძი შეუკვეთოთ.

ლანჩის დროს დაკეტილია.

ფასები: მთავარი მენიუ – 50-80€; à la carte – 45€

Paperstraat 10; www.gebr-hartering.nl

CAFÉ DAALDER

დახვეწილი და ლაღი

Daalder-ში ორიგინალურ ევროპულ სამზარეულოს შემოგთავაზებენ. თანამედროვე, ახალი ტალღის ჰოლანდიური რესტორნებისგან განსხვავებით, აქ მენიუ არ არის. შეფ-მზარეულები ალტერნატიულ მენიუებს ადგენენ და სტუმარმა ოთხიდან შვიდ კერძამდე უნდა აირჩიოს.

წარმოიდგინეთ შესანიშნავი პომიდვრის შერბეტი პარმეზანით ან მოშუშული ხბოს ხორცი ტრიუფელის რიზოტოთი და მიხვდებით, რომ ეს ევროპის უმაღლესი „კალიბრის" რესტორანია. იორდანეს ყოფილ ბარში მდებარე ამ დაწესებულებაში დიდი ფანჯრები, ხით მოპირკეთებული კედლები და არტ-დეკოს სტილის შტრიხებია. Daalder-ი ლანჩის საათებში წყნარი ადგილია, სადაც შეგიძლიათ წიგნიც წაიკითხოთ. სადილის დროს კი ყველაფერი იცვლება, ამიტომ არ დაგავიწყდეთ ადგილების დაჯავშნა. **შაბათობით ლანჩის საათებში დაკეტილია.**

ფასი: სეტ-მენიუ – 30-67€

Lindengracht 90
www.daalderamsterdam.nl

CAFÉ PANACHE

კაშკაშა ბისტრო და ბარი

ყოფილ ბაზრობაზე გახსნილი ეს ელვა-რე რესტორანი უბრალო ფასადის უკან იმალება. მთავარ კერძებში ლობსტერი და ანტრეკოტია, ხოლო სტარტერებში თეთრი ცერცვის წვნიანი ერბოკვერ-ცხით, დაბრაწული სკუმბრია, ფუმფულა ბრინჯი და მისო. სასმლისათვის კი უზარმაზარ ბარს მიაკითხეთ.

ლანჩის საათებში დაკეტილია. ფასები: მენიუ – 30€; à la carte – 35€

Ten Katestraat 117; www.cafepanache.nl

LA PERLA

შეშაზე გამომცხვარი პიცა

მთლიანად იტალიურმა ინგრედიენ-ტებმა, გახურებულმა ღუმელმა და უგემრიელესმა პიცამ La Perla-ს ქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო პიცერიის სახელი დაუმკვიდრა. იორდანეში ჩაკარგული ეს დაწესებულება ადგილობრივების საყვარელი ადგილია. აქ სა-დილობა პიკის საათებში თითქმის შეუძლებელია, თუ მაგიდას წინასწარ არ დაჯავშნით. **ფასი:** à la carte – 25€

Tweede Tuindwarsstraat 14
www.pizzaper.la.nl

SPAGHETTERIA

პასტა-ბარი

საცხოვრებელი სახლებით გადატვირ-თული ქუჩის კუთხეში მიმალული Spa-ghetteria ისეთი ადგილია, რომელსაც შემთხვევით ვერ გადაეყრებით, ამიტომ ზუსტი მისამართი უნდა იცოდეთ. ეს ამ-სტერდამში საუკეთესო პასტა-ბარია. სეზონურად ცვალებად მენიუში ექვსი სხვადასხვა ტიპის პასტაა: ორი ვეგეტარიანული, ორი თევზისა და ორიც ხორციანი რაგუთი, რომელთაც სალათა და ერთი რომელიმე დესერტი, ლუდი და ყავა (ტირამისუ, პერონი, ესპრესო) მოჰყვება.

ფასი: à la carte – 22€

Jan Hazenstraat 32
www.spaghetteria-pastabar.com

WYERS

ამერიკული სამზარეულო

არსებობს საკვები, რომელიც გაუგებარ, ქვეცნობიერ დონეზე იწვევს ჩვენში სიმშვიდის, კომფორტის შეგრძნებას. კერძები, რომლებისგანაც რატომღაც არა მხოლოდ ღვთაებრივი გემო, არამედ სულიერი სიმშვიდეც იღვრება სხეულში. რესტორან Wyers-ში შეფი სემ დემარკო სწორედ ასეთ კერძებს სთავაზობს გადაღლილ და დამშეულ ტურისტებსა და ამსტერდამელებს. მას მართლაც ვარსკვლავური შეფის კარიერა ჰქოდა ნიუ-იორკში. „ევროპაში ამერიკულ გემრიელ საჭმელს ვაკეთებ. აქ შესანიშნავი პროდუქტების არჩევანია. ღორის ხორცი ისეთია, როგორსაც მხოლოდ თუ ინატრებ. საოცარი ბოსტნეული და ზღვის პროდუქტებია. ეს ამერიკაშიც არ გვიკვირს, მაგრამ აქ მაინც უამრავი აღმოჩენა გავაკეთე. მაგალითად, დამარილებულ ქაშაყს რამდენჯერაც გადავაწყდები, იმდენჯერ ვჭამ".

შესანიშნავი ხარისხის სამზრეულოს გარდა Wyers-ს კიდევ ერთი არაჩვეულებრივი თვისება აქვს: აქ შეგიძლიათ მიირთვათ საუზმეც, ბრანჩიც, ლანჩიც და ვახშამიც.

Wyers-ს სტარტერების ისეთი არჩევანი აქვს, რომ შესაძლოა ვახშმობა

გადაიფიქროთ კიდეც, თუმცა მაინც გირჩევთ, განაგრძოთ და „ფუა გრას", შეფის მომზადებული „პატეებისა" და სოსისების მერე უფრო სერიოზული კერძებიც გასინჯოთ.

დაბრაწული ბატკნის ხორცი ROAST-ED DUTCH LAMB, რომლითც შეფი განსაკუთრებით ამაყობს, არავის დატოვებს გულგრილს. CHICKEN "PUTTANESCA" შეფის კიდევ ერთი სიამაყეა, რომელსაც დახვეწილ გემოს შებოლილი გველთევზა აძლევს. LITTLE MONSTER BURGER-ი კი, ყველი „გაუდათი" და სემ დემარკოს სპეციალური სოუსით, ყველაზე დამშეულ კლიენტსაც კი სიხარულის ცრემლებით ატირებს.

Wyers-ში კლიენტები, უპირველეს ყოვლისა, ნოყიერი, გემრიელი, თითქოს სიცილიელი ბებიის მომზადებული კერძებისთვის მიდიან და, რაც მთავარია, ყოველთვის კიდევ ბრუნდებიან.

საუზმე – ყოველდღე: 6.30-10.30
ლანჩი – ორშაბათი-პარასკევი: 11.30-14.30
ბრანჩი – შაბათი-კვირა: 10.00-14.30
ვახშამი – კვირა-ხუთშაბათი: 17.00-22.00; პარასკევი-შაბათი: 17.00-23.00

NIEUWENDIJK 60

THE BUTCHER

ჰამბურგერები

ამსტერდამი ნელ-ნელა ჰამბურგერე-ბის სამყაროს დედაქალაქი ხდება, თანაც აქ ბურგერების საქმეს იუმორით უდგებიან და ამ სიტყვით, რომელიც ჰოლანდიურად მოქალაქეს ნიშ-ნავს, კარგად ერთობიან. მაგალითის-თვის რამდენიმე ჰამბურგერის სახელ-წოდება გამოდგება: ბურგერმეისტერი, რომელიც ჰოლანდიურად მაიორს ნიშნავს, ბურგერ ცაკენი ანუ სამოქა-ლაქო საქმეები და ბურგერლიკი ანუ ბურჯუა. The Butcher ამ ორომტრიალში არ ჩართულა, მისი ბურგე-რები და კარტოფილი ფრი იდეალური შუალედია ქუჩის სწრაფ კვებასა და ელიტურ საკვებს შორის. დაწესებუ-ლების არქიტექტურა ერთგვარი რევერანსია ტრადიციული ყასბების მიმართ – ფანჯარაში ძროხის ფიგურა მოჩანს. კოქტეილების ბარი The Butcher-ს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს. Butcher-ის ბურგერები იმდენად გემრიელი და გამორჩეულია, რომ ახლა მას ბერლინსა და იბიცაზეც ფილიალები აქვს.

ფასი: à la carte – 15€

Albert Cuypstraat 129;
www.the-butcher.com

DE YSBREEKER

ლანჩი ბაღში

Ysbreeker ყინულმჭრელს ნიშნავს და კაფეს იმ გემის სახსოვრად ჰქვია, რომელიც 1860 წლამდე მდინარე ამსტელის სანაპიროსთან იდგა, ზამთარში ყინულს ჭრიდა და ქალაქს სუფთა წყლით ამარაგებდა. მენიუ კერძებისა და სასმელების თვალუწვდენელ სიას მოიცავს, ფასები ხელმისაწვდომია, ხოლო მომსახურე პერსონალი – იდეალურად თავაზიანი. აქაური ბაღი კი ქალაქის ხმაურისაგან თავის დასაღწევად შესანიშნავი ადგილია.

Weesperzijde 23

www.deysbreeker.nl

DE PLANTAGE

ლანჩი

ამსტერდამის ისტორიულ ცენტრში, მეცხრამეტე საუკუნის ულამაზეს ბაღებში ჩარგული ეს ადგილი სიდინჯისა და მსუბუქი არაფორმალურობის კარგად დაბალანსებული კომბინაციაა. ამ სივრცეში არის თანამედროვე კაფე და კონსერვატიული რესტორანი, გარშემო კი ძველი ნეკერჩხლის ხეები ჯადოსნურ ატმოსფეროს ქმნიან დღისით თუ ღამით. ზაფხულობით რესტორნის კარები იღება, სტუმრები სადილს ტერასაზე შეექცევიან და ხედებით ტკბებიან. შეფ-მზარეულის მენიუ ერთდროულად თანამედროვე და ტრადიციულია, მისი ინსპირაცია კი სამხრეთ ევროპული, ჩრდილოეთ აფრიკული და ლევანტის რეგიონის მდიდარი კულტურებია.

ღიაა: ორშაბათი-პარასკევი – 09.00-01.00, შაბათი და კვირა – 10.00-01.00

Plantage Kerklaan 36

BUFFET VAN ODDETTE

ელიტარული ლანჩი

მართალია, ამსტერდამში ყველა თანასწორი სტატუსით სარგებლობს, მაგრამ, სიმართლე ითქვას, ამ დაწესებულებაში ცნობილი ადამიანების მუდმივი თავყრილობაა, მაგიდების პარიზული სტილის განლაგება კი იმის გარანტიას გაძლევთ, რომ მათ სრულიად შემთხვევით მხარსაც კი გაუხახუნებთ. აქაური პური, ხორცი და ყავა საუკეთესო ჰოლანდიური ბრენდების პროდუქციაა, ხოლო მენიუს მრავალფეროვნება და ცვალებადობა კაფეს მედმივ აქტუალურობას უნარჩუნებს.

Prinsengracht 598

www.buffet-amsterdam.nl

BAR SPEK

ლანჩი მთელი დღე

აქ მეგობრული გარემოა, თანაც კაფე დილიდან ღამემდე ღიაა. აქ ნამდვილი თავისუფლება სუფევს – შეგიძლიათ ბავშვებთან ერთად მიირთვათ, სამეგობრო შეკრიბოთ, საქმიანი შეხვედრა მოაწყოთ ან, უბრალოდ, მაგიდას ლეპტოპით მიუჯდეთ და იმუშაოთ.

მენიუ მრავალფეროვანია, თანაც შაბლონებისა და ფორმალობებისგან დაცლილი – საუზმეს დღის სამ საათზეც კი შეუკვეთთ, ღამის ათზე კი ლანჩითაც წაიხემსებთ. მზეს შეგიძლიათ არხის მხარეს მდებარე ტერასაზე მიეფიცხოთ და უყუროთ, როგორ იხსნება ხიდი კაპარჭების გასატარებლად.

Admiraal de Ruijterweg 1; www.barspek.nl

GARTINE

ლოკავორების სამოთხე ლანჩისათვის

ამ კაფეს მეპატრონეები ძალიან დიდ დროს ატარებენ Beemster-ის ბაღში. იქ სათუთად მოჰყავთ და არჩევენ თითოეულ ინგრედიენტს Gartine-ის პატარა სეზონური მენიუებისთვის და ყვავილებსაც კი თავად კრეფენ მაგიდების დასამშვენებლად. წარმოიდგინეთ კურდღლის ხორცის რიულეტი მაყვლისა და ვარდის წყლის სოუსითა და თხილით გაჯერებული პურით; ჩაი ბაღის მცენარეებით. აქაური არომატული სენდვიჩები და ნამცხვრები ქალაქში საუკეთესოა, ამიტომ ადგილები რამდენიმე კვირით ადრე უნდა დაჯავშნოთ.
ღიაა: ყოველდღე ორშაბათისა და სამშაბათის გარდა

Taksteeg 7 BG

www.gartine.nl

BRANDSTOF

ლანჩი ტერასაზე

ეს ბარი ცენტრუმის, იორდანესა და ოლდ ვესტის შუაგულშია, ამიტომ სამივე უბნიდან იზიდავს ახალგაზრდა და ენერგიულ კლიენტურას. მისი სახელი ჰოლანდიურად საწვავს ნიშნავს, რაც ძალიან ირონიულია, იმის გათვალისწინებით, რომ ბარი სახანძროს პირდაპირ მდებარეობს.

მენიუ მარტივი და ცინცხალია. ეს იდეალური ადგილია დილისა და შუადღის წახემსებისთვის. თბილ დღეებში ტერასა ხალხით ივსება და Rozengracht-ის ბუტიკებში შოპინგით დაღლილ ყველა გამვლელს თავისკენ უხმობს.

Marnixstraat 341; www.bar-brandstof.nl

DE REIGER

ტრადიციული კაფე

ძველმოდური ამსტერდამული eetcafé გთავაზობთ საუკეთესო სადილებს თავის მაღალჭერიან სივრცეში, რომელიც გამორჩეულია წითელი ხის ბარით, ხით გაწყობილი ინტერიერით, არტ-დეკოს სტილის ლამპებითა და ძველი ნახატებით. De Reiger ჯერ კიდევ იმ დროიდან არსებობს, როცა იორდანე მუშათა კლასის უბანი იყო. მართალია, კლიენტურა შეიცვალა, მაგრამ ატმოსფერო კვლავ ქალაქის ამ ნაწილის წარსულშია „ჩარჩენილი“. ყოველდღიურად ცვალებადი მენიუები კედელზე ცარცით წერია. აქ შეგიძლიათ მიირთვათ ბატკნის ხორცი როზმარინის სოუსით ან ტარტი ტატინი. გირჩევთ, ადრე ეწვიოთ, რადგან მაგიდა არ იჯავშნება. სანამ ადგილს ელოდებით, შეგიძლიათ სადილის წინ სასმელიც გადაკრათ.

სადილი 38 ევრო ღირს.
ღიაა: სამშაბათი-პარასკევი – 17.00-22.30, შაბათი – 12.00-16.00, 18.00-22.30, კვირა – 16.00-22.30.

Nieuwe Leliestraat 34

www.dereigeramsterdam.nl

HET BLAUWE THEEHUIS

საკულტო პარკი-პავილიონი

ამ ჰოლანდიური, ბაუჰაუსის სტილის პარკ-პავილიონი, ვონდელპარკში მიმალული ეს წალკოტი, რომელიც ბრიტანული ლანდშაფტის დიზაინის ტრადიციებითაა შექმნილი, ნამდვილი მაგნიტია აქ მორბენალი „ათლეტებისა“ თუ შშობლებისათვის, რომლებიც ბავშვებს ეტლით დაასეირნებენ. 1937 წელს ძმები ბაანდერსების მიერ აშენებული ჩაის სახლი მშვენიერ და მარტივ ლანჩ-მენიუს გთავაზობთ, რომელიც შეგიძლიათ 700-იდან ერთ-ერთ ბრჭყვიალა ალუმინის სკამზე დამჯდარმა მიირთვათ.

Vondelpark 5; www.blauwetheehuis.nl

HOPPA!

ლუდხანა

ოდესღაც ღამის კლუბი იყო, ხოლო კიდევ უფრო ადრე, 1662 წელს – ლუდის სახდელი. 2015 წელს გახსნილი ეს ტავერნა თავის ისტორიულ დანიშნულებას დაუბრუნდა, ხოლო დიზაინი სულაც არაა ძველმოდური, პირიქით, ამსტერდამული სტუდიის, Concrete-ს ნათელი დეკორი სრული ალტერნატივაა უამრავი ისტორიული მუქყავისფერი ტონალობის ლუდხანებისა, რომლებიც ასე მრავლადაა

ქალაქში – თეთრი კედლები, რომლებზეც ჩამწკრივებულია ორლიტრიანი იენევერის ჭურჭელი, ფრესკოს მასალით დამზადებული ჭერი, მბზინვარე იატობას ხის მაგიდა და ნარინჯისფერი ზოლი, რომელიც მთელ დეკორს გასდევს. აქ მიირთმევთ სერიოზულ ადგილობრივ ლუდს არც ისე სერიოზულ გარემოში.

Singel 460; www.hoppa.amsterdam/nl

BROUWERIJ HET IJ

ლუდსახარში საამქრო

ამსტერდამში 8 ქარის წისქვილი შემორჩა. მათგან ყველაზე ადვილად მისაგნები Gooyer-ია Oostelijke Eilanden-ის (აღმოსავლეთის კუნძულების) უბანში. ეს ჩვეულებრივი ქარის წისქვილი სულაც არაა. აქედან უმშვენიერესი პეიზაჟი იშლება, ხოლო ქვეშ Brouwerij't Ij-ია, პრიზის მფლობელი პატარა ლუდის სახდელი, რომელსაც ფართო ტერასა აქვს ღია ცის ქვეშ. ამ ტერასაზე სტუმრები სასმელს გიდის თანხლებით 30-წუთიანი სადეგუსტაციო ტურის დროს აგემოვნებენ. ლუდის სახდელი მრავალი სახის ორგანულ, სტანდარტულსა თუ სეზონურ ლუდს აწარმოებს. მათი გასინჯვა ამსტერდამის უამრავ ბარშია შესაძლებელი, თუმცა ქარის წისქვილის ქვეშ გამორჩეული გემო აქვს.

Funenkade 7; www.brouwerijhetij.nl

HEINEKEN EXPERIENCE

თემატური ცენტრი Heineken Experience „ჰაინეკენის“ პირველი ლუდსახარშის შენობაშია განთავსებული, რომელიც ამსტერდამის ცენტრში დგას. 1988 წელს ლუდსახარში დაიკეტა, რადგან გაზრდილ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებდა, 1991 წლიდან კი ის დამთვალიერებლებისთვის გაიხსნა, რომლებიც აქ მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან.

Heineken Experience-ში ექსკურსია დამოუკიდებელი ინტერაქტიული მოგზაურობაა ამ ბრენდის სამყაროში. ცენტრში გაეცნობით Heineken Company-ს ისტორიას, ლუდის 4 ბუნებრივ შემადგენელს, ლუდის ხარშვის პროცესს; ნახავთ სადეგუსტაციო დარბაზს. ტურის ბოლოს ამ მარკის ორი სახის ლუდით ისიამოვნებთ და ისწავლით, როგორ გამოარჩიოთ იდეალური „ჰაინეკენი“.

18 წლამდე ასაკის მოზარდებს უფროსები უნდა ახლდნენ თან, რადგან მათთვის, ჰოლანდიის კანონმდებლობით და Heineken-ის პოლიტიკის თანახმად, ალკოჰოლური სასმლის მიღება ნებადართული არ არის.

ღიაა ყოველდღე, მთელი წლის განმავლობაში: ორშაბათი-ხუთშაბათი – 10.30-19.30; პარასკევი-კვირა – 10.30-21.00

გაითვალისწინეთ, რომ ბილეთების გაყიდვა მუზეუმის დაკეტვამდე 2 საათით ადრე წყდება.

ფასი: უფროსებისთვის – 18€ (VIP ტური – 49 €), ბავშვებისთვის 12-იდან 18 წლამდე – 12.50€; 12 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვები უფასოდ შეგიძლიათ შეიყვანოთ.

BRUINE KROEG

ტრადიციული ყავისფერი კაფეები ცნობილია ინტერიერის მუქი ხით და გაბოლილი კედლებით. სწორედ აქ შეიგრძნობთ, რას აღნიშნავს ზუსტად ჰოლანდიური სიტყვა Gezellig: სიმყუდროვის განცდას, როდესაც ადამიანები თავს გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში.

ყავისფერი კაფე ჰოლანდიური კულტურის განუყოფელი ნაწილია – ადგილი, სადაც ადამიანებს შეუძლიათ მიირთვან სასმელი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ და მეგობრებთან ერთად გაატარონ დრო გამოსასვლელ დღეებში. მათ უმეტესობაში სტუმარს შეუძლია შეუკვეთოს ლუდი და ღვინო, აგრეთვე, იენივერი (ჰოლანდ. jenever) – ჯინის მსგავსი სასმელი. თან იქონიეთ ნაღდი ფული, რადგან ამ კაფეებში, როგორც წესი, საკრედიტო ბარათით ანგარიშსწორება მიღებული

არ არის.

თითოეულ ყავისფერ კაფეს თავისი შარმი და დამახასიათებელი ნიშნები აქვს. ზოგიერთი – როგორიცაა, მაგალითად, Café Hoppe(Spui 18-20) და Café Chris (Bloemstraat 42) – 1600-იანი წლებიდან არსებობს; კაფე Hoppe-ის ნაწილი დღეს ეროვნულ ძეგლადაც კი არის აღიარებული.

სხვა ყავისფერი კაფეები სხვა ნიშან-თვისებებით გამოირჩევა: De Dokter (Rozenboomsteeg 4) ქალაქის ყველაზე პატარა კაფეა, ხოლო De Sluyswacht (Jodenbreestraat 1) უფრო მეტადაა გადახრილი, ვიდრე პიზის კოშკი... ამსტერდამის აუთენტიკურობა რომ შეიგრძნოთ, ყავისფერი gezellig-კაფეებიდან რომელიმეს მაინც ეწვიეთ.



კაფე HOPPE-ის ნაწილი დღეს ეროვნულ ძეგლადაც კი არის აღიარებული. როგორც კი ამ ისტორიულ შენობებში შეხვალთ, იგრძნობთ, რომ წარსულში გადაინაცვლეთ

CAFÉ AMERICAIN

გრანდ კაფე

Amsterdam American Hotel-ში განთავსებული Café Americain ჰოლანდიის დიდ კაფეებს შორის უძველესია. ის 1902 წელს გაიხსნა. შენობისთვის სახასიათოა თანამედროვე ხელოვნების ინტერიერის შტრიხები და ძველი ვიტრაჟები, უზარმაზარი ანტიკვარული ჭაღები, შთამბეჭდავი ფრესკები. ანტიკვარულ მაგიდებზე უამრავი ჟურნალ-გაზეთია. დიდი ტერასა შესანიშნავი ადგილია ზაფხულში მზის სხივებით დასატკბობად.

Leidsekade 97

ნიდერლანდების ოქროს ხანაში ამსტერდამი ევროპის ყველაზე მნიშვნელოვან საპორტო ქალაქს წარმოადგენდა, სადაც ჩაით და ყავით ვაჭრობდნენ. შესაძლოა სწორედ ამ პერიოდიდან მოდის ყავისადმი ჰოლანდიელთა გამორჩეული სიყვარული. აუცილებლად გასინჯეთ ადგილობრივი რძიანი ყავა KOFFIE VERKEERD, რომელიც ლატეს მოგაგონებთ.

CAFÉ DE JAREN

გრანდ კაფე

De Jaren უფრო მეტად ახალგაზრდებს იზიდავს. ის განთავსებულია ყოფილი ბანკის შენობაში, ინტერიერი სინთლით სავსეა, იატაკი მოზაიკისაა, კედლებზე წარმოდგენილია თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები, ხოლო შთამბეჭდავი ბარი კოქტეილების საუცხოო არჩევანს სთავაზობს მომხმარებელს. აქაურობის მთავარი ხიბლი მაინც წარმტაცი ტერასაა, რომელიც მდინარე ამსტელს გადაჰყურებს.

Nieuwe Doelenstraat 20



CAFÉ TABAC

საკულტო კაფე

ეს მეჩვიდმეტე საუკუნის ნაგებობა, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას, ორი არხის გადაკვეთაზე მდებარეობს, ამსტერდამის ნამდვილი საკვანძო წერტილია. 1996 წლიდან მას, უბრალოდ, Tabac-ს უწოდებენ. ეს ბარი გადაპრანჭული და პრეტენზიული ნამდვილად არ არის.

ახალგაზრდებისათვის Tabac-ი დემოკრატიული და ხელმისაწვდომი კაფეა, სადაც ცხარე სასუსნავს ცივ ლუდს მიაყოლებთ. ის იმითაცაა ცნობილი, რომ მეფე ვილემის მეგობარი გოგონა, რომელსაც ახლა დედოფალი მაქსიმას სახელით ვიცნობთ, 2000 წელს სწორედ ამ ადგილს სტუმრობდა. ბარის ბოლოში კაფეა, სადაც კოქტეილების ნაცვლად ინდონეზიური კერძებით გაგიმასპინძლდებიან. ზამთარში სანთლით განათებული მაგიდის გარშემო მსხდარი სტუმრები ფანჯრიდან გადაჰყურებენ არხებს, ხოლო ზაფხულში გარეთ ბალიშები გამოაქვთ, რათა აქედან ნავების ცქერით ისიამოვნოთ.

Brouwersgracht 101
www.cafetabac.eu

CAFÉ PAPENEILAND

ისტორიული კაფე

უკვე ასწლეულებია, რაც ერთსა და იმავე ადგილზე, Prinsengracht-ის არხის სიახლოვეს მდებარეობს უნიკალური კაფე, რომლის კედლებიც ლამის აბლაბუდებს დაუფარავთ. თუმცა ჭიქა ლუდის დასალევად ამსტერდამში უკეთესი ადგილი არსად მოიპოვება, რადგან მას შეგიძლიათ მიაყოლოთ განუმეორებელი ჰოლანდიური ვაშლის ნამცხვრის ნაჭერი, რომელსაც აქ გასაოცრად ამზადებენ. ნამცხვარი 4€ ღირს.

Prinsengracht 2, papeneiland.nl.

CT COFFEE & COCONUTS

ყავა

ყავის პირველი ყლუპის დალევისთანავე მიხვდებით, რომ ის საუკეთესო ხარისხისაა. აუცილებლად მიირთვით ქოქოსთან ერთად. აქვეა რესტორანი CT. მსუბუქ და ბუნებრივ ინტერიერში ერთმანეთს ეხამება ნათელი ფერის იატაკები, თეთრი კედლები წითელი აგურის ელემენტებით და სოფლის სტილის ხის ავეჯი. მწვანე მცენარეები, კომფორტული ბალიშები და გრძელი მაგიდები მყუდრო გარემოს ქმნის. სამზარეულო კი განთქმულია სასარგებლო ორგანული, ადგილობრივი საკვებით.

Ceintuurbaan 282-284

www.coffeeandcoconuts.com

SCANDINAVIAN EMBASSY

ყავა

SE გთავაზობთ უგემრიელესი ყავის არჩევანს ჯანსაღ საუზმესთან, სადილსა და ვახშამთან ერთად. SE ერთგვარი ექსპერიმენტული ადგილია, სადაც ყავის გემოსა და მისი დამზადების მეთოდებს მუდმივად აუმჯობესებენ.

მენიუ ჯანსაღ, უგემრიელეს, ნამდვილ სკანდინავიურ კერძებს გთავაზობთ.

აქ მრავალი სიურპრიზი გელით. შეგიძლიათ აღმოაჩინოთ იშვიათი და ეგზოტიკური შვედური კერძები, დააგემოვნოთ ქალაქში საუკეთესო დარიჩინიანი ფუნთუშეული და გასინჯოთ ყავით „შთაგონებული“ საკვები.

Sarphatipark 34

www.scandinavianembassy.nl

TOKI

ყავა

ამსტერდამის ახალი სკანდინავიურ-იაპონური კაფე დიზაინერული აქცენტებით მოგხიბლავთ. Jordaan-ის უბნის ორი წყნარი ქუჩის კუთხეში, Haarlemmerdijk-ის ახლოს მდებარე კაფე იდეალური ადგილია შაბათ დილით სასაუზმოდ.

Toki უფრო მეტია, ვიდრე ყავის დასალევი ადგილი, ის განთქმულია თავისი ფუნთუშეულით. აქ შეგიძლიათ მიირთვათ Petit Gateau-ს ნამცხვრებიც. ეს კაფე თითქოს იაპონურ განწყობას გადმოგვცემს, დროის მშვიდად გატარების, სიამოვნების მიღებისა და განტვირთვის განცდას. მრავალი ადამიანი აქ რთული დღის დაწყებამდე ჩაის დასალევად მოდის, ზოგიც – დღის ბოლოს, კათხა ლუდის სმისას რომ დაისვენოს.

Binnen Dommersstraat 15

PUCCINI BOMBONI

ბელგიელებს ყოველთვის მოწონავე ადგილი ეკავათ ბონბონის ტიპის ტკბილეულის მსოფლიო წარმოებაში, თუმცა 1988 წლიდან Puccini-მ ამსტერდამელებს მეტად კრეატიული და არატრადიციული ბონბონი შესთავაზა. თუკი ბელგიური ბონბონი პაწია სასუსნავია, Puccini-ს იგივე ტკბილეული მთავარ კერძად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ეს შოკოლადის ბუტიკი, ფაქტობრივად, ხელოვნების ნიმუშია, ხოლო ვიტრინაში და დახლებზე აგებული შოკოლადის პირამიდები ზედმეტად იდეალურია საიმისოდ, რომ ხელით შეეხოთ. ბონბონების გარდა ბუტიკის კედლის თაროებზე უამრავ სხვა ტკბილეულსაც ნახავთ.

ღიაა: 09.00-18.00; კვირას და ორშაბათს – 12.00-18.00

Staalstraat 17
www.puccinibomboni.com

ALBERT CUYP MARKET

ამსტერდამის ყველაზე პოპულარული ბაზარი მთელ ქუჩაზეა გადაჭიმული. აქ ყველაფერი იყიდება, ტროპიკული ხილითა და თევზეულით დაწყებული, წიგნებითა და ელექტროსაქონლით დამთავრებული. აქ შეიძენთ ნამდვილ ჰოლანდიურ მარწყვს, ტიტებს, ტანსაცმელს, ველოსიპედის საკეტებსა თუ კომპიუტერის აქსესუარებს – ერთი სიტყვით, რასაც მოისურვებთ, თანაც ძალიან იაფად. Albert Cuyp Market-ი ევროპაში ყველაზე დიდი ღია ბაზრობაა.

Albert Cuypstraat

WATERLOOPLEIN FLEA MARKET

ვატერლოოს ძველი ნივთების ბაზრობა არა მხოლოდ სავაჭრო სივრცეა, არამედ ალტერნატიული შეკრებების თავისებური ადგილიც; დრედებიანი ჭაბუკები სქელი ნაქსოვი ქუდებით აქეთ-იქით დასეირნობენ; იაფად იყიდით ინდურ სამოსსა და არასტანდარტულ ამსტერდამულ სუვენირებს; აქვე აღმოაჩენთ ძველ გრამფირფიტებსა და ფოტოსურათებს, ვინტაჟურ სამოსს, ძველ სათვალეებსა და ა. შ. მდინარე ამსტელის მხარეს ბუკინისტური დახლებია ჩამწკრივებული, ეკლესიისწინა მოედანზე კი მეორადი ტანსაცმელი იყიდება – ამ ბაზრობაზე შეგიძლიათ, უბრალოდ, გასართობადაც წახვიდეთ. ბაზარი კვირის გარდა ყოველდღე მუშაობს.

Waterlooplein 2

NOORDERMARKT

აქაურობა ძველმანების, ანტიკვარიატისა და ეკოლოგიური ბაზრობების ნაზავს წარმოადგენს. პატარა მოედანზე მუსიკოსები სხვადასხვა რეპერტუარს უკრავენ – მოცარტიდან „ამელის“ საუნდტრეკამდე. ბაზარი ორ ნაწილადაა გაყოფილი: სურსათისა და ნივთების.

პირველში ორგანული პროდუქტით, ახალგამომცხვარი პურით, ცოცხალი ხამანწკებითა და ყველით ვაჭრობენ; შეგიძლიათ ზეითუნის ზეთში ამოვლებული პურის ნაჭრები და უგემრიელესი ნაღების ყველი მიირთვათ. მეორე ნაწილში კი საინტერესო, საკვირველი აღმოჩენები გელოდებათ: სპარსული ხალიჩები, ინდური ბუმბულები, ხელით ნაქსოვი სვიტერები, დიზაინერული ქურქები. ბაზრობა მხოლოდ ორშაბათსა და შაბათს იმართება.

Herenstraat 39

DE HALLEN

ეს ყოფილი ტრამვაების დეპო ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე გამოცოცხლებულ ადგილად იქცა თავისი რესტორნებით, მაღაზიებით, სამხატვრო სალონით, კინოთეატრით, სასტუმროთი და Foodhallen-ით – ამსტერდამის პირველი მუდმივმოქმედი დახურული სასურსათო ბაზრით. ადგილობრივი ნაწარმი აქ ოცზე მეტ დახლზეა გამოფენილი და ყველაფერი იმდენად იზიდავს თვალს, რომ ძნელია ღორმუცელობის ცდუნებას გაუძლოს კაცმა. მაგრამ თუ ბაზრის ხმაური და რია-რია მაინცდამაინც არ გიზიდავთ, ოღონდ გემრიელად წახემსება კი მოგინდათ, აუცილებლად შეიარეთ ხორცის რესტორან Meat West-ში, ანდა ფრანგული სტილის რესტორან Halte 3-ში.

De Hallen, West, dehallen-amsterdam.nl

TALES & SPIRITS

SPEAKEASY

Tales & Spirits-ის ელეგანტურ და კომფორტულ ინტერიერს თავს აფარებენ მრავალი ჯილდოს მფლობელი მიქსოლოგები.

რჩევა: გასინჯეთ "General Lee" – სასიყვარულო ისტორია Knob Creek Rye, Amaretto and Dom Benedictine-ის მომწარო არომატით.

კოქტეილს თემატური ჰანგების თანხლებით მოგარომევენ.

Lijnbaanssteeg 5-7; CENTRUM

BAR BUKOWSKI

HIPSTER

Bar Bukowski, რომელიც დილიდან საღამომდე ღიაა, ადგილობრივთა თავშეყრის ყველაზე საყვარელი ადგილია. ზაფხულის თბილ თვეებში მისი მწიანი ტერასა განსაკუთრებით ბევრ სტუმარს იზიდავს – საპიკნიკე მაგიდებთან სასმლის წრუპვას და კერძების დაგემოვნებას მართლა არაფერი სჯობს. მოგვიანებით, უკვე ნაშუადღევს აქ სამუშაო დღის შემდეგ მოსული მეგობრები იკრიბებიან. კაფედან პირდაპირ გადიხართ Henry's Bar-ში – მოდურ კოქტეილ-ბარში, რომელიც მხოლოდ პარასკეობით და შაბათობით მუშაობს და უგემრიელესი საფირმო კოქტეილებითაა ცნობილი.

Oosterpark 10-11, OOST

DOOR 74

SPEAKEASY

სადა კარს მიღმა მიმალული, მხოლოდ ტელეფონით დაჯავშნის შემდეგ ხელმისაწვდომი ბარი გაიხსნა იმათ სანუგეშოდ, ვისაც სურს განსაკუთრებული, ამავდროულად, გემრიელი და ორიგინალური სასმლის დაგემოვნება. ნიჭიერი ბარმენები ყოველდღიურად ქმნიან კოქტეილებს ახალი რეცეპტებით.

რჩევა: გასინჯეთ "Searching For Black Matter", რომელიც Botran Solera რომის, მარციპანის სიროფისა და ატმის ჩირის მომწარო გემოს ნაზავია.

Reguliersdwarsstraat 74; CENTRUM

HIDING IN PLAIN SIGHT

კრეატიული კოქტეილები

HPS-მა უცებ გაითქვა სახელი საუკეთესო სასმელებით, რომელთა დაგემოვნებაც შეგიძლიათ ოციანი წლების სტილში გაწყობილ, ოდესღაც Brown café-დ ცნობილ ლაუნჯ-ბარში. აქაურობა მოცულია კლასიკური არომატების კომბინაციით და, ამავდროულად, ამაყად გთავაზობთ ორიგინალურობით სავსე ექსპერიმენტებს.

რჩევა: გასინჯეთ "Mango Crusta" – ზაფხულის სურნელების დღესასწაული: სანელებლებით შეზავებული რომი, დაძველებული რომი, კრეოლის ბუჩქის სიმსუბუქე, Clement Creole Shrub (ლიქიორი, დამზადებული ხილით, შაქრით და ძმრით), მანგოს სიროფი და ლაიმი. აუცილებელია წინასწარ დაჯავშნა.

Rapenburg 18; CENTRUM

STRUIK

ადგილობრივების ფავორიტი

Struik თითქოს ერთი ჩვეულებრივი ბარია, მაგრამ აქ დრო სწრაფად და მხიარულად გადის. მასში არც ძველებური ყავისფერი სივრცე და არც უნიკალური დიზაინი დაგხვდებათ, მაგრამ Struik-ის თავისუფალი გარემო ადგილობრივ ახალგაზრდებს მაგნიტივით იზიდავს. მართალია, ინტერიერი არაფრით გამოირჩევა და სასმელებიც სტანდარტულია, მაგრამ ბარის მეპატრონისა და მომსახურე პერსონალის სტუმრებისადმი დამოკიდებულება განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის. აქ მოისმენთ ჰიპ-ჰოპს, პანკს, როკსა და 80-იანების პოპსაც, თანაც გვიანობამდე. ბარმენები სიმღერებს ხმას აყოლებენ და ისე გემსახურებიან, თან მათთან ერთად სიმღერას გთავაზობენ. მწეველებისთვის გარეთ მაგიდებია. მოკლედ, აქ ნამდვილი თავისუფლება სუფევს.

Rozengracht 160; JORDAAN

SUZY WONG

კოქტეილ-ბარი, ლაუნჯი და კლუბი

ორმოცდაათიანების ჰონგკონგის ჰოლივუდისეული ვერსია ამ კოქტეილ-ბარისა და ლაუნჯის ინსპირაციაა. წითელი კედლები და ლამაზად განათებული ბამბუკის დეკორი ეგზოტიკურ გარემოს ქმნის, სარკეებიან ჭერში კი საცეკვაო მოედანი ირეკლება და ოდნავ ნარცისისტულ გრძნობებსაც აღძრავს. სანამ დიჯეები ჰიპ-ჰოპს, არენბისა და დაბალი ტემპის ჰაუს-მუსიკას გასმენინებენ, ბარმენები ხილისაგან დამზადებულ კოქტეილებს გთავაზობენ: საზამთროსა და ქოქოსის მოჰიტოები, ნესვის მუავე კოქტეილები, Grey Goose-ს კი ბოთლით მოგართმევენ, თუკი გამბედავი ხართ.

Korte Leidsedwarsstraat 45; CENTRUM ; www.suzy-wong.nl

POREM

SPEAKEASY

Porem-ში აქცენტი ხარისხიან კოქტეილებზე კეთდება, რომელთა დაგემოვნებაც შეგიძლიათ ზღვის პროდუქტით დამზადებული სუშისა და საშიმთან ერთად. აქ არის კოქტეილის დამზადების ძველი სკოლის ელეგანტურობა თანამედროვე აქცენტებით. **რჩევა:** გასინჯეთ "Sergio Ramos Gin Fizz" – ჯინის, ნუშის რძის, Perdro Ximenez-ის შერის, ფორთოხლის ყვავილის წყლისა და ლიმონის უნიკალური კომბინაცია.

Geldersekade 17; CENTRUM

EIJLDERS

ინტელექტუალების თავშესაყარი

ეს ბარი იდეალური ატმოსფეროთი და მდიდარი ისტორიით გამოირჩევა. დაარსებიდან (1940 წ.) მოყოლებული, ის სტუდენტების, მწერლების, მოაზროვნეებისა და არტისტების საყვარელი ადგილი იყო და დღემდე მასპინძლობს პოეზიის საღამოებს, საკვირაო კლასიკური მუსიკის კონცერტებსა და ადგილობრივი კომუნების ყრილობებს, რომლებზეც ყველა საკუთარ აზრს გამოთქვამს.

Eijlders ახლოსაა Stadsschouwburg-ისა და DeLaMar-ის თეატრებთან, ასე რომ, ყოველი სპექტაკლის შემდეგ მაყურებლების მიერ წარმოდგენის განსახილველად ეს იდეალური ადგილი ხდება. თუ გარე მაგიდებზე დასხდებით, შეგიძლიათ თვალყური ადევნოთ, თუ როგორ ცდილობენ ამსტერდამელები კლუბ Jimmy Woo-ში შეღწევას.

Korte Leidsedwarsstraat 47
CENTRUM ; www.cafeeijlders.com

PULITZER'S BAR

ლიტერატურული ბუდე

Pulitzer's Bar-ს ყოველთვის ჰქონდა მაღალი სტატუსი Canal-ის უბნის ელიტის თვალში; ეს სივრცე უფრო მეტად სასტუმროს ფოიეს ბარს მოგაგონებთ, კომფორტული, წყნარი; არხს გადაჰყურებს და იდეალური ადგილია კოქტეილებისა და საუბრებისთვის.

გამოკვეთილი არტ-დეკოს სტილის ბარი, მუქი მწვანე ხით გაწყობილი კედლები და ვინტაჟური ბოთლები შეუმჩნევლად ეწინააღმდეგება ამსტერდამში გამეფებულ სკანდინავიურ დიზაინს. Pulitzer's Bar-ს გვიან შუადღეს ან გვიან ღამით უნდა ეწვიოთ და აუცილებლად დააგემოვნოთ მათი საფირმო გაზიანი G&T ან Pulitzer Old Fashioned. ამ ბარში აუცილებლად შეხვდებით გალანტურ ადამიანებს, თუმცა აქაური ჯენტლმენები კარდიგანებსა და სპორტულ ფეხსაცმელში არიან გამოწყობილნი.

Keizersgracht 234; CANAL; www.Pulitzersbar.nl

IN 'T AEPJEN

მოგზაურობა წარსულში

სანამ ამსტერდამისათვის სახასიათო, არხების გასწვრივ ჩამწკრივებული აგურის სახლები გამოჩნდებოდა, ნაგებობებს ხის მასალით აშენებდნენ. 1452 წელს გაჩენილ საშინელ ხანძარს მხოლოდ ორი შენობა გადაურჩა.

ბარი In 'T Aepjen ერთ-ერთი მათგანია. თბილი განათებითა და შესანიშნავად დეკორირებული უთვალავი ბოთლით, ჭიქითა და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნივთებით, ეს ადგილი ხაზგასმით მიგანიშნებთ, რომ თანამედროვე ეპოქას არ ეკუთვნის. აქაური ფერების პალიტრის, დიზაინისა და განათების გამო ბარში გადაღებული ფოტო რენესანსის ფერწერულ ტილოს ემსგავსება. ისტორიულობას რომ თავი დავანებოთ, აქ სტუმრობის მთავარი მიზეზი შესანიშნავი სასმელებია – ადგილობრივი იენევერი, ბელგიური ლუდი და ჭიქა ღვინო. ხუთშაბათობით ჭაღარაშერეული ჯენტლმენების კვარტეტი ბანჯოთი, საყვირებითა და კონტრაბასით შესრულებული ბლუზისა და სვინგის რიტმებში გაგხვევთ.

Zeedijk 1, CENTRUM

THE HOXTON

HOTEL-BAR

თანამედროვე ბრიტანული ბრწყინვალების დოზების მისაღებად The Hoxton-ის თავზე მდებარე ბარს უნდა ესტუმროთ.

გემრიელად მოეწყვეთ ტყავის სავარძელში ან ხავერდის ტახტზე და მოსვით გემრიელი სასმელი. აქ საუკეთესო კოქტეილს In Bloom-ს ამზადებენ ჯინით, ლიმონით, იისფერი და ვარდისფერი მარასკინოთი.

Herengracht 255; CANAL

THE COLLEGE HOTEL

HOTEL-BAR

The College Hotel ყოფილ სკოლის შენობაში მდებარეობს. სასტუმროს ბარი დასამახსოვრებელ ღამეს გპირდებათ თავისი ინტერნაციონალური ხიბლის, ელეგანტური ინტერიერის, მოსახერხებელი მდებარეობის და შესანიშნავი ჰოლანდიური წასახემსებლებით სავსე მენიუს დამსახურებით.

Roelof Hartstraat 1
OLD SOUTH

THE DYLAN

HOTEL-BAR

არხების უბანში მდებარე მომხიბლავმა სასტუმრომ წლების განმავლობაში მრავალჯერ განიცადა ინტერიერის ტრანსფორმაცია. ზაფხულობით ახალგაზრდები Dylan-ის შიდა ეზოში სასმლის მოსაწრუპად იყრიან თავს. მენიუ რეგულარულად იცვლება. აუცილებლად უნდა გასინჯოთ გრეიპფრუტით დამზადებული ჰალიპატი, კიტრი და ვუდიუანის (Vadouvan) მაიონეზი, ან უბრალოდ ხამანწკები (არც თუ იაფი) ჭიქა ღვინოსთან ერთად.

Keizersgracht 384; CANAL

TWENTY THIRD BAR

HOTEL-BAR

სასტუმრო Okura-ს ბარი სტუმრებს რამდენიმე საოცრებას სთავაზობს: ფართო პანორამულ ხედს ქალაქზე ამსტერდამის უმაღლესი წერტილიდან, დახვეწილ წასახემსებელ მენიუს მიშლენის ვარსკვლავის მქონე მოსაზღვრე რესტორან Ciel Bleu, შამპანურებსა და კლასიკურ კოქტეილებს.

რჩევა: მიირთვით კლასიკური და ელეგანტური Kir Royale, Crème de Cassis და Besserat de Bellefon შამპანურის ნაზავი.

Ferdinand Bolstraat 333
OLD SOUTH

DE SCHOOL

მულტიფუნქციური სივრცე

ამ ადგილას ერთადაა თავმოყრილი ქალაქის საუკეთესო ღამის კლუბი, ჩინებული რესტორანი და შესანიშნავი კაფე-ბარი. De School ნამდვილი ქამელეონია, რომელიც მუდმივად იცვლება. პარასკევ საღამოს შეგიძლიათ ღამე კლუბში გაატაროთ და დილით აქვე, კაფეში ისაუზმოთ, საღამოს დაბრუნდეთ და რესტორანში ივახშმოთ, კვირადღეს აქვე ისადილოთ. აქვეა დიდი ტერასა, სადაც დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეგიძლიათ მოკალათდეთ. DS-ის ეზო ყოფილი ტექნიკური სასწავლებლისგან შემორჩენილი მწვანე ოაზისია.

Doctor Jan van Breemenstraat 1,
DE BAARSJES ; www.deschoolamsterdam.nl

CLUB NYX

მულტიფუნქციური სივრცე

ეს კლუბი იმ ქუჩის ცენტრში მდებარეობს, რომელმაც 1960-იანი წლებიდან ლგბტ-კულტურასა და ღამის ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. Club NYX დღემდე აგრძელებს ამ ტრადიციას. მულტიფუნქციური სივრცე ლაბირინთს მოგგონებთ, სადაც უამრავი ერთმანეთისგან განცალკევებული ბარი, მწველებისთვის განკუთვნილი ოთახი და ამ ყველაფრის შუაგულში მთავარი საცეკვაო დარბაზია. კედლები გრაფიტით არის მოხატული, სივრცე UV-ნათურებითა და კედლის პანელებითაა განათებული, ხოლო საცეკვაო მოედანი ფსიქოდელიური დისტოპიური ფილმიდან ამოჭრილ სცენას ჰგავს. ხალხი, მუსიკა და ატმოსფერო ივენთიდან ივენთამდე იცვლება, თუმცა აქ ნებისმიერ შემთხვევაში გაერთობით.

Reguliersdwarsstraat 42
CANAL DISTRICT; www.clubnyx.nl

PARADISO

ცოცხალი მუსიკა

ყოფილ ეკლესიაში დაბინავებული Paradiso ცოცხალი მუსიკის ნამდვილი ტაძარია. მისი ატმოსფერო და აკუსტიკა ცნობილია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო სივრცე.

ყოფილი ტაძარი 60-იანების შუა წლებში იქცა მუსიკის არენად და დღემდე ამსტერდამის ცოცხალი მუსიკის დარბაზებს შორის ყველაზე დასამახსოვრებელ ადგილად რჩება. აქ უკრავენ როკს, პოპსა და სხვა ჟანრებს. Paradiso-ს მთავარი ჰოლი გრანდიოზულია – სცენის უკან აღმა-

რთულია ვიტრაჟები და შიდა აივნები, რომლებიდანაც შესანიშნავი ხედები იშლება. პირველ აივანზე დასაჯდომი ადგილებიცაა. ზედა სართულზე მდებარე პატარა ოთახი კი ინდიჯგუფების კონცერტებისთვის და ახალბედა შემსრულებლებისთვისაა განკუთვნილი. სარდაფში კაფეა, სადაც ასევე იმართება საღამოები. ასე რომ, აქ ჩვეულებრივი ამბავია ერთდროულად ოთხი ან ხუთი კონცერტის ჩატარება.

Weteringschans 6-8; CENTRUM
www.paradiso.nl

DISCO DOLLY

საცეკვაო მუსიკა

ჩაბნელებული, ვიწრო, კვამლით დაბურული და ხალხით სავსე Disco Dolly ყველას გემოვნებაში არ ჯდება. ამის მიუხედავად, უამრავი ადამიანი შუაღამისას სწორედ აქ ამოყოფს თავს. ეს ადგილი თითქოს თქვენი ბოლო ცეკვისთვისაა განკუთვნილი – პაწია გახურებული ყუთი, რომელიც უქმეებში ღამის 5 საათამდე მოძრაობაშია. მიუხედავად ყველაფრისა, Disco Dolly მაგნიტივით იზიდავს ხალხს, რომელსაც სამუშაო დღეებში, ღამის პირველის შემდეგ ალკოჰოლის დალევა და მოძრაობა სურს. გარემო მინიმალურადაა განათებული, დიჯეები ენერგიულ მუსიკას უკრავენ – სოულის, ფანკის, ჰაუსისა და დისკოს ნარევს. სტუმრებს კი ცეკვისაგან დასვენება სულაც არ სურთ.

Handboogstraat 11; CENTRUM
www.discodolly.nl

RADION

ანდერგრაუნდ-საღამოები

2015 წელს, როცა Trouw დაიხურა, ამსტერდამულ საკლუბო ცხოვრებაში დიდი ნაპრალი გაჩნდა. მომდევნო თვეებში ბევრი ახალი კლუბი გაიხსნა, მათ შორის ყველაზე დიდი და აღიარებული Radion-ია. იმის გამო, რომ ცენტრისგან მოშორებით, ამსტერდამის მიუვალ ქუჩაზე მდებარეობს, ეს კლუბი ანდერგრაუნდის ატმოსფეროს ინარჩუნებს. ეს ადგილი ყოფილი სალექციო სივრცეა და მისი იატაკი იარუსებადაა დაყოფილი, ამიტომაც სრულიად უჩვეულო საცეკვაო მოედანი იქმნება. მაშინ, როცა სხვა სახელგანთქმული კლუბები – De School და De Marktkantine – საქვეყნოდ ცნობილ დიჯეებს მასპინძლობს, Radion-ი საკუთარ ნიშს ქმნის ადგილობრივი და მეტად ანდერგრაუნდული ევროპული ჰაუსისა და ტექნოს საღამოებით. ამ კლუბს სასმლის გაყიდვის 24-საათიანი ლიცენზია აქვს, ამიტომ პარასკევსა და შაბათს წვეულებები დილის რვა საათამდე გრძელდება.

SUGARFACTORY

ცოცხალი მუსიკა

Sugarfactory დინამიკური, თავისუფალი და შემოქმედებითი განწყობის მქონე ადგილია, სადაც კლუბი, ცოცხალი მუსიკა და თეატრი ერთად არსებობს. კლუბში მუდმივად უკრავენ ცნობილი ადგილობრივი და უცხოელი დიჯეები, გარდა ამისა, სასცენო ცოცხალი მუსიკის კონცერტებიც იმართება. უზარმაზარი სცენითა და ხავერდის ფარდებით Sugarfactory მულტიფუნქციური სივრცეა. მისი მთავარი ჰოლი თეატრის ფუნქციასაც ასრულებს, ის ხმაურიან როკ-კონცერტებს ან საკლუბო ღამეებს არ მასპინძლობს.

Lijnbaansgracht 238; CENTRUM
www.sugarfactory.nl

JIMMY WOO

მკაცრი ფეისკონტროლი

Jimmy Woo ერთ-ერთია იმ რამდენიმე ამსტერდამული კლუბიდან, რომლებიც საერთაშორისო სტილისაა და გამორჩეული ხიბლის მატარებელია: არც ერთი ცნობილი სტუმარი არ ტოვებს ქალაქს ისე, რომ ამ კლუბს არ ესტუმროს. Jimmy Woo ორსართულიანია; შთამბეჭდავი დეკორითა და შესანიშნავი საკლუბო პროგრამით გამოირჩევა. ზედა სართულზე აზიური სტილის ბარია – ინდო-

ნეზიური ხის მაგიდებითა და იაპონური ტიხრებით. ქვემოთ კიდევ ერთი ბარი და საცეკვაო მოედანია. აქაური დაბალი ჭერი 11 700 ნათურითაა „გადაჭედილი“, რომლებიც მუსიკის რიტმში ციმციმებენ. გაფრთხილებთ, ამ კლუბს გამორჩეულად მკაცრი ფეისკონტროლი აქვს. შიგნით ყველა ვერ შევა, თუმცა Jimmy Woo-ს დაშვების კრიტერიუმები სრულიად გაუგებარია.

Korte Leidsedwarsstraat 18; CENTRUM
www.jimmywoo.com

DE MARKTKANTINE

საუკეთესო ხედები

ეს ნაგებობა ბაზრის მოვაჭრეებმა 1936 წელს ააშენეს სასადილოდ, 1950-იან წლებში თეატრად იქცა, ხოლო 1990-იანებში – ღამის კლუბად. შემდეგ ეს ადგილი ყველამ მიატოვა და დაივიწყა მანამ, სანამ 2014 წელს ხელახლა არ გახსნეს. ეს არის კლუბი, რომელიც 1200 ადამიანს იტევს, თანაც ყოველთვის სავსეა, აკუსტიკა იდეალურია, ატმოსფერო – ჯადოსნური. კლუბის ჭერი უზომოდ მაღალია, გარშემო აივნები აქვს შემორტყმული, საიდანაც სტუმრები ქალაქის წარმტაც ხედებს უყურებენ. თავად კლუბი კი ოქროსფერი განათებით ბრწყინავს.

Jan van Galenstraat 6; OLD WEST
www.marktkantine.nl

ESCAPE

საცეკვაო მუსიკა

Escape ამსტერდამის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და პოპულარული ღამის კლუბია. როგორც ამქვეყნად ყველაფერი, საკლუბო სივრცეები წარმავალია, თუმცა ეს Escape-ს არ ეხება. ის ამსტერდამის საკლუბო ცხოვრების მარადმწვანე წევრია. კლუბი ყოველთვის თანამშრომლობს ახალგაზრდებთან და მუდმივად გთავაზობთ საცეკვაო მუსიკის ყველა პოპულარულ ჟანრს: ჰაუსს, ელექტროს, ტექნოსა და პოპს. ამ კლუბში უკრავენ ისეთი ცნობილი დიჯეები, როგორებიც არიან Tiësto, David Guetta, Paul van Dyk, Kevin Saunderson და Todd Terry.

Rembrandtplein ამსტერდამის ყველაზე ცნობილი ტერიტორიაა სახეტიალოდ და საღამოს გასატარებლად, ხოლო Escape – ამ ყველაფრის დაგვირგვინება თავისი ღამის საცეკვაო პროგრამით. კლუბთან ერთად Escape-ში არის ბარი DeLux, კაფე, სტუდიო და ლაუნჯი – პატარა სივრცე, სადაც სიმშვიდე და ინტიმური გარემო სუფევს.

Rembrandtplein 11; AMSTEL RIVER
www.escape.nl

MELKWEG

ცოცხალი მუსიკა

Melkweg ამსტერდამის თანამედროვე მუსიკალური, სახელოვნებო და კულტურული სცენის საკვანძო მოთამაშეა. აქ უამრავი კონცერტი, საკლუბო საღამო, ფილმის ჩვენება და კულტურული ღონისძიება ტარდება.

ეს ყველაფერი ხუთ სხვადასხვა ჰოლში იმართება და სწორედ ამიტომ ყოველ შაბათ-კვირას Melkweg-ის კარი უამრავი ადამიანისთვის იღება, რომლებიც სხვადასხვა პროგრამაზე დასასწრებად მოდიან. ყოველკვირეული საკლუბო საღამოები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. აქ ხან როკის საღამოა, ხან ჰიპ-ჰოპის, ხან რეგის ან ტექნოსი, ხოლო სტუმრები მუდამ აღფრთოვანებულნი არიან.

მიუხედავად იმისა, რომ ეს გარემო, Paradiso-სგან განსხვავებით, არქიტექტურულად ნაკლებად შთამბეჭდავია, Melkweg-ში ღამის გატარება ნამდვილად ღირს.

Lijnbaansgracht 234A; CENTRUM
www.melkweg.nl

CANVAS

ღამის კლუბი ხედებით

კლუბი Canvas ამსტერდამული ღამის ცხოვრების თვალსაჩინო მაგალითია. შვიდსართულიანი შენობის ბოლო სართულზე მდებარე ეს კლუბი სასტუმრო Volkshotel-ის სტუმრებს საუზმესა და ლანჩს სთავაზობს, ხოლო საღამოს ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე მჩქეფარე რესტორნად გადაიქცევა ხოლმე. შაბათ-კვირის საღამოებზე, როგორც კი სტუმრები სადილობას მორჩებიან, მომსახურე პერსონალს რესტორნიდან მაგიდები გააქვს, ასე რომ, თერთმეტი საათისთვის აქ უკვე ღამის კლუბია. ამ დროს აქაურობას კიდევ უფრო მეტი ხალხი აწყდება, ზედმეტს იხდიან, რომ კლუბში შეაღწიონ, ხოლო მათ, ვინც მანამდე სადილობდა, უფასოდ შეუძლიათ დარჩენა და ცეკვა.

საითაც გაიხედავთ, ყველა მხარეს შუშის კედელია, ამდენად, შეგიძლიათ ქალაქის არაჩვეულებრივი ხედებით დატკბეთ. აქ უამრავი შესანიშნავი ანდერგრაუნდ-არტისტი უკრავს ჰაუსსა და ტექნოს. დაახლოებით ღამის ოთხ საათზე მუსიკა წყდება და სტუმრები სარდაფის ბარში ჩადიან, სადაც დილის შვიდ საათამდე კოქტეილებს აგემოვნებენ.

Wibautstraat 150; OOSTERPARK
www.volkshotel.nl/fr/canvas/

შოპინგ-თერაპიის უმთავრესი მისამართი ამსტერდამში **DE NEGEN STRAATJES**, ანუ „9 ქუჩაა“ – ერთმანეთში უჩვეულოდ გადახლართული ქუჩების ერთობლიობა **LEIDSESTRAAT**-ისა და **JORDAAN**-ის რაიონებს შორის. აქ იპოვით ორასზე მეტი კომპანიის მაღაზიას, ასევე, დამოუკიდებელ ბუტიკებს, ვინტაჟურ და სპეციფიკურ მაღაზიებს, სადაც შეიძენთ ყველაფერს, დიზაინერული კაბებით დაწყებული, ხელნაკეთი კოსმეტიკით დამთავრებული.

P.C. HOOFTSTRAAT – ეს ქუჩა ყველაზე ცნობილი მოდის სახლების ადგილია. აქ ნახავთ მოდის სამყაროს ისეთი დიდი წარმომადგენლების მაღაზიებს, როგორიცაა: HUGO BOSS, D&G, MAXMARA, RALPH LAUREN, HERMES, GUCCI და სხვა.

UTRECHTSESTRAAT პატარა სავაჭრო მონაკვეთია, თუმცა საინტერესო არჩევანით. ეს შარმიანი ქუჩა სავსეა ტრენდული, კონცეპტუალური მაღაზიებითა და ძვირფასი ბუტიკებით. ამ ქუჩაზეა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო დისკების მაღაზია **CONCERTO**.

ჰოლანდიელი დიზაინერების შემოქმედების გაცნობა თუ გსურთ, აუცილებლად ეწვიეთ **VAN BAERLESTRAAT**-ის ქუჩას. აქ ნიდერლანდების სამეფოში ცნობილ, თქვენთვის კი საინტერესო ახალ სახელებს აღმოაჩენთ, როგორიცაა: **THE PEOPLE OF THE LABIRINTH** და **FRED DE LA BRETONIERÈRE.**



THE BEETHOVENSTRAAT განთავსებულია **ZUID**-ის პრესტიჟულ უბანში, რომელიც მყიდველებს ტანსაცმელს, ფეხსაცმელებს, აქსესუარებს, პარფიუმერიას და შესანიშნავი საკონდიტროების დიდ არჩევანსაც სთავაზობს. ეს არის იდეალური ადგილი მდიდრული შოპინგისთვის და თან განტვირთვისთვისაც.

DE BIJENKORF

დამის მოედანზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ძვირფასი და მოდის მოყვარულთა შორის ყველაზე პოპულარული სავაჭრო ცენტრია.

აქ თავმოყრილია ისეთი პოპულარული საერთაშორისო ბრენდები, როგორიცაა: MAISON MARGIELA MM6, DIOR, CELINE, ARMANI COLLEZIONI, ALEXANDER MCQUEEN, BOTTEGA VENETA, GUCCI და კიდევ ბევრი სხვა; მათ შორის ნახავთ BALENCIAGA-საც, რომლის სახლის კრეატიული დირექტორი წარმოშობით ქართველი დემნა გვასალიაა.

Dam 1

BANANATIME



ამსტერდამის კოსმოპოლიტურ ქუჩებში გაჩენილი Bananatime-ის უნისექს-ბრენდის ყოველდღიური სამოსი იმდენად მოდურიაა, რომ გულგრილს არავის ტოვებს. სადა, მაგრამ დახვეწილი სამოსი გამძლე, მსუბუქი აბრეშუმისგან დამზადებული, ამსტერდამის არაერთ მაღაზიაში შეგიძლიათ მოიძიოთ, მათ შორის, De Bijenkorf-ში.

www.bananatime.com

SUKHA-AMSTERDAM

ბუდიზმის და ჰინდუს ტექსტების სასწავლო და ფილოსოფიურ ენაზე, სანსკრიტზე SUKHA „სიცოცხლის ხალისს“ ნიშნავს. „ლამაზი ტანსაცმლის მთავარი არსი არა ნაკერის ხარისხშია, არამედ ადამიანებში, რომლებიც მათ სულით და გულით წარმოგვიდგენენ!“ აქ წარმოდგენილი პროდუქცია ადგილობრივი წარმოებისაა და უმეტესად UNISEX მოდელებია.

Haarlemmerstraat 110

LUUKS

ეს მაღაზია მათთვისაა, ვისაც განსაკუთრებით უყვარს ფეხსაცმელები. აქ წარმოდგენილია როგორც ადგილობრივი, ისე ცნობილი საერთაშორისო ბრენდები, როგორიცაა: A.F.VANDEVORST და DRIES VAN NOTEN ბელგიიდან, ბერძნული ხმელთაშუაზღვისპირეთის ტყავის სანდლები, OFFICINE CREATIVE იტალიიდან, სპორტული და ელეგანტური GOLDEN GOOSE, PREMIATA და ბევრი სხვა პოპულარული ფეხსაცმლის მწარმოებელი.

Jacob Obrechtstraat 12

BASKET

ეს ამსტერდამში თავისუფალი სტილის ტანსაცმლის ყველაზე გამორჩეული მაღაზიაა. APC და ALEXANDER VANG-ის გარდა BASKET-ში წარმოდგენილია საერთაშორისო მარკები, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების სტილის შემადგენელი ნაწილია.

Elandsgracht 57-59, JORDAAN

VAN RAVENSTEIN

ეს დიზაინერული ბუტიკი გერდა ფონ რავენსტაინმა 25 წლის წინ დააარსა და დღემდე რჩება საყვარელ სავაჭრო ადგილად მათთვის, ვინც სიახლეებს ეძებს.აქ შეგიძლიათ ნახოთ მოდის მოყვარულთათვის ისეთი სასურველი და ცნობილი ფირმები, როგორიცაა: DRIES VAN NOTEN, ANN DEMEULEM12EESTER, LOEWE, JUNIA WATANABE, BERNARD WILLHELM.

Kaizersgracht 359, NINE STREETS

RIKA

„რიკა“ ჩამოყალიბდა, როგორც ულტრათანამედროვე, ფემინური და სუპერესთეტიკის წარმომდგენი ბრენდი.

Oude Spigelstraat 9 / 12, NINE STREETS

TENUE DE NIMES

ადგილობრივები ამ მაღაზიას „ჯინსების სამოთხეს“ უწოდებენ. TENUE DE NIMES-ი ჯინსებს, როგორც ცხოვრების სტილს, ისე ყიდის. TENUE DE NIMES-ში იყიდება როგორც პოპულარული მარკების, ისე ნაკლებად ცნობილი, მაგრამ ხარისხიანი და მოდური ჯინსები – აქ ნახავთ JAPAN BLUE-ს და BENZAK-ს და, რა თქმა უნდა, LEWIS-საც. მაღაზიამ JAPAN BLUE-სთან ერთად საკუთარი ჯინსის ხაზიც შექმნა.

Elandsgracht 60, JORDAAN; www.tenuedenimes.com

AZZURO DUE

ლუქსკლასის შოპინგის მოყვარულთათვის PIETER CORNELISZ HOOFSTRAAT ამსტერდამის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წერტილია. AZZURO DUE უპირატესობას ჰოლანდიელ დიზაინერებს ანიჭებს, თუმცა მათთან ერთად წარმოდგენილია მსოფლიოში ცნობილი სხვა ბრენდებიც, მაგალითად, MAISON MARGIELA, LANVIN, BALMAIN.

Piter Cornelisz Hoofstraat 138, OLD SOUTH

ENNU

მაღაზიის სახელწოდება ორი ჰოლანდიური სიტყვის ნაერთია – „და ეხლა“ – და მისი კონცეფციაც სწორედ ისაა, რომ იმ მომენტის მოდის მენტალობა ასახოს. ამ მაღაზიაში საუკეთესო ნიმუშებია წარმოდგენილი პოპულარული ბრენდების კოლექციებიდან, როგორიცაა: ANN DEMEULEMEESTER, MAISON MARGIELA, RICK OWENS, BALENCIAGA.

Cornelis Schuystraat 15, OLD SOUTH

ANECDOTE

ANECDOTE-ი დაარსების დღიდან ინარჩუნებს სადა სტილს და საინტერესო სილუეტს. სპილოსძვლისფერი, სალათისფერი, მშვიდი ბორდოსფერი – ფერთა ეს გამა სამოსის მთავარ პალიტრას ქმნის. ლაბადები დაგრძელებული სილუეტებით, მოკლე შორტები, ნაქსოვი ჯემპრები და ფრიალა კაბები „ანეკდოტის“ ტანსაცმლის მოდელებისთვის მახასიათებელია.

Wolvenstraat 15, NINE STREETS; www.anecdote.nl

ACNE STUDIOS

შვედური ბრენდი ACNE STUDIOS ჰოლანდიაში იმდენად პოპულარული გახდა, რომ 2009 წელს NINE STREETS-ზე საკუთარი მაღაზია გახსნა. ის სავსეა არასტანდარტული სამოსით: ჯინსები წითელი ნაკერით, ოქსფორდები იუმორნარევი დიზაინით და ქურთუკები დიდი ელვა შესაკრავებით, ზედგამოჭრილი ამსტრდამის განწყობისთვის. თუკი რამე გამორჩეულის შეძენა გსურთ, აუცილებლად მიაკითხეთ ამ სივრცეს, მით უმეტეს, რომ ცალკე სავაჭრო პუნქტი ACNE STUDIOS-ს მსოფლიოში ძალიან ცოტა ადგილას აქვს.

Oude Spiegelstraat 8, NINE STREETS

ექსკლუზიურად მამაკაცებისათვის

AMSTERDAM WATCH COMPANY

ვინტაჟური Rolex-ითა და Omega-თი დაწყებული, ჰოლანდიური Van der Gang-ითა და Christiaan van der Klaauw-ით დამთავრებული, აქ ყველაფერი უმაღლესი კლასისაა.

Reestraat 3

SIR MAX

Sir Max მამაკაცის ფეხსაცმლის მაღაზიაა. აქ არის საუკეთესო ბრიტანული და იტალიური ბრენდების უდიდესი არჩევანი, როგორებიცაა Crockett & Jones და Santoni. Sir Max-ში არაჩვეულებრივი მომსახურებაა. ასე რომ, ამ მაღაზიიდან აუცილებლად იდეალურად მორგებული ფეხსაცმლით გამოაბიჯებთ.

Hartenstraat 2

LES DEUX FRÈRES

Les Deux Frères-ში მამაკაცის ყოველდღიური ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების მრავალფეროვნება გაგაკვირვებთ. თანაც, აქ ისეთი ბრენდების ნაწარმია, როგორსაც ქალაქში სხვაგან ვერსად იპოვით. ეს შესანიშნავი ადგილია თქვენი მოძველებული გარდერობის გასაახლებლად.

Gasthuismolensteeg 6HS; Rozengracht 58HS

CONCRETE MATTER

გჭირდებათ განსაკუთრებული საჩუქარი მეგობრისთვის? აქ ყველაფერია, რაც შეიძლება მამაკაცს დასჭირდეს. მაღალი ხარისხის თავის მოვლის საშუალებითა და სამზარეულოს ნივთებით დაწყებული, დეკორაციებითა და ხელსაწყოებით დამთავრებული. ამ საჩუქრებით მაღაზია მთელი მსოფლიოს ქვეყნებიდან მარაგდება.

Gasthuismolensteeg 12

HAAR BARBAAR

როცა დაგჭირდებათ წვერის შეთხელება, შეჭრა ან გაპარსვა, Haar Barbaar-ის პერსონალი მზადაა, გემსახურონ. ეს ადგილი ორმოცდაათიანი წლების სადალაქოს მოგაგონებთ. არაა საჭირო, რომ წინასწარ ჩაეწეროთ.

Wolvenstraat 35

OGER

საოჯახო ბიზნესი Oger წუნდაუდებელი მამაკაცის ტანსაცმლის მწარმოებელია ამსტერდამში და მას მეტოქე არ ჰყავს. აქ საუკეთესო იტალიური ბრენდები და იდეალური სამკერვალო ნაწარმი იყიდება.

Hooftstraat 75- 81

COTTONCAKE

მინიმალისტური კონცეფციის მაღაზია DE PIJP-ში მდებარეობს. აქ ვერ შეხვდებით სერიული წარმოების ნიმუშებს, ყველაფერი თითო-თითოდ შერჩეულია. რაც ამ მაღაზიაში იყიდება, იქნება ეს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი თუ აქსესუარი, მთელი ევროპის ტერიტორიაზეა მოძიებული და შეგროვებული.

თეთრ კედლებზე დაკიდებული ხელოვნების ნიმუშები რეგულარულად იცვლება, რათა მყიდველს გამოფენის დათვალიერების განცდაც გაუჩინოს. მაღაზიაში შეგიძლიათ ასევე მიირთვათ ვეგეტარიანული და ვეგანური კერძები, ჭიქა კაპუჩინოსთან ან წვენთან ერთად.

1e van der Helststraat 76-hs
www.cottoncake.nl

HÔTEL DROOG

ტანსაცმელი, ინტერიერის გაფორმება თუ ათასნაირი მშვენიერი ნივთის შერჩევა შერჩევა, Hotel Droog ნებისმიერ ამ ინტერესს დააკმაყოფილებს. მაღაზია მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც უახლეს ბრენდებთან, ისე მსოფლიოში უკვე საყოველთაოდ ცნობილ დიზაინერებთან.

კრეატიული მრავალფეროვნების ეს კერა XVII საუკუნის დროინდელ დიდ შენობაშია განთავსებული: პირველ სართულზე შესაძლებელია ბინის გასაწყობად აუცილებელი ნებისმიერი ატრიბუტის შეძენა, შიდა ეზოში ზღაპრული ბარი დაგხვდებათ, ხოლო ზედა სართულზე კი – რესტორანი.

Staalstraat 7B,
www.hoteldroog.com

HUTSPOT

არათუ სხვა ადამიანზე ვერ ნახავთ ისეთივე ნივთს, რომელსაც აქ შეიძენთ, მსგავსს HUTSPOT-ის სხვა მაღაზიებშიც ვერსად იპოვით. ეს კონცეპტუალური მაღაზია წარმოადგენს ერთ მთლიან ღია სივრცეს ბეტონის იატაკით. მას შემდეგ, რაც დიზაინერის მიერ შექმნილ ნივთებს დაათვალიერებთ, შეგიძლიათ LUNCH ROOM-ში ახვიდეთ VAN WOUSTRAATIS-ის მაღაზიის ბოლო სართულზე და გემრიელი კერძები მიირთვათ.

Van Woustraat 4
www.hutspot.com

X BANK

X BANK-ს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ჰოლანდიური დიზაინის ეპიცენტრი. ეს არამხოლოდ მაღაზია, არამედ ერთ სივრცეში მოქცეული საგამოფენო დარბაზი და საინსტალაციო გალერეაცაა. აქ ჰარმონიულად თანაარსებობენ მოდა, ინოვაცია, დიზაინი და ხელოვნება.

ის ჰოლანდიელი მხატვრების და დიზაინერებისათვის ერთგვარ პლატფორმას წარმოადგენს. მაღაზია სასტუმრო W AMSTERDAM-შია განთავსებული.

Spuistraat 172

SKINS

საუკეთესო ნიშური კოსმეტიკისა და პარფიუმერიის შესაძენად Skins Cosmetics-ს უნდა ეწვიოთ. ერთერთი მაღაზია ისტორიული სასტუმრო Conservatorum-ის შენობის პირველ სართულზე მდებარეობს. აქ წარმოდგენილია ნიშური ბრენდების პროდუქცია: Abel Aether, Antonia's Flowers, Babel Perfume, Comme des Garçons Eyeko, Féret Parfumeur, Floris, Fornasetti Profumi, Frederic Malle,Liquides Imaginaires, Maison Francis Kurkdjian, Maison Mona di Orio, Orto Parisi, Patyka, Rahua, Robert Piguet Parfums და სხვა.

Runstraat 11/ Van Baerlestraat 27; www.skins.nl

THINKING OF HOLLAND

თუ ქარის წისქვილების, ქოშებისა და ტიტების სტანდარტული სუვენირის შეძენა აღარ გსურთ, მაშინ გამორჩეული საჩუქრების შესარჩევად THINKING OF HOLLAND-ს უნდა ესტუმროთ. უნიკალურ მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ ცნობილი ჰოლანდიელი დიზაინერების მიერ დამზადებული ნივთები.

აქ წარმოდგენილია ბრენდები: DROOG, MOOOI BY MARCEL WANDERS. ფასები ერთი ევროდან იწყება და 500 ევროს აჭარბებს.

Piet Heinkade 23; www.thinkingofholland.com

GRAY LABEL

ამ მაღაზიას აუცილებლად უნდა ესტუმროთ, თუ ბავშვებისთვის ეკოლოგიურად სუფთა და ბუნებრივი ქსოვილის ტანსაცმელს ეძებთ.

აქ იხილავთ ეკოლოგიურად სუფთა ქსოვილის ტანსაცმელს 8 წლამდე ბავშვებისთვის, მცირე კოლექციას თინეიჯერებისა და დედებისთვისაც.

Oude Looiersstraat 44, JORDAAN

MIFFY

მიფი პაწაწინა გოგონა-კურდღელია, რომელიც ჰოლანდიელი მხატვრის, დიკ ბრუნის მიერ შექმნილი დასურათებული წიგნების პერსონაჟია. ჰოლანდიურ ენაზე მისი ორიგინალური, მოფერებითი სახელია konijntje (ბაჭია). პირველი წიგნი მიფის შესახებ 1955 წელს გამოვიდა. მას შემდეგ ამ საინტერესო სერიის დაახლოებით 30 წიგნი დაისტამბა და სულ 85 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა. ჰოლანდიაში უამრავ სათამაშოსა და ტანსაცმელს ნახავთ, რომელთა შთაგონების წყარო სწორედ მიფია.

VOYAGER კომენტარი

ქალაქის ცენტრში მაღაზიები კვირას და ხშირ შემთხვევაში სადღესასწაულო დღეებშიც ღია დაგხვდებათ.

რასაკვირველია, არსებობს გამონაკლისებიც, თუმცა შოპინგი, ძირითადად, შესაძლებელია **ორშაბათს – 13.00 -18.00, სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და შაბათს – 9.00 -18.00, ხუთშაბათს – 9.00 -21.00** და **კვირას – 12.00 -17.00 საათებში. გახსოვდეთ, ორშაბათს 13.00-მდე თითქმის ყველა მაღაზია დაკეტილია.**

THE OTHERIST

ამ კონცეპტუალური ვინტაჟური მაღაზიის უცნაურობა იმაში მდგომარეობს, რომ უმეტეს შემთხვევაში მასში ისეთ ანტიკვარულ ნივთს იძენ, რომლის ყიდვის სურვილიც აქ მოხვედრამდე თითქოს არასდროს გქონია. ეს არის ძველში ახლის აღმოჩენის და გაოცების შანსი.

თუ განსაკუთრებულ, დასამახსოვრებელ, არატრადიციულ ნივთს ეძებთ, მაშინ აუცილებლად უნდა ეწვიოთ THE OTHERIST-ს. სტუმრობა მუზეუმში წასვლის ტოლფასია. თუ არაფრის შეძენას აპირებთ, თვალიერებითაც ისიამოვნებთ.

Leliegracht 6
www.otherist.com

SPIEGELKWARTIER

ხელოვნების და ანტიკვარების ცენტრში იხილავთ 70-ზე მეტ ანტიკვარულ მაღაზიას და გალერეას, სადაც სახვითი ხელოვნების, კერამიკის, შუშის, სამკაულის, ავეჯის, აზიური და სხვა საკოლექციო ნიმუშებია წარმოდგენილი. არ აქვს მნიშვნელობა, ისტორიის რომელ პერიოდს ანიჭებთ უპირატესობას, ამ სივრცეში შეგიძლიათ ნებისმიერი ეპოქისთვის დამახასიათებელი ნივთი შეიძინოთ.

Kerkstraat 155; www.spiegelkwartier.nl

MUSEUM OF BAGS AND PURSES

მოდის მოყვარულთა MUST-SEE სიაშია ჩანთების მუზეუმი. აქ ნახავთ 4000-ზე მეტ ჩანთას და აქსესუარებს შუასაუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე

Herengracht 573

MUSEUM OF SPECTACLES

გამონახეთ დრო სათვალეების ეროვნულ მუზეუმში შესასვლელადაც, რომელიც ბოლო 700 წლის მანძილზე შექმნილ ხელოვნების ნიმუშებს გთავაზობთ და გაეცანით სათვალეების ისტორიას. მუზეუმი Nine Streets-ის ტერიტორიაზე მდებარეობს. მუზეუმის სათვალის მაღაზიაში შეგიძლიათ სასურველი მოდელი შეიძინოთ. Jackie Kennedy-ს, Budy Holly-ს და სხვათა სათვალის მოდელები აქ დღესაც პოპულარობით სარგებლობს.

Gasthuismolensteeg 7

როგორც ბრილიანტების ერთ-ერთი ევროპული დედაქალაქი, ამსტერდამი იდეალური ადგილია სამკაულების შესაძენად.

ROYAL COSTER DIAMONDS

COSTER DIAMOND-ის ბრენდი ბრილიანტების ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე სანდო და ცნობილია. აქ ბრილიანტების დაწახნაგება ყველაზე მაღალი ხარისხით ხდება. ინგლისის პრინცმა ალბერტმა სწორედ COSTER DIAMOND-ს მიანდო საგვარეულო ლურჯ-თეთრი ბრილიანტის გაწმენდა, რომელიც ამჟამად TOWER OF LONDON-ში ინახება. COSTER DIAMOND-ს ეკუთვნის ძვირფასი თვლების ყველაზე დიდი კოლექცია ამსტერდამში.

Paulus Potterstraat 2
www.costerdiamonds.com

BONBON BOUTIQUE

ამსტერდამელი იუველირი BONE VAN DER REE მრავალფეროვან, მიმზიდველ და თანამედროვე სამკაულებს აკეთებს თითბრისგან და ამის შემდეგ უკვე ოქროში ავლებს. ის კომბინაციაში იყენებს ნახევრად ძვირფას ქვებსა და სვაროვსკის კრისტალს.

Rosmarijnsteeg 8
www.bonbonboutique.nl

თუ გსურთ სამკაულები ისეთი ბრენდების მაღაზიებში შეიძინოთ, რომორიცაა: BVLGARI, CARTIER, TIFFANY & CO – მაშინ ცნობილ სავაჭრო ქუჩა P.C. HOOFTSTRAAT-ს ესტუმრეთ.

MARC LANGE

MARC LANG-ის მრავალი პრიზის მფლობელი ოქრომჭედლის და მისი ეს სამკაულები, ერთი მხრივ, მინიმალისტური და მდიდრულია, მეორე მხრივ კი, ფერადი და მხიარული. MARC LANG-ის საიუველირო სახლს ოქრო, ბრილიანტი და ტიტანი უმაღლეს ხარისხში აჰყავს. აქ კერძო შეკვეთებსაც იღებენ და შეუძლიათ, აგრეთვე, შეგიკეთონ, აღადგინონ ან შეცვალონ თქვენი ძველი სამკაული.

Mient 12, Alkmaar

VOYAGER კომენტარი

- **დრეს-კოდი** -თუკი ოდესმე ამსტერდამში ქალაქისათვის დამახასიათებელი სამოსის მოკლე რეზიუმეს გამოსცემენ, მას „ჯინსის 50 ელფერი“ უნდა ერქვას. ამბობენ, რომ ამსტერდამს ერთ კვადრატულ კმ-ზე განლაგებული ჯინსის კომპანიების რაოდენობით მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. როცა ამ ქალაქს ესტუმრებით, სამგზავრო ჩანთაში იქონიეთ ჯინსის შარვალი, სუფთა კედები, მაისური და, აუცილებლად საწვიმარი.
- **შავი, თეთრი და წითელი** ამსტერდამის ამორეკილი ფერებია და ეს ერთადერთი დედაქალაქია მსოფლიოში, რომლის მცხოვრები ზრდასრული მამაკაცებიც წითელ ჯინსებს ამაყად ატარებენ.
- **იქონიეთ ხელზე ფული:** მაღაზიებსა და პატარა კაფეებში ყოველთვის არ იღებს Visa-ს ან Amex-ს. სწორედ ამიტომ, ყოველთვის თან იქონიეთ ცოტაოდენი ფული ხელზე
- თუ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქე ხართ, შეგიძლიათ დამატებითი ღირებულების გადასახადი – VAT დაიბრუნოთ, რომელიც ჰოლანდიაში საკმაოდ მაღალია – 21 %, Tax Refund რომ ისარგებლოთ, მინიმალური შენაძენი 50 ევრო მაინც უნდა იყოს. უნდა დახარჯული თანხის ნაწილის (VAT) ანაზღაურებას ჰოლანდიიდან გამგზავრების წინ შეძლებთ აეროპორტის სპეციალურ პუნქტში, ან ამსტერდამშივე, De Bijenkorf-ის Global Blue Holland-ის ოფისში.

ქალაქის შუაგულში გონივრულად დაგეგმარებული არხების ქსელი უნიკალური საცხოვრებელი ზონაცაა. ნავსაბმელებზე მიმაგრებული მრავალფერი მცურავი სახლებიდან ყველაზე ძველია აღდგენილ-რეკონსტრუირებული ხომალდები, რომლებიც ნიდერლანდების სავაჭრო და სანაოსნო დიდებას გვახსენებენ. ბევრი მათგანი 100 წელზე მეტი ხნისაა და პირველყოფილი გარეგნობაც შეუნარჩუნებია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხომალდებზე წყალგაყვანილობა, ელექტრობა და გათბობის სისტემაა.

1960-იან და 1970-იან წლებში ამსტერდამში საცხოვრებელ ფართზე მოთხოვნა გაიზარდა და ახალი, სრულიად თანამედროვე მცურავი სახლები გამოჩნდა. მათ Woonark-ს ანუ სახლ-კიდობნებს უწოდებენ. როგორც წესი, კიდობნებს ძრავების გარეშე მცურავ პონტონებზე აშენებდნენ, ამიტომაც ამსტერდამის ყველაზე უფრო ფერწერული არხების გასწვრივ მდიდრული მცურავი სახლები ჩამწკრივებულა; ისინი ხშირად რამდენიმესართულიანია, ტერასები და ბაღები კი სართულებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ამსტერდამის მცურავი სახლები ნავსადგომზე ბაგირითაა მიბმული და, ჩვეულებრივ, ყველა მათგანს კონკრეტული მისამართი აქვს. განსაზღვრულ ადგილას მათ დასაყენებლად საგანგებო ნებართვაა (ligplaats) საჭირო. მის მოსაპოვებლად დიდი კონკურენცია არსებობს, რადგან მცურავი სახლის ღირებულება მონაკვეთის პრესტიჟულობას უნდა შეესატყვისებოდეს.

მცურავი სახლები ორიგინალური, მახვილგონივრული პასუხი იყო ამსტერდამში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საცხოვრებელი ფართის არნახულ მოთხოვნაზე. დღეისათვის მცურავი სახლები უძრავი ქონების ბაზარზე კონკურენტუნარიანი, იშვიათი არქიტექტურული ობიექტებია, რადგან მათი აგებისა და განლაგების ნებართვა შეზღუდული რაოდენობით გაიცემა.

ამსტერდამის ძველი საწყლოსნო არტერიის მცურავ სახლებში 2500 ოჯახი ცხოვრობს. ყველაზე ელიტური, მდიდრული კიდობნები ქალაქის ცენტრალური რაიონების, მაგ., იორდანეს ნავსაბმელებშია განლაგებული.

ოდესღაც ასეთი ალტერნატიული საცხოვრებლის მთავარი ღირსება მისი სიიაფე იყო, მით უმეტეს, რომ ის ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. მფლობელებს ხიბლავდა გარკვეული თავისუფლების განცდაც, რადგან სახლის პატრონს თავისი მისამართის შეცვლა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გარეშე შეეძლო.

ამჟამად ნიდერლანდელი არქიტექტორები წყალზე მთელ კვარტალებს აგეგმარებენ, რომელთაგან ერთ-ერთი ბიურო Marlies Rohmer-მა დააპროექტა და ამსტერდამის IJburg-ის რაიონში 2001 წელს აშენდა. მცურავ სახლებს გემთსაშენში აწყობენ, ხოლო უკვე მზა ნაგებობა წყლით გადააქვთ რეგისტრაციის ადგილას. თვით ეს რაიონი მნახველს საბავშვო კონსტრუქტორის, „ლეგოს“ ფიგურებისგან აგებულ ქალაქს მოაგონებს. თუ სახლის მფლობელს სურვილი და თანხა აქვს, შეუძლია გვერდით მდებარე პონტონიც იყიდოს და იქ ყვავილნარი გააშენოს, ანდა თავისი ბინის ფართობი გაზარდოს და კიდევ ერთი ოთახი შეიძინოს.

იქნებ მომავლის ქალაქი სწორედ ასე უნდა გამოიყურებოდეს?! ყოველ შემთხვევაში ნიდერლანდების სამეფოსთვის მცურავი სახლები უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, აქტუალური საკითხი, რადგან ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს. რამდენიმე ათწლეულია, რაც ჰოლანდიელები ზღვას მიწას „სტაცებენ“, ამიტომაც სახლი-კიდობნები ხმელეთზე ცხოვრების შესანიშნავი ალტერნატივაა.

NATURA ARTIS MAGISTRA – 1838 წელს დაარსებული სამეფო ზოოპარკის სრული სახელწოდებაა, რაც ლათინურად ნიშნავს: „ბუნება ხელოვნების მასწავლებელია“. იდილიური ბაღები, ცხოველების დიდებული „კოლექცია“, მუზეუმი, პლანეტარიუმი, ოკეანარიუმი და XIX საუკუნის მშვენიერი არქიტექტურა – აქ მრავალი საკვირველი სანახაობა გელოდებათ, მათ შორის, 900-ზე მეტი სახეობის ცხოველი, 300 ჯიშის ხე და ყვავილოვანი მცენარე.

ცხოველებისთვის ბუნებრივი პირობებია შექმნილი, ასე რომ, დამთვალიერებლები ანტილოპა გნუსა და გაზელების სანახავად აფრიკის სავანებს გაივლიან; თანამედროვე ტექნიკის უახლესი მიღწევებით აღჭურვილ ვოლიერებში ბინადრობენ ვეფხვები, ლომები, ზებრები, იშვიათი ჟირაფები, სპილოები, ბეჰემოთები და ა. შ. ყურადღება მიაქციეთ ფარშავანგებს; ეს ფრინველები, XIX საუკუნიდან მოყოლებული, ინდოეთიდან ჩამოჰყავთ. ისინი ზოოპარკის მშვენება და სიამაყეა. ფრთოსანთა ვოლიერებს – მტაცებლებით დაწყებული, ფერადი თუთიყუშებით დამთავრებული – დიდხანს ვერ მოსწყვეტთ თვალს.

Artis მსოფლიოს იმ მცირერიცხოვან ზოოპარკთაგან ერთ-ერთია, სადაც შექმნილი ბუნებრივთან მიახლოებული გარემო პირობების წყალობით პინგვინები თავს შესანიშნავად გრძნობენ. ეს საკვირველი ანტარქტიკული არსებები აქ ჩრდილოპოლუსელი თეთრი დათვების მეზობლად ცხოვრობენ.

MICROPIA

მიკრობების მუზეუმი მსოფლიოში ერთადერთია, ამ არაჩვეულებრივი მუზეუმის შექმნის იდეა სამეფო ზოოპარკ Artis-ის დირექტორს, ჰეიგ ბალიანს გაუჩნდა. ის ოცნებობდა, მიკრობუნებაც ისევე ეჩვენებინა დამთვალიერებელთათვის, როგორც ცხოველები ზოოპარკში.

აქ საგანგებო აპარატის, **Kiss-o-Meter**-ის მეშვეობით შეიტყობთ, რამდენი მიკრობი გადადის კოცნის შედეგად ერთი ადამიანიდან მეორეზე და ამას 3D-მიკროსკოპის საშუალებით დაინახავთ, რომელიც მეცნიერებმა სპეციალურად მუზეუმისთვის შექმნეს. მუზეუმში არის სპეციალური სკანერი, რომლის დახმარებითაც გაიგებთ, რამდენი მიკრობი ცხოვრობს მოცემულ მომენტში თქვენს სხეულზე და რომელ მონაკვეთზე – ყველაზე მეტი.

ბილეთის ფასი: 9 წლამდე ბავშვებისთვის – 12€, მოზრდილთათვის – 14€.

Micropia-სა და Artis-ის სანახავად უმჯობესია, კომბლექსური ბილეთი შეიძინოთ, რომელიც უფროსებისთვის 28€ ღირს.

ღიაა: ორშაბათი-ოთხშაბათი – 09.00-18.00, ხუთშაბათი-შაბათი – 09.00-20.00.

Artisplein Plantage, Kerklaan 36-38
www.micropia.nl

AQUARIUM

უზარმაზარი აკვარიუმი 1882 წელს აუშენებიათ. მასში თბილი ზღვების უამრავი ეგზოტიკური, ფერადოვანი თევზი და ოკეანეთა სიღრმეების მრისხანე ბინადრები ცხოვრობენ, მათ შორის, მურენები – ყველაზე უჩვეულო თევზები, რომლებიც სიცოცხლეში შეფერილობას რამდენჯერმე იცვლიან და მდედრებად დაბადებულნი, მამრებად გადაიქცევიან და იხოცებიან. აკვარიუმში იხილავთ მტკნარ წყლებში მცხოვრებ მრავალ სახეობას.

NEMO

მუზეუმი „ნემო“ მეცნიერებასა და ტექნიკას ეძღვნება. სამყაროს მოწყობის გამოსაკვლევად აქ თითქმის ყველა გრძნობა დაგეხმარებათ: ყნოსვა, სმენა, მხედველობა და შეხება.

Artis-ის ტერიტორიაზე რამდენიმე მუზეუმია.

ზოოლოგიის მუზეუმი ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე, იშვიათი
ცხოველების გადარჩენასა და გლობალურ ეკოპრობლემებზე გვიამბობს.

გეოლოგიური მუზეუმი დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობასა და განვითარებაზე, ევოლუციის პროცესზე მოგვითხრობს. დამთვალიერებელი პლანეტის მომავალშიც იმოგზაურებს.

ბიოლოგიის ისტორიის მუზეუმი 20 000 წიგნსა და 3000 ხელნაწერს ინახავს. ბოტანიკურ ბაღში 200 ჯიშის იშვიათი მცენარე ხარობს, რომლებიც ჰარმონიულად ერწყმის პარკში შექმნილ სხვადახვაგვარ კლიმატურ პირობებს.

დამთვალიერებელთათვის ღიაა: 1-ლი ნოემბრიდან 28 თებერვლამდე – 9.00-17.00; 1-ლი მარტიდან 31 ოქტომბრამდე – 9.00-18.00.

ბილეთის ფასი: მოზრდილთათვის – 20,5€; 4-10 წლის ბავშვებისთვის – 17€;

3 წლამდე პატარებისთვის უფასოა.

თუ გინდათ „ნემოში“ სტუმრობამ სიამოვნება მოგგვაროთ, ყველა საგანს ხელით შეეხეთ – მხოლოდ ასე გაიგებთ იმას, რის დანახვაც შეუძლებელია.

ღიაა: სამშაბათი-კვირა – 10.00-17.30 სთ

ბილეთის ფასი (4 წელზე მეტი ასაკის დამთვალიერებლებისთვის): 15€

Oosterdok 2; www.
nemosciencemuseum.nl

ბორბლებზე მეამდგარი ქალაქი

ფოტო: ალექსანდრე ...

სწორი ლანდშაფტი, რბილი კლიმატი, მოკლე დისტანციები და შესანიშნავად გამართული ინფრასტრუქტურა – ამ ყველაფერმა ჰოლანდიელები ველოსიპედის მოყვარულ ერად აქცია. ნიდერლანდებში ისეთი კლიმატია, რომ ველოსიპედის მძღოლს ძალიან არც არასდროს დასცხება და არც არასდროს შესცივდება.

ველოგზების ქსელის მთლიანი სიგრძე 30 000 კმ-ია (შეერთებული ქსელისა და LF მარშრუტების ჩათვლით). ასევე, 32 000 კმ-ია უსაფრთხო ველოტრასები, რომლებიც მთლიანად გამიჯნულია მოტორიზებული ტრანსპორტის მოძრაობისაგან. საგზაო ნიშნები იმდენად სრულყოფილია, რომ შეუძლებელია ველოსიპედის ტარებისას გზა აგებნეთ. და, რაც მთავარია, ნიდერლანდები უსაფრთხო გზების მქონე 5 საუკეთესო ქვეყანას შორისაა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ველოსიპედები ძვირი ღირდა და, შესაბამისად, მხოლოდ ამსტერდამელთა შეძლებული ზედაფენისთვის იყო ხელმისაწვდომი. მამაკაცებიცა და ქალებიც საგანგებოდ სწავლობდნენ, როგორ ეტარებინათ ველოსიპედი უფრო მოხდენილად. მანდილოსნები მასზე ქალურად შემოჯდომის ხელოვნებას ეუფლებოდნენ, მამაკაცებს კი ველოსიპედის მართვისას სხვა ველოსიპედისტების მისალმებაც უნდა მოეხერხებინათ ქუდის მოხდით.

მეოცე საუკუნის ოციან წლებში ველოსიპედი ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახდა. მისი მეშვეობით დანიშნულების ადგილამდე მისვლა თუ ტვირთის გადატანა ბევრად უფრო იაფი და მოსახერხებელი აღმოჩნდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ველოსიპედებზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა და ეს ტრანსპორტი ამსტერდამელთა უმრავლესობისათვის ლამის შეუცვლელად იქცა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში, როცა ავტომობილი მომავლის სიმბოლოდ მიიჩნეოდა, ხოლო ველოსიპედი – წარსულის გადმონაშთად, ამ უკანასკნელის დაცვის მთელ მოძრაობას ჩაეყარა საფუძველი. საგზაო მოძრაობის ახალი კანონის მიღებამ ველოსიპედისტთა უფლებებისათვის ბრძოლა გამარჯვებით დააგვირგვინა: ახლა გადაადგილების ნებისმიერი არამოტორიზებული სატრანსპორტო საშუალება უკვე იმთავითვე გარკვეული უპირატესობებით სარგებლობდა ავტომანქანებთან შედარებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქუჩებში ველოსიპედი გაბატონდა.

ამსტერდამელები ძალიან ამაყობენ თავიანთი ტრადიციული, ჰოლანდიური ველოსიპედებით და მათ სიყვარულით „ბებიას“ ან, შესაბამისად, „ბაბუას“ ეძახიან. ამგვარ ველოსიპედებს ერთი სიჩქარე აქვს და მხოლოდ უკანა ბორბლის მუხრუჭები. მასზე წელგამართული ზიხარ, ასე რომ, გზასაც მშვენივრად ხედავ და გვერდით მომავალ მეგობარ ველოსიპედისტთან საუბარშიც არაფერი გიშლის ხელს. ყოველ ასეთ ველოსიპედს ჯაჭვზე დამცავი აქვს წამოცმული, ბორბლებზე კი – ტალახის შხეფებისაგან ასარიდებელი ფარები, რაც შესაძლებლობას იძლევა სულაც საგარეოდ გამოწყობილმა მართოთ ეს ტრანსპორტი თუნდაც წვიმიან ამინდში, არც პიჯაკ-ჰალსტუხის მორგებისაგან შეიკავოთ თავი და არც მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმისაგან. თავიანთ ველოსიპედებს ამსტერდამელები ხშირად ხელოვნური ყვავილებით რთავენ, საჭეს დიდრონ, ხმაურიან ზარებს არგებენ და სანოვაგის გადასატან, ხის მოზრდილ ყუთებსაც კი ამაგრებენ ზედ.

ველოსიპედები მაინცდამაინც პრეზენტაბელურად არ გამოიყურება. ისინი, ძირითადად, დაჟანგული და ჭაჭვმორღვეულია; როგორც ჩანს, ჰოლანდიელები ასე იცავენ თავს ველოსიპედის გამტაცებლებისაგან, რომლებიც აქ მრავლად არიან, განსაკუთრებით, ამსტერდამში. თუმცა ზოგჯერ შეამჩნევთ გადაკეთებულ, მორთულ-მოკაზმულ ეგზემპლარებსაც, რომლებიც უმეტესად ქალების საკუთრებაა.

გამძლე ძარის წყალობით, ჰოლანდიურ ველოსიპედზე ერთზე მეტ მგზავრს შეუძლია შემოჯდომა. ძალზე ხშირად მშობლებიც არა მარტო უკან შემოისვამენ ხოლმე ბავშვს, არამედ წინაც, საჭეზე საგანგებოდ დამაგრებულ კალათაში. ახალგაზრდა ოჯახები ასევე ძალიან ეტანებიან ე. წ. „სატვირთო“ ველოსიპედებსაც: ასეთ შემთხვევაში, სულ იოლად შეიძლება ქალაქგარეთ გაემგზავროთ სამი ბავშვით, ძაღლითა და სურსათით სავსე კალათაც გააყოლოთ ხელს.

დღეს მსოფლიოს ბევრ ქალაქში ცდილობენ მსგავსი ტრადიციის დამკვიდრებას და ველოსიპედთან უფრო მეტად გაშინაურება-დამეგობრებას. იმედია, მალე ამსტერდამიც აღარ დარჩება ველოსიპედების ერთადერთ დედაქალაქად, თუმცა ამ საქმეში მის პირველობას არავინ დაიგიწყებს. მანამდე კი ამსტერდამელები კვლავაც ამაყად დაატრიალებენ თავიანთი ლითონის რაშების პედლებს და მოთმინებით დაელოდებიან, როდის დაეწევა მათ დანარჩენი მსოფლიო.

ამსტერდამში ველოსიპედებისგან ხშირად იქმნება საცობები, თუმცა ეს ქალაქი მსოფლიოში აღიარებულია ამ ტრანსპორტისთვის საუკეთესო ადგილად. ამსტერდამში 834 713 მცხოვრებზე 881000 ველოსიპედი მოდის, რაც ავტომობილების რაოდენობაზე ოთხჯერ მეტია.

GAZELLE

1892 წელს დაარსებული Gazelle წელიწადში 275 000 ველოსიპედს აწარმოებს, ის ნიდერლანდების საბაზრო ლიდერია და სამეფო ტიტულითაცაა დაჯილდოებული. Gazelle-ის მთავარი პრინციპი მაღალი ხარისხის ველოსიპედის წარმოებაა, Gazelle-ი ველოსიპედის ჩონჩხისა და სხვა ნაწილების 10-წლიან გარანტიას უზრუნველყოფს, რაც ნამდვილად იძლევა სიმშვიდის საფუძველს. ამ ველოსიპედს საღებავი არასოდეს შორდება, თანაც ქვასავით მაგარია და ძალიანაც რომ მოინდომოთ, ვერ გაკაწრავთ. როცა Gazelle-ის ველოსიპედს ყიდულობ, იცი, რომ ეს ხარისხიანი, გაძლე და ადვილად მოსავლელი შენაძენია.

ნიდერლანდებში ველოსიპედისტებისთვის განკუთვნილი გზები წითელი ფერის საფარითა და ნიშნულითაა გამოყოფილი. ველობილიკები არა მხოლოდ ქალაქებშია, არამედ ყველა გზატკეცილის გასწვრივ, ასევე მიჰყვება პარკებს, ტყეებსა და მინდვრებსაც კი. გზაჯვარედინებზე ველოსიპედების მოძრაობა რეგულირდება საგანგებო შუქნიშნებით, რომელთან მიახლოებისას ველოსიპედისტს შეუძლია ღილაკს თავად დაჭიროს ხელი და შუქნიშანი გადართოს. დილაობით, როცა სამსახურში მიიჩქარიან, ანდა სხვა ქალაქსა თუ სოფელში მიემგზავრებიან, ჰოლანდიელები ხშირად ველოსიპედით მიდიან რკინიგზის სადგურამდე და მათ სპეციალურ პარკინგზე ტოვებენ. ამ გასაჩერებელი ადგილების ფართობი ნამდვილად გაგაოცებთ.

VANHULSTEIJN

სწრაფი, ეფექტური და ხელნაკეთი ველოსიპედები კარგად მუშაობს, თანაც მასზე წამოსკუპებისას შესანიშნავად გამოიყურებით. პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, ველოსიპედის ჩონჩხის გამორჩეული ფორმაა. ის ძალიან მტკიცე და მყარია, შესაბამისად, არც ირყევა და არც ქანაობს.

პრემიუმკლასის ველოსიპედის ფასი 2800 €-დან იწყება, ხოლო ყველაზე საუკეთესო, შეკვეთით დამზადებული ველოსიპედის ღირებულება კი კლიენტის მოთხოვნებს შეესაბამება.

VOYAGER რჩევები

- ერიდეთ ველოსიპედისტთა ზოლის გასწვრივ ფეხით სიარულს: ყველა ამგვარი ზოლი, როგორც წესი, მკაფიოდაა გამოყოფილი პირობითი ნიშნით და მხოლოდ ველოსიპედით დადიან.
- ამსტერდამში ფეხმავლებს ველოსიპედისტები გზას იშვიათად უთმობენ. ჯობს, წინ ნუ გადაუდგებით ამ მუდამ მოჩქარე ადამიანებს და როგორც კი ველოსიპედის ზარს გაიგონებთ, გვერდზე გადახტით.
- ყველა ადგილობრივი მაცხოვრებელი, ფაქტობრივად, პროფესიონალი ველოსიპედისტია, ხოლო ველობილიკებზე ხალხის ნაკადის მოძრაობის საშუალო სიჩქარე – 24 კმ/სთ – ყველაზე მაღალია მსოფლიოში. ამსტერდამელებმა იციან, რომ მათი ველო-ინფრასტრუქტურა საუკეთესოა და ელიან, რომ ამას თქვენც გაითვალისწინებთ.
- მიმართულება ხელის გაშვერით აჩვენეთ სხვა ველოსიპედისტებს და გაითვალისწინეთ, რომ მოძრაობა მარჯვნივაა. ჩაფხუტები სავალდებულო არაა, მაგრამ ღამით ფარი აუცილებლად უნდა აანთოთ.
- ტრამვაის რელსების ღარები ველოსიპედის ბორბლებთან შედარებით სულ ოდნავ ვიწროა. მოულოდნელად თუ ამ ღარში ბორბალი გაიჭედა, ველოსიპედის მფლობელი აუცილებლად გადაფრინდება რამდენიმე მეტრში, უარეს შემთხვევაში – მის წინ მომავალი ტრამვაის მიმართულებით.
- ნიდერლანდებში ველოსიპედისტებს ქუჩებში მოძრაობისას გარკვეული უპირატესობები აქვთ. კანონის თანახმად, ველოსიპედისა და ავტომობილის შეჯახებისას დამნაშავედ მხოლოდ ავტომანქანის მძღოლი მიიჩნევა. ჰოლანდიელები ხუმრობენ: ღამით, ჩამქრალი ფარებით, ცალმხრივი მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგოდ მოძრაობისასაც კი ველოსიპედისტი მაინც უდანაშაულოა!

კონტრასტული ამსტერდამი

ლაშა ბუღაძე

რთულია რომელიმე ერთ შთაბეჭდილებაზე შეჩერება, როცა ამსტერდამზე გადაწყვეტ ლაპარაკს. ეს უცნაური და ულამაზესი ქალაქი (და, ამასთანავე, ეკოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ევროპაში) მრავალგვარ შთაბეჭდილებათა ნაზავს წარმოადგენს და რაც უნდა მოჰყვე მასზე, ყოველთვის უკმარისობის განცდა დაგრჩება.

აი, ახლაც ის ვიფიქრე, რემბრანდტის ამსტერდამზე დავწერ-მეთქი, მაგრამ უცებ ევროპის უძველესი და უნიკალური ორკესტრი – კონსერტხებაუ (Consertgebouw) გამახსენდა, რომლის საკონცერტო დარბაზიც ამსტერდამის ერთ-ერთი დაუვიწყარი შთაბეჭდილებაა; და, ცხადია, არა იმდენად ისტორიული დარბაზის, არამედ სწორედ ამ ორკესტრის სხვაგან არსმენილი და ხავერდოვანი ჟღერადობის გამო. მოგეხსენებათ, ყველა დიდ ორკესტრს თავისი „სპეციფიკური“ ჟღერადობა აქვს (ისევე, როგორც ყველა ცუდი ორკესტრის ჟღერადობა ერთნაირია), კონსერტხებაუს ჟღერადობისთვის კი სწორედ კონტრასტულობა, შეუსაბამობის შესაბამისობაა დამახასიათებელი: ანუ სინაზის და სიმტკიცის, „ხორკლიანობის“ და „გამჭვირვალობის“, სიშმაგის და სიმშვიდის, რაღაცნაირი არისტოკრატიზმის, სიდარბაისლის ჟღერადობაში და, ამავდროულად, სიგიჟისა და მოუხელთებლობის...

შესაძლოა სწორედ „კონტრასტულობა“ გახდა იმის მიზეზი, რომ გუსტავ მალერის სიმფონიების (ანუ ვაგნერის შემდგომი ეპოქის) ეტალონურ შემსრულებლად დღემდე ლეგენდარული კონსერტხებაუს ორკესტრი ითვლება. ათასობით მსმენელი სწორედ იმიტომ ჩადის ამსტერდამში, რომ „ნამდვილ“ მალერს მოუსმინოს – ისევე, როგორც „ნამდვილი“ ვაგნერის მოსასმენად მიდიან ბაიროითში და მოცარტისა კი – ვენასა თუ ზალცბურგში, ეს კი ორკესტრსა და ქალაქზე არანაკლებ ლეგენდარული დირიჟორის, ვილემ მენჰელბერგის დამსახურებაა, რომლის შესახებაც ასე ამბობდნენ ოდესღაც: გერმანიას კაიზერი მართავს, ნიუ-იორკს – კარუზო, ხოლო ამსტერდამს – მენჰელბერგიო.

იმასაც ამბობენ, რომ დიდმა დირიჟორმა თავისი მრავალფეროვანი, კონტრასტული ბუნების კვალი დაატყო ორკესტრს, რომელიც არა მხოლოდ მისი ან მალერის მუსიკის მახასიათებელია, არამედ, ზოგადად, ქალაქის ბუნებას და სულს გამოხატავს. თითქოს ამსტერდამიც მალერის სიმფონიების მსგავსია: მეტაფიზიკური და, ამავდროულად, „ნერვებში გამომწყვდეული“, ამაღლებული, რელიგიურიც კი და იქვე თითქოს მორალის მიღმიერი (უფრო იმორალური, ვიდრე ამორალური), მოწესრიგებული და ქაოტური, ყოველთვის თანამედროვე და მუდმივად ზედროული, დისტანცირებული და ინტიმური...

ამსტერდამი ორმაგ პარადიგმაში არსებობს: ყვავილებით მორთულ პატარა არხებში ბინძური გემები მიდი-მოდიან, კალვინისტური ტრადიციის თანახმად მუდმივად ფარდაგადაწეულ და, ერთი შეხედვით, თითქოს გაშიშვლებულ ფანჯრებში სინამდვილეში ბევრი არც არაფერი მოჩანს – ანუ გახსნილობა სულაც არ გულისხმობს რაიმეს „დანახვას“; „წითელი ლამპიონების ქუჩაზე“, შუშის გალიებში მსხდარი როსკიპების და სექსის თეატრების გვერდით ძალიან ბუნებრივად და მშვიდად თანაარსებობს სკოლა ან საბავშვო ბაღი... ჩემი თვალით მინახავს, როგორ გამოდიან ბავშვები სკოლიდან და სრულიად გულგრილად უვლიან გვერდს რომელიმე „ვიტრინას“... ამ ბავშვებმა იციან, რომ ეს ტურისტული სანახაობაა, ქალაქის ორიგინალურობის დამატებითი ელემენტი და, ბუნებრივია, არც ერთ ამსტერდამელ მამას ან ბიძას არ მოსდის თავში, თინეიჯერ შვილს რომელიმე ასეთ „ვიტრინაში“ შეუძღვეს, როცა „ბავშვს დავაჟკაცების ეტაპზე“ მოუწევს გადასვლა...

ამსტერდამის თავისუფლება ძალიან მშვიდია, განსხვავებულობა აქ ბუნებრივობის სინონიმია, ხოლო მაქსიმალიზმზე ზრდილობიანად გაეცინებათ... მაგალითად, თუნდაც იმგვარ მაქსიმალიზმზე, როგორიც ზოგიერთ ჩვენს თანამოქალაქეს ახასიათებს, რომელიც ამსტერდამში ჩასვლისთანავე ჩლუნგდება მოწევით...

შესაძლოა ამჯერად არც უნდა ვიხსენებდე ტრაგიკულ სტატისტიკას, მაგრამ ამსტერდამი მსოფლიოში პირველ ადგილზეა „კაიფში გაპარულ“ ქართველთა რაოდენობით, მაგრამ ეს უკვე ქართველების ვერ და არშეკავებულობის ამბავია და არა ამსტერდამის...

ამსტერდამის კულტურის ნაწილად ქცეული ყველაზე ცნობილი მაქსიმალისტ-პერფექციონისტებიც კი საკმაოდ გაწონასწორებულად გამოიყურებიან: ვთქვათ, ხსენებული რემბრანდტი ან დღეს უკვე ამ ქალაქის ღირსშესანიშნაობად ქცეული ვან-გოგი – მისივე ნახატების უნიკალური მუზეუმით, სადაც ისევე აუცილებელია მისვლა, როგორც ნაციონალურ მუზეუმში (Rijksmuseum) – რემბრანდტის „ღამის გუშაგისა“ და იან ვერმეერის შედევრების სანახავად. დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს „გარედან მოსული“ ფსიქოპათების – ნაცისტების ამსტერდამული კვალი: პატარა ებრაელი გოგონას სახლი, უფრო ზუსტად, სხვენი, სადაც ისევე ავდივართ, როგორც ფრანკების ოჯახი ადიოდა მეორე მსოფლიო ომის დროს... ეს ანა ფრანკის სხვენია – ოთახი, საიდანაც საკონცენტრაციო ბანაკში წაიყვანეს უნიკალური დღიურის ავტორი...

თუ როგორ მალავდნენ ამსტერდამელები ებრაელებს ნაცისტი ოკუპანტებისგან დასაცავად, ეს ამბები ყველაზე ნათლად წარმოაჩენს ამ ხალხის და ქალაქის თვისებებს: სიმტკიცესა და სიმშვიდეს, თავისუფლების სიყვარულსა და მოვალეობის შეგრძნებას...

ამსტერდამის კიდევ ერთი მახასიათებელი ველოსიპედზე მჯდომი აუტანლად ლამაზი გოგონებია – ემოციური სტუდენტები და მიზანსწრაფული დედები, რომლებიც თავიანთი შავი და განზრახ ძველი ველოსიპედებით სამ-ოთხ შვილს დაატარებენ ველური სისწრაფით: პატარა, ქერა და ლოყაწითელ ამსტერდამელებს...

ველოსიპედის სიძველე სტილია, ამასთანავე, პოსტო-კუპაციისდროინდელი ჩვევა – ფაშისტები ველოსიპედებს ართმევდნენ ამსტერდამელებს.

ეს ველოსიპედები, აწოწილ სახლებს შორის გამავალი არხები, კონსერტხებაუ, რემბრანდტ-ვან გოგ-ვერმეერი და დამასევდიანებელად სიმპათიური და ღონიერი გოგონები – ვინც რა უნდა თქვას – ამსტერდამის მთავარი შთაბეჭდილებებია...

*პოლდერი, ნიდერლანდები**

მემკვიდრეობითი თავისუფლების მიწები

აკა მორჩილაძე

ეს **პატარა ქვეყანაა**, ისეთი, საიდანაც **ზღვას** შეიძლება **ზემოთ** ახედო. თურმე ესეც შესაძლებელია. მოახერხეს. ზღვა გაწიეს. ეს **მიწები** დიდი ბრძოლის წლების და სისხლისღვრების შემდეგ იყო ყველაზე **თავისუფალი** და **ლაღი** მიწები მაშინდელ მსოფლიოში. **სილაღე,** ღიაობა, **სისადავე** და ამათ მოდევნებული უამრავი რამ თვისება, ასე რომ **ათავისუფლებს** ხოლმე **ადამიანს** და იოლსა და წრფელს ხდის სხვისთვის, **იქაურია** და იმ დროსა და ბრძოლაში შობილი, როცა **ადამიანებს** კოცონებზე წვავდნენ.

ევროპაში ასეა ხოლმე, რომ თანამედროვე ქვეყნების და მათი ახლანდელი საზღვრების ქვეშ სულ სხვა ქვეყნები ცოცხლობენ: ძველი, საოცარი, მდიდარი და განუმეორებელი ქვეყნები. კი, ახლა ევროპაში საერთოდ აღარ არის საზღვრები და ხშირად მხოლოდ მობილურ ტელეფონში ახალი ოპერატორისგან მოსული მესიჯით ხვდები, რომ აი, სწორედ ახლა გადასულხარ ერთი სახელმწიფოდან მეორეში.

საზღვრები არა, მაგრამ სახელმწიფოები ხომ არსებობს და სწორედ ამ სახელმწიფოების ქვეშ შემალულა ძველი და დიდი ისტორია. სამეფოები, საგრაფოები, ლეგნდარული, დღესაც ულმაზესი და ღრმა ქალაქები და მათი ძველისძველი საზღვრები კი სხვაა. ძველი ევროპის სამყარო სხვა სამყაროა. აი, საბჭოთა სკოლაში გვასწავლიდნენ სილეზიელ ფეიქართა აჯანყებას, მაგრამ არაფერი უთქვამთ თავად სილეზიის შესახებ, არც მისი გულის, ბრესლაუს და შთამბეჭდავი უნივერსიტეტის თაობაზე. არც ის, რომ ეს ქალაქი ახლაც კვლავაც საოცარი, პოლონური ვროცლავია.

* *პოლდერი, სანაპიროს ამოშრობილი და დამუშავებული მიწის მონაკვეთი, განლაგებულია ზღვის დონეზე დაბლა და გარშემო არსებული წყლებისგან დაცულია ნაყარით, ჯებირითა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობებით. პოლდერებში გრუნტის წყლების დონე დრენაჟული მოწყობილობებით რეგულირდება.*

ძველი ევროპის საზღვრები მოძრავია, ისტორიები – დაუსრულებელი. საერთოდაც, ეს დღევანდელის ქვეშ შემალული ძველი ევროპა კვლავ არსებობს, ოღონდ ცოტა სხვანაირად. ის ყველაფერი ცოცხალი და დაფარული, თითქოს რეალობიდან ნახევარი გრადუსით გადახრილი, უკეთეს თუ კვლავ გამოჩენის, ხელახლა მოხმობის დრომდე.

ამ ძველი სამყაროს ამბავი იმიტომ გამახსენდა, რომ ჰოლანდიის, უფრო სწორად კი, ნიდერლანდების შესახებ შეიქნა დასაწერი და ასეთ დროს უამრავი რამ მოგდის ხოლმე თავში. რა თქმა უნდა, ყველაფერი იქაური ძველი ოსტატების, მხატვრების თამადობით.

ეს, მგონი, სწრედ ის ხალხია, რომელმაც სამყარო უკიდეგანოდ გაამდიდრა. გასაკვირი ცხოვრების ხალხი. ახლა მათ ჩამოთვლას აზრიც არა აქვს. ყველამ ვიცით და მათი მაგია ხელოვნებას ურყევად მოჰყვება. სულაც არ არის აუცილებელი, ყველაიქაურიმხატვარირემბრანდტი,ვერმეერი,ბრეიგელი,ვან დეიკი და რეისდალი იყოს. იყვნენ სხვანიც, მცირე ჰოლანდიელებად წოდებულები. მეთექვსმეტე საუკუნეში ნიდერლანდებში ორი ათასზე მეტი მხატვარი ცხოვრობდა და ისე გამოვიდა, რომ მათი მხატვრობა მხოლოდ ხელოვნება არ გამოდგა, არამედ ისტორიაც.

როდესაც იქაურ ქალაქებში დადიხარ, თითქოს იმ ნახატებს ათვალიერებ. ის ყველა ჰოლანდიელი ოსტატი დიდი სამყაროს მაშენებელია და ჯერ მარტო მათგან ნახატი ხორაგით დაზნექილი სამზარეულოს მაგიდები არ ამოუვა ადამიანს თავიდან, ანდა იქაური ქალაქების გაყინული მდინარეები, ზამთარში მთავარ მოედნებად რომ იქცეოდა ხოლმე, ზედ მოსეირნე ხალხით, ციგურებიანი ბიჭებით და გოგოებით, სურათებით იმ დროისა, როცა არ იყო თვითმფრინავები, ტელევიზორები, აიფონები და ელექტროენერგია და მაინც იდგა ისეთი სინათლე და ისე თამაშობდნენ შუქი და ჩრდილი, რომ მათ დანახვას და ხელოვნებად ქცევას ამ ოსტატებმა ცხოვრება მიუძღვნეს.

რასაკვირველია, ეს გახსენდება და მერე ისა, რომ ეს მიწები დიდი ბრძოლის წლების და სისხლისღვრების შემდეგ იყო ყველაზე თავისუფალი და ლაღი მიწები მაშინდელ მსოფლიოში.

სილაღე, ღიაობა, სისადავე და ამათ მოდევნებული უამრავი რამ თვისება, ასე რომ ათავისუფლებს ხოლმე ადამიანს და იოლსა და წრფელს ხდის სხვისთვის, იქაურია და იმ დროსა და ბრძოლაში შობილი, როცა ადამიანებს კოცონებზე წვავდნენ.

უამრავი რამ გაგახსენდება და, მათ შორის, ისიც, რომ ზღვა ღმერთმა შექმნაო და ზღვის ნაპირი – ჰოლანდიელებმაო, სხვანაირად კი – ის დამგები, პატარა ქვეყანას ზღვის ხარჯზე თავისი მიწის გასაზრდელად რომ უშენებია და სხვაც უამრავი. ისიც, რომ ყოველგვარი სიახლის თამამად მიმღები და გამთავისებელი ხალხია და სულ რომ არაფერი ვიცოდეთ, იმას მაინც მოვიგონებთ, რომ ამ ნახევარი საუკუნის წინათ სწორედ ჰოლანდიელებმა შეუცვალეს იერი ფეხბურთს.

აი, როცა ვაგგოგთ ხოლმე, ევროპაში ვიყავიო, რალაც განწყობას ხომ ვდებთ ამაში? ჰოდა, ნიდერლანდებზე თავიდან ბოლომდე ევროპა ძნელი ნარმოსადგენია.

ეს, რაც ხილული და ისეთია, ყველას რომ პირზე ეკერება ყოველთვის და კიდევ ერთი, საბჭოთა დროში მწარე ანეკდოტად ქცეული: ჰოლანდიაში ძროხებს ორასი წელიწადია პასპორტები აქვთ, საბჭოთა კავშირში კი კოლმეურნეებს მხოლოდ ბრეჟნევმა აღირსა პასპორტიო.

ეს სანიმუშო გლეხობის, ხელობის, თავისუფალი ხალხის, დიდი ვაჭრების, მშენებლების, დიდგვაროვნების, დიდი შემოქმედების, დიდი მოაზროვნეების, დიდი ცვლილებების მქმნელი ხალხის ქვეყანაა იმ მდუმარე, ჭკვიანი, ვითომ ფლეგმატური ვილემ ორანელის და ერაზმუსის თამადობით; და ცალკე კიდევ, აუცილებლად გაგახსენდება მათი ამერიკა, ცალკე დიდი ისტორია, თუნდაც ის მანჰეტენობა და ჰარლემობა, რასაც მერე სულ სხვა სახელი, ახალი ინგლისი დაერქვა.

ჰოლანდიური ზღვაოსნობა, კიდით კიდემდე ცურვა, რუკების შედგენა. ხომ ცნობილია, რატომ ჰქვია ახალ ზელანდიას ახალი ზელანდია? ეს დიდი სამყაროა, აღორძინების და აზროვნების ღონიერი ფრთა.

მაგრამ ამ საყოველთაო ჩამონათვალზე წინ სულ ერთი ამბავი მახსენდება: ამ ოცი-ოდახუთიოდე წლის წინათ ბელგიის რომელიღაც ქალაქში მოჭიდავეთა რაღაც შეჯიბრი გაიმართა. იქ ერთი ქართველი მაყურებელიც მოხვდა, რაც მაშინ ხშირი ამბავი არ იყო და ამ ახალგაზრდა კაცს იმგვარად მოერია გრძნობები, რომ ღამით ტაქსის მოახტა და ქალაქ დამეში გაქანდა, სადაც მთელი ღამის განმავლობაში უშედეგოდ დაეძებდა ყანჩის ქუჩას და მერე კი მობრუნდა იმედგაცრუებული. ამ ამბავს რომ მიყვებოდა, დანანებით გააქნია თავი, არ იყო იქ ყანჩის ქუჩაო, არც ვინმეს ოდესმე გაეგონაო.

დამე – ფლანდრიაა, ფლანდრია კი – ბელგიის რეგიონი, რომელსაც ნიდერლანდული დაერქმევა წერა-კითხვითაც და ლაპარაკითაც. ეს, უბრალოდ, თანამედროვე განმარტებაა. ასეთია დღევანდელი საზღვრები და ოდინდელი პოლიტიკური შეთანხმება. მაგრამ ძველი ფლანდრია – ეს დიდი ისტორიაა.

ის ქართველი რომ ყანჩის ქუჩას ეძებდა დამეში, სწორედ იქ დაიბადა ტილი, ულენშპიგელად ცნობილი. რა თქმა უნდა, მხოლოდ შარლ დე კოსტერის წიგნის ულენშპიგელი; აბა, ნამდვილი ულენშპიგელისა, საქსონელები საქსონელობას ამბობენ, ფლანდრიელები – ფლანდრიელობას, სხვანი კიდევ – სხვას. წიგნი კი, შარლ დე კოსტერმა რომ დაწერა ტილის და მისი მეგობრის, ლამე გუზაკის შესახებ, მრავალ ათას საოცარ ფერთაგან, უპირველესად და წარუშლელად გვიტოვებს ფერთა უწვეტ თამაშს იმ სულისას, რომელიც ამ მიწებზე მცხოვრებ ადამიანებს დაჰყოლოდათ. დღეს ფლანდრია კი ბელგიაა, მაგრამ დე კოსტერის ულენშპიგელი ნიდერლანდების სულია. სიცილი, სილაღე და ბრძოლა. ყველაფერი სიყვარულით, უტეხობით, მოუღლელობით, ცოდნით.

ნიდერლანდებს ვინ აღარ იპყრობდა, ვინ აღარ ეომებოდა და ვინ აღარ ეპოტინებოდა. ესპანეთიო, ინგლისიო, გერმანიაო. ასე ქვეყნებად, სამთავროებად, რად აღარ. დიდი სისხლია დაღვრილი, დიდი წინააღმდეგობაა გაწეული და დიდი გმირობაც ჩადენილი. უფრო ჰოლანდიას ვეძახით, მაგრამ

*ტიტების ველი ნორდოსტპოლდერში, ნიდერლანდები**

ჰოლანდია სამხრეთი და ჩრდილოეთი ნიდერლანდების თორმეტთაგან მხოლოდ ორი პროვინციაა, თუმცა ჩვენთვის კარგად ცნობილი ქალაქებით – ამსტერდამით, როტერდამით, ჰააგითა და ჰაარლემით სახელგანთქმული.
უბრალო, საშაბათკვირაო ტურისტმა იცის ორი „საჭირო“ რამ, რაც აქ არის: მათრობელა ბალახების მოსაწევი კანონიერი კაფეები და ვიტრინებიდან კანონიერადვე მომღიმარი მეძავები. განსაკუთრებით ხშირად ახსენებენ ხოლმე ამსტერდამს, თუმცა კანონი მთელ ჰოლანდიაში ერთია. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა იმასთან შედარებით, რაც შეიძლება ვიპოვნოთ და შევიგრძნოთ ნიდერლანდებში, თუმცა ზოგიერთი ამ ცოდნას იმასაც უმატებს, რომ აქ ვან გოგისა და რემბრანდტის ბევრი მუზეუმია და კიდევ იმას, რომ ამ ქვეყანაში ბევრი ტიტა მოჰყავთ. თუმცა ესეც ნამცეცია იმისა, რამაც ნიდერლანდებში უნდა დაიპყროს გული, გონება და ფიქრი.

გზებს რომ საუკუნეებია ქარის წისქვილები გასდევდნენ, ისინი არავის დაუნგრევია. უბრალოდ, ახლა ქარის წისქვილებს ქარის ენერგიის წისქვილებიც შემატებია და სწორედ ძველის და ახლის ფრთათა მშვიდ ბრუნვაში მიუყვები გზებს ქალაქიდან ქალაქამდე. ველოსიპედით. უველოსიპედოდ ნიდერლანდებს რას გაუგებ?! ან რას დაინახავ იქაურობისას?! და აუცილებლად, ახალგაზრდები და ველოსიპედი. ეგებ არაფერ კავშირშია, მაგრამ იქაური ახალგაზრდების ნახვისას ჩანს ხოლმე, რა არის ის ძალდაუტანებელი, ჩვეულებრივი, სიმძიმეების გარეშე მოარული და მაცხოვრებელი მემკვიდრეობით თავისუფლება.

ნიდერლანდები დიდი სითამამის ქვეყანაა და ეს სითამამე უგრაღოდ და მშვიდობიანად აქვს მერგებული. სკოლადამთავრებული ჰოლანდიელები რამდენიმე ენაზე ლაპარაკობენ და, მგონი, საერთოდ არაფერი უკვირთ, თუმცა მათში ვერც ინგლისურ მედიდურობას აღმოაჩენ და ვერც იტალიურ მეტიჩრობას.

ნიდერლანდები დაბალ მიწებს ნიშნავს, რაც გასაგებია. მაგრამ, მგონი, ერთი გაგებით ეს ძალიან მაღალი მიწებია.

ეს პატარა ქვეყანაა, ისეთი, საიდანაც ზღვას შეიძლება ზემოთ ახედო. თურმე ესეც შესაძლებელია. მოახერხეს. ზღვა გაწიეს. და ეს არხებით დაქსელილი ქვეყანაა. დადექი ამსტერდამში ან ლეიდენში და ეცდები, საკუთარი თავი დაინახო მოლივლივე წყალში.

ახლა, რომ მოვყვეთ და ვთქვათ, უბრალო და ჩვეულებრივი ადგილი ნიდერლანდებში სანთლით საძებარია. ეგებ აქ მეზობელთა სამზარეულო მიღწევებით ვერ დაიკვეხნონ, მაგრამ წამოყევი და მოიარე, როტერდამი, მაასტრიხტი, ჰააგა, უტრეხტი, ნაარდენი, ჰაარლემი, ბლუმენდაალი, არნემი, კატვიიკი და კიდევ რამდენი!.. ყველა რაღაცაა, ყველა ნაშენებია და კიდევ ერთი რამ: აი, როცა ვამბობთ ხოლმე, ევროპაში ვიყავიო, რაღაც განწყობას ხომ ვდებთ ამაში? ჰოდა, ნიდერლანდებზე თავიდან ბოლომდე ევროპა ძნელი წარმოსადგენია. საერთოდ, ევროპა ეგ არი, რაც ეს ქალაქებია.

შეაბიჯებ თუ არა, თვალწინ გადაგეშლება ამ ხალხის მიერ ბოლო ხუთასი-ექვსასი წლის განმავლობაში ნამოქმედარი, ნაჯაფარი და ნაფიქრალი. არც უნდა ბევრგან მისვლა. საკმარისია, ამის შესაგრძნობად ქალაქ დელფტში მოხვდე, როტერდამსა და ჰააგას შორის რომ ძევს, და მის ბაზრის მოედანზე გაიარო, სადაც ძველი რატუშა წამომართულა. ნიდერლანდები დაბალ მიწებს ნიშნავს, რაც გასაგებია. მაგრამ, მგონი, ერთი გაგებით ეს ძალიან მაღალი მიწებია.

* *ნიდერლანდები მსოფლიოში პირველ ადგილზეა ხეების, ნერგების, ფესვებისა თუ ყვავილების ექსპორტის მხრივ – მას მსოფლიო ბაზრის 44% უჭირავს.*

დამზადებულია ჰოლანდიაში

მომცრო, ზღვის დონეზე საგრძნობლად დაბლა გაშლილ დელტაზე მიწა განსაკუთრებულად ფასობს. ჰოლანდიური ფერმები მსოფლიოში განთქმულია შრომის ნაყოფიერებით, მდგრადობითა და ეფექტიანობით. სოფლის მეურნეობაში დაგროვილი ცოდნა-განათლების, ნაყოფიერი ნიადაგის, ინტენსიური მეურნეობის, შრომის ხარისხისა და სავაჭრო გამოცდილების წყალობით, ჰოლანდიის აგროპროდუქტი დღეს უკვე მსოფლიოს ყველა კუთხეში გადის საექსპორტოდ.

აგრონაწარმის მეორე უდიდესი ექსპორტიორი

2016 წელს ჰოლანდიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მთლიანმა ღირებულებამ 82,4 მილიარდი ევრო შეადგინა (პირველ ადგილზეა აშშ-ია). ჰოლანდიური სასოფლო-სამეურნეო საქონლის უდიდესი მომხმარებელი გერმანიაა, რომელმაც შარშან 11,1 მილიარდი ევროს ჰოლანდიური ნაწარმი შეიძინა. გლობალურ კონკურენტებთან მეტოქეობაში ჰოლანდიის სოფლის მეურნეობა უპირატესობას მზარდი კაპიტალდაბანდებებით და ამ სფეროში მუდმივი ინოვაციებით ინარჩუნებს.

მემცენარეობა

ჰოლანდია მსოფლიოში პირველ ადგილზეა ხეების, ნერგების, ბოლქვებისა თუ ყვავილების ექსპორტის მხრივ. მეყვავილეობის დარგში ჰოლანდიას 44% უჭირავს მსოფლიო ვაჭრობაში. ყვავილის ბოლქვებით ვაჭრობის 77% ასევე ჰოლანდიაზე მოდის და მეტწილად ეს ტიტას ეხება.

სათბურეები

ქვეყანაში სათბურებს 60 კვ.კმ-ზე მეტი უკავია და ესაა შუშის მთელი ქალაქი, რაც გარემოზე შედარებით ნაკლებ ზეგავლენას ახდენს. უპირველესი ყურადღება ისეთ კონცეფციებსა და ტექნოლოგიებს ენიჭება, რომლებიც ჰავის ცვლილებებისადმი უფრო მდგრადია. 2500ჰა-ზე განლაგებული „ვესტლანდი“ სათბურების ერთი მთლიანი, ყველაზე დიდი არეა მსოფლიოში. ჰოლანდიის სათბურებში სექტორის საექსპორტო მაჩვენებელი 75%-ს უტოლდება და ყოველწლიურად 1-2%-ით იზრდება. ჰოლანდია სხვადასხვა მცენარეული თესლის უდიდესი ექსპორტიორიცაა. შემოსავალი აქედან 1.5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს და ყოველწელს 5%-ით იზრდება.

კვლევები და ექსპერიმენტები

ნიდერლანდებს ლიდერია აგრარულ სექტორში სამეცნიერო კვლევების მხრივაც. მთავრობა მნიშვნელოვან ინვესტიციას დებს სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარებაში -საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, ინოვაციური პროგრამების დანერგვისა და ისეთი სტრუქტურების შექმნის გზით, როგორიცაა "Food Valley", რომლის კვლევითი ცენტრი ვაგენინგენის უნივერსიტეტში, მთელ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი სტრუქტურაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კვლევის მხრივ.

2016 წელს ჰოლანდიას მსოფლიოში I ადგილი ეკავა კარტოფილის თესლის ექსპორტის მაჩვენებლით, ხოლო IV – ახალი თუ ცივად შენახული კარტოფილის ექსპორტის მხრივ.

მსოფლიო ბაზარზე ჰოლანდია ბოსტნეულის რიგით II უდიდესი ექსპორტიორია და მხოლოდ ჩინეთს ჩამორჩება; აშშ-ის, ესპანეთისა და ჩილეს შემდეგ ის IV-ეა, როგორც ხილის ექსპორტიორი.

ჰოლანდიაში მდებარეობს ყვავილებისა და მცენარეების უდიდესი აუქციონიც, რომელზეც წელიწადში 12,4 მილიარდი ყვავილი და სხვადასხვა მცენარე იყიდება, წლიური ბრუნვა კი 4,5 მილიარდი ევროა. ქვეყნის დადებითი სავაჭრო სალდოს 20% სწორედ ჰოლანდიის მემცენარეობის დარგის დამსახურებაა.

მსოფლიოს 25 წამყვანი კომპანიიდან, რომლებიც კვების ნაწარმსა და სხვადასხვა სასმელს უშვებენ, 3-ს თავისი საწარმოები სწორედ ჰოლანდიაში აქვს განთავსებული.

სამეფო ოჯახი

დედოფალმა ვილჰელმინამ სამეფო ოქროს ეტლი საჩუქრად 1898 წელს ტახტზე ასვლის საპატივცემულოდ მიიღო ამსტერდამის მცხოვრებლებისაგან. ეტლი ძმებმა სპეიკერებმა დაამზადეს მოოქრული ტიკის ხისგან და ჰოლანდიური რენესანსის სტილის ნახატებით მორთეს.

ყოველი წლის სექტემბრის მესამე სამშაბათს, ზუსტად 13 საათზე, ნიდერლანდების მეფე ტოვებს ნოორდეინის სასახლეს და ოქროს ეტლით ბინენჰოფში მიემგზავრება, სადაც მეფის მისასალმებელი სიტყვით იხსნება პარლამენტის ყოველწლიური სესია.

ნიდერლანდების მეფემ, ვილემ-ალექსანდერმა წელს თავის იუბილეზე აღიარა, რომ სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგაც კი რეგულარულად მუშაობდა მეორე პილოტად KLM City-hopper-ის სამგზავრო თვითმფრინავზე, თუმცა ინკოგნიტოდ რჩებოდა.

ის ნიდერლანდების მეფე 50 წლის ასაკში, 2013 წელს გახდა, მას შემდეგ, რაც დედა-დედოფალმა ბეატრიქსმა ტახტზე უარი თქვა. სკოლის დამთავრების შემდეგ პრინცმა სამეფო საზღვაო ჯარში მოიხადა სამხედრო სამსახური. 1987 წელს Rijksuniversiteit Leiden-ში ისტორიის შესწავლას შეუდგა, შემდეგ კი სამხედრო ლიცენზია მოიპოვა და ნიდერლანდების თავდაცვის კოლეჯში საგანგებო კურსი გაიარა.

ტახტზე ასვლამდე უამრავ სფეროში იყო ჩართული, მათ შორის, წყლის რესურსების მართვაში, ინფრასტრუქტურაში, სპორტსა და თავდაცვაში. მას შემდეგ, რაც მონარქის ტიტული მოიპოვა, ის სახელმწიფოს მეთაურია, მისი ფუნქციები სახელმწიფო აქტების გამოცემა და კანონების ხელმოწერა, მთავრობის წევრებისაგან ფიცის მიღება და საცერემონიო საკითხებია. მეფე მართავს სახელმწიფო ვიზიტებს და აქტიურად უჭერს მხარს სოციალურ ინტიტუტებს.

დედოფალი მაქსიმა ზორეგუიეტა არგენტინაშია დაბადებული და ბავშვობა ბუენოს აირესში გაატარა. მაქსიმა სკოლის დამთავრების მერე არგენტინის კათოლიკურ უნივერსიტეტში სწავლობდა, ხარისხის მიღების შემდეგ კი, 1995-2000 წლებში ნიუ-იორკში მუშაობდა. სამეფო ტახტის მემკვიდრეს იგი ესპანეთში, სევილიაში გამართულ წვეულებაზე შეხვდა.

2001 წელს მაქსიმამ ჰოლანდიის მოქალაქეობა მიიღო, ხოლო 2002 წელს ის და პრინცი ვილემ-ალექსანდერი ამსტერდამში დაქორწინდნენ. ცერემონია ახალ ეკლესიაში, Nieuwe Kerk-ში ჩატარდა. მას შემდეგ მაქსიმა სამეფო საქმეებში უდიდეს როლს თამაშობს, ვიზიტებზე თან ახლავს მეუღლეს და ოფიციალურ ღონისძიებებზე სამეფო ოჯახის სახეა.

მეფე ვილემ-ალექსანდერსა და დედოფალ მაქსიმას სამი ქალიშვილი ჰყავთ: ტახტის მემკვიდრე პრინცესა ამალია, პრინცესა ალექსია და პრინცესა არიანა. მეფის მსგავსად, პრინცესებიც სახელმწიფო სკოლაში სწავლობენ.

ყოფილი დედოფალი, ამჟამად პრინცესა ბეატრიქსი სამეფო ოჯახის მნიშვნელოვანი წევრია. ის ტახტზე 1980 წლის 30 აპრილს ავიდა, მისი მემკვიდრე ვილემ-ალექსანდერი დედოფლის ინაუგურაციიდან ზუსტად 33 წლის შემდეგ გახდა მეფე – მას შემდეგ, რაც ბეატრიქსი ტახტიდან გადადგა.

ჰოლანდიის მონარქია ახალგაზრდაა. ნიდერლანდების სამეფოს საფუძველი 1815 წელს ჩაეყარა. ვილემ I, ნიდერლანდების პირველი მონარქი ორანელ-ნასაუს საგვარეულოდან იყო.

სლოგანი „JE MAINTIENDRAI" („მე დავიცავ"), დროშის ფერები და ნაციონალური ფერი – ნარინჯისფერი ორანელ-ნასაუს საგვარეულო ტრადიციებია.

1795 წლამდე ნიდერლანდები შვიდი ავტონომიური პროვინციისაგან შემდგარი რესპუბლიკა იყო. ფრანგული ოკუპაციის შედეგად ქვეყანა თანამედროვე ერთიან სახელმწიფოდ იქცა (1795-1806), შემდეგ – სამეფოდ, სადაც ნაპოლეონმა თავისი ძმა, ლუი დანიშნა ჰოლანდიის მეფედ (1806-1810). 1813 წელს ნიდერლანდებმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, გადახვეწილი პრინცი ვილემ ფრედერიკი დაბრუნდა და სუვერენული ტახტის მემკვიდრედ იქცა.

მეორე მსოფლიო ომამდე ნიდერლანდების სამეფო უამრავი კოლონიას ფლობდა აზიაში, სამხრეთ ამერიკასა და კარიბის ზღვაში. 1949 წელს დედოფალმა ჯულიანამ დეკოლონიზაციის პროცესი დაიწყო აღმოსავლეთ ინდონეზიის კუნძულების გათავისუფლებით, 1963 წელს კი გაერთიანებულმა ერებმა ახალი გვინეა ინდონეზიას დაუბრუნეს.

1954 წლის 15 დეკემბერს დედოფალმა ჯულიანამ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც მისი მმართველობის ქვეშ დარჩენილმა კოლონიებმა ავტონომია მოიპოვეს შიდა საქმეებში. 1975 წელს სურინამმა ნიდერლანდების სამეფო დატოვა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა.

ნიდერლანდები კონსტიტუციური მონარქიაა, მეფეს შეზღუდული ძალაუფლება აქვს. მას იმუნიტეტი იცავს, მაგრამ ნამდვილი ხელისუფლება მინისტრთა კაბინეტის ხელშია. მეფე ნაკლებად აქტიურ ჩანს განცხადებებს პოლიტიკურ თემებზე.

მეფის ბიუჯეტი, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს, ზუსტადაა გათვლილი მისი ოფიციალური ვალდებულებებისა და საქმეების შესაბამისად. 2016 წელს ამ თანხამ 40 085 მლნ ევრო შეადგინა. ჰოლანდიის სამეფო ოჯახი უფრო მაღალბიუჯეტიანია, ვიდრე ბრიტანული უინძორების საგვარეულო, რომლის პირდაპირი ხარჯები შარშან 29.7 მილიონს შეადგენდა.

27 აპრილს მთელი ჰოლანდია ერთ დიდ წვეულებადაა ქცეული! ყველაზე დიდი ქალაქებიდან პატარა დაბებამდე მოსახლეობა მეფის დღეს ზეიმობს. ამ დღეს სამეფო ოჯახი ერთ ან ორ ქალაქს სტუმრობს. ასე რომ, თუ გაგიმართლათ, შესაძლოა მათი ხილვა თავადაც შეძლოთ.

მეფისადმი მიძღვნილ ნადიმზე სადღეგრძელოს თქმა აუცილებელია. მეფის დღეს ხალხი მონარქის სადღეგრძელოს ნარინჯისფერი მწარე ლუდით სვამს, ღია შეფერილობის ალკოჰოლური სასმლით. ეს სასმელი 1620 წელს შეიქმნა პრინცი ფრედერიკ ჰენრის გამარჯვების აღსანიშნავად. როცა ვილემ ორანელი მეფე გახდა, ტრადიცია აღდგა და ნარინჯისფერი ლუდი ისევ დაამზადეს.

სამეფო სასახლე ამსტერდამში, დამის მოედანზე მდებარეობს. ეს ნაგებობა ვილემ-ალექსანდერის რეზიდენცია არაა, მაგრამ მონარქი აქ ხშირად იღებს მნიშვნელოვან სტუმრებს. 350-წლოვანი ნაგებობა თავდაპირველად ქალაქის მუნიციპალური შენობა იყო, 1808 წელს ნაპოლეონ ბონაპარტმა ის სასახლედ აქცია. აქ ხელოვნების ნიმუშების შესანიშნავი კოლექცია ინახება. როცა შენობა სამეფო ღონისძიებებისთვის არ გამოიყენება, ის საზოგადოებისთვის ღიაა. სამეფო სასახლე იმ სამ რეზიდენციათაგანია, რომელსაც სამეფო ოჯახი იყენებს. შეგიძლიათ საკუთარი თვალით იხილოთ ტრიბუნალი და თითქმის ყველა დარბაზი პირველ სართულზე, მათ შორის, ბურგომისტრის საბჭოს ოთახი, ქალაქის საბჭოს კაბინეტი და მაგისტრების სასამართლო დარბაზი.

სასახლეში შესვლისას ჩანთა, ქოლგა და პალტო გარდერობში უნდა დატოვოთ, მხოლოდ მცირე ზომის პლასტმასის ჩანთით შეგიძლიათ ატაროთ პატარა საჭირო ნივთები. ფრთხილად მოეპყარით ექსპონატებს, სამეფო სასახლეში რაიმეს გატეხა ძვირად დაგიჯდებათ.
ღიაა: ორშაბათიდან კვირის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 სთ-მდე.
ფასი: უფროსებისთვის – 10,00€; ბავშვებისთვის – უფასო.

Dam; www.paleisamsterdam.nl Koninklijk Park 1

HET LOO PALACE

სასახლე 1685 წელს ააშენა მეფისნაცვალმა უილიამ III-მ (მოგვიანებით, დიდი ბრიტანეთის მეფე უილიამმა). ამ სასახლეს სამეფო ოჯახი სამი საუკუნის განმავლობაში იყენებდა, როგორც საზაფხულო რეზიდენციას. 1971 წელს Het Loo Palace-ი მუზეუმად იქცა, სადაც დამთვალიერებლებს შეუძლიათ ნახონ, როგორ ცხოვრობდა სამეფო ოჯახი წლების განმავლობაში.

Het Loo Palace გელდერლანდის პროვინციაში, აპელდოორნთან ახლოს მდებარეობს. ის შესანიშნავი ავეჯითა და დიზაინის ელემენტებითაა გაწყობილი, ბაროკოს სტილის ბაღის გამო მას ჰოლანდიურ ვერსალსაც უწოდებენ.

ულამაზესი ბაღის და ხელოვნების ნიმუშების შესანიშნავი კოლექციის დასათვალიერებლად ამსტერდამიდან შეგიძლიათ მატარებლით გაემგზავროთ, რომლის ბილეთის ფასი 14 ევროა (ცალმხრივი გზა). მგზავრობას 1 საათი და 20 წუთი სჭირდება.

ღიაა: სამშაბათიდან კვირის ჩათვლით, 10.00-დან 17.00-მდე.
ფასი: უფროსებისთვის – 14,00€; 4-12 წლის ბავშვებისთვის – 5,00€.

Apeldoorn

PALEIS NOORDEINDE

1609 წლიდან, როცა სახელმწიფომ ჰააგაში მდებარე ეს სასახლე ვილემ ორანელს აჩუქა, ნაგებობა სამეფო ოჯახის საცხოვრებლად იქცა. ამჟამად ნიდერლანდების მეფე მას ოფიციალურ რეზიდენციად იყენებს. საზოგადოებისთვის სასახლე დაკეტილია, თუმცა მის ბაღში შეგიძლიათ სიმშვიდითა და სიჩუმით დატკბეთ. Paleistuin ანუ სასახლის ბაღი ჰააგის ერთ-ერთი მარგალიტია. რომანტიკული პარკი ბუჩქნარით, ყვავილებით, შადრევნებით, ცოცხალი ღობეებითა და გუბურებით მოგხიბლავთ. მის სიახლოვეს სამეფო საჯინიბოა განლაგებული. ამ ნაგებობაში, რომელიც არქიტექტურულ ძეგლად მიიჩნევა, სხვა ფასეულ ექსპონატებთან ერთად, ოქროს სამეფო ეტლი ინახება.

Noordeinde 68, Den Haag; www.royal-house.nl

ჰოლანდიის ფიზიკურ რუკაზე წყალს ძალიან დიდი ადგილი უჭირავს. ევროპის **სამი დიდი მდინარე** (რაინი, მაასი და შელდტი) სწორედ ჰოლანდიის ტერიტორიის გავლით ჩაედინება ოკეანეში და მათი ერთობლიობა მთელ დელტას ქმნის. ნიდერლანდების ტერიტორიის **26%** **ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს**. წყალთან საუკუნოვანი ბრძოლის განმავლობაში ჰოლანდიელებმა დამცავი ზღუდეების, ჯებირებისა და კაშხლების ურთულესი სისტემა შექმნეს და მიწის მნიშვნელოვანი ფართობის დაშრობაც მოახერხეს.

ნიდერლანდები VS **ჰოლანდია**
მაინც რა განსხვავებაა ნიდერლანდებსა და ჰოლანდიას შორის? ნიდერლანდები 12 პროვინციისაგან შედგება, თუმცა ბევრი ამ ქვეყანაზე საუბრისას მაინც „ჰოლანდიას“ ამბობს ხოლმე. თავის მხრივ, ჰოლანდია მხოლოდ ორი მხარისაგან შედგება – ესენია ნორდი და ზუიდ-ჰოლანდი. თორმეტივე პროვინციის ერთობლიობას კი „ნიუდერლანდები“ ეწოდება. რაც შეეხება ქვეყნის სრულ დასახელებას, ის ასე ჟღერს: „ნიდერლანდების სამეფო“.

ქვეყნის ტერიტორია: **41 543**კმ²
(აქედან 18,41% წყალია)
ხმელეთი **33 800**კმ²
მთლიანი მოსახლეობა: **17 003 214** ადამიანი
მოსახლეობის სიმჭიდროვე 1კვ. კმ-ზე **503**

სახელმწიფოს მეთაურია
მეფე ვილემ-ალექსანდერი.
ის ნიდერლანდების პირველი მეფეა 1890 წლიდან. ნიდერლანდების სამეფოს მონარქები ვილემ III-ის შემდეგ დედოფლები იყვნენ.

ქვეყნის დედაქალაქია ამსტერდამი, თუმცა მთავრობა ჰააგაშია.

მთელი მოსახლეობის 40% ე.წ. „რანდშტადშია“ თავმოყრილი – ასე უწოდებენ დიდი ქალაქების – ამსტერდამის, როტერდამის, ჰააგისა და უტრეხტის ერთობლიობას.

ამჟამად ნიდერლანდების სახელმწიფო დროშის ფერებია **წითელი, თეთრი და ლურჯი**. ძველი დროშის ფესვები ნარინჯისფერი, თეთრი და ლურჯი საუფლისწულო დროშიდან მოდის, რომელსაც ჰოლანდიური ჯარი ესპანელ ჰაბსბურგებთან ოთხმოცწლიანი ომის დროს იყენებდა. ომის დამთავრების შემდეგ ის წითელ-ზოლიანმა სახელმწიფო დროშამ ჩაანაცვლა. **ვილემ ორანელმა** ოდესღაც **ნარინჯისფერი** აირჩია; დღემდე ჰოლანდიელები ამ ფერს უდიდეს პატივს სცემენ, მიუხედავად იმისა, რომ დროშას ამ ფერის ზოლი აღარ აქვს.

1588-იდან 1795 წლამდე ტერიტორია, რომელიც ამჟამად ნიდერლანდებს უკავია, **„7 გაერთიანებული მიწის რესპუბლიკად“** იხსენიებოდა. 1795 წელს ის საფრანგეთის ჯარმა დაიპყრო და „ბატავიის რესპუბლიკად“ აქცია. მოგვიანებით კი ნაპოლეონ ბონაპარტმა აქ თავისი ძმა, ლუი გაამეფა და რესპუბლიკაც 1806 წელს სამეფოდ გარდაიქმნა.

სამეფოდვე რჩებოდა ნიდერლანდები ნაპოლეონის დამარცხების შემდეგაც. სწორედ იმხანად ქვეყნის ჰოლანდიად წოდებულმა მხარემ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებასა და კეთილდღეობის ზრდაში, რამაც შემდგომში განაპირობა კიდეც ის ფაქტი, რომ ჰოლანდია ამჟამად მთელი ქვეყნის საზოგადო სახელად იქცა.

მმართველობის ფორმა: საკონსტიტუციო მონარქია _ საპარლამენტო დემოკრატია
აღმსარებლობა: მოსახლეობის **44%** არც ერთ სარწმუნოებას არ მისდევს, **29%** კათოლიკეა, **19%** პროტესტანტი, **6%** მაჰმადიანი, **1%** ინდუისტი, **1%** ბუდისტი.

ნიდერლანდების სახელმწიფო ენა **ჰოლანდიურია**. ფრიზლანდის მხარის მაცხოვრებლებს კი შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ **ჰოლანდიურსა** და **ფრიზიულს** შორის, რომელიც **ერთადერთი ოფიციალურად აღიარებული რეგიონული სახელმწიფო ენაა**. სხვა რეგიონული ენები ჰოლანდიაში არის ლიმბურგული და ე. წ. ქვემოგერმანული (ქვემოსაქსონური დიალექტები). ბევრი ჰოლანდიელი მშობლიურივით ფლობს გერმანულსაც და ინგლისურსაც.

ნიდერლანდების **სამეფო** შედგება ოთხი ქვეყნისაგან, ყველაზე დიდია დასავლეთ ევროპაში მდებარე ნიდერლანდები, ხოლო დანარჩენი სამი მდებარეობს კარიბებში: **არუბა, კიურასაო** და **სინტ-მაარტენი**. მათ თვითმმართველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სტატუსი აქვთ, სამეფოს შემადგენლობაშია კიდევ 3 ტერიტორია – **ბონეირი, სინტ-ესტატიუსი** და **საბა** – კარიბის ნიდერლანდების სპეციალური ადმინისტაციული ერთეულების – საჯარო ორგანოების სტატუსით.

PLUS

ურთიერთობას
მოაქვს პლუსი

დააგროვეთ PLUS ქულები
SOLO ბარათით გადახდისას
და გადაცვალეთ PLUS
კატალოგის განსაკუთრებულ
საჩუქრებზე

www.solo.ge

ყოველ გადახდილ
1 ლარზე დააგროვებთ
2.5 PLUS ქულას

ყოველ გადახდილ
1 ლარზე დააგროვებთ
2 PLUS ქულას

1 750 000

კარიბის
ზღვის
კრუიზი

captain plus

972 000

ტური
გოაზე

captain plus

549 000

GoPro HERO 5
Black

191 000

სასაჩუქრე
ბარათი
500 ლარი

333 000

სასაჩუქრე
ბარათი
1 000 ლარი

167 000

1-თვიანი
ულიმიტო
პაკეტი

179 000

1 დამე
2 ადამიანისთვის

ნიდერლანდების სამეფოს ეროვნული ჰიმნი – „HET WILHELMUS" ყველაზე ძველია მსოფლიოში. ის 1568 წელს დაიწერა და შესრულდა.

ჰოლანდიის სახელმწიფო დროშა 1572 წლით თარიღდება. ის ყველაზე ძველია სამფეროვან ალამთა შორის.

ნიდერლანდების მთელი ტერიტორიის 1/3 ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს, ხოლო 50%-ის აბსოლუტური სიმაღლე სულ რაღაც 1 მეტრს აღწევს. ამიტომაც ეწოდა მას NEDERLAND, რაც ითარგმნება, როგორც დაბალი ქვეყანა.

ყველაზე მაღალი წერტილი ზღვის დონიდან: 323 მ (ვაალსბერგი, ლიმბურგის მხარე)

ყველაზე დაბალი წერტილი: 6,7 მ (სამხრეთ ჰოლანდიაში)

ნიდერლანდების მშპ-ის მოცულობა 2016 წელს €678 572 მილიონი.

ინფლაცია – 0,2%, უმუშევრობა – 5,5%

მინიმალური ხელფასი თვეში – 1537€.

შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე – 47,634€.



ამსტერდამის პირველი საფოდო ბირჟა XVII საუკუნის დასაწყისში გაიხსნა. ის მსოფლიოში უძველესია.

ამსტერდამში 1281 ხიდია , სამჯერ მეტი, ვიდრე ვენეციაში. მათგან 80 ქალაქის ცენტრში მდებარეობს.

მცურავი სახლების რაოდენობა 2,5 ათასს უტოლდება. მათი უმეტესობა მუდმივი საცხოვრებელია, ზოგი კი ქირავდება.

სინგელის არხზე არსებობს მცურავი სახლი POEZENBOOT მაწანწალა ან სახლიდან გამოგდებული კატებისათვის.



ჰოლანდიელები

ჰოლანდიელები მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ხალხად მიიჩნევიან. მამაკაცების საშუალო სიმაღლე – 184სმ, ხოლო ქალების – 170 სმ-ია.

ჰოლანდიელები მაქიაველი, შემოქმედებითი გუნების, პირდაპირი და პრაგმატულად მოაზროვნე ხალხია.

საყოველთაოდ ცნობილია მათი შეშფოთებულობა ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა: აბორტი, ევთანაზია და მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარება.

ჰოლანდია პროგრესული, ღიბერალური ქანონების ქვეყანაა. აქ 2000 წლიდან ლეგალიზებულია პროსტიტუცია, 2001-ში ერთსქესიანთა ქორწინება დაქანონდა, ხოლო 2009 წლიდან ჰომოსექსუალ წყვილებს შვილის აყვანის ნება დართეს.

ნიდერლანდებში, რომელიც სერბეთსა და ხორვატიაზე პატარაა, სიტყვაში „**EUROPE**" პირველი ორი ასო სამი სხვადასხვა ვარიაციით წარმოითქმის, რომელთაგან არც ერთი ემთხვევა ინგლისურ ვარიანტს.

პუნქტუალურობა – ჰოლანდიელებს სიტყვა „სწრაფის" რამდენიმე შესატყვისი აქვთ: snel (ჩქარა), straks (მალე) და zo (ძალიან მალე), მაგრამ მხოლოდ ერთი სიტყვა შეესატყვისება „ახლას" – nu. ასე რომ, დანიშნულების ადგილს სანამ მიუახლოვდებით, აჩქარების ბევრნაირი ალტერნატივა გაქვთ, მაგრამ დათქმული დრო წმინდათაწმინდაა.

შეხვედრა და მისალმება – როცა ვინმეს პირველად ხვდებით,

ამსტერდამში ერთმანეთს სახელით მიმართავენ – ეს ამსტერდამის არაიერარქიული კულტურის უნიკალური ხაზგასმაა: თანამშრომლები – უფროსებს, გავშვებიც – საკუთარ მასწავლებლებსა და მშობლებს.

ჰოლანდიაში უცნაური ტრადიციაა – სახლის ან ბინის ფანჯრებზე ფარდები არ კიდია. პროტესტანტი ჰოლანდიელები ამით აჩვენებენ, რომ დასამალი არაფერი აქვთ.

ყველაზე მდიდარი ჰოლანდიელი ქალი 61 წლის შარლენ დე კარვალიო-ჰაინეკენი ლუდის მწარმოებელი გიგანტის – HEINEKEN-ის აქციების 25%-ის მფლობელია (ქონება: **$12,3** მლრდ). HEINEKEN-ის წილი მას 10 წლის წინ გადაეცა, მამის, ფრედი ჰაინეკენის სიკვდილის შემდეგ.

ჰოლანდიის ყოველი მცხოვრები წელიწადში 74 ლიტრ ლუდს სვამს.

ჰოლანდიელების ყველაზე საყვარელი ეროვნული კერძია ქაშაყი დაკეპილი ცოცხალი ხახვითა და კიტრის მწნილით. ქვეყნის მცხოვრებლები ყოველწლიურად 12 მლნ კგ თევზს მიირთმევენ.

ნიდერლანდები რძის პროდუქტების უდიდესი მწარმოებელი და ექსპორტიორია. აქ 400 დასახელების ყველი მზადდება.

ონკანის წყალი ჰოლანდიაში შესანიშნავი ხარისხისაა. თუ რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნა არ შეგხვდათ, ონკანიდან წყალი შეიძლება ყველგან მიირთვათ.

ჰოლანდიელები მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებენ ყავის მოყვარულთა სიაში. თითოეული მათგანი წელიწადში 140 ლ ყავას სვამს, რაც დღეში საშუალოდ 3,2 ჭიქას უდრის.

Waterlicht. დაან
როოზეხაარდე

ზღვის მბრძანებლები

ირინა ბაგაური

დღევანდელი **ნიდერლანდების ტერიტორია** სულ 41 519 კმ²-ია, აქედან **18.41% წყალს** უჭირავს, **მიწის** ნახევარი კი **ჰოლანდიელებმა** ჩრდილოეთის **ზღვას**, პირდაპირი მნიშვნელობით, გამოსტაცეს.

როგორი იქნებოდა დღეს ნიდერლანდების მიწა ადამიანების ძალისხმევის გარეშე? – თუნდაც ამსტერდამის მუზეუმპლეინი, თავისი ისტორიული და თანამედროვე ნაგებობებით, შადრევნებით და საფირმო სლოგანით – I amsterdam, პარკი, სადაც დღეს ათასობით ადამიანი ირევა, ფოტოებს იღებს და ნაყინსა თუ სტროფვაფელებს შეექცევა, რომ არა დიდი და ხშირად სრულიად უსახელო ჰოლანდიელები, რომლებმაც ზღვას უკან დახევა უბრძანეს და მას ჩვენს დრომდე იმორჩილებენ.

ამ კითხვას ჰოლანდიელმა ნოვატორმა დაან روოზეხაარდემ 2015 წელს შთამბეჭდავი არტპროექტით – Waterlicht-ით უპასუხა: სინათლის ლედტექნოლოგიების გამოყენებით ზღვის ტალღებისა და წყლით დაფარული მიწის ზედაპირის ილუზია შექმნა და ჰოლანდიის და საფრანგეთის სხვადასხვა მოედანზე, მათ შორის, მუზეუმების აღნიშნულ პარკში, ღია სივრცეში ღამით გამოსულ ადამიანებს „წყალქვეშ გასეირნების“ საშუალება მისცა.

ესაა პროექტი სიზმრისეული პეიზაჟის შესახებ, რომელიც ავტორისვე თქმით, ძალასა და პოეზიაზე გვიამბობს და დამთვალიერებელს ახსენებს იმ რეალობას, რომელშიც ისინი ცხოვრობენ – ზღვის დონის ქვემოთ, მიწაზე, რომელიც ადამიანთა ჩარევის გარეშე აუცილებლად იქნებოდა წყალქვეშ მოქცეული და დატბორილი.

ზღვასთან ბრძოლა ჰოლანდიელებმა 2000 წლის წინათ დაიწყეს. მთელი ამ დროის განმავლობაში წყალდიდობებმა ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, მათ შორის, მე-20 საუკუნეში – 1916 და 1953 წლებში ცუნამის შედეგად ქვეყანაში ორი დიდი ტრაგედია დატრიალდა, მაგრამ ამან ადგილობრივებს ფარ-ხმალი არათუ დააყრევინა, ისინი დღემდე შეუპოვრად განაგრძობენ წყლის მოთვინიერებას: ზღვაზე კაშხლების, ბარიერების აგებას და წყლისგან გამოტაცებული მიწის გამოშრობას.

NEW AMSTERDAM

ჰოლანდიის Dutch East India Company-ს სახელთან ძალიან ბევრი გეოგრაფიული აღმოჩენა და ისტორიული ფაქტია დაკავშირებული. 1609 წელს ბრიტანელი კაპიტანი ჰენრი ჰუძონი, რომელიც ამ კომპანიაში მსახურობდა, ამერიკის გავლით ჩინეთისაკენ მიმავალ სანაოსნო გზებს ეძებდა. ამ დროს მან აღმოაჩინა მდინარე (და სრუტე), რომელსაც კაპიტნის პატივსაცემად ჰუძონი ეწოდა. სწორედ ამ მდინარის ნაპირებზე აღმოცენდა შემდგომში ქალაქი ნიუ-იორკი. მას თავდპირველად ნიუ-ამსტერდამი ერქვა.

ჰოლანდიური პროვინცია ახალი ნიდერლანდები 1624 წელს ამსტერდამიდან გადასახლებულმა 30-მა ოჯახმა დააარსა. კუნძულ მანჰეტენზე ქალაქი ახალი ამსტერდამი 1625 წელს ახალი ნიდერლანდების მეორე დირექტორმა ვილემ ვერჰულსტმა (Willem Verhulst) დააფუძნა. ქალაქს თავიდან მხოლოდ კუნძულის სამხრეთის მცირე ნაწილი ეკავა. მანჰეტენის ამჟამინდელი ლურჯ-თეთრ-ნარინჯისფერი ალამი XVII საუკუნის ნიდერლანდების დროშის „შთამომავალია“.

1626 წელს ახალი ნიდერლანდების მესამე დირექტორმა პეტერ მინიოიტმა (Peter Minuit) ადგილობრივი ინდიელებისაგან მთელი კუნძული შეისყიდა (ახლანდელი ინვუდის კვარტლის ტერიტორია), რომელიც მას სულ რაღაც 60 გულდენის (დაახ. დღევანდელი 700 აშშ დოლარი) ღირებულების ნივთებად დაუჯდა. ეს მიწები ამჟამად 49 მილიარდ აშშ დოლარადაა შეფასებული.

1662 წელს, ინგლისში მონარქიის აღდგენის შემდეგ, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა ამ ქვეყნის წინააღმდეგ კავშირი შეკრეს. ამის საპასუხოდ, ინგლისის მეფე კარლ II-მ გადაწყვიტა, ახალი ნიდერლანდები ჩრდილოეთ ამერიკაში არსებული თავისი სამფლობელოებისათვის მიეერთებინა და ეს მიწები საჩუქრად გადასცა თავის ძმას, იორკისა და ოლბანის ჰერცოგ ჯეიმსს, რომელიც შემდგომში ინგლისის მეფე (იაკობ II) გახდა. იაკობმა ლორდი-მპყრობელის ტიტული მიიღო და ახალ ჰოლანდიაში რიჩარდ ნიკოლსის ხელმძღვანელობით ოთხი ხომალდისგან შემდგარი, კარგად შეიარაღებული ექსპედიცია მოაწყო. მან პროვინციის მცხოვრებლებს დანებება შესთავაზა. ახალი ჰოლანდიის გენერალურმა დირექტორმა პეტერ სტეივესანტმა და პროვინციის საბჭომ იმ პირობებში, როცა ინგლისის შეტევისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო, ახალი ჰოლანდიის მცხოვრებთათვის ინგლისელებისაგან მოითხოვეს ისეთი უფლებებისა და თავისუფლების პირობა, როგორიც მათი მეზობლების, ახალი ინგლისისა და ვირჯინიისთვის, მიუღწეველი იყო.

კანონები და პოლიტიკური ტრადიციები, რომლებიც 1624 წელს არსებობდა, ინგლისის მმართველობაში პროვინციის გადასვლის დებულებაში დაფიქსირდა. ასე რომ, პოლიტიკურ-რელიგიური თავისუფლება 1674 წელს ინგლისის მმართველობის დაწყებისასაც შენარჩუნდა და 1791 წელს ამერიკის შეერთებული შტატების შექმნისასაც, როგორც კონსტიტუციური ნორმა ყოფისა და უფლებების შესახებ.

ახალ ამსტერდამს სახელი შეეცვალა და მას ნიუ-იორკი ეწოდა, ხოლო ახალ ჰოლანდიას – ნიუ-იორკის პროვინცია.

Dutch Vereenigde Oost-Indische Compagnie

ჰოლანდიის ოსტ- და ვესტინდოეთის კომპანიები

1597 წელს ჰოლანდიელი მოგზაურები ინდონეზიის ნაპირებს მიადგნენ და სანაოსნო რუკაც შეადგინეს, რათა მათ თანამოქალაქეებს იმავე მარშრუტის განმეორება შეძლებოდათ.

ახალი მიწების აღმოჩენასთან და კოლონიზაციასთან ერთად, გაჩნდა ამ ქვეყნებიდან ტვირთის შემოტანის საჭიროებაც. ამიტომ, შორეულ აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობის კოორდინაციის მიზნით, ჰოლანდიელებმა 1602 წელს ოსტინდოეთის კომპანია VOC დააარსეს. ის მსოფლიოში პირველ ტრანსნაციონალური კომპანია იყო.

კომპანიის საქმიანობას მოიცავდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან – ჩინეთთან, იაპონიასთან, ტასმანიასთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას; ჰოლანდიამ წყნარი ოკეანის და ინდოეთის ქვეყნებიდან ევროპაში ვაჭრობის მონოპოლიზება შეძლო და ქვეყანაში იმპორტირებული ტვირთის ოდენობით გადაუსწრო ესპანეთს, პორტუგალიას და ვენეციის რესპუბლიკას.

1616 წელს ვილემ სხაუტენი სამხრეთ ამერიკის ნაპირებს მიადგა. დასავლეთით და სამხრეთით ახალი მიწების კოლონიზების შედეგად, 1621 წელს ამსტერდამში ვესტ ინდოეთის კომპანია GWIC შეიქმნა, რასაც მოჰყვა მათ მიერ ამერიკული და სამხრეთ აფრიკული მიწებიდან საქონლის იმპორტირება. თუკი აღმოსავლეთიდან შემოსული სავაჭრო ტვირთი, ძირითადად, სუნელებს და ეგზოტიკურ ფაიფურის ნაკეთობებს წარმოადგენდა, დასავლეთიდან და აფრიკიდან ქვეყანაში ვერცხლი, ოქრო, შაქარი, სპილოს ძვალი და ძვირფასი ბეწვეული შემოდიოდა. კომპანიამ 1794 წლამდე იარსება.

New Amsterdam, 1664

OOSTERSCHELDE „დელტას“ სისტემის 13 დამბას შორის უმსხვილესია.

ამერიკის სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების (ASCE) აზრით, „ზიიდერსეეს“ პროექტი, „დელტასთან“ ერთად, თანამედროვე სამყაროს 7 საოცრებათაგან ერთ-ერთია.

ხმელეთის დასაცავად ძველ, პრიმიტიულ ჯებირებს მე-17 საუკუნეში ქარის წისქვილები შეემატა: ის, რაც დღეს ტურისტებს სანახაობრივად ასე იზიდავს და ჰოლანდიის სავიზიტო ბარათადაა ქცეული, სინამდვილეში, თავის დროზე, ინოვაციური ტექნოლოგიის თვალსაჩინო მაგალითი იყო და მის ქვედა ნაწილში მოწყობილი მექანიზმი წყლის დრენაჟისთვის გამოიყენებოდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივებმა ჩრდილოეთის ზღვა არა მხოლოდ მოათვინიერეს, არამედ დაიმეგობრეს კიდეც. სწორედ ზღვაში გასვლას უკავშირდება მათი დიდების ამბებიც:

მე-17 საუკუნის ოქროს ხანაში ჰოლანდიელებმა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადადგეს კარტოგრაფიისა და გემთმშენებლობის განვითარებაში. მსოფლიოს ისტორიაში მათი ნაოსნების ღვაწლი დიდია და ხშირად არც სათანადოდ დაფასებული. არადა, სწორედ ჰოლანდიელებმა შემატეს მსოფლიო რუკას ახალი მიწები ისეთი დიდი თავგადასავლების დამსახურებით, როგორიც იყო: ვილემ ბარენცის ჩრდილოეთის ექსპედიციები, აბელ ტასმანის წყნარ და ინდოეთის ოკეანეში მოგზაურობა, ვილემ იანსზონის მიერ აღმოჩენილი ავსტრალია, ვილემ სხაუტენის, იაკობ ლე მერის მიერ ნაპოვნი კუნძულები...



AFSLUITDIJK, 30 კმ-იანი დამბა, „ზიიდერსეეს“ პროექტი

მათვე უკავშირდება სავაჭრო გემების გამოგონებაც, რომლებსაც ნიდერლანდების მიწაზე აღმოსავლური სუნელები, ფაიფური, ნელსაცხებლები, ქსოვილები და ხალიჩები შემოჰქონდათ – ყველაფერი, რაც ჯერაც უცხო და ეგზოტიკური იყო ჩრდილოეთის ცივი ქვეყნისთვის. მოგვიანებით ოქროს ხანის ეკონომიკური ძლიერება ქვეყანას ძვირად დაუჯდა და სავაჭრო გემები საზღვაო ფლოტმა და სამხედრო გემებმა ჩაანაცვლა.

ზღვასთან ბრძოლის სიმბოლოა ცნობილი ზღაპრის გმირი ჰანს ბრინკერიც – პატარა ბიჭუნა, რომელსაც ერთ წვიმიან დღეს, ქუჩაში სეირნობისას, ზღვიდან ის ხმაური მოესმა, ყველა ჰოლანდიელს რომ თავზარს დასცემდა: ნაპირს აზვირთებული ტალღები უახლოვდებოდა. ბიჭუნამ შენიშნა, რომ მისი სამშობლო საფრთხის წინაშე იდგა, რადგან ჯებირს, რომელიც ქვეყნის დასავლეთს ზღვისგან იცავდა, ერთი ბეწო, თითისტოლა ნახვრეტი ჰქონდა, საიდანაც წყალს შეეძლო შემოეღწია. ჰანსი არც კი დაფიქრებულა, ნახვრეტი საკუთარი თითით დაიცო და იმ ავდრიან ღამეში, საკუთარი

წყლისაგან ხმელეთის გამოთავისუფლების პროცესმა ნიდერლანდებისათვის იმდენად დიდი მნიშვნელობა და საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა, რომ ჰოლანდიური სიტყვების – პოლდერი, შლუზი, დამბა – გამოყენებამ სხვა ენებშიც დაიწყეს.

მიწის სადარაჯოზე, წამითაც არ მოშორებია ჯებირს, რათა ხმელეთი შტორმისგან და ნაპირზე მოვარდნილი წყლისგან დაეცვა.
ჰანს ბრინკერი ნამდვილი ეროვნული გმირია, მას ნიდერლანდებში რამდენიმე ძეგლი დაუდგეს. მერე რა, რომ სინამდვილეში ის ამერიკელი მწერლის ზღაპრის პერსონაჟია?! – მისი ამბავი იმდენად ნამდვილია, თავად ჰოლანდიელებსაც ხშირად ავიწყდებათ, რომ ეს ისტორია სინამდვილეში გამონაგონია. აბა, რა იყო ჰოლანდიელების ისტორია, თუ არა ჰანსისთანა გოგო-ბიჭების ამბავი, რომლებმაც არაფრით დაანებეს ზღვას საკუთარი ხმელეთი?!

წყალთან ბრძოლა დღემდე იმავე შემართებით გრძელდება. მე-20 საუკუნეში ჩრდილოეთის ზღვაში არაერთი მნიშვნელოვანი კაშხალი და ბარიერი აშენდა; ქარის წისქვილები დიზელზე და ელექტროენერგიაზე მომუშავე წყალსატუმბმა სისტემებმა შეცვალა, თუმცა წყალდიდობისგან დამცავ ძალიან შთამბეჭდავ და ერთი შეხედვით იდეალურ სისტემას წუთითაც არ მიუცია ჰოლანდიელი ინჟინრებისთვის მოდუნების საშუალება, მით უმეტეს, რომ დღეს ქვეყანა ახალი გამოწვევის წინაშე დგას: კლიმატური ცვლილებები და გლობალური დათბობა ახალი შტორმებისა და წყალდიდობების საშიშროებას ქმნის.

ამიტომ, პრევენციისთვის, მსოფლიოს უდიდეს – როტერდამის პორტს 1997 წლიდან გიგანტური მოძრავი ბარიერი იცავს. მისი მშენებლობა ქვეყანას 3 მილიარდი დოლარი დაუჯდა და საჭიროების შემთხვევაში ყურეს ავტომატურად გადაკეტავს ხმელეთზე მოვარდნილი წყლისგან დასაცავად.

ქვეყანა ხვალინდელი დღისთვის გამუდმებით ემზადება და ინჟინრები პოტენციურად საშიში ახალი ადგილების მარკირებას და მათზე მუშაობას განაგრძობენ. ნიდერლანდები ხომ უწყვეტი ინოვაციების და შეუპოვარი ხალხის მხარეა, კიდევ ჰანს ბრინკერის სამშობლო – ბიჭუნასი, რომელსაც თავს იმდენად ნამდვილი ამბავი გადახდა, ამ ქვეყნის მოქალაქეებს თავადაც კი აღარ ახსოვთ, რომ მას ამ მიწაზე არასდროს უცხოვრია და სინამდვილეში ის ერთი ჯადოსნური ზღაპრის გმირია.

HET SCHEEPVAARTMUSEUM

ქვეყნის საზღვაო ექსპედიციების და ომების ამბები ყველაზე თვალსაჩინოდ Scheepvaartmuseum-ში, ნიდერლანდების ნაოსნობის მუზეუმშია შემონახული; XVII საუკუნის ისტორიული შენობა ამსტერდამში მდებარეობს და მასში მოხვედრილ სტუმრებს საშუალება აქვთ, დაათვალიერონ ოქროს ხანის გეოგრაფიული რუკები, რომლებზეც ცნობილმა ჰოლანდიელმა კარტოგრაფებმა, ვილემ და იან ბლაუებმა ევროპელებისთვის ჯერაც უცნობი, ახალი მიწები მონიშნეს; წიგნები, ფერწერული ნახატები და ეკიპაჟის ყველა საჭირო ინვენტარი, მათ შორის, სავაჭრო გემებიდან მორჩენილი ხის კასრებიც კი, რომლებსაც ჯერაც ღვინისა და ზეთის სუნი უდის.

ექსპონატების დათვალიერების გარდა სტუმრებს საშუალება აქვთ, გაეცნონ თევზაობის და ვეშაპზე ნადირობის წესებს, ნაპირთან მდგარი „ამსტერდამის“ ბორტზე კი, რომელიც XVII საუკუნის იალქნიანი გემის ასლს წარმოადგენს, ბავშვებს შეუძლიათ „მეკობრეობანა“ ითამაშონ, თავი გემის კაპიტნებად, ადმირალ რიუტერად ან სულაც რომელიმე ზღაპრის გმირად წარმოიდგინონ – ამ ქვეყნის სინამდვილეც და გამოგონილი ამბებიც ხომ დიდწილად ზღვას უკავშირდება.

Kattenburgerplein 1, 018 KK Amsterdam

Maeslantkering-ის ჭიშკარი

XIX საუკუნის დასასრულიდან XX საუკუნის ბოლომდე ნიდერლანდებში წყალდიდობებისაგან დასაცავად რამდენიმე უნიკალური პროექტი განხორციელდა. დღეისათვის დამცავი ჯებირების საერთო სიგრძე 3500 კმ-ს შეადგენს, რომელთაგან 1430 კმ მდინარის ჯებირებია, 1017 – ტბების, 430 – სანაპიროს დამცავი, ხოლო 260 – დიუნები.

ცათამბჯენები როტერდამში, არქიტექტორი რემ კოოლჰაასი

ჰოლანდიური არქიტექტურის გრამატიკა

ნიკა ჩხაიძე

ჰოლანდიელი ფილოსოფოსი ბარუხ სპინოზა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში წერდა, რომ სახელმწიფოს როლი არის მოქალაქეების თავისუფლების უზრუნველყოფა; და რომ მოქალაქედ კი არ იბადებიან, არამედ ხდებიან... რომ სიახლეს, უცხოს კი არ უნდა დასცინო, შეიზიზღო და დაგმო, არამედ უნდა შეიცნო და გაიგო.

ასეთი აზროვნების და ცნობიერების ჩამოყალიბება ჰოლანდიაში არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებთან მუდმივმა ბრძოლამ და მოსახლეობის სიმჭიდროვემ განაპირობა. პატარა ქვეყანამ, სხვებისაგან განსხვავებით, ჩაკეტილობის და იზოლაციის მაგივრად ტოლერანტული მიდგომითა და აბსორბაციის მეთოდით განსაზღვრა თავისი მომავალი. ჯერ ესპანეთიდან დევნილი ებრაელები შეიფარეს და ბევრი რამ ისწავლეს მათგან კომერციისა და ვაჭრობის კუთხით; შემდგომ ასევე დევნილ ჰუგენოტებს და პროტესტანტებს გაუღეს კარი და შრომის მიმართ მათი დამოკიდებულება გადაიღეს (მაქს ვებერის თეორიის მიხედვით, სწორედ პროტესტანტობამ განაპირობა ისეთი ქვეყნების წარმატება, როგორიც გერმანია და ჰოლანდიაა).

ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად ჰოლანდიამ და მისმა კულტურამ, მრავალსაუკუნოვანმა კოსმოპოლიტურმა ტრადიციებმა, განსაკუთრებული როლი შეიძინა გლობალური მოვლენების კონტექსტში. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა სწორედ თანამედროვე არქიტექტურა. ჰოლანდიური არქიტექტურა და, უფრო, ჰოლანდიელი არქიტექტორები გამოწვევებისადმი სწორედ თავიანთი განსხვავებული მიდგომით და არაორდინარული გადაწყვეტილებებით (არქიტექტურული Paradigm Shift-ებით) არიან ცნობილნი.

DE STIJL-ის ჯგუფი, ჰენდრიკ პ. ბერლაგე, გერიტ რიტველდი – ეს არქიტექტორები მე-20 საუკუნის დასაწყისში ქმნიდნენ უკომპრომისო მოდერნიზმს. 60-იან წლებში მოღვაწე ჰერმან ჰერცბერგერმა თავისი სტრუქტურალისტური ნამუშევრებისათვის 2012 წელს ბრიტანეთის არქიტექტურის სამეფო ინსტიტუტის ოქროს პრემია მიიღო.

მსოფლიოში განთქმული ისეთი კომპანიები, როგორიცაა: MVRDV, UN STUDIO (ქუთაისის აეროპორტის პროექტის ავტორი), NEUTELINGS RIEDIJK ARCHITECTEN, WIEL ARETS ARCHITECTS, MECANOO ARCHITECTEN, ERIC VAN EGERAAT – XXI საუკუნეშიც ინარჩუნებენ ჰოლანდიის არქიტექტურული სკოლის უმაღლეს დონეს. ისინი ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობენ მსოფლიო არქიტექტურის სცენაზე. მათი სხვადასხვა მასშტაბის პროექტები მთელ პლანეტაზეა მიმოფანტული.

ამ კომპანიების აღზევებას თავის დროზე ე. წ. „მესამე გზის“ ჰოლანდიურმა პოლიტიკამ შეუწყო ხელი, რაც 80-იან წლებში უძრავი ქონების ბაზრის ლიბერალიზაციით გამოიხატა. ეს პოლიტიკა ე. წ. „მეწამულმა სამთავრობო კაბინეტმა“ (რომელიც „წითელი“ სოციალისტებისა და „ლურჯი“ ლიბერალების კოალიციით შეიქმნა) შემოიღო. ლიბერალიზაციის პოლიტიკა მრავალი პროგრესული კანონის მიღებით გამოიხატა, როგორიცაა, მაგ., ნარკოტიკების ლიბერალიზაცია, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება, ევთანაზიის კანონი.

ამ ყველაფერმა ჰოლანდია თანამედროვე და მომავლის სამყაროს ერთ-ერთ მშენებლად გამოკვეთა. დინებას არქიტექტორებიც აჰყვნენ და მიცემული შანსი გამოიყენეს. ლიბერალიზაციამ მრავალ არაორდინარულ გადაწყვეტილებას შეუწყო ხელი და ბიძგი მისცა არქიტექტორების მსოფლიო ასპარეზზე გასვლას.

რემ კოოლჰაასი, ჰოლანდიელი არქიტექტორი, ყოფილი ჟურნალისტი და სცენარისტი, ლონდონის არქიტექტურული ასოციაციის არქიტექტურის სკოლის კურსდამთავრებული. ჰარვარდის უნივერსიტეტის დიზაინის სკოლის არქიტექტურისა და ურბანული დიზაინის პროფესორი.

თანამედროვე ჰოლანდიური არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე მედიატიზებული, კონტროვერსული და წარმატებული ფიგურა – რემ კოოლჰაასია.

წარმოშობით ჰოლანდიელი ინტელექტუალებისოჯახიდან, ის თავიდანჟურნალისტად მუშაობდა, რამაც Zeitgeist-ის (ეპოქის სული) შეგრძნების საოცარი უნარი შესძინა.

წინასწარგანჭვრეტის გასაოცარი უნარი კოოლჰაასს საშუალებას აძლევს პუბლიცისტიკა სხვადასხვა, ხშირად საკამათო და გამომწვევი კონცეფციების წამოსაწევად გამოიყენოს. რეალობაში ის ხშირად პირდაპირ საპირისპიროს აკეთებს – მაგალითად, იგი ამბობს, რომ არქიტექტურა საერთოდ არ უნდა იყოს და ქალაქი გენერირების საშუალებით უნდა ვითარდებოდეს, პარალელურად კი პრიცკერის პრემიას იღებს, როგორც თვითმყოფადი არქიტექტორი. ან, მაგალითად, ამტკიცებს, რომ მაღლივი შენობის აგება დანაშაულია და, ამავდროულად, წლის საუკეთესო მაღლივი შენობის პროექტისთვის ჯილდოვდება.

კოოლჰაასი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და განთქმული არქიტექტურული ბიუროს – OMA-ს დამფუძნებელია. ამ კომპანიის პროექტები წამყვან ადგილს იკავებს ახალი მსოფლიო არქიტექტურის ნამუშევართა რიგებში.

თუმცა OMA მხოლოდ არქიტექტურას როდი ქმნის: კონცეპტუალიზების და პროექტირების მიმართ ანალიტიკური მიდგომის გამო მან პარალელურად შექმნა კომპანია AMO, რომელიც ე. წ. THINK TANK-ის როლს ასრულებს და ისეთ საკითხებს წყვეტს, როგორიცაა, მაგალითად, PRADA-ს ახალი მარკეტინგული სტრატეგია ან კიდევ კომპანია VOLKSWAGEN-ის მომავალი განვითარების კონცეფცია და ა. შ.

როგორც პიტერ ეიზენმანი ამბობს, არიან არქიტექტორები, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ისტორიაში თავიანთი მეამოძმედებითი გზის საშუალებით და არიან არქიტექტორები (როგორც კოოლჰაასი), რომლებიც თავად განსაზღვრავენ მომავალ განვითარებას, თავად ქმნიან ისტორიას.

ჰოლანდიური არქიტექტურის რამდენიმე ნიმუში

საკულტო არქიტექტურის ორი ნიმუში – OUDE KERK და WESTERKERK მე-15 საუკუნის ეკლესიებია, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იძენდნენ თავიანთ დღევანდელ იერსახეს. WESTERKERK-ი 1631 წელს ყველაზე დიდი პროტესტანტული ეკლესია იყო მსოფლიოში. ის DE JORDAAN-ის უბნის სიმბოლოს წარმოადგენს.

HET HOUTEN HUYS – ამსტერდამის მრავალ ხის სახლთაგან ერთ-ერთი შემორჩენილი, მე-15 საუკუნის სახლი 1888 წელს არის რესტავრირებული.

RAEPENHOFJE – მე-17 საუკუნის პატარა საცხოვრებლები უსახლკარო ქალთათვის სოციალური არქიტექტურის ჩინებული ნიმუშებია. DE JORDAAN-ის უბანში არსებული ამ ტიპის სახლების რიგი ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია.

HUIS BARTOLOTTI – ბარტოლოტის ოჯახის სახლი. მისი რკალისებრი ფასადი ამსტერდამის არხის რადიუსის შესაბამისად არის აგებული. ეს სახლი მე-17 საუკუნის ჰოლანდიური მანიერიზმის შესანიშნავი ნიმუშია.

RIJKSMUSEUM – 1885 წელს აიგო. კონკურსი ახალი სახელმწიფო მუზეუმის შენობისათვის კათოლიკე არქიტექტორმა P. J. H. CUYPERS-მა მოიგო. ნეოგოთიკური სტრუქტურითა და ჰოლანდიური რენესანსის სტილში შესრულებული შენობა მრავალჯერ გადაკეთდა.

SCHEEPVAARTHUIS – სიმბოლოებითა და მრავალი დეკორით შემკული აგურის შენობა ადრეული ამსტერდამული სკოლის სტილშია აგებული იმ ადგილას, საიდანაც პირველი ოსტინდოეთის კამპანია დაიწყო. საოფისე შენობა 1916 წელს აიგო.

MUSEUM VAN LOON – მკაცრი და გეომეტრიული სტილით შესრულებული შენობა კაიზერხრახტზე მდებარეობს. ფასადის გარდა ვან ლუნების ოჯახის საცხოვრებელი სახლი განთქმულია ბაროკოს სტილის ბაღით ეზოს მხარეს და მრავალი ავთენტიკური დეტალით ინტერიერში.

THEATER TUSHINSKI – არ-დეკოს სტილში შესრულებული ეს კინო-თეატრი თავისი არქიტექტურით შესანიშნავად ეხამება თავის ფუნქციას. 20-იანი წლების ჰოლივუდური ილუზია პროექტის მთავარ კონცეპტუალურ ხაზს წარმოადგენს.

HET SCHIP (THE SHIP) – „მშრომელთა სასახლე“ სოციალისტური საცხოვრებლის ასოციაციამ ააშენა. შენობა „ამსტერდამული სკოლის“ გარღვევაა არქიტექტურაში ვირტუოზული ხელოსნური შესრულებით და უჩვეულო გეგმარებით. მისი აშენების თარიღია 1920 წელი.

FELIX MERITIS SOCIETY – მე-18 საუკუნის შენობა, სადაც ხელოვნების და მეცნიერების ხელშეწყობის საზოგადოება მდებარეობდა, განმანათლებლობის პერიოდის არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშია.

KONKLIJK PALEIS – შენობა ჰოლანდიური ოქროს საუკუნის კლასიცისტური სტილით არის აგებული 1648 წელს. მის ასაშენებლად 13 659 ხის სვეტია გამოყენებული.

BEURS (STOCK EXCHANGE) – ბერლაგეს ეს შედევრი ჰოლანდიაში თანამედროვე არქიტექტურის პირველი ნიმუშია. პოეტებსა და მხატვრებთან ურთიერთობის გამო ის ნამდვილ GESAMTKUNSTWERK-ს წარმოადგენს. შენობის ყველა ფასადი ინდივიდუალური და განსხვავებულია.

TUIMDORP NIEUWENDAM – პირველი მსოფლიო ომის შემდგომ გაშენებული საცხოვრებელი უბანი ე. წ. GARDEN VILLAGE-ების ერთ-ერთი პირველი მაგალითია. უბანი რურალური ამსტერდამული სტილით არის შესრულებული. ძალზე საინტერესოა ოვალური ქუჩები, რომელთა გარშემოც კომერციული სივრცეებია განთავსებული.



WOLKENKRABBER – 1930 წელს ბერლაგეს მოწაფის, J. F. STAAL-ის მიერ დაპროექტებული პირველი მაღლივი შენობა ამსტერდამში. ყვითელი აგურის კომბინაცია რკინაბეტონსა და მინასთან ერთად ცენტრალური ლიფტის შემინული შახტით იმ დროისათვის საკმაოდ გაბედული გადაწყვეტილება იყო.

NMB(ING) HOOFDKANTOR – ექსცენტრიკული ფორმების შენობა პოსტმოდერნიზმის პერიოდს განეკუთვნება, თუმცა ის უფრო საუკუნის დასაწყისის ექსპრესიონიზმს მოგვაგონებს. მასალები და ფორმები ბუნებასთან მაქსიმალური მიახლოებით არის განპირობებული, თუმცა პრაქტიკულობის კუთხით შენობა საკმაოდ

PIRAEUS (KOLHOFF& RAPP) – ეს ე. წ “მეტროპოლიტანური სუპერბლოკი“ ყველა ტიპის საცხოვრებელს აერთიანებს. ყოფილი „დოკების“ ადგილზე აშენებული, ის თავის არქიტექტურაში ასახავს საკუთარ წარსულს. საინტერესოა ბლოკის ფუნქციონირება და მრავალი ტიპოლოგიის თანაარსებობა ერთ მთლიანობაში.

OPENLUCHTSCHOOL (OPEN-AIR-SCHOOL) – NIEUWE BOUWEN-ის (ჰოლანდიური მოდერნისტული მოძრაობა) ერთ-ერთი გამორჩეული მაგალითი. 1930 წელს აშენებული ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი სწორედ ამ მოძრაობისათვის დამახასიათებელი მინიმალიზმით არის შესრულებული.

ING HOUSE – შენობა 2002-ში აიგო აეროპორტის სიახლოვეს დაგეგმილი ეკონომიკური ზონის ფარგლებში. მისი ფორმებიც ნაწილობრივ აეროპორტთან სიახლოვით არის ნაკარნახევი. ჰაიტეკის შენობაში მრავლად არის დიდი პატიოები, შიდა ბაღები, მინის ეკრანები და ა. შ., რაც ნაწილობრივ გარედანაც აღიქმება.

THE WHALE – ვეშაპი – ასეთი მეტსახელი აქვს 2001 წელს FRITS VAN DONGEN-ის მიერ დაპროექტებულ შენობას. მისი თუთიის ფასადი, აგურის სტილობატით გარშემორტყმული, ფერს ამინდის შესაბამისად იცვლის. ფორმები მზის მოძრაობის მიმართულებიდან გამომდინარეობს. 150 საცხოვრებელი ერთეული მაქსიმალურ განათებას



BURGERWEEHUIS – ალდო ვან ეიკის განთქმული შენობა სტრუქტურალიზმის კონცეფციის რეალიზებული მაგალითია. სტრუქტურალიზმის იდეების თანახმად, ბავშვთა სახლის შენობა ბავშვის მონაცემთა მიხედვით არის აგებული: გადასვლები კერძოსა და საზოგადოებრივს შორის, ღიასა და დახურულს შორის. შენობა მსოფლიო არქიტექტურის კლასიკაა.

OKLAHOMA HOUSE – MVRDV-ს მიერ შესრულებული შენობა არაორდინარული გადაწყვეტილების თვალნათლივი მაგალითია. არქიტექტორებმა ბრწყინვალედ გადაჭრეს მიწის სიმცირის პრობლემა და 13 საცხოვრებელი ერთეული შთამბეჭდავი კონსოლით გადმოკიდეს ქუჩაზე.

SILODAM MVRDV – სილოდამზე არსებული კიდევ ერთი საინტერესო პროექტი, ისტორიულ საპორტო, ყოფილ საწარმოო შენობათა შორის მდგომი საცხოვრებელი კომპლექსი შორიდან კონტეინერების გროვას მოგვაგონებს. რეალურად საკმაოდ კომპლექსური და დახვეწილი გეგმარება და ტიპოლოგიათა ურთიერთკორელაცია საკმაოდ კარგად არის შესრულებული.

ყური

ლაშა ბუღაძე



Self Portrait with Bandaged Ear, 1889. Vincent van Gogh. London, Courtauld Institute Gallery

1

კაცმა – მოწითალო თმითა და წვერით – ხის მოლბერტი ჩამოდგა ტრიალ მინდორში, ზედ ტილო ჩამოდო, პალიტრას – გუშინდელი საღებავი რომ შეხმობოდა ზედაპირზე – პატარა ნახვრეტში გაუყარა ცერი და ის-ის იყო, ზეთში ამოვლებული ფუნჯის წვერი უნდა გადაესვა სქლად დადებული ყვითლისთვის, რომ მინდორში საფრთხობელასავით ამოზრდილ ერთადერთ ხეზე ჩამომსხდარი ყვავების ჩხავილი მოესმა.

კაცს თან ჰქონდა ყვავების დამაფრთხობელი საფანტის პისტოლეტი, მაგრამ არც ჰაერში უსვრია და არც ხისკენ – ყვავების შესაშინებლად... ყვავები ჩხაოდნენ, შუადღისთვის მზე კიდევ უფრო გაცხელდა, კაცს ოფლით დაუსველდა თავზე და ყურზე მოხვეული ხილაბანდი, ტილოს კარაქივით შეადნა მზეზე მბზინავი მსუყე ყვითელი... მაგრამ უეცრად ყველაფერი მიჩუმდა. კაცმა საფანტის პისტოლეტი მიიდო მკერდთან და ის ცერა თითი, პალიტრაში ამოჭრილ ოვალში რომ შეეყო წუთით ადრე, ჩახმახს გამოჰკრა. ტყვია გულში შეუვარდა.

2

ისტორიას სამი ცნობილი ყურის ამბავი ახსოვს:
პირველი ყური გაცემასა და სასწაულს უკავშირდება, მეორე – ბგერების შექმნას და, ამავდროულად, მათ ტრაგიკულ აღუქმელობას, ხოლო მესამე – განუზომელ წყენას, თავგანწირვასა და შესაძლო სიგიჟეს.

პირველი სახარების ყურია, რომელიც მოციქულმა პეტრემ მოჰკვეთა მაცხოვრის შესაპყრობად მოსულ ერთ-ერთ მონას, მალქოზს, თუმცა ვისაც ეძებდნენ, მან იქვე გაუმთელა ყური: „მიაქციე მახვილი ადგილსავე თვისსა, რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ...“ (მათე, 26.)

მეორე ყური არა ფიზიკურ ტკივილს, არამედ ფატალურ უსამართლობას უკავშირდება – ხმაურიან სიყრუეს, საიდანაც აქამდე არსმენილი მუსიკა იშვა: ეს ბეთჰოვენის ყურია, რომელსაც ბეთჰოვენის მუსიკა არ ესმის...

მესამე ყური თითქოს ერთდროულად ატარებს მონა მალქოზის ყურის (ფიზიკური ტკივილი, შიში, გაცემა, სასწაული) და ბეთჰოვენის სიყრუის (შიდა ხმები – არაამქვეყნიური) თვისებებს, და კიდევ რაღაცას, რაც მხოლოდ ამ მესამე ყურის მფლობელის მახასიათებელია: არსებული სამყაროს მიუღებლობას – თავისი ხმებით, ბუნდოვანებით, რუტინულობით, ფარისევლობით და, რაც მთავარია, ფერებით...

სამყარო ბევრად უფრო მკაფიოა, ვიდრე ეს სხვებს წარმოუდგენიათ.

> **ვინსენტ ვან გოგი, მონა მალქოზისგან განსხვავებით, თავადვე იქვეთს ყურს, რათა სხვებს – ობიექტური სამყაროს წარმოადგენელ მორალისტ პერსონაქებს – არ დაუდგეს ყურმოჭრილ მონად... ის ამ ვერსიაში პეტრეა და არა მალქოზი.**

3

სინამდვილეში, მხატვარმა მხოლოდ ყურის ბიბილო წაითალა სამართებლით და არა ყური და თუკი მისივე ავტოპორტრეტების გამომეტყველებების მიხედვით ვიმსჯელებთ, თავს არცთუ ბედნიერად გრძნობდა ყურის ბიბილოს გარეშე.

მაგრამ კიდევ უფრო უბედური მას შემდეგ გახდა, რაც არა ბიბილო, არამედ მეგობარი – პოლ გოგენი დაკარგა.

ყურის ბიბილოს მოკვეთა სწორედ გოგენის გაქცევას მოჰყვა.

პოლ გოგენი იმ ოთახში ცხოვრობდა, რომელიც ვან გოგმა დახატა, იმ სკამზე იჯდა, რომელიც ვან გოგის ტილოზე მოხვდა და იმ ნაცრისფერ კედლებს უყურებდა, რომელსაც ვან გოგი ლურჯად ხედავდა.

გოგენი ჯერ კიდევ საკუთარი ენის ძიებაში იყო, როგორც მხატვარი (ამ ენას ის კუნძულ ტაიტიზე იპოვის), ვან გოგმა უკვე ზუსტად იცოდა, რომ თუკი სეზანი გარეგნულად აღწერდა სამყაროს, მას არა სამყარო, არამედ საკუთარი თავი უნდა გამოეხატა – და სამყაროც სწორედ ეს იქნებოდა (ძმა თეოსადმი მიწერილი იდეა).

ვან გოგი ქრისტიანი იდეალისტი იყო (მამა პასტორი ჰყავდა), თავის ნახატებში – ისე რომ, ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა – სახარებისეულ ამბებსა და ქადაგებათა იდუმალებას გამოხატავდა. გოგენს არა იდეები, არამედ სტიქიები იზიდავდა – ცივილიზაციის მიღმიერი რეალობა, სივრცე, სადაც სამყარო ჯერაც პირველქმნილი და ხელშეუხებელია...

და აი, შესაძლოა მათ სწორედ კონცეფციათა შეუსაბამობის გამო ეჩხუბათ იმ საბედისწერო ღამეს:

ვან გოგმა ის სკამი მოისროლა, რომელსაც გოგენის სკამს უწოდებდა, იმ კედლებს ურტყა მუშტი, რომელსაც ლურჯად ხედავდა და ბოლოს ისე გაცხარდა, რომ გოგენი იმ ოთახიდან გააქცია, რომელსაც მომავალში უვანგოგოდ და უგოგენოდ დახატავდა.

ხელშიც სწორედ ის სამართებელი ეჭირა, რომლითაც ყურის ბიბილოს მოიკვეთდა.

გოგენი გაიქცა, თან ისე, რომ ჩანდა – უკან აღარასდროს დაბრუნდებოდა.



Gauguin's Chair, 1888. Vincent van Gogh. Amsterdam, Van Gogh Museum

ვან გოგი თავის ბნელ ოთახში დაბრუნდა (და არა ისეთ მრავალფეროვანში, როგორიც მის ნახატებზეა) და სიბრაზისგან ყურზე ჩამოისვა სამართებელი.

The Bedroom, 1888. Vincent van Gogh. Amsterdam, Van Gogh Museum

> **ვან გოგი ქრისტიანი იდეალისტი იყო (მამა პასტორი ჰყავდა), თავის ნახატებში – ისე რომ, ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა – სახარებისეულ ამბებსა და ქადაგებათა იდუმალებას გამოხატავდა.**

Self-Portrait as a Painter, 1887 - 1888. Vincent van Gogh. Amsterdam, Van Gogh Museum

ვან გოგი დილით ცოცხალ-მკვდარი იპოვეს მისსავე საწოლში. ჩამოვიდა ძმა თეო, რომელიც ვან გოგის რაციონალური და მშვიდი ალტერ ეგო იყო და მხატვარი ძმა სიკვდილს გამოჰ-გლიჯა. თუმცა ობიექტური სამყაროსთვის ის ერთხელ და სამუდამოდ ჩაითვალა შეურაცხადად (რაც ალბათ ასეც იყო), ამიტომ ფიზიკურად გამოჯანმრთელებულს (და არა ყურგამთელებულს) „სულით ავადმყოფთა“ სახლში მოუხდა ცხოვრება, მაგრამ, საბედნიეროდ, აქ მას ხატვაც შეეძლო, რადგან ყოველთვის თან ჰქონდა მოლბერტი, პალიტრა, ფუნჯები და საღებავები, რომელთაც მზრუნველი თეო უგზავნიდა.

ვან გოგი დამშვიდდა. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც. მართალია, თანამოქალაქეები დაუღლელად ჩიოდნენ, როცა ქუჩაში გამოსულ ვან გოგს ხედავდნენ ხოლმე, მაგრამ ის მაინც ახერხებდა მინდორში მუშაობას. რაც ყველაზე უცნაურია (და ალბათ ამაზე საშინლად წუხდნენ სამართლიანად შეშინებული მოქალაქეები), მას თან დაჰქონდა ყვავების დამაფრთხობელი საფანტის პისტოლეტი, რადგან ყვავების ჩხავილი ობიექტური სამყაროს მტრულ მუქარად ჩაესმოდა ყურის ნარჩენში...

სავარაუდოდ, სწორედ ამ ხმაურის ნარჩენების მოსპობა უნდოდა, როცა საფანტის ტყვიით მოიკლა თავი...

ამის შემდეგ აღარც თეოს უცოცხლია დიდხანს – ვინსენტის სიკვდილიდან სულ რაღაც ნახევარი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ვან გოგი არა ობიექტური სამყაროსთვის, არამედ საკუთარი თავისთვის ყოფილა საშიში. ძმები ერთ-მანეთის გვერდიგვერდ დაკრძალეს...



Sorrowing old man ("At Eternity's Gate"). 1890. Vincent van Gogh. Kröller-Müller Museum, Netherland

The Starry Night. Vincent van Gogh. Museum of Modern Art, New York City

4.

ᲝᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ:

ᲕᲐᲜ ᲒᲝᲒᲘ ᲧᲣᲠᲘᲡ ᲑᲘᲑᲘᲚᲝ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲭᲠᲘᲐ. ᲘᲡ ᲒᲝᲒᲔᲜᲓᲐ ᲛᲝᲭᲙᲕᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲘᲗ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲩᲮᲣᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲒᲝᲒᲔᲜᲘ ᲝᲓᲔᲡᲚᲐᲪ ᲙᲐᲠᲒ ᲛᲝᲤᲐᲠᲘᲙᲐᲕᲔᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲪ, ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲕᲐᲜ ᲒᲝᲒᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ.

ᲕᲐᲜ ᲒᲝᲒᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲙᲚᲐᲕᲡ. ᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲡᲐᲤᲐᲜᲢᲘᲡ ᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔᲢᲘᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲨᲔᲨᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲨᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲝᲗ ᲗᲐᲕᲘ...

VAN GOGH MUSEUM

Irises , 1890. Vincent van Gogh. Amsterdam, Van Gogh Museum

Portrait of Madame Roulin, 1889. Vincent van Gogh. Kröller-Müller Museum, Netherland

მხატვრის ყველაზე სრული კოლექცია ამსტერდამში Van Gogh Museum-შია წარმოდგენილი. აქ 200 ფერწერული ტილო, 500 ნახატი და 750 წერილი ინახება, მათ შორისაა ისეთი შედევრები, როგორიცაა: „მზესუმზირები“, „მხატვრის საძინებელი არლში“ და „კარტოფილის მჭამელები“. ექსპოზიცია ვან გოგის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სრულ წარმოდგენას შეგიქმნით. ვერნისაჟში გამოფენილია, აგრეთვე, სხვა იმპრესიონისტი მხატვრების, ვან გოგის მეგობრების ტილოები, ჩანახატები და წერილები. გამოფენა ქრონოლოგიურადაა დაყოფილი ხუთ ეტაპად: ადრეული პერიოდი; პარიზი; არლი; სენ რემი და ოვერი.

მხატვრის სიკვდილის შემდეგ ტილოები მის საყვარელ ძმას თეო ვან გოგს ერგო. თეო მალევე გარდაიცვალა და მემკვიდრეობა მის ქვრივს დარჩა. სწორედ ამ ქალის დამსახურებაა, რომ ვან გოგის ნამუშევრებმა ჩვენამდე მოაღწია და ნაგავსაყრელზე არ აღმოჩნდა, როგორც მხატვრის რძალს ურჩევდნენ „კეთილისმყოფელნი“. ეს კოლექცია 1973 წლამდე ვან გოგების ოჯახში ინახებოდა, სანამ მხატვრის ბიძაშვილის შვილმა ვინსენტ ვილემ ვან გოგმა ყველაფერი საგანგებოდ აშენებულ მუზეუმს არ გადასცა.

გირჩევთ, მუზეუმს დილით ან დღის პირველ ნახევარში ესტუმროთ, 10.00-იდან 15.00 სთ-მდე, რადგან ამ დროს ნაკლები დამთვალიერებელია. თუ ბილეთს წინასწარ ელექტრო-ნულად დაჯავშნით, ფასდაკლებითაც ისარგებლებთ და მუზეუმშიც უფრო სწრაფად მოხვდებით სპეციალური ბილიკით, რომელიც ელექტრონული ბილეთის მფლობელებისთვისაა გან-კუთვნილი. ბილეთის ამობეჭდვა სა-ჭირო არ არის, საკმარისია ის მეკარეს სმარტფონით უჩვენოთ.

THE VAN GOGH MUSEUM SHOP

სამუზეუმო მაღაზია, რომელიც ვესტი-ბიულში მდებარეობს, ვან გოგის ცხოვრებითა და შემოქმედებით შთაგონებული ნაწარმის დიდ არჩევანს გთავაზობთ. მისგან მიღებული შემოსავალი მუზეუმის კოლექციის შემდგომ გაფართოება-განვითარებას ხმარდება.

BOOKSHOP

მუზეუმის მესამე სართულზე განთავ-სებული წიგნის მაღაზია ნამდვილი საინფორმაციო-შემეცნებითი საგან-ძურია ვან გოგის ცხოვრებისა და ხელოვნების შესახებ; აქვე ნახავთ ლიტერატურას მხატვრის თანამედ-როვეებზე და საბავშვო წიგნების კუთხეს.

ღიაა: ყოველდღე – 9.00-18.00, პარასკეობით – 22.00 სთ-მდე.

ბილეთის ფასი: მოზრდილთათვის – 17€, 18 წლამდე – უფასოა.

Museumplein 6, Amsterdam
www.vangoghmuseum.nl

Sunflowers , 1889. Vincent van Gogh. Amsterdam, Van Gogh Museum

KRÖLLER-MÜLLER MUSEUM

ვან გოგის ნახატების მნიშვნელოვანი კოლექცია - 87 ტილო დაცულია კრიოლერ-მიულერის სახელოვნებო მუზეუმი, ის სიდიდით მეორეა ამსტერდამის მუზეუმის კოლექციის შემდეგ. ელენ კრიოლერ-მიულერი (1869-1939) ერთ-ერთი უდიდესი კოლექციონერი იყო; მან პირველმა აღიარა ვან გოგის ნახატების მხატვრული ღირებულება და აქტიურად ყიდულობდა მის ნამუშევრებს.

ვან გოგის ნახატების გარდა კრიოლერ-მიულერში სხვა მნიშვნელოვან ხელოვნების ნაწარმოებებსაც ნახავთ: პიტ მონდრიანის, ჟორჟ-პიერ სერას, ოდილონ რედონის, ჟორჟ ბრაკის, პოლ გოგენის, ლუკას კრანახის, ჯეიმს ენსორის, ხუან გრისის, პაბლო პიკასოსა და სხვა ცნობილთა ნამუშევრებს.

მუზეუმს „ქანდაკებების ბაღმაც“ გაუთქვა სახელი, რომელიც ტყის ზონაშია გაშენებული, 75 აკრ (300 000 კვ.მ) ფართობზე. ის ევროპაში

Terrace of a café at night, 1888. Vincent van Gogh Kröller-Müller Museum, Netherland

ერთ-ერთი ყველაზე ვრცელია და თანამედროვე ხელოვნების შესანიშნავი კოლექციით ხიბლავს სტუმრებს. ბაღის უჩვეულო დაგეგმარება ელენ კრიოლერ-მიულერის კონცეფციას ასახავს, რომელიც ხელოვნების, არქიტექტურისა და ბუნების სიმბიოზს გულისხმობს. ბაღში ნახავთ ოგიუსტ როდენის, ჰენრი მურის, ჟან დიუბუფეს, მარკ დი სუვეროს, ლუჩიო ფონტანას, კლას ოლდენბურგის, ფრიც ვოტრუბისა და სხვა მრავალთა ნამუშევრებს.

ღიაა: სამშაბათიდან კვირის ჩათვლით და ეროვნულ დღესასწაულებზე – 10.00-იდან 17.00 საათამდე.

ვისაც ხალხმრავლობა არ უყვარს, ჯობია პარკს პარასკევს ესტუმროს.

დაკეტილია: ორშაბათობით.
კომბინირებული ბილეთის (სკულპტუ-რების პარკი და მუზეუმი, პარკინგის ჩათვლით) ფასი მოზრდილებისთვის: 18.60€

Houtkampweg 6; 6731 AW Otterlo

ამსტერდამიდან მანძილი 80 კმ-ია (1 საათის გზა მანქანით).

© Rahi Rezvani, Nederlands Dans Theater, by Sol León & Paul Lightfoot

ცეკვა საერთაშორისო ენაზე

ირინა ბაგაური

ჰააგაში, ამსტერდამში, ანდა როგორიმე ჰოლანდიურ ქალაქში ერთხელაც თუკი ქუჩაში ძალიან ღამაზ, სხვადასხვა რასის, ქანის და თმის ფერის გოგო-ბიჭების ცეკვას გადაეწყლით, ეს შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ თქვენ, უგრაღლოდ, გაგიმართლათ და ნიდერლანდების ცეკვის თეატრის შემოქმედებითი ძიების პროცესის მომსწრენი გახდით: მოცეკვავეები ქორეოგრაფის მორიგი დავალებით სავარჯიშო დარბაზიდან გამოვიდნენ და ხალხმრავალ ადგილებში – პარკებში, ტროტუარებზე, მეტროს ესკალატორებზე გადიან რეპეტიციას.

არაფერი უჩვეულო: ცეკვის, აზროვნების, მაყურებელთან ურთიერთობის არატრადიციული ფორმები ამ დასისგან დიდი ხანია არავის უკვირს, ისევე როგორც, ზოგადად, ცოტა რამ თუ აოცებთ ჰოლანდიაში, სადაც ადამიანის თვითგამოხატვის უფლებას თავისი ოქროს ფასი ადევს და სწორედ ამ აზროვნების თავისუფლების ხელოვნებისა და სხეულის ენით გამოხატვას ემსახურება ნიდერლანდების ცეკვის თეატრიც.

NDT – ნიდერლანდების ცეკვის თეატრი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პროდუქტიული თანამედროვე ცეკვის დასია, თითქმის 60-წლიანი ისტორიით და საერთაშორისო ცნობადობით.

სიტყვა „საერთაშორისო“ ყველაზე ზუსტი ზედსართავია ამ კომპანიისთვის, რომელშიც მეოცე და ოცდაამეერთე საუკუნეების თითქმის ყველა დიდ ქორეოგრაფს უმუშავია სხეულის ენის ახალი ფორმების მისაკვლევად.

© Rahi Rezvani, Nederlands Dans Theater, by Sol León & Paul Lightfoot, Stop-Motion.

© Rahi Rezvani, Nederlands Dans Theater, by Sol León & Paul Lightfoot, Stop-Motion.



© Rahi Rezvani, Nederlands Dans Theater, by Sol León & Paul Lightfoot, Stop-Motion.

იმ დროს, როდესაც დიდი ევროპული საბალეტო დასების გარკვეული ნაწილი მოცეკვავეების შერჩევისას დღემდე აქცევს ყურადღებას ეთნიკურ წარმომავლობას, ნიდერლანდების დასის თეატრში, რომელსაც თანამედროვეობის უდიდესმა ქორეოგრაფმა მატს ეკმა ხუმრობით „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“ შეარქვა, დაადასტურეს და დღემდე ამტკიცებენ, რომ მრავალეთნიკურობა და მულტიკულტურულობა სხვა არაფერია, თუ არა აურაცხელი სიმდიდრე და დიდი წარმატებების საწინდარი.

ცეკვასაც ხომ არ აქვს თავისი ეროვნება, თუნდაც კლასიკურს, რომლის ისტორიის თხრობას, როგორც წესი, საფრანგეთის მეფე-მზის, ლუი XIV-ის კარის საცეკვაო წარმოდგენების ამბების მოყოლით იწყებენ; ამ წარმოდგენების წყალობით გაჩნდა ახალი ცნება – „კლასიკური ბალეტი“, რომელიც საფრანგეთიდან ევროპაში გავრცელდა, შემდეგ ევროპელი ქორეოგრაფების და, განსაკუთრებით კი, ფრანგი მარიუს პეტიპას დამსახურებით, რუსი იმპერატორების კარზე განვითარდა და XX საუკუნის დასაწყისიდან, იმპრესარიო დიაგილევის გასტროლების შედეგად, პეტერბურგიდან ახალი სამეტყველო ენით, რუსული მოდერნის სახელით დაუბრუნდა და მოედო მთელ დასავლეთს.

კლასიკური ცეკვის ისტორია ერთი დიდი გაცვლითი ურთიერთობის ამბავია და მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გამორჩეული სკოლები, აღზრდის მეთოდები და მიმდინარეობები, მისი წარმომავლობის მხოლოდ ერთი რომელიმე ერისთვის მიწერა თითქმის შეუძლებელია.

კულტურული გაცვლის ნაყოფია ნიდერლანდების ცეკვის თეატრიც: 1959 წელს ამერიკელმა ბალეტმაისტერმა ბენჯამინ ჰარკარვიმ, რომელიც რუსული მოდერნის ერთ-ერთი უმთავრესი წარმომადგენლის, მიხაილ ფოკინის მოსწავლე იყო, ქვეყნის მთავარი საბალეტო დასის, ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტის 18 მოცეკვავესთან ერთად ამსტერდამიდან ჰააგაში გადაინაცვლა და ნიდერლანდების ცეკვის თეატრი დააარსა.



© Rahi Rezvani, Nederlands Dans Theater, by Marco Goecke, Woke up Blind.

© Rahi Rezvani, Nederlands Dans Theater, by Sol León & Paul Lightfoot, Safe as Houses.

© Sharon Mor Yosef, Nederlands Dans Theater, by Jiri Kylián, Tar and Feather.

© Joris-Jan Bos, Nederlands Dans Theater, by Hans van Manen, Two.

ცეკვის, აზროვნების, მაყურებელთან ურთიერთობის არატრადიციული ფორმები ამ დასისგან დიდი ხანია არავის უკვირს, ისევე როგორც, ზოგადად, ცოტა რამ თუ აოცებთ ჰოლანდიაში, სადაც ადამიანის თვითგამოხატვის უფლებას თავისი ოქროს ფასი აქვს.

დასის მოღვაწეობის პირველი ათწლეულები ნიდერლანდებში კონტრკულტურის ახალგაზრდული პროტესტის, ახალი პოლიტიკური, სოციალური და ანტირელიგიური აქტივობების, ქალთა მოძრაობების და დიდი საპროტესტო ვნებათაღელვების ეპოქას დაემთხვა და ახალმა კომპანიამაც, რომლის დაარსების მიზანიც ცეკვის ტრადიციული ფორმებისგან განდგომა და ახლებური ექსპერიმენტების გატარება იყო, თავისი შემართებით იმ დროის კონტროვერსიულ თავგადასავლებს აუწყო ფეხი; ეს გამოხატა კიდეც კლასიკის დესტრუქციაში და პროვოკატორულ სპექტაკლებში, რის გამოც დასმა „ცუდი ბიჭის“ რეპუტაცია მოიპოვა. დასაწყისი, როგორც ამბობენ, რთული იყო.

ნამდვილი დიდება და აღიარება მსოფლიო თეატრალურ რუკაზე ნიდერლანდების ცეკვის თეატრმა წარმოშობით ჩეხი ირჟი კილიანის მისვლასთან ერთად მოიპოვა, რომელიც კომპანიას თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში, 2004 წლამდე ედგა სათავეში. კილიანი თანამედროვეობის უდიდესი ქორეოგრაფია, საკუთარი „სიურრეალისტურად“ წოდებული ხელწერით, პოეტური აზროვნებითა და განუმეორებელი ლირიკული სტილით. მისი შემოქმედების კვალს და გავლენებს დღემდე თითქმის ყველგან შეხვდებით, სადაც მასთან ერთად უმუშავიათ.

კილიანის მოსვლის შემდეგ, რეფორმის შედეგად, ნიდერლანდების ცეკვის თეატრი სამ ნაწილად გაიყო:

NDT 1 – როგორც თავად ნიდერლანდებში ამბობენ, 24-იდან 38 წლამდე ასაკის 28 ფენომენალური მოცეკვავისგან შემდგარი დასია, რომელთაგანაც ყველა სოლისტია.

NDT 2 – 16 ახალგაზრდა მოცეკვავისგან შემდგარი კომპანიაა, ასევე დიდი შესაძლებლობებით. დასის წევრებს მსოფლიოს არაერთ გამოჩენილ ქორეოგრაფთან უწევთ მუშაობა, თუმცა ბევრი მათგანი შესაძლოა ვერც მოხვდეს კარიერის განმავლობაში თეატრის პირველ დასში (NDT 2-ის ხილვის საშუალება პირველად ქართველ მაყურებელს 2017 წლის ივნისში ჰქონდა „თბილისის საერთაშორისო ბალეტის ფესტივალზე“ გამართული ორი საღამოს დროს).

და კილიანისვე ინიციატივით, არსებობდა NDT 3-იც, 40 წელს გადაცილებული მოცეკვავეებისთვის, თუმცა დასი 2006 წელს დაიშალა ფინანსური კრიზისის გამო.

დასის წევრების უდიდეს ნაწილს კლასიკური საბალეტო განათლება აქვს მიღებული, თუმცა ზოგი მოცეკვავე სხვადასხვა მიმდინარეობის ცეკვის კომპანიებიდან არის გადმოსული, რადგან აქ, როგორც ამბობენ, მთავარია არა უბრალოდ ტექნიკური მონაცემები, არამედ ინდივიდუალიზმი.

ირჟი კილიანმა, გარდა იმისა, რომ დასს საკუთარი შედევრები აჩუქა, ნიდერლანდების ცეკვის თეატრში სამუშაოდ მთელი მსოფლიოდან მიიწვია დიდი ქორეოგრაფები და, ამგვარად, NDT თანამედროვე ცეკვის უმნიშვნელოვანეს კოლექტივად აქცია.

მატს ეკი, ჰანს ვან მანენი, უეინ მაკგრეგორი, უილიამ ფორსაიტი, ოჰად ნაჰარინი, ალექსანდერ ეკმანი – ეს იმ ქორეოგრაფთა ძალიან მცირე ჩამონათვალია, რომლებსაც ნიდერლანდების ცეკვის თეატრში უმუშავიათ. კომპანიის რეპერტუარში ბალეტები, როგორც წესი, ორიგინალურია და ისინი პირველად NDT-სთვის იდგმება, ეს კი მოცეკვავეებს ანიჭებს უდიდეს პრივილეგიას, იყვნენ არა უბრალოდ, შემსრულებლები, არამედ თავად გახდნენ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილენი.

ალბათ სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა, რომ კილიანის მოცეკვავეთაგან დღეს ძალიან დიდი ნაწილი თავად ეწევა ქორეოგრაფის საქმიანობას და ამის ნათელი მაგალითია პოლ ლაიტფუტიც – ნიდერლანდების ცეკვის თეატრის ამჟამინდელი სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელიც, ტრადიციულად, თავის განუყოფელ პარტნიორთან, წარსულში ასევე დასის მოცეკვავე სოლ ლეონთან ერთად ქმნის NDT-სთვის ბალეტებს.

ამჟამინდელი ხელმძღვანელის კურსიც იგივეა: „მთავარი არა ქორეოგრაფია, არამედ თავად შემოქმედებითი პროცესია“, ამიტომ NDT-ში არავინ იშურებს ძალებს წარმოდგენის ჯადოსნური ატმოსფეროს შესაქმნელად: გამნათებლები, კოსტიუმის მხატვრები, სცენოგრაფები...

ნიდერლანდების ცეკვის თეატრი, როგორც აღვნიშნეთ, ჰააგაში მდებარეობს, თუმცა დასი ხშირად გამოდის, ასევე, სხვა ისეთ დიდ ჰოლანდიურ სცენებზე, როგორიცაა ამსტერდამის Het Muziektheater და ნეიმეგენის Stadsschouwburg.

ასე რომ, თუკი ამის საშუალება მოგეცემათ, არაფრით დაიხიოთ უკან NDT-ს წარმოდგენებზე დასასწრებად: საიდანაც არ უნდა იყვნენ მოცეკვავეები და რამდენიც არ უნდა მონაწილეობდეს წარმოდგენაში, სულ ერთია, ისინი აუცილებლად „ისაუბრებენ“ თქვენთვის გასაგებ „ენაზე“.

© Rahi Rezvani, Nederlands Dans Theater, by Franck Chartier, The lost room.

მოდა



VIKTOR & ROLF

ამსტერდამის მოდის სახლთაგან მსოფლიოში ყველაზე ცნობილის დამფუძნებლები ვიქტორ ჰორსტინგი და როლფ სნოერენი არიან, რომლებიც თავს უფრო „მოდის მხატვრებად“ მიიჩნევენ, რამდენადაც მზა ტანსაცმლის გარდა მათი საქმიანობის სფერო სუნამოების წარმოებასაც მოიცავს.

ამ წყვილმა საქმიანობა პარიზში დაიწყო, შემდეგ კი ისევ ამსტერდამს დაუბრუნდა ახალი მოდელების შესაქმნელად. დღეს Viktor & Rolf საერთაშორისო სახელის მქონე ვარსკვლავად იქცა „მაღალი მოდის“ ცის კაბადონზე. სწორედ განსხვავებულად მხატვრული მიდგომა გამოარჩევს მათ კოლექციებს, რომლებშიც კუბისტურ სტილში გადაწყვეტილი სახეები მხოლოდ ერთი ნაწილია მათივე შექმნილ მრავალფეროვნებაში.

ვიქტორი და როლფი მაინც უფრო ტანსაცმლისკენ იხრებოდნენ, რამდენადაც სწორედ ამ სივრცეში შეეძლოთ უფრო თავისუფლად გამოეხატათ საკუთარი შემოქმედებითი ჩანაფიქრები. თითოეულ მათ ნახელავს მუდამ ახასიათებს ერთგვარი ირონიულობა თუ იუმორისტული მიდგომა – აქ მშვენიერს გამაოგნებელი მოსდევს, მერე – რაღაც სასაცილო, მერე კი – ისევ უმშვენიერესი... თეატრალიზებულ ჩვენებებში ხშირად თავად დიზაინერებიც მონაწილეობენ ხოლმე, როცა პოდიუმზე სახელდახელო პერფორმანსებსაც მართავენ. სხვათა შორის, ისინი არც ერთმანეთის სარკისებური ანარეკლების ფოტოების გადაღებას თაკილობენ.

ასევე წარმატებული გამოდგა მათი უფრო კომერციული წამოწყებები. 2017 წელს მათ წარმოადგინეს ახალი საქორწილო კოლექცია, სახელწოდებით Viktor & Rolf Mariage, რომელმაც ლამის ყველა მნახველი ერთნაირად მონუსხა – უთხელესი სატინის ფუშფუშა სამეჯლისო კაბებითა და სლიპინა ასიმეტრიული ცილინდრებით.

IRIS VAN HERPEN

ირის ვან ჰერპენი ალექსანდრ მაკქუინის მოწაფე იყო და ეს გავლენა მაშინვე გეცემათ თვალში. მისი ნამუშევრები ფუტურისტული, მრავლისმთქმელი, სკულპტურულად დახვეწილი და მომაჯადოებელია – პირწმინდად ჰოლანდიური პრაგმატიზმისა და თავისთავადი ესთეტიზმის უჩვეულო ნაზავის წყალობით.

არნჰემში მდებარე პატარა ატელიეში ვან ჰერპენი საოცარ ხედვებს წარმოგვიდგენს, შუმასავით გამჭვირვალე მაქმანებიდან დაწყებული, ხეს მოდებული ხავსის მსგავსი ნაყშებიანი ქსოვილებით დამთავრებული. ნებისმიერი უცნაურობის მიუხედავად მის თითოეულ ნამუშევარს თანდაყოლილი ელეგანტურობის კვალი ატყვია.

ვან ჰერპენი მუდამ უცნაურ მასალებს იყენებს, უჩვეულო ქსოვილებს, და მათ ისე მოაქცევს ხოლმე თავის ჭკუაზე, როგორც ამას სხვა ვერავინ მოახერხებდა. მისი, როგორც დიზაინერის, ერთ-ერთი მთავარი პრინციპი შემოქმედ ხალხთან თანამშრომლობაა. მართლაც, ირისის არაერთ ნამუშევარს ემჩნევა ყველაზე ცნობილ მხატვრებთან, მოქანდაკეებთან, არქიტექტორებთან, მუსიკოსებსა თუ ფოტოხელოვანებთან საქმიანი ურთიერთობის კვალი.

დიზაინი

პრაგმატული და, ამავე დროს, ორიგინალური, იუმორის გრძნობით – ასე აღწერენ კრიტიკოსები ჰოლანდიურ დიზაინს. მას შემდეგ, რაც 1994 წელს ნიუ-იორკის სახელგანთქმული MoMA-ს კაფეს ახალი დიზაინი ჰოლანდიელებმა შექმნეს, ამ პატარა ქვეყნის დიზაინერულ საოცრებაზეც კი ალაპარაკდნენ. ცხადია, ამ ახალ ტალღას დასაბამი წლების წინ მიეცა, ყველაფერი ახალი ხომ გარკვეულ ტრადიციებზე იწყებს ზრდას.

1918 წელს ნეოპლასტიციზმის მოძრაობამ სახელი გაუთქვა ჰოლანდიას, როგორც დიზაინის ქვეყანას. ხელოვანები: თეო ვან დოესბურგი (Theo van Doesburg), გერიტ რიტველდი (Gerrit Rietveld) და პიტ მონდრიანი (Piet Mondriaan) – უბრალოებისა და აბსტრაქციის აპოლოგეტები იყვნენ. მოძრაობის პოპულარობა რიტველდის „წითელ-ლურჯი სკამით“ დაიწყო.

1980 წელს ჰოლანდიურმა დიზაინმა კიდევ ერთი აყვავების ხანა გაიარა. ჰოლანდიელი დიზაინერები ინდუსტრიული დიზაინის სფეროში მოქმედი ყველა ცნობილი მოძრაობის – Designum (1980), Droog Design (1993), Moooi (2001) – წამყვანი მონაწილეები იყვნენ. ამსტერდამი დღემდე რჩება დიზაინის ერთ-ერთ საერთაშორისო ცენტრად.

Studio Job-ის დამაარსებლები ჯობ სმიტსი და ნუნკე ტუნაგელი არიან. მათი ნამუშევრები არტისა და დიზაინის ზღვარზეა. Moooi-ს, Makkum-ისა და Bisazza-სთვის შექმნილი მათი ნამუშევრები სამუზეუმო კოლექციებს ამშვენებს. Studio Job-ის ჭაღები SOLO-ს ლაუნჯებში შეგიძლიათ ნახოთ.

Tejo Remy
თეიო რემი პროდუქტების, ინტერიერებისა და საზოგადოებრივი სივრცეების დიზაინზე უტრეხტში მუშაობს, პარტნიორ რენე ვეენჰუიზენთან ერთად. მან Droog-ისთვის ობიექტები – Chest of drawers, Rag Chair და Milk bottle lamps შექმნა. მის ნამუშევრებს მსოფლიოს დიზაინის საუკეთესო მუზეუმებში ნახავთ.

Marcel Wanders
მარსელ ვანდერსის პირველი პოპულარული დიზაინი Knotted Chair იყო, რომელიც მან Droog Design-ისთვის შექმნა 1996 წელს. ახლა ის ევროპის საუკეთესო დიზაინერულ კომპანიებთან თანამშრომლობს, როგორიცაა: B&B Italia, Bisazza, Poliform, Moroso, Flos, Boffi, Cappellini, Droog Design; Moooi-ში კი თანამფლობელი და სამხატვრო ხელმძღვანელია.

Gerrit Rietveld (1888-1964)
ჰოლანდიელი დიზაინერი და არქიტექტორი გერიტ რიტველდი ცნობილია თავისი წითელ-ლურჯი სკამით, რომელიც 1917 წელს შექმნა და სახლით Rietveld Schröder, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურშია შესული. 1918 წელს მან საკუთარი ფაბრიკა აამუშავა და ჰოლანდიური სახელოვნებო მოძრაობა De Stijl-ის წევრი გახდა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე.

Christien Meindertsma
კრისტიან მაინდერტსმამ საკუთარი ბრენდი Flocks 2003 წელს ჩამოაყალიბა და ნაქსოვ ნაწარმს, საგნებს ინტერიერისთვის და ტანსაცმელს ქმნის. მის მიერ შექმნილი საგნები მთელ მსოფლიოში იფინება. ნამუშევრები ლონდონში Victoria & Albert-ის მუზეუმის და ნიუ-იორკში MoMA-ს მუდმივ კოლექციებშია დაცული.

Willem Hendrik Gispen
ვილემ ჰენდრიკ გისპენი (1890-1981), დიზაინერი და არქიტექტორი, თავისი მოდერნისტული, ლითონის მილებისგ დამზადებული საოფისე ავეჯით არის სახელგანთქმული. Gispen-ის დიზაინით შექმნილი პროდუქცია, ლამპები და ავეჯი საყოველთაოდაა ცნობილი ევროპაში. Gispen-ის ნივთები ცნობილია ფუნქციონალური სტილის დანერგვით, რომელსაც ბაუჰაუსმა ჩაუყარა საფუძველი.

Joep van Lieshout
იუპ ვან ლისჰაუტი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და კომერციულად წარმატებული არტისტია ჰოლანდიაში. მისი დიზაინით შექმნილი ობიექტები – AVL Shaker და AVL Office Chair თანამედროვე კლასიკაა. „ატელიე ვან ლისჰაუტი“, რაც მისი სტუდიის აბრევიატურად იქცა (AVL), დიზაინერმა 1995 წელს ჩამოაყალიბა და დღემდე საკუთარი უბერებელი სითამამით აოცებს დიზაინის სამყაროს.



ჰოლანდიის სპორტული ოქრო-ვერცხლი

ბიძინა ბარათაშვილი

მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანაში **ყინულზე** სრიალში ფიგურული სრიალი ან ჰოკეი იგულისხმება, ჰოლანდიაში კი ეს **ჩქაროსნულ სრიალს** ნიშნავს. რა თქმა უნდა, ეს სპორტი სხვა ქვეყნებშიც არსებობს, თუმცა **ჰოლანდია** ერთადერთია, სადაც ყინულზე ჩქაროსნული სრიალი **სპორტის ეროვნული** სახეობაა, რასაც **ოლიმპიური ოქროს** მედლებიც ამტკიცებს. 35 ოლიმპიური ოქრო ჰოლანდიამ სწორედ **ციგურებით** ჩქაროსნულ სირბილში მოიპოვა.

ჰოლანდიური სპორტის ისტორია, ქვეყნის მასშტაბის გათვალისწინებით, მეტად მრავალფეროვანი და საამაყოა. აქაური სპორტსმენები, სანაკრებო თუ საკლუბო გუნდები წარმატებულები არიან სპორტის თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად პოპულარულ სახეობაში.

ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ჰოლან-დიელებს ჯამურად 395 მედალი აქვთ მოპოვებული (აქედან 122 ოქროსია), 1928 წელს კი ამსტერდამში თავად უმასპინძლეს სპორტის უმთავრეს ფორუმს, თანაც იმ წელს რამდენიმე უნიკალური მოვლენა დაფიქსირდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ ამსტერდამში გამართულ შეჯიბრებებს პირველად ეწოდა ზაფხულის ოლიმპიური თამაშები! დანარჩენი სიახლეებიდან: ოლიმპიადის ფორმატი რამდენი-მეთვიანიდან 16-დღიანად გარდაიქმნა, რაც დღემდე ძალაშია; საბერძნეთს დაუკანონდა ოლიმპიური აღლუმის გახსნის პატივი, ხოლო ოლიმპიური ცეცხლი, მას შემდეგ, ასპარეზობის პირველიდან ბოლო დღემდე ანთია.

ყველაზე მეტი – 35 ოლიმპიური ოქრო ჰოლანდიამ ციგურებით ჩქაროსნულ სირბილში მოიპოვა და არც ესაა გასაკვირი. მართალია, ისტორიულად ციგურების გამომგონებლებად კიმერიელები ითვლებიან (ძვ. წ. IV ათასწლეული), მაგრამ შუასაუკუნეების ევროპაში სწორედ ჰოლანდიელებმა დაიწყეს გარბენების შორეულ დისტანციებზე მოწყობა.

გარდა ამისა, სიტყვა „ციგური“ პირველად გემახის ინგლისურ-ჰოლანდიურ ლექსიკონშია (1648 წ.) მოხსენებული. პირველ არაოფიციალურ მსოფლიო პირველობასაც 1889 წელს ამსტერდამმა უმასპინძლა. აქვე გაიმართა ოფიციალური ტურნირიც, რომელიც 1893 წელს იაპ ედენის გამარჯვებით დასრულდა. სწორედ ედენი უნდა ჩაითვალოს ჰოლანდიური სპორტის პირველ ლეგენდად. მომდევნო წლებში მან კიდევ ორჯერ (1895 და 1896 წლებში) გაიმეორა თავისი მიღწევა, ხოლო 1894-95 წლებში ასევე ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ველოსპორტში, რაც დღემდე არც ერთ სხვა მამაკაცს არ ღირსებია (ქალთა შორის ეს ამერიკელმა შეილა იანგმა და გერმანელმა კრისტა როტენბურგერმა მოახერხეს). ედენის სახელი მაშინვე იქცა სარეკლამო ბრენდად და რამდენიმე ალკოჰოლურ სასმელს, შოკოლადსა და სიგარების ახალ სახეობასაც კი დაერქვა.

ედენის ტრადიციის გამგრძელებლად უნდა მივიჩნიოთ კიდევ ერთი გამორჩენილი მოციგურავე არდ სხენკი. 1972 წლის 3-გზის ოლიმპიური ჩემპიონი ერთადერთი სპორტსმენია, ვისი სახელიც ყვავილს ეწოდა! სხენკის კროკუსის შეძენა ახლაც შეგიძლიათ ჰოლანდიის სხვადასხვა ქალაქის ყვავილების ბაზრობებზე.

სხვათა შორის, სხენკი, რომლის კოლექციასაც ოლიმპიურთან ერთად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების 3-3 ოქრო და 18 მსოფლიო რეკორდიც ამშვენებს, ძალიან უცნაური სახელწოდების დასახლებაში დაიბადა, რომელსაც ანა პავლოვნა ერქვა! ეს სახელი დაბამ ზღვისთვის წართმეული მიწის (ე. წ. პოლდერის) საპატივცემულოდ მიიღო, რომელიც, თავის მხრივ, მეფე ვილემ II-ის მეუღლის, რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის ქალიშვილის სახელს ატარებდა.

მოციგურავეებზე საუბარს კი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის, 31 წლის სვენ კრამერის ხსენებით დავასრულებთ, რომელიც ჯერაც აქტიური სპორტსმენია და კიდევ შეუძლია თავისი შესაშური შედეგის გაუმჯობესება: 3 ოლიმპიური, მსოფლიო ჩემპიონატის 28 (მრავალჯიდი, ცალკეული დისტანციები) და ევროპის ჩემპიონატის 9 ოქროს მედალი!!!

ცალკე თემაა ჰოლანდიური ფეხბურთი.

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ასეთი უბედო გუნდი მეორე არ არსებობს!
თავად განსაჯეთ: ჰოლანდია სამჯერ გავიდა მუნდიალების ფინალში და სამივეჯერ წააგო გადამწყვეტი შეხვედრა (1974 წ. გერმანიასთან 1-2, 1978 წ. არგენტინასთან 1-3, 2010 წ. ესპანეთთან 0-1). ამათგან ორჯერ მას მასპინძელთან (1974, 1978 წწ.) მოუწია დაპირისპირება, ამდენჯერვე (1978, 2010 წწ.) საქმე დამატებით დრომდე მივიდა...

საინტერესოა ისიც, რომ სამივე მეტოქესთან ჰოლანდიელებს ისტორიული „ანგარიშები“ აქვთ. არგენტინა შეგვიძლია „მეგობრად“ ჩავთვალოთ – ქვეყნის ამჟამინდელი მეფის, ვილემ ალექსანდერის მეუღლე – დედოფალი მაქსიმა გვარად სორიეგიეტაა, ბუენოს-აირესში გაიზარდა და ამსტერდამში არგენტინული რესტორნების თვალშისაცემ სიმრავლესაც მას უკავშირებენ.



1. იაპ ედენი, მრავალგზის ჩემპიონი ციგურებით ჩქაროსნულ სირბილში

2. 1928 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდი

3. 1928 წლის ოლიმპიური თამაშები ამსტერდამში

4. ვიმ ვან ჰანეგემი და იოჰან კრუიფი, 1973

აი ესპანეთი და გერმანია კი, პირიქით, მუდამ ჰოლანდიელთა მოქიშპეებად ითვლებოდნენ. პირველს ჯერ კიდევ მამაცი გიოზები ეცილებოდნენ დამოუკიდებლობას და აკი მიაღწიეს კიდეც საწადელს (1581 წ.) ვილემ ორანელის თაოსნობით, თუმცა კი საბოლოო გამარჯვებისთვის, ჯამში, 80-წლიანი ომის გადატანა მოუწიათ (1568-1648 წწ.).

მეზობელ გერმანიასთან დაპირისპირება კიდევ უფრო პრინციპულია. თავი რომ დავანებოთ შუასაუკუნეების პერიოდს, II მსოფლიო ომის დროინდელმა ოკუპაციამ 50 000 ჰოლანდიელი ებრაელი შეიწირა, „ლუფტვაფეს“ დაბომბვამ კი როტერდამი, პრაქტიკულად, მიწასთან გაასწორა. ფაშიზმთან ბრძოლაში თავისი წვლილი ტექსელზე აჯანყებულმა ქართველმა ტყვეებმაც შეიტანეს.

სხვათა შორის, გერმანიასთან ომის თემა ჰოლანდიური სპორტის ისტორიაზეც აისახა. მხოლოდ ორ მაგალითს მოვიყვანთ: როტერდამის „ფეიენოორდისა“ და ჰოლანდიის ნაკრების ლეგენდარულმა ნახევარმცველმა ვიმ ვან ჰანეგემმა ომის დროს მამა, და და ორი უფროსი ძმა დაკარგა. გასაკვირი არაა, რომ იგი ყოველთვის განსაკუთრებული მონდომებით თამაშობდა გერმანული გუნდების წინააღმდეგ და არასოდეს მალავდა მათ მიმართ ანტიპათიას.

კიდევ უფრო დამთრგუნველია 1928 წლის ოლიმპიური ჩემპიონის ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდის წევრებისა და მათი მწვრთნელის ამბავი. 12 ოქროს მედალოსნიდან 5 ებრაელი იყო და 4 მათგანის ოჯახი ჰოლოკოსტმა იმსხვერპლა: სტელა აგსტერიბე ოსვენციმში დაიღუპა; ლეა ნორდჰეიმი, ანა დრესდენ-პოლიაკი, იუდიკა სიმონსი და მათი მწვრთნელი გერიტ კლირკოფერი – სობიბორის საკონცენტრაციო ბანაკში. იქვე იმყოფებოდა ელკა დე ლევიც, რომელიც სიკვდილს სასწაულებრივ გადაურჩა. 1997 წელს გუნდის სრული შემადგენლობა შეიყვანეს ებრაელთა სპორტული დიდების დარბაზში...

ბევრი გულშემატკივარი და ჟურნალისტიც კი ჰოლანდიური ფეხბურთის ისტორიის ათვლას გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან იწყებს, როდესაც ჯერ როტერდამის „ფეიენოორდმა“, შემდეგ კი ამსტერდამის „აიაქსმა“ ზედიზედ ოთხჯერ მოიგეს ჩემპიონთა თასი, ხოლო ნაკრები, რინუს მიხელსის მიერ დანერგილი ტოტალური ფეხბურთის მეშვეობითა და იოჰან კრუიფის თაობის უზადო ნიჭიერების წყალობით, შიშის ზარს სცემდა მთელ მსოფლიოს!
რა თქმა უნდა, ამაში არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ჰოლანდია ჯერ კიდევ 1904 წელს ფიფას 7 დამაარსებელს შორის მოიხსენიება, ხოლო მისი ნაკრები, მსოფლიო პირველობების გაჩენამდე, ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი გახდა (1908, 1920 წწ.)?! ზემოთ ნახსენებ ამსტერდამის თამაშებზეც ოლიმპიური ფიცი საფეხბურთო ნაკრების ლიდერმა ჰარი დენისმა წარმოთქვა. ნიდერლანდები არც მუნდიალებს მიღმა დარჩენილა. მართალია, 1930 წლის ტურნირი, თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის მსგავსად, მათაც გამოტოვეს, მაგრამ იტალიასა (1934 წ.) და საფრანგეთში (1938 წ.) სრულფასოვანი გუნდებით წარდგნენ.

1937 წელს ამსტერდამის ოლიმპიურმა სტადიონმა უმასპინძლა ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ნაკრებთა საბენეფისო შეხვედრას, რომელშიც დასავლეთ ევროპის ღირსების დასაცავად ბერტუს კალდენჰოვე, ბეპ ბაკჰიუსი, ლეო ჰალე, ბას პააუვე და კიკ სმიტი მიიწვიეს. ეს უკანასკნელი ეროვნულ ნაკრებს სხვებზე დიდხანს შემორჩა და კრუიფის ეპოქამდელი ჰოლანდიის უმთავრეს ვარსკვლავებს – ფაას ვილკესსა და აბე ლეენსტრასაც მოესწრო.

ამათგან პირველი 1947 წელს ასევე მიიწვიეს ევროპის ნაკრებში ბრიტანელებთან გასაჯიბრებლად, მერე კი „ვალენსიასა“ და მილანის „ინტერის“ ღირსებას იცავდა. მილანში ისე ჰყვარებიათ, რომ 1995 წელს მისი სახელი ქუჩას დაარქვეს. აი, ლეენსტრას ქუჩა კი არ არსებობს, სამაგიეროდ, „ჰეერენვეენის“ სტადიონია მისი სახელობის.

ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. დღევანდელ წერილში აღარ გვრჩება ადგილი ჰოლანდიელთა წარმატებებზე სასაუბროდ ცურვაში (22 ოლიმპიური ოქრო), ველოსპორტსა (18) და ბალახის ჰოკეიში (5), მაგრამ ბოლოს უთუოდ უნდა ვახსენოთ 1900 წლის პარიზის ოქრო მედალოსნები ნიჩბოსნობაში: როლოფ კლეინი და ფრანსუა ანტუან ბრანდტი.
საქმე ისაა, რომ ასპარეზობის წინ მათ სიმძიმის შესამცირებლად მესაჭე დოქტორი ბროკმანი 7 წლის ადგილობრივი ბიჭუნათი შეცვალეს, რამაც მოაგებინათ კიდეც გაცურვა, ხოლო უცნობი ბიჭი ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიურ ჩემპიონად აქცია. ცნობილი ქართველი მკვლევარი პაატა ნაცვლიშვილი შარშან გამოსულ მონოგრაფიაში ამტკიცებს, რომ ეს „მესაჭე“ ბავშვი იმხანად პარიზში მყოფი გიორგი ნიკოლაძე შეიძლება ყოფილიყო!

ამ ჰიპოთეზის დამტკიცების შემთხვევაშიც კი, ნიკოლაძის ოქრო ჰოლანდიას ჩაეთვლება, მაგრამ ჩვენთვის ეს ფაქტი საოცრად სიმბოლური იქნებოდა – ეს ხომ სწორედ ის გიორგი ნიკოლაძეა, რომლის სახელსაც ქართული სპორტის ისტორიის დაწყება უკავშირდება...

1. 1900 წლის პარიზის ტურნირის ოქროს მედალოსნები ნიჩბოსნობაში – როლოფ კლეინი და ფრანსუა ანტუან ბრანდტი უცნობ ბიჭუნასთან ერთად.

2. გიორგი ნიკოლაძე.

განათლება ჰოლანდიაში

მარიკა შალიკაშვილი

ჰოლანდიაში მიღებული უმაღლესი განათლება ცნობილია მაღალი ხარისხით. 2100-ზე მეტი საერთაშორისო სასწავლო პროგრამა და კურსი ამას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. კონტინენტურ ევროპაში ჰოლანდიას ყველაზე მეტი ინგლისურენოვანი პროგრამა და შედარებით ხელსაყრელი ფასები აქვს.

სტატისტიკის მიხედვით, ჰოლანდიაში 2016-2017 წლებში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე 164 ქვეყნის 112 000 საერთაშორისო სტუდენტი ჩაირიცხა, მათ შორის, 22 189 გერმანელი, 4347 ჩინელი, 3347 იტალიელი, 2976 ბელგიელი და 2778 ბრიტანელი. ეს ამ დრომდე ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. უცხოელი სტუდენტები განსაკუთრებით უფრო ხშირად შემდეგ ფაკულტეტებს ირჩევენ: 1. ეკონომიკისა და ბიზნესის; 2. ადამიანური და სოციალური მეცნიერებების; 3. საინჟინრო.

ექსპერტების დაკვირვებით, უცხოელების დიდი სურვილი, განათლება ჰოლანდიაში მიიღონ, ამ ქვეყანაში სწავლისა და ცხოვრების შედარებით დაბალი საფასურით აიხსნება. ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისთვის ის 1950 ევროდან იწყება, საერთაშორისო სტუდენტებისთვის კი ბაკალავრიატის საფასური 6000-იდან 15 000 ევრომდე, მაგისტრატურა კი 8000-იდან 20 000 ევრომდე მერყეობს. კვლევების თანახმად, სტუდენტის ცხოვრების ხარჯები ყოველთვიურად 800-იდან 1100 ევრომდეა. მუზეუმებში, კინოთეატრებში, რესტორნებსა და კაფეებში კი სტუდენტური ფასდაკლებები მოქმედებს.

რატომ ჰოლანდია?

- ჰოლანდიელების 95 პროცენტი ინგლისურად საუბრობს. აქ სასწავლო გრანტის მოპოვების ბევრი შესაძლებლობაა. სწავლების მეთოდი აქტიურ ინტერაქციას მოიცავს, რაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
- სტატისტიკის მიხედვით, ჰოლანდია ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად ითვლება. 2016 წელს Global Peace Index-ის მიხედვით (გლობალური მშვიდობის ინდექსი), ჰოლანდია მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ქვეყნების ათეულის ერთ-ერთი ლიდერია.
- ამსტერდამიდან პარიზში მატარებლით 3 საათი, ლონდონსა და ბერლინში სამოგზაუროდ კი მხოლოდ 5 საათი გჭირდებათ.
- ჰოლანდია ეკონომიკური სიძლიერით მსოფლიოში მე-17 ადგილზეა (Philips, Heineken, KLM, Shell, Unilever, ING).
- იმის გამო, რომ ხელისუფლებას სურს ქვეყანაში ნიჭიერი ახალგაზრდები მიიზიდოს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სტუდენტებს შეუძლიათ ერთი წლით ცხოვრების უფლება მოიპოვონ და სამსახურის დაწყება შეძლონ. სამი წლის შემდეგ ისნი ბიზნესსაქმიანობის უფლებასაც იღებენ.

ნიდერლანდების 5 საუკეთესო უნივერსიტეტი

DELFT UNIVERSITY OF TECHNOLOGY

„დელფტი“ ჰოლანდიის უძველესი და უდიდესი სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტია. ის უილიამ მეორემ 1842 წელს სამოქალაქო ინჟინრებისთვის დააარსა. „დელფტი“ სამეფო აკადემიის სახელს ატარებდა და სამოქალაქო მოსამსახურეებს ჰოლანდიის ოსტინდოეთის კომპანიაში (Dutch East India Company) სამუშაოდ ამზადებდა. 1864 წელს „დელფტი“ საუკეთესო პოლიტექნიკურ სკოლად დაასახელეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მისი სტუდენტების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და დღეს 20000-მდე აღწევს. სტუდენტთა მეოთხედი უცხოელია. „დელფტი“ მსოფლიოს საუკეთესო საინჟინრო ტექნოლოგიურ უნივერსიტეტებს შორის მე-20 ადგილს იკავებს. აქ ნობელის პრემიის არაერთი ლაურეატი გაიზარდა, მათ შორის, იაკობუს ჰენრიკუს ვანდტ ჰოფი და სიმონ ვან დერ მეერი.

UNIVERSITY OF AMSTERDAM

1632 წელს დაარსებული ამსტერდამის უნივერსიტეტი ჰოლანდიაში სიდიდით მესამეა, აქ წელიწადში 30000 სტუდენტს იღებენ. UVA ცნობილია სოციალური მეცნიერებებისა და ჰუმანიტარული ფაკულტეტებით. ინგლისურ ენაზე შეთავაზებული 150 საგანი ყოველწლიურად 3000 სტუდენტს იზიდავს მსოფლიოს 100 ქვეყნიდან. ძირითადი კამპუსი ცენტრალურ ამსტერდამში მდებარეობს, სხვადასხვა შენობა კი მთელ ქალაქშია მიმოფანტული. UVA ევროპის უდიდესი კვლევითი უნივერსიტეტია. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 4 მილიონი წიგნი და ათასობით ხელნაწერი, წერილი, რუკა და იშვიათი ნაშრომია დაცული.

WAGENINGEN UNIVERSITY AND RESEARCH CENTER

„ვაგენინგენი“ სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებით მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლო დაწესებულებაა. აქ 10000 სტუდენტი სწავლობს. ინგლისურენოვანი ფაკულტეტების სიმრავლის გამო სტუდენტების 20 პროცენტი უცხოელია.

სამაგისტრო პროგრამა მხოლოდ ინგლისურ ენაზეა. „ვაგენინგენი“ გერმანიის საზღვართან ახლოს მდებარეობს. დაწესებულების მთავარი სლოგანია: „აღმოაჩინე ბუნების შესაძლებლობები და გააუმჯობესე ცხოვრების ხარისხი“.

ERASMUS UNIVERSITY OF ROTTERDAM

ერასმუსის უნივერსიტეტი მთავარ აქცენტს ჯანდაცვის, სახელმწიფო მართვის, მედიისა და კულტურის მიმართულებებზე აკეთებს. სტუდენტები საერთაშორისო საკლასო ოთახებში იღებენ განათლებას, სადაც ლექტორებიც და სტუდენტებიც სხვადასხვა ქვეყნიდანაა.

„ერასმუსი“ 4 კამპუსშია გაშლილი, მათ შორის მთავარია Campus Woudestein – ვოდეშტაინის კამპუსი, რომელსაც „ერასმუსის“ გულსაცუწოდებენ. აქნახავთ პავილიონს, სადაც თეატრი და საგამოფენო სივრცეა განთავსებული.

LEIDEN UNIVERSITY

ნიდერლანდების უძველესი უნივერსიტეტი 1575 წელს დაარსდა. მასში სამეფო ოჯახის წევრები სწავლობდნენ და, შესაბამისად, ლაიდენის უნივერსიტეტი დღემდე ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს ნიდერლანდების სამეფო ოჯახთან. ლაიდენის უნივერსიტეტმა არაერთი ცნობილი პოლიტიკოსი და ინტელექტუალი გამოზარდა.

ნიდერლანდების ოქროს ხანის დროს აქ სპინოზა და დეკარტი სწავლობდნენ. „ლაიდენთან“ ნობელის პრემიის 16 ლაურეატია დაკავშირებული, მაგალითად, ალბერტ აინშტაინი და ენრიკო ფერმი. აქ ინგლისურად 200 საგანი ისწავლება.

ჰოლანდიაში უმაღლესი განათლების ორი მიმართულება არსებობს: კვლევითი (კვლევით უნივერსიტეტებში ისწავლება) და პროფესიული (გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტებში ისწავლება). ძირითადი ენა ნიდერლანდურია, თუმცა ბოლონიის პროცესის გავლენის შემდეგ მეტი და მეტი ინგლისურენოვანი სასწავლო პროგრამა გაჩნდა. ნიდერლანდებში კვლევით სამუშაოებზე ორიენტირებული უნივერსიტეტები აქცენტს თავისუფალ, დამოუკიდებელ აზროვნებაზე აკეთებენ, კოლეჯების მთავარი მიზანი კი სამომავლო კარიერისთვის ინდივიდის კონკრეტული მიმართულებით.

ჰოლანდიის საუკეთესო უნივერსიტეტები, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის, ჰიდროსაინჟინრო, უმაღლესი პროფესიული სამედიცინო მიმართულებით და უმაღლესი საპროფილო განათლების კუთხით 200 სასწავლო პროგრამას გვთავაზობს. ისინი უზრუნველყოფენ თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას სამომავლო დასაქმებისთვის იმ დაწესებულებებში, სადაც უმაღლესი პროფილური კვალიფიკაცია სავალდებულო ან მიზანშეწონილია.

კურსდამთავრებულები საქმდებიან სხვადასხვა, მათ შორის, ვაჭრობისა და ინდუსტრიული მიმართულებით, სოციალური მომსახურების, ჯანდაცვის სფეროში და საჯარო სექტორში. უნივერსიტეტები აერთიანებს აკადემიურ კვლევასა და სწავლებას. საუნივერსიტეტო განათლება აკადემიურ დისციპლინებში ტრენინგებზე აკეთებს აქცენტს. ინდივიდებმა თავად უნდა მოიპოვონ დაფინანსება, მიღებული ცოდნა კი სამომავლოდ დასაქმებისას გამოიყენონ.

ნიდერლანდებში 13 უნივერსიტეტია, მათ შორის, სამი ტექნოლოგიური. ვაგენინგენის უნივერსიტეტს (Wageningen University) ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აფინანსებს.

შესაძლებლობები ქართველი სტუდენტებისათვის

ქართველი მოსწავლეები, რომლებსაც ნიდერლანდებში სწავლისგაგრძელებასურთ, ხშირადაწყდებიანერთსადაიმავე პრობლემას: უმაღლესი კვლევითი უნივერსიტეტები ქართულ ატესტატს არ აღიარებენ, ვინაიდან ქართული სასკოლო ატესტატი ჰოლანდიის ატესტატს არ უთანაბრდება. ამის გამო ქართველი სტუდენტებისთვის ნიდერლანდების სამეფოში სწავლა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ისინი პირველ კურსს საქართველოში დახურავენ. ამის შემდეგ ჰოლანდიაში მათ სწავლის დაწყება კვლავ პირველი კურსიდან უწევთ. ალტერნატიულ ვარიანტს ადგილზე ერთწლიანი მოსამზადებელი კურსის გავლა წარმოადგენს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ქართველ სტუდენტებს არანაირი უპირატესობა არ ენიჭებათ. ამერიკულ-ქართულმა განათლების ცენტრმა საერთაშორისო აკადემია „ლოგოსთან“ ერთად მოლაპარაკებები აწარმოა ჰოლანდიურ მხარესთან და შედეგად რამდენიმე ვარიანტი გამოინახა.

პირველ ასეთ ვარიანტად სკოლის ატესტატთან ერთად საატესტატო ნიშნების გამოთხოვა და გაგზავნა განიხილება. ვინაიდან საქართველოში ყველა მოსწავლე ერთნაირ სასკოლო ატესტატს იღებს, აკადემიური მოსწრების გარდა მოსწავლის მაღალი კვალიფიკაციის დამადასტურებლად საატესტატო ნიშნების ფურცელი გამოდგება.

მეორე შესაძლო ვარიანტია საქართველოში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. ამ შემთხვევაში ნიდერლანდების უნივერსიტეტი გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებს, რაც მოსწავლე ერთიან ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებს და წინასწარ განსაზღვრულ ბარიერს გადალახავს.

სასწავლო წლის დაკარგვის თავიდან აცილების კიდევ ერთი შესაძლებლობაა SAT-ის გამოცდის ჩაბარება. ეროვნული გამოცდის მსგავსად, მოსწავლემ აქაც უნდა დააგროვოს წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ქულა, თუმცა რაც უფრო მაღალია ქულა, მით მეტია ჰოლანდიის სასწავლებელში მოხვედრის შანსი.

ქართველი სტუდენტების უმრავლესობა Liberal Arts and Sciences College-ში, უტრეხტის, მაასტრიხტის, ერასმუსის და ამსტერდამის უნივერსიტეტებში (Utrecht University, Maastricht University, Erasmus University, University of Amsterdam) ეუფლება უმაღლეს განათლებას. აღნიშნულ სასწავლებლებში მოხვედრა საკმაოდ რთული სწორედ იმ მიზეზითაა, რომ ისინი ქართულ დიპლომს არ ცნობენ. ჩარიცხვა საერთაშორისო საბაკალავრო კურსის დამთავრების შემთხვევაშია შესაძლებელი, რომელიც საქართველოში მხოლოდ ორ სასწავლებელს – ევროპულ სკოლას და New School-ს აქვს.

გარდა ამისა, საჭიროა ძალიან ბევრი დამატებითი აქტივობა (extra curricular activities), რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ კარგი ნიშნებითა და ოქროს მედლით ვერავის გააკვირვებთ, საჭიროა უნივერსიტეტს დაუმტკიცოთ, რომ სასწავლებლის გარეთ პროდუქტიული ხართ და სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობაშიც მიიღებთ მონაწილეობას.

ე. წ. კრეატიული ინდუსტრია ნიდერლანდებში სულ უფრო და უფრო მეტ საერთაშორისო აღიარებას იხვეჭს. ყველაზე ძლიერი მიმართულებებია: ინტერიერის დიზაინი, არქიტექტურა, მოდა და თამაშები. დიზაინერებისთვის, ძლიერი სასწავლო პროგრამების წყალობით, ჰოლანდია ინოვაციების ეპიცენტრია.

გლობალური ინოვაციების ინდექსის კვლევით, ნიდერლანდები მეოთხე ადგილზეა და უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: ამერიკა, ფინეთი, გერმანია და იაპონია. ქვეყანა გამორჩეულია პროდუქციის დიზაინითაც, აქ კონკრეტულად დიზაინერის ხედვა არის მთავარი საზომი.

ქვეყანა ასევე წინაა დიზაინის მენეჯმენტისა და სერვისების კუთხით: 1. ინტერიერი – ავეჯი და განათება; 2. გრაფიკული დიზაინი – ტიპოგრაფია, ბრენდების დიზაინი, ილუსტრაცია; 3. ბრენდირება – აეროპორტები, რკინიგზის სადგურები; 4. საჯარო სივრცეების მოწყობა – ქუჩის ავეჯი; 5. სამედიცინო აღჭურვილობა; 6. რეკრეაციული ზონების მოწყობა – ველოსიპედები, იახტები; 7. სამუზეუმო სივრცეების დიზაინი; 8. ინტერაქტიული დიზაინი – თამაშები, ფილმები და ანიმაცია.

დიზაინის კვირეული, რომელიც ყოველ წელს შემოდგომაზე ეინდჰოვენში ტარდება, ამ დარგში ნიდერლანდების წლის მთავარი ღონისძიებაა. „ფორბსის“ თანახმად, ეინდჰოვენი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია გამომგონებლობის მიმართულებით. აქ ყოველ 10000 მოსახლეზე 22.6 განაცხადი შედის ამა თუ იმ იდეის ან პროდუქტის დაპატენტებაზე. საშუალოდ, ყოველ 20 წუთში ერთი პატენტი იქმნება.

EINDHOVEN DESIGN ACADEMY

„ნიუ-იორკ თაიმსის“ მიერ მსოფლიოს საუკეთესო დიზაინის აკადემიად აღიარებული სასწავლებელი გვთავაზობს კურსებს ხელოვნებაში, დიზაინსა და არქიტექტურაში. Hanze University of Applied Sciences – გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი გვთავაზობს პროგრამას გრაფიკულ დიზაინში, ილუსტრაციასა და ანიმაციაში.

ინდუსტრიული დიზაინის შესწავლის მსურველთათვის რეკომენდებულია: Eindhoven University of Technology – ეინდჰოვენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი და The Hague University of Applied Sciences – ჰაგის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი. ფოტოგრაფიის, რეკლამისა და პროდუქციის დიზაინის შესწავლის მსურველები Willem de Kooning Academy-თ უნდა დაინტერესდნენ. აკადემია 10 საბაკალავრო პროგრამას სთავაზობს სტუდენტებს.

წითელი ფანჯრების ამბები

ბიძინა ბარათაშვილი

ამსტერდამისა და მთლიანად ჰოლანდიის ხსენებაზე კაცს უნებლიეთ რამდენიმე სახასიათო დეტალი გახსენდება: ვან გოგისა და რემბრანდტის მუზეუმები, ყველი, ტიტები, ქარის წისქვილები, კლომპენები (ხისგან გამოთლილი ეროვნული ფეხსაცმელი), კოფიშოპი და „წითელი ფარნების უბნის“ ფანჯრებში გამომსხდარი ვნებიანი ქალბატონები! თანმიმდევრობა შეიძლება შეიცვალოს, შინაარსი კი, როგორც წესი, უცვლელი რჩება...

ნიდერლანდებში ყოველი სტუმრობის შემდეგ – ეს კი, საბედნიეროდ, საკმაოდ ხშირად ხდება ხოლმე – ჩემი სახლის აივანზე გაშენებული ორანჟერეა ახალ-ახალი ფერის კროკუსებით ივსება, მაცივარი – სხვადასხვა გემოს მქონე ყველის სახეობებით, ნათესაობა კი საჩუქრად ჩამოტანილი კლომპენის ფორმის ნაჭრის საშინაო ჩუსტებით (წუღებით) იმოსება!

ქარის წისქვილიც შეიძლებოდა რამეში გამომდგომოდა, მაგრამ მისი წამოღება ჯერ არ მიცდია. ვან გოგისა და რემბრანდტის ტილოებს კი სიამოვნებით ჩამოვიტანდი, მაგრამ არავინ მატანს...

ამ ადგილას, საუბრობენ „აკრძალული თემებიდან“ მეორეზეც. კოფიშოპების შესახებ ჟურნალის სხვა ავტორები მოგითხრობენ, მე კი, „ფრანგული გამოცდილების“ ინერციით (ამ თემაზე საფრანგეთისადმი მიძღვნილ „სოლოს“ ნომერშიც მომიწია საუბარი), თქვენს ყურადღებას სიყვარულით მოვაჭრეთა ისტორიასა და დღევანდელობაზე შევაჩერებ.

ჰოლანდიელ ქალთა სექსუალური თავისუფლება და ეროტიზმი ჯერ კიდევ შარლ დე კოსტერმა აღწერა „ტილ ულენშპიგელისა და ლამე გუძაკის ლეგენდაში“ (1867). უფრო თანამედროვე და თანაც ისტორიულ რეალობაზე დაფუძნებულ მაგალითად ჰოლანდიელი მარგარეტა გერტრუდა ზელეს – მატა ჰარის ისტორია გამოდგება. XIX საუკუნის ბოლოსა და XX დასაწყისის ყველაზე ცნობილი კურტიზანი ქალი და ეგზოტიკური მოცეკვავე ხომ დღემდე არ ასვენებს კინემატოგრაფისტებსა და ლიტერატორებს. შემთხვევითი არაა, რომ სხვადასხვა დროს მისი ჯაშუშური თუ სასიყვარულო თავგადასავლები ეკრანზე ასტა ნილსენის, გრეტა გარბოსა და ჟანა მოროს დონის ეპოქალურ ვარსკვლავებს გაუცოცხლებიათ.

საკუთრივ ჰოლანდიელთაგან იგი სამმა ლამაზმანმა განასახიერა. ამათგან, ჟოზინე ვან დალსუმი ნაკლებად ცნობილია, სამაგიეროდ, დანარჩენი ორი იყო მსოფლიო მასშტაბის სექსსიმბოლო: მაცდური მარუშკა დეტმერსი თვით ჟან-ლუკ გოდარის მუზად იქცა, სილვია კრისტელმა კი თანამემამულის ეკრანული სახე უკვე „ემანუელის“ საკულტო როლის ათი წლისთავზე მოირგო!

რა თქმა უნდა, ჰოლანდიურ ფანჯრებში გამოფენილ ლამაზმანებს ძნელად თუ მიაკუთვნებთ მატა ჰარის „ტრადიციების“ პირდაპირ გამგრძელებელთა რიცხვს – მით უმეტეს, რომ მათ შორის ადგილობრივთა წილი (სადღეისოდ 32%-ია) ყოველწლიურად კლებულობს და მეტწილად სამხრეთ ევროპელები იკავებენ მათ ადგილს. თავის მხრივ, ამ პროცესმა ტრეფიკინგისა და სექსუალური მონობის პრობლემა გააჩინა. უკანასკნელ წლებში სამართალდამცველებმა ზედიზედ გახსნეს რამდენიმე ხმაურიანი საქმე. ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა ეხებოდა უნგრეთიდან ჩამოსულ 763 გოგონას, რომელთა 60% სექსუალურ ექსპლუატაციას განიცდიდა.

ალბათ ესეცაა ერთი მიზეზი იმისა, რომ ამსტერდამის მოსახლეობამ და მუნიციპალიტეტმა აქტიურად დაიწყეს კამპანია ქალაქის იმიჯის შესაცვლელად და მთავარ სამიზნედ სწორედ „ფანჯრების პროსტიტუციის“ მასშტაბის შემცირება დაისახეს. ძალიან მოკლე პერიოდში მათი რაოდენობა 500-იდან 300-მდე შემცირდა, კიდევ 47 პირადად დახურა ქალაქის მერმა ებერჰარდ ვან დერ ლანმა 2014 წლის 19 სექტემბერს.

ე. წ. „ფანჯრის პროსტიტუცია“ (Raamprostitutie) ბენილუქსური მოვლენაა. ერთი ეგაა, რომ ამსტერდამსა და ანტვერპენს დღემდე ვერ გაურკვევიათ, რომელ მათგანს ეკუთვნის ისტორიული პირველობა.

მსგავსი პროცესები ქვეყნის ისტორიისთვის ახალი არაა. სახელმწიფო დონეზე აქაური ბორდელების დახურვა ჯერ იმპერატორმა კარლოს V-მ ბრძანა (1530), 1578 წელს კი ეს პროცესი ესპანელთა ბატონობის პარალელურად დასრულდა. ნაპოლეონის ეპოქაში ქვეყანა პროსტიტუციის რეგლამენტაციის ფრანგულ მოდელზე გადავიდა, რომელიც 1881 წლამდე დარჩა ძალაში და მხოლოდ არასრულწლოვანთა (21 წლამდე) მეძავობას კრძალავდა.

სექსუალური თავისუფლების პარალელურად ნიდერლანდებში ყოველთვის არსებობდა საკმაოდ სოლიდური საპროტესტო მოძრაობაც. ჰენდრიკ პირსონის თაოსნობით ჯერ კიდევ 1878 წელს შეიქმნა პროსტიტუციასთან ბრძოლის ასოციაცია, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ 1889 წელს მასშტაბური კონფერენცია მოაწყო და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები გააერთიანა. 1911 წელს ხელისუფლებამ აკრძალა ქვეყნის ტერიტორიაზე ბორდელების მფლობელობა, თუმცა თავად ამ საქმიანობაში ჩაბმულ ქალებს რაიმე შეზღუდვა არ შეხებიათ.

დღეს ჰოლანდია ევროპის სახელმწიფოთა იმ „დიდ რვიანში“ შედის, სადაც პროსტიტუცია სრულადაა ლეგალიზებული. აქ მას პარტნიორობას უწევენ გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, საბერძნეთი, თურქეთი, უნგრეთი და ლატვია.

პროსტიტუციის ლეგალიზაცია ნიდერლანდებში ოფიციალურად 2000 წლის 1-ლ ოქტომბერს გაფორმდა. სწორედ ამ პერიოდში იღებს სათავეს იმჟამინდელ „მეძავთა“ (ტერმინი „სექსმუშაკი“ გაცილებით გვიანია) მასობრივი მიგრაცია ყოფილი ვარშავის ბლოკის ქვეყნებიდან ჩრდილოეთისკენ და ამასთან დაკავშირებული კრიმინალური ამბები. 7 წლის შემდეგ ამსტერდამის მაშინდელმა მერმა იობ კოხენმა ეს

გადაწყვეტილება შეცდომად გამოაცხადა და ზემოაღწერილ პროცესებს მწვანე შუქი აუნთო...

მაგრამ ძნელად წარმოსადგენია, რომ ამ აქტივობამ რეალურად შეცვალოს საქმის ვითარება. ჯერ ერთი, სექსტურიზმი ქვეყნის ბიუჯეტის სერიოზული შემავსებელია; მეორე ის, რომ 1988 წლიდან ხელისუფლებამ ოფიციალურად აღიარა პროსტიტუცია პროფესიად, სექსმუშაკები აქ გადასახადებს იხდიან, სანაცვლოდ კი სამედიცინო დაზღვევასა და პენსიას იღებენ. თქვენ წარმოიდგინეთ, კუთვნილი შვებულების უფლებითაც კი კანონიერად სარგებლობენ.

ამად არის, რომ ბოლო დროს საპროტესტო აქციებს უკვე სექსმუშაკები აწყობენ. მათი შეკრებები სულ უფრო ხალხმრავალი ხდება და უფლებადამცველი ორგანიზაციების პოზიციებიც შემრიგებლური გახდა.

ახლა კი მათთვის, ვინც ჯერ არ ხართ ნამყოფი ამსტერდამში, მოკლედ აღვწერთ Red Light District-ს.

აეროპორტიდან ჩქარი მატარებლით ცენტრალურ სადგურამდე მისულს, ამსტერდამული ჰაერის პირველი ჩასუნთქვისთანავე გიჩნდება თავისუფლების განსაკუთრებული შეგრძნება და ადრენალინის მოზღვავებასაც მაშინვე გრძნობ. გამოვტოვოთ სასტუმროში დაბინავების რუტინული პროცედურა და პირდაპირ შემდეგ პუნქტზე გადავიდეთ. ყალბი მორალისტობის გარეშე გეტყვით, რომ 100-იდან 90 შემთხვევაში ნებისმიერი ასაკის ტურისტი გაცილებით ადრე აგნებს კოფიშოპსა და „წითელი ფარნების უბანს“, ვიდრე რომელიმე მუზეუმს...

მით უფრო, რომ ერთიც და მეორეც ქალაქის ცენტრში მდებარეობს. დამის ცენტრალური მოედნიდან აქ მოსახვედრად ან ხალხსავსე Damstraat-ს უნდა ჩაუყვეთ Oudezijds Voorburgwal-ამდე, ან ჯერ ფეშენებელური სასტუმრო „კრასნოპოლსკის“ გაყოლებაზე მდებარე პრეზერვატივების მსოფლიოში სახელგანთქმულ მაღაზია „კონდომერის“ (Warmoesstraat 141) ვიტრინებს ჩაუაროთ და „თემატური ექსკურსია“ მარჯვნივ მდებარე რომელიმე ჩასახვევით განაგრძოთ...

საბოლოო ჯამში, ორივე გზა Oudezijds Achterburgwal-ზე მიგიყვანთ. ეს არხის ორივე მხარეს გაშენებული ქუჩაა, რომელზეც ადგილობრივი „ფანჯრების“ თითქმის 70% მდებარეობს. „ვერნისაჟი“ მთელი დღის მანძილზე „ფუნქციონირებს“, გოგონები კი ცვლებში მუშაობენ. დღის საათებში შედარებით სიმშვიდეა, საღამობით (განსაკუთრებით პარასკევიდან კვირამდე) ვიწრო შესახვევებში გავლაც კი ჭირს. ყველა ჯურის ტურისტი დეტალურად ათვალიერებს ვიტრინებს, იქ მყოფნი კი სამუშაო პაუზების დროს ხშირად მშვიდად კითხულობენ წიგნს ან ტელეფონით საუბრობენ.

კვარტლის კიდევ ერთი, უფრო მოკრძალებული ნაწილი ერთი არხით ზემოთ, ძველი ეკლესიის (Oude Kerk) გარშემოა განთავსებული. ასეთი უცნაური მეზობლობა ნუ გაგაკვირვებთ – მას თავისი ლოგიკა და რამდენიმესაუკუნოვანი ისტორია აქვს. რა გინდ გასაკვირადაც უნდა მოგეჩვენოთ, სწორედ ეკლესიამ შეუწყო ხელი ამსტერდამში ამ ბიზნესის განვითარებას. საპორტო ქალაქში ჩამოსულ მეზღვაურებს, რომლებიც ზღვაში ბუნებრივად იყვნენ მოკლებულნი საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას, გული პირდაპირ მეძავებისკენ მიუწევდათ. კი მაგრამ, ეს ხომ ცოდვააო, იკითხავთ ალბათ. ჰოდა, სწორედ ცოდვათა მოსანანიებლად უწევდათ ზღვაოსნებს შესაბამისი ფასის გადახდა და ეკლესიაც იქვე ამავე მიზნისთვის აუგეს!

რაიონში ყველა სახისა და ფინანსური შესაძლებლობის კლიენტებს ნახავთ. ყველაზე გაჭირვებულებს 2 ევროდ ჭუჭრუტანიდან დანახული Peep Show-თი მოუწევთ დაკმაყოფილება, სადაც არცთუ მომხიბვლელი ქალბატონები უკონტაქტოდ იზლაზნებიან მოძრავ რკალზე. საშუალო შეძლების ბრიტანელები და გერმანელები აქ ჯგუფებად ჩამოდიან უიქენდზე და მასობრივ ღრეობებს მართავენ Old Sailor-ისა და Banana-ს ტიპის ბარებში; უფრო შეძლებულებისთვის არსებობს თეატრი Casa Rosso და Moulin Rouge, სადაც 40 ევროდ სტრიპტიზსაც წარმოგიდგენენ და ბოლოს სცენაზე რეალურ სექუალურ აქტსაც ჩაატარებენ!

ცალკე „ანკლავი“ – Oudezijds Achterburgwal-ის ნაწილი და 3 მიმდებარე ქუჩა (Barndesteeg, Bloedstraat, Gordijnensteeg) ტრანსგენდერებს უპყრიათ. მათ Shemale-ს უწოდებენ (She – ქალი, Male – მამაკაცი) – ქალივით აცვიათ და ამტკიცებენ, უბრალოდ, „არასწორ“ სხეულში დავიბადეთო. კერძო საუბარში ერთმა აქაურმა მკვიდრმა ისიც კი მითხრა, კვარტალში მომუშავე ბევრი გენეტიკური ქალი ტრანსგენდერობას იბრალებს, რადგან მათზე გაცილებით მაღალი მოთხოვნააო!

აქ, ძირითადად, ლათინური ამერიკიდან და შორეული აღმოსავლეთიდან ჩამოსულები მუშაობენ. მსოფლიოს ამ რეგიონებში სქესშეცვლილი ადამიანებისადმი ტოლერანტობის ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვაგან: ბრაზილიური სან პაულუ და ბანგკოკი მათ არაოფიციალურ დედაქალაქებად ითვლება, ტაილანდში კი უკვე კარგა ხანია სახელმწიფოებრივ დონეზე მსჯელობენ ე. წ. „მესამე სქესის“ დაკანონების თაობაზე.

და მაინც, გარეგნული სიკაშკაშე მორვენებითია. აკრძალული ხილის ეფექტთან შეხების ჟრუანტელი და „ცოდვის რომანტიკა“ მალევე გაქარწყლდება, როცა გაიგებთ, რომ აქაურ სექსმუშაკებს კამერის ქირაობა დღეში 400 ევრომდე უჯდებათ და, შესაბამისად, 8-საათიანი „ცვლის“ 75%-ს ამ დანახარჯის ამოღებას ანდომებენ. ამას დავუმატოთ სეანსის ხანგრძლივობა (15-20 წთ), წითელი ფარდის იქით თავიანთი რიგის მომლოდინე ნერვიული სუბიექტები და ნათლად დარწმუნდებით, რომ ასეთ ვითარებაში რაიმე სიამოვნების მიღებაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელია!

ამსტერდამული „კვარტალი“, უბრალოდ, ადგილობრივი ტურისტული ღირსშესანიშნაობაა. აქ ვიზიტი კი ისეთივე „აუცილებლობად“ იქცა, როგორც პარიზული ვოიაჟის დროს ეიფელის კოშკიდან გადმოხედვა ან რომში ჩასულთათვის კოლიზეუმისა და ვატიკანის მონახულება...

დაკანონებული „გადაცდომები“

თეა სხიერელი

უცხოელების უმრავლესობისათვის ნიდერლანდები, ზოგადად, ღიგერალური, დაკანონებული „გადაცდომების“ სიმბოლოდ მოიაზრება, ამსტერდამი კი - ამ მხრივ, მიზიდულობის მთავარ ცენტრად. ამსტერდამის ოთხიდან ერთი სტუმარი უთუოდ ისახავს მიზნად კოფიშოპში დროის გატარებას (მთავარი ტურისტული ბიურის მონაცემებით კი, მხოლოდ 2016 წელს ამსტერდამმა 17 მლნ ტურისტს უმასპინძლა).

ამსტერდამის უძველესმა კოფიშოპმა Mellow Yellow-მ 2016 წლის 31 დეკემბერს გახსნიდან 50 წლის შემდეგ ბოლოჯერ ჩამოუშვა თავისი ხასხასა ყვითელი უალუზი. ახალი საკანონმდებლო ცვლილებით, კოფიშოპები ახლოომდებარე სკოლის შენობიდან სულ ცოტა, 250 მეტრით მაინც უნდა იყოს დაცილებული. კოფიშოპების დახურვის პროცესმა (1995 წლიდან მოყოლებული, მათი რაოდენობა ჰოლანდიის დედაქალაქში 350-იდან 167-მდე შემცირდა) ერთნაირად შეაშფოთა ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები, კანონდამცველებიცა და მოსაწევის მოყვარულებიც, რადგან აშკარად გაჩნდა ნარკოტიკის ისევ ქუჩაში გადანაცვლების საფრთხე.
კოფიშოპების უმეტესობისათვის საქმიანობის შეწყვეტის მიზეზი, ერთი მხრივ, კანონდარღვევის გახშირებული შემთხვევები გახდა (ბოლო დროს ბევრგან სროლაც კი ატყდა), მეორე მხრივ კი – ფინანსური და კანონმდებლობის ბუნდოვანებასთან დაკავშირებული სირთულეები.

ნიდერლანდების კანონმდებლობაში საინტერესო პარადოქსს აღმოაჩენთ: მართალია, მსუბუქი ნარკოტიკების გაყიდვა არ იკრძალება, მაგრამ წარმოება სრულიად კანონგარეშედაა გამოცხადებული. ნებადართულია მხოლოდ კულტივაცია 5 გრამის ფარგლებში პირადი მოხმარებისათვის. მაგრამ გამყიდველს შეუძლია იქონიოს 500 გრამამდე საქონელი.

გაუგებარია, რეალიზაციისთვის პროდუქტს ის საიდან იღებს? პასუხი მარტივი და ცხადია: კოფიშოპები არალეგალურ მომწოდებელთან თანამშრომლობენ. ეს უკანასკნელი კი რისკავს და დანაშაულს ჩადის. მათი ამოცანაა, „ტვირთი“ გამყიდველამდე უსაფრთხოდ მიიტანოს, კოფიშოპის დახლზე კი პროდუქტი ლეგალური ხდება. თუ მწარმოებელს

1970 წელს როტერდამის პარკში KRALINGSE BOS როკმუსიკის ფესტივალს 90 000 ადამიანი ესწრებოდა. მთავრობამ პირველად გადაწყვიტა, ფესტივალზე მარიხუანის თავისუფლად მოწევა არ შეეზღუდა. KRALINGEN MUSIC FESTIVAL თანამედროვე ჰოლანდიური ნარკოპოლიტიკის დაბადების სიმბოლურ ადგილად მიიჩნევა.

„გზად“ დააკავებენ, მას ოთხწლიანი პატიმრობა ემუქრება. ამსტერდამში უკვე თავს იკავებენ ლიცენზიების გაცემისაგან ახალი კოფიშოპების გასახსნელად, თუმცა არსებული ლიცენზიების სხვაზე მიყიდვის შემთხვევები საკმაოდ ხშირია. რაც შეეხება ჰოლანდიის სხვა ქალაქებს, იქ ახალი ლიცენზიების გაცემა ადგილობრივ ხელისუფალთა შეხედულებისამებრ ხდება. მაგალითად, მაასტრიხტში აკრძალულია მარიხუანის უცხოელებზე მიყიდვა. ეს აკრძალვა იმისთვის შემოიღეს, რომ ახლომდებარე აახენის მაცხოვრებლებს იოლად არ გადაეტანათ კანაფი გერმანიაში.

ჰოლანდიაში შემწყნარებლობის პოლიტიკას ხანგძლივი ისტორია აქვს. ინგლისიდან , ესპანეთიდან, პორტუგალიიდან სარწმუნოებრივ დევნას გამოქცეული უამრავი პილიგრიმი ჯერ სწორედ ნიდერლანდებში ჰოულობდა თავშესაფარს, ვიდრე შემდეგ, მე-17 საუკუნის გარიჟრაჟზე ამერიკის კონტინენტს მიაშურებდა.

15 %-ზე დაბალი ალკოჰოლური შემცველობის სასმლის დალევა 16 წელს ზემოთ ახალგაზრდებისთვის ნებადართულია, უფრო მაღალალკოჰოლური სასმელისა – 18 წელს ზემოთ. დემოკრატიულ ნიდერლანდების სამეფოში სპირტიან სასმელებთან მიმართებით კანონი საკმაოდ მკაცრია. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა აკრძალულია.

საუკუნეთა მანძილზე ჰოლანდიელებმა ნაბიჯ-ნაბიჯ ჩამოაყალიბეს უაღრესად დემოკრატიული კულტურა, რაც, თავის მხრივ, ბევრი საზოგადო პრობლემისადმი სწორედაც რომ ლიბერალურ მიდგომას გულისხმობს. ძლიერი ნარკოტიკების მომხმარებელთა კანონით დევნას ჰოლანდიელები ნარკოდამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლას ამჯობინენენ. რებილიტაციის პროგრამაზე წელიწადში 130 მლნ ევრო იხარჯება – მთავრობა ნარკოდამოკიდებულთა 90 პროცენტს მკურნალობს. ჰოლანდიაში ნარკოტიკებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველაზე მცირეა ევროპის მასშტაბით.

ნიდერლანდების ნარკოპოლიტიკა (ე. წ. შემწყნარებლური პოლიტიკა – gedoogbeleid) ორ მთავარ პრინციპს ეფუძნება: ნარკომოხმარება ჯანდაცვის სფეროს განეკუთვნება და დანაშაულად არ მიიჩნევა; ნარკოტიკებთან დაკავშირებული ძირითადი კანონით „ოპიუმის აქტი“ მკაცრი ზღვარია გავლებული მსუბუქ (მარიხუანა, ჰაშიში) და ძლიერ ნარკოტიკებს შორის და უმკაცრეს კონტროლს ექვემდებარება ძლიერი ნარკოტიკები.

ოპიუმის აქტი პირველად 1919 წელს მიიღეს, მას შემდეგ, რაც 1912 წელს ჰოლანდიაც შეუერთდა ჰაგის ოპიუმის საერთაშორისო კონვენციას. შემდეგი აქტი კი უკვე 1928 წელს შევიდა ძალაში და სწორედ მისი ძირითადი დებულებები დაედო საფუძვლად ქვეყნის ამუამად მოქმედ ნარკოპოლიტიკას.

XX საუკუნის დასაწყისში ნიდერლანდები მსოფლიოში კოკაინის უმსხვილეს მწარმოებლად ითვლებოდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ ქვეყანაში უკვე მარიხუანას მოხმარებაც კი აიკრძალა, ხოლო 1953 წელს „ოპიუმის აქტში“ შეტანილმა ცვლილებამ კანაფიც უკანონო ნივთიერებათა ჩამონათვალში მოაქცია. მარიხუანას მოხმარება მკაცრად ისჯებოდა, მაგრამ 1966 წლის სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლებისას პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებამ საზოგადოების ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ მთავრობა იძულებული გახდა ნარკოპოლიტიკა რადიკალურად შეცვალა.

ჰოლანდიის ხელისუფლებამ საგანგებო კომისიაც კი შექმნა , ე. წ. „რისკის სკალის“ საფუძველზე, რომელიც სამედიცინო, ფარმაკოლოგიურ, სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მონაცემებს ემყარებოდა, მკვეთრად გაიმიჯნა ერთმანეთისაგან მძიმე და მსუბუქი ნარკოტიკები (მსუბუქ ნარკოტიკთა ჩამონათვალში შედის კანაფის თესლისაგან დამზადებული საშუალებები, ხაშხაში, მარიხუანა და, აგრეთვე, სხვადასხვა საძილე თუ დასამშვიდებელი საშუალებები). დიდწილად, სწორედ ამ კომისიის რეკომენდაციებმა განსაზღვრა ის ნარკოპოლიტიკა, რომელიც საბოლოოდ 1976 წლის „ოპიუმის აქტში“ აისახა.

ლიბერალური ნარკოპოლიტიკით შესაძლებელი გახდა, ნარკომოხმარება ჩრდილიდან გამოსულიყო, განსაზღვრულ სივრცეში მსუბუქი ნარკოტიკების რეგულირებადი გაყიდვისადმი შემწყნარებლობამ და ძლიერი ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის უმკაცრესმა სასჯელმა მკვეთრად გამიჯნა ერთმანეთისაგან მომხმარებლის ორი, სხვადასხვა ბაზარი.

კანაფის მომხმარებელს უკვე აღარ სჭირდებოდა ნარკოტიკის შეძენა კანონდამრღვევი მოვაჭრისაგან, რომელსაც მერე და მერე შესაძლოა ის უკვე ძლიერ ნარკოტიკზეც „შეესვა“.

რა არის კანონით ნებადართული

ნიდერლანდებში ყველა სახის ნარკოტიკი აკრძალულია და უმკაცრეს კანონდარღვევად ითვლება მათი წარმოება, შენახვა, გაყიდვა, ქვეყანაში მისი შემოტანა თუ გატანა. ქვეყანაში არანაირი ნარკოტიკი არ ითვლება სამკურნალო საშუალებად, თვით მარიხუანაც კი, თუმცა 1976 წელს ჰოლანდიის პარლამენტმა მოახდინა კანაფის 5 გრამზე ნაკლების შენახვის დეკრიმინალიზაცია. სწორედ ამან განაპირობა ისეთი მიდგომების გაჩენა, როგორიც სხვაგან არსად გვხვდება: მთელი ქვეყნის მასშტაბით გახსნილ ასობით კოფიშოპში (რაც არ უნდა აგვერიოს ჩვეულებრივ კაფეში, სადაც ადამიანი მხოლოდ ყავის დასალევად შედის) შესაძლებელია კანაფისაგან წარმოებული სხვადასხვა

ყავა და არა „ყავა“
როცა ამსტერდამელი გითანხმდებათ, რომ ყავის COFFEE დასალევად კაფეში შეგხვდებათ, ის ჩვეულებრივ კაფეს გულისხმობს. თუ ამას უცხოელი აკეთებს, მარიხუანის მოსაწევი ადგილი COFFEESHOP აქვს მხედველობაში.

საშუალების მოწევა.

კოფიშოპების საქმიანობა ოპიუმის აქტით რეგულირდება. კოფიშოპში კანაფის თესლით წარმოებული მსუბუქი ნარკოტიკი იყიდება, მაგრამ ალკოჰოლური სასმლის მოხმარება აკრძალულია. აქ ერთ ადამიანზე დღეში მხოლოდ 5 გრამი კანაფის მოხმარებაა ნებადართული, ხოლო ნარკოტიკის ნებისმიერი ფორმით რეკლამირება მკაცრად ისჯება.

18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს არც ნარკოტიკის შეძენა შეუძლიათ და კოფიშოპებში შესვლაც ეკრძალებათ. 18 და მეტი ასაკის ადამიანებს აქვთ უფლება, შინაც მოწიონ კანაფი. მსუბუქი ნარკოტიკის მოწევა ღია ცის ქვეშ, საჯარო სივრცეში, მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნებადართული, თუკი ამით სხვა არავინ წუხდება.

კოფიშოპების მეპატრონეთა პასუხისმგებლობა გულისხმობს მომხმარებელთათვის მსუბუქი ნარკოტიკის ხარისხზე სრული ინფორმაციის მიწოდებას და ამაზე მკაცრი კონტროლია დაწესებული.

ნარკოეკონომიკა

ნარკოინდუსტრიას ჰოლანდიის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს- ყოველწლიურად ბიუჯეტი **2,5 მილიარდ €-ს** იღებს, ეს მთლიანი შიდა პროდუქტის **0,4 %-ია.** ჰოლანდიის სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, მსუბუქი ნარკოტიკების დარგი ყველაზე სწრაფად მზარდ სფეროებს შორისაა. ხელისუფლების შემწყნარებლურმა პოლიტიკამ მის წარმატებულ განვითარებასა და ტურისტების მოზიდვას შეუწყო ხელი.

სასჯელი ნარკოტიკის კონტრაბანდისათვის ნარკოტიკის გაყიდვა, ქვეყანაში შემოტანა ან მისი ქვეყნიდან გატანა კანონით ისჯება. ნიდერლანდებში ნარკოტიკის კონტრაბანდისათვის გათვალისწინებულია მაქსიმალური, 12-წლიანი პატიმრობა და ასევე მაქსიმალური ფულადი ჯარიმა 45 000 ევროს ოდენობით.

ამჟამად ნიდერლანდებში დაახლოებით 700 კოფიშოპია. ბოლო შვიდ წელიწადში მათი რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, რადგან ნარკოგამყიდველთა მიმართ კანონის მოთხოვნები გამკაცრდა. მიუხედავად ამისა, ჰოლანდიაში მსუბუქი ნარკოტიკების რეალიზაციის სფეროში 5000 ადამიანი ლეგალურადაა დასაქმებული.

2012 წელს შემუშავდა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც არარეზიდენტ მოქალაქეებს ნარკოტიკების გაყიდვა ეკრძალებოდათ, თუმცა პრაგმატული მოსაზრებების გამო კანონი ძალაში არ შესულა, რადგან კოფიშოპების შემოსავლების 30 პროცენტი უცხოელებზე მოდის.

ამსტერდამი ლაღი, მხიარული, თავისუფალი ქალაქია, მაგრამ ნებისმიერი სხვა ქალაქის მსგავსად აქაც უაღრესად მნიშვნელოვანია ქუჩებში მეტი ყურადღების გამოჩენა: ქუჩის ნარკომოვაჭრეებისაგან თავის არიდება და მათგან რაიმეს ყიდვაზე უარის თქმა. ისეთი ადგილები ამსტერდამის ცენტრში, როგორიცაა LEIDSEPLEIN, REMBRANDTPLEIN/ THORBECKEPLEIN, RED LIGHT DISTRICT, NIEUWMARKT და THE HAARLEMMERSTRAAT, უამრავ ტურისტს იზიდავს, განსაკუთრებით ღამის საათებში და, შესაბამისად, ისინიც ხშირად ხდებიან ქუჩის მოვაჭრეთა სამიზნე.

HASHMUSEUM

აქ შეიტყობთ კანაფის გამოყენების ისტორიის შესახებ, რომელიც ათასწლეულებს ითვლის – როგორ მოიხმარებოდა კანაფი სოფლის მეურნეობაში, მსუბუქ მრეწველობაში, მედიცინაში, ნაოსნობაში და ა. შ. მუზეუმის კოლექცია 6 ათასზე მეტ ექსპონატს ითვლის. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ექსპოზიცია ეთმობა კანაფის სამედიცინო მიზნებით გამოყენების ისტორიას. ყოველწლიურად ამსტერდამის კანაფის მუზეუმს 2 მლნ დამთვალიერებელი სტუმრობს.

ბილეთის ფასი: 9€, 13 წლამდე ბავშვებისთვის უფასოა. **ღიაა:** ყოველდღე – 10.00-22.00

Oudezijds Achterburgwal 148; www.hashmuseum.com

რატომ უნდა ვჭამოთ ყვავილები

სალომე დადუნაშვილი

რესტორან „კასში“ (De Kas) დარწმუნებულები არიან, რომ **საკვები** მხოლოდ მაშინაა გემრიელი, როცა **ინგრედიენტების** ძირითადი ნაწილი **თეფშზე**, პრაქტიკულად, პირდაპირ **ბოსტნიდან** ხვდება, ამიტომაც რესტორნის სივრცეს გარს ნამდვილი **სათბურები** და ბაღი აკრავს, სადაც **ჰოლანდიური** მოწესრიგებულობით **ჩამწკრივებულა** რიგებში **სტაფილო** და სალათები, ყაბაყი და **გოგრები**.

ყოფილი ძველისძველი სათბურის ჭერი გეგონება ცას სწვდება. გამჭვირვალე კედლებს მიღმა სიმწვანე თვალს ჭრის და არ აქვს მნიშვნელობა, გაბმულად წვიმს თუ მზე ანათებს: აქ შუშის კედლების სიმსუბუქე, გახსნილი სივრცე მარტივი მაგიდებით პლენერის შთაბეჭდილებას მაინც ქმნის.

კონცეპტი, რომელიც „კასში“ რელიგიად აქციეს, დღეს ყველაზე პოპულარულია მსოფლიოში. გურმანთა უმრავლესობა არ ცნობს სამზარეულოს უმაღლესი ხარისხის სეზონური პროდუქტების გარეშე, „კასში“ კი ამის კეთება ჯერ კიდევ უხსოვარ დროს დაიწყეს.

იდეისულისჩამდგმელმაგერტიანჰაგემანმაგადაწყვიტა,რომ მხოლოდ საკუთარ ბოსტანში მოყვანილი პროდუქტებისგან მომზადებული კერძებით გამასპინძლებოდა სტუმრებს. ასე რომ, „კასი“ უდავოდ პიონერია ამ საქმეში და ამიტომაც „მწვანე“ კონცეპტი საოცარ სიმაღლეებამდეა აყვანილი.

გერტ იან ჰაგემანი

2001 წელს პოპულარულმა შეფმა, რომელმაც მიშლენის ვარკვლავი მოიპოვა ჰოლანდიური „მაღალი სამზარეულოს“ განვითარებისთვის, ახალი კონცეპტი შექმნა. გერტ იან ჰაგემანმა აღმოაჩინა ძველი სათბური, რომელიც ამსტერდამის მუნიციპალიტეტს ეკუთვნოდა და 1926 წელს გაშენებულ ბაღში მდებარეობდა. სათბურს დანგრევა ემუქრებოდა. ჰაგემანმა ნახევრად დაშლილი სათბური შეიძინა. მას შემდეგ Frankendael Park-ი ცნობილი გახდა, როგორც ადგილი, სადაც რესტორანი „კასი“ მდებარეობს. რესტორნის პოპულარობაზე ისიც მიუთითებს, რომ ყოველ წელს მას, არც თუ დიდი სივრცის მიუხედავად (შიდა სივრცე 100-140 ადამიანს იტევს), 50 000 ადამიანი სტუმრობს.

იოს ტიმერი და ვიმ დუ ბეერი

დღეს რესტორნის სამზარეულოს ორი ახალგაზრდა და ძალიან პოპულარული შეფი ხელმძღვანელობს – იოს ტიმერი და ვიმ დე ბეერი. ისინი საოცრად ჰარმონიულად თანაარსებობენ და ერთად აკეთებენ ახალ აღმოჩენებს. როცა მაგიდა და ტური წინასწარაა შეკვეთილი და შეფებს ამისთვის სცალიათ, ისინი ვახშმის შემდეგ სიამოვნებით უძღვებიან პატარა ექსკურსიებს „კასის“ სათბურებსა და ბაღში.

არასოდეს მინახავს, ადამიანი ასეთი სიყვარულით საუბრობდეს სტაფილოს შესახებ, სხვადასხვა ფერის მწვანილის რიგების დანახვისას კი თვალები უნათდებოდეს.

ჩვენი გასეირნება ძალიან წვიმიან დღეს დაემთხვა. მიუხედავად ამისა, ვიმ დე ბეერი მედგრად მიაბიჯებდა ყვავილებისა და ბოსტნეულის რიგებს შორის და საოცრად სკრუპულოზურად აღწერდა ამ პატარა ბაღის მუშაობის პრინციპებს.

არის რამე პროდუქტი, რომელსაც არასოდეს გამოიყენებთ თქვენს სამზარეულში?

კი, რა თქმა უნდა. მაგალითად, ანანასს. იმიტომ, რომ მისი აქ გაზრდა სრულიად შეუძლებელია. ჩვენი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი პროდუქტებით ვისარგებლოთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს კლიმატურ პირობებში უკვე ჰოლანდიისთვის საკმაოდ უჩვეულო პროდუქტებს ვახარებთ, ანანასი ნამდვილად ვერ მოხვდება მათ რიცხვში. სამაგიეროდ, ადრე ჩვენი სამზარეულოსთვის უცხო სუნელები და მწვანილი მშვენივრად გრძობენ თავს ჩვენს ბაღში, მაგალითად, ბაზილიკი ან პომიდვრის გარკვეული ჯიშები.

ყვავილ კერძი ყვავილებითაა მორთული. ყვავილები, ცხადია, იჭმება. მათ გამრავლებაზე სპეციალურად ზრუნავს „კასის“ ფლორისტ-კულინარი. სილამაზე და განუმეორებელი გემო პროდუქტის საოცარ ხარისხსა და კერძის სიჯანსაღეს ერწყმის.

თავს ცოტა შეზღუდულად ხომ არ გრძნობთ, როცა ძირითადი აქცენტის გაკეთება ბოსტნეულზე გიწევთ, თანაც ბევრი პროდუქტი თქვენს სამზარეულოში, უბრალოდ, ვერ მოხვდება?

თავს შეზღუდულად საერთოდ არ ვგრძნობთ. გარდა ამისა, ვერც კი წარმოიდგენთ, როგორც ვითარდება ფანტაზია, როცა გარკვეული პროდუქტების ნაკრები გაქვს და ამით უნდა მიაღწიო სულ ახალ და ახალ შედეგებს.

ჩვენ სიამოვნებით ვიყენებთ ხორცს და, განსაკუთრებით, თევზს. ჩვენს მენიუშიც შეხვდებით სტეიკსაც და ზღვის პროდუქტებსაც. ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ რადგან ასე ველოლიავებით ბოსტნეულს, ხორცზე უარს ვამბობთ. ეს ასე არ არის. ამ პროდუქტებს ვიყენებთ, უბრალოდ, მცირე რაოდენობით. სამაგიეროდ, ის პროდუქტი, რომელსაც კლიენტებს ვთავაზობთ, პრემიუმკლასისაა.

ეს თქვენი კონცეფციის ნაწილია ანუ შეგნებული არჩევანია, რომ მენიუს 80 პროცენტი ბოსტნეულისგან შედგება?

დიახ, ასეა. ჩვენი კონცეფცია საკვებისადმი გონიერ, მე ვიტყოდი, სინდისიერ მიდგომას ითვალისწინებს. შეუძლებელია ასე გაგრძელდეს. კაცობრიობას, უბრალოდ, არ ეყოფა რესურსი იმისთვის, რომ ყველა ერთნაირად იკვებოს. ჩვენი პლანეტის მოსახლეობის უმეტესობა დღეს ნახევრად მშიერია, ამიტომ ამდენი ხორცის მოხმარება არა მხოლოდ მავნეა ჩვენი ჯანმრთელობისთვის, არამედ, უბრალოდ, არ არის სწორი. რეალობას უნდა ჩავხედოთ თვალებში. პლანეტის რესურსი უსაზღვრო არ არის. თუ დროზე არ გადავერთეთ კვების ახალ სისტემაზე, კრიზისი გარდაუვალი იქნება. „კასი“ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რესტორანია ამსტერდამში. ასე რომ, აქ მოსახვედრად აუცილებლად უნდა დაჯავშნოთ ადგილი. არჩევანი ლანჩსა და ვახშამს შორის გაქვთ. ლანჩის დროს შეგიძლიათ შეფის მიერ შემოთავაზებულ მენიუზე დათანხმდეთ, ან თავად ამოირჩიოთ კერძები „ა ლა კარტ“ მენიუდან.

ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ რადგან ასე ველოლიავებით ბოსტნეულს, ხორცზე უარს ვამბობთ. ეს ასე არ არის. ამ პროდუქტებს ვიყენებთ, უბრალოდ, მცირე რაოდენობით.

ჩვენ შეფის მენიუს გირჩევთ, მიუხედავად იმისა, რომ „კასის“ ოფიციანტთა განსწავლულობა და ტაქტი უდავოდ სამაგალითოა. შეფის მენიუში რესტორნის კონცეპტი მთელი თავისი ბრწყინვალებით წარდგება თქვენ წინაშე.

ლანჩი სტარტერით, სალათით, წვნიანით, ძირითადი კერძითა და დესერტით, პრაქტიკულად, არც შანსს დაგიტოვებთ, რომ ეს რესტორანი არ მოგეწონოთ და არც კითხვებს. პასუხს სადღაც პირველსა და მეორე კერძს შორის, სალათის ფურცლებსა და თევზს შორის, ულამაზესი ყვავილებით მორთულ თეფშზე აღმოაჩენთ. როცა საქმე მწვანე გასპაჩომდე მიდგება, თქვენი კაპიტულაცია გარდაუვალი იქნება.

ეს აღგათ ერთადერთი რესტორანია, რომლიდან გამოსვლის შემდეგაც თავს არა მხოლოდ სასიამოვნოდ დანაყრებულად გრძნობთ, არამედ საოცარი სიმსუბუქე და სიამაყეც კი გიპყრობთ, რომ საკუთარ სხეულს ესოდენ ჯანსაღი საკვები მესთავაზეთ.

ზაფხულში რესტორანს სივრცეების დიდი არჩევანი აქვს. თუ კარგი ამინდია, შეგიძლიათ შესანიშნავ ბაღში მოკალათდეთ.

თუ ოჯახური ან საქმიანი შეხვედრა გაქვთ, ბართან განლაგებული გრძელი მაგიდა, რომელიც 12-16 ადამიანს იტევს, თქვენთვისაა განკუთვნილი.

რესტორანში არის სივრცეც, სადაც საქმიანი ვახშამი შეგიძლიათ გამართოთ(6-12 ადამიანი).

თუ გიყვართ, როცა შეფის საქმიანობას აკვირდებით, მაშინ შეფის მაგიდა უნდა დაჯავშნოთ, საიდანაც ყველაზე უკეთ დაინახავთ სამზარეულოში მიმდინარე ჯადოქრობას. მაგიდა 2-4 ადამიანზეა გათვლილი და ამ პაკეტში შეფის სპეციალური მენიუ და ღვინის არჩევანი შედის.





რესტორანს, აგრეთვე, აქვს ცალკე სივრცე მიღებების გასამართად, სადაც 20-იდან 68-მდე სტუმარს გაუმასპინძლდებიან.

რესტორანი მუშაობს ლანჩისთვის – ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 12.00-იდან 14.00 საათამდე; ვახშმისთვის – ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 18.30-იდან 22.00 საათამდე; კვირას დაკეტილია.

Kamerlingh Onneslaan 3; 1097 DE Amsterdam
Tel. +31204624562; e-mail: info@restaurantdekas.nl

ჰოლანდიური ყველის გურმანული ვაღიტრა

ყველი და ყვავილები ნიდერლანდების ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია, თუმცა ყველის წარმოების ისტორიას იულიუს კეისრის ეპოქამდე მივყავართ. ჰოლანდიელები ამ საქმის თავისებურებებს ძველ რომაელებს კი დაესესხნენ, მაგრამ იშვიათი გამომგონებლობა გამოავლინეს და „მასწავლებლებს“ აჯობეს – ისინი არჩევდნენ რეცეპტებს, დაძველების დროს, დანამატებს, გემოს გაუმჯობესების მეთოდებს.

შუასაუკუნეებში ნაოსნობის განვითარებამ ყველის საჭიროება გაზარდა. კალორიული საკვები დიდხანს ინარჩუნებდა საგემოვნო თვისებებს.

XVII საუკუნეში გამალებული ვაჭრობა გაჩაღდა ევროპის ქვეყნებს შორის და ჰოლანდიელები, რომლებიც მანამდე მხოლოდ კოლონიებიდან შემოტანილ სუნელებს ყიდდდნენ, ბაზარზე ახალი გემრიელი პროდუქტით – ყველით წარმოჩინდნენ.

მალე ყველი ქვეყნის იმ უმთავრეს ნაწარმად იქცა, რომლითაც ჰოლანდია ევროპასა და მსოფლიოს დღემდე ამარაგებს; ყველის ნაწარმის მრავალრიცხოვანი სახეობების წლიური ბრუნვა 70 მილიარდ ევროს შეადგენს.

1 ჰოლანდიელი წელიწადში საშუალოდ 3,175 კგ ყველს მიირთმევს

GOUDA

ახალ, ჭყინტ „გაუდას“ კრემის მსგავსი, ნაზი გემო აქვს, მაგრამ მას 10 თვემდე აძველებენ და ყველი თანდათანობით კრეფს დახვეწილ არომატებსა და გემობრივ ელფერს, რის გამოც მას მთელ მსოფლიოში აფასებენ.

გასაყიდად გამზადებული 4,5 კგ-იანი ყველის თავები ცილინდრის ფორმისაა, რაც დაძველებისათვის საუკეთესო წონადაა მიჩნეული.

OLD AMSTERDAM

ყველის ნაწარმის მეფედ მიჩნეული ეს სახეობა „გაუდას“ ოჯახიდანაა. მას თავისი ისტორია და საიდუმლო რეცეპტი აქვს, რომელსაც თაობიდან თაობას გადასცემს ყველის მწარმოებელთა ცნობილი ოჯახი – ვესტლანდები (Westland).

ჰოლანდიურ ყველებს შორის „ძველი ამსტერდამი“ ყველაზე ტიტულოვანია. ამ ყველის დასამზადებლად მხოლოდ ახალმოწველილი რძე გამოიყენება, ამოყვანილი თავები თაროებზე 18 თვის განმავლობაში ძველდება.

მთავარი საიდუმლო კი ყველის შესადედებელი კვეთის შემადგენლობაში იმალება. მარცვლოვანი ბურთულებისგან შეკრული თავები ცვილის გარსითაა დაფარული. ყველს მყარი, ღრმა და, ამავდროულად, რბილი გემო აქვს, რომელიც კარამელისა და თხილეულის ნოტებითაა გაჯერებული. ხშირად ამ სახეობის ყველს დაჭრილ ხილთან, ლეღვსა თუ ფსტასთან ერთად მოგართმევენ.

EDAMMER

ედამერში დამზადებული ნაწარმი თავის ფრანგ და იტალიელ „თანამოძმეებს“ ტოლს არ უდებდა. ის ძროხის რძისაგან მზადდება.

„ედამერის“ ყოველი სახეობისთვის შესაბამისი ცხიმიანობის პროდუქტია საჭირო. სიმაგრის მისაღწევად ყველი, სულ ცოტა, ორ თვეს ხის თაროებზე აწყვია. საბოლოოდ, თავები არათანაბარი ზედაპირის მქონე სფეროს ფორმას იღებს.

MAASDAM

ბაქტერიების მოძრაობა, რომელსაც აფუების პროცესში გაზების გამოყოფა განაპირობებს, დიდ ბუშტებს წარმოქმნის. მათ „თვლებს“ უწოდებენ. ამიტომაც დიდი, მრგვალი ნასვრეტები „მაასდამის“ სავიზიტო ბარათად იქცა. ყველის მწარმოებელთა კრიტერიუმებისა და დაძველების დროის მიხედვით, ახალი „მაასდამი“ იმპორტიორ ქვეყნებში უფრო მეტად გავრცელებულია.

BOERENKAAS

ეს არაპასტერიზებული, აუდუღარი რძისგან დამზადებული ყველია, რომელში გამოყენებული რძის ნახევარი მაინც მწარმოებლის საკუთარ, შინაურ ფერმაში უნდა იყოს მოწველილი. „ბურენკაასი“ გემოთი პოპულარულ „გაუდას“ ჰგავს, თუმცა დაუმშვებელი რძის გამო ბალახის გემო დაკრავს. ამ ყველის თავები დაპრესილია და წრის ფორმა აქვთ.

LEIDSE

სანელებლების მოყვარულები უპირატესობას ანიჭებენ ყველის იმ ნაწარმს, რომელიც ქალაქ ლეიდენის შემოგარენში მზადდება. ნახევრად მაგარი ყველი ცხიმგაცლილი, სპარირებული რძისგან ამოყავთ და მიხაკსა და კვლიავს უმატებენ. ამიტომაც უწოდეს მას komijnekaas (კვლიავიანი).

OLD DUTCH MASTER

ამ ყველის სახელს სხვადასხვა ენაზე უბრალოდ თარგმნიან: „ბებერი ჰოლანდიელი“. ყველაზე პრეტენზიული გურმანები ამ სახეობას უმაღლესი ხარისხის ნაწარმად მიიჩნევენ. ის ერთ წელიწადზე მეტხანს ძველდება. გამოკვეთილი გემოს სანელებლებისა და ნაღების არომატის გამო „ბებერი ჰოლანდიელი“ ყველებს შორის ერთ-ერთ საუკეთესოდაა აღიარებული.

BEEMSTER

მართალია, ამ ყველს ჰოლანდიის ფარგლებს გარეთ ნაკლებად იცნობენ, მაგრამ ადგილობრივები სათანადოდ აფასებენ. მას დაუმუშავებელი რძისაგან ამზადებენ, ამიტომაც ყველს მდელოს ბალახეულის გემო აქვს. „ბეემსტერი“ ქვეყნის ჩრდილოეთში დაიბადა, სადაც ზღვის სიახლოვისა და ლურჯთიხიანი ნიადაგის შემადგენლობის წყალობით, ბუნებას საუკეთესო საძოვრები შეუქმნია. აქაური რძე და ყველი მოტკბო გემოსია, თანაც უფრო რბილია, ვიდრე სხვა რეგიონის ნაწარმი.

SMOKED CHEESE

დამზადების შემდეგ „გაუდას“ ყველს ადნობენ, ბოლავენ და ძეხვის ფორმას აძლევენ. ხშირად ის დაჭრილი იყიდება.

FRISIAN CLOVE CHEESE

ფრიზული ყველი მიხაკით - ცხიმგაცლილი რძე, კვლიავი და მიხაკი ამ მაგარ სახეობას მკვეთრ, მშრალ და მწკლარტე გემოს აძლევს.

თხის რძის ნაწარმი

თხის ყველი ჰოლანდიაში ნაკლებად პოპულარულია, ვიდრე ძროხის, თუმცა მას დამფასებლები მრავლად ჰყავს სპეციფიკური სუნისა და გემოს გამო. თხის ყველი შეიძლება იყოს ჭყინტი, ნახევრად მაგარი და დაძველებული (ეს სახეობა „გაუდას“ ჰგავს). ნახევრად მაგარი თხის ყველი მკრთალი ფერისაა, მკვეთრად გამოხატული გემო და კრემისებური ტექსტურა აქვს.

ჰოლანდიური თხის ყველი სიახლეებსა და დანამატებს არ ცნობს – მის შემადგენლობაშია მხოლოდ რძე, მარილი და სანელებლები. ჭყინტისა და დაძველებულის გარდა, კიდევ ორ სახეობას ამზადებენ: ექსტრადაძველებულსა და VSOP-ს (ორ წელზე მეტი დაძველების). ეს უკანასკნელი გემოთი პიკანტურ პარმეზანს ჰგავს.

თხის ყველის სხვადასხვა სახეობებს უმატებენ იტალიურ ბალახეულს, ჭინჭარს, თაფლს, ზეთისხილს, პომიდვრის ჩირს, ნიახურსა და ულუმბოს. ეს ბოლო ორი ინგრედიენტი ყველს პურეულისა და სოკოს გემოს აძლევს, რის გამოც მას გურმანები დიდად აფასებენ.

GOLDEN AGE CHEESE STORE

ამსტერდამის ცენტრში დელიკატესი ყველის სახეობების გასინჯვა და სასაჩუქრედ ყიდვა თუ გსურთ, აუცილებლად ესტუმრეთ სპეციალიზებულ მაღაზიას სამ სხვადასხვა მისამართზე (Singel 490; Damrak 62; Damstraat 17-19).

www.goldenagecheesestore.com

ყველის ბაზრები

ჰოლანდიაში მოგზაურობა უფერული იქნება, თუ ყველის სადეგუსტაციო ადგილებსა და ბაზრობებს არ ესტუმრებით. სამ მშვენიერ ქალაქში – ალკმაარში, გაუდასა და ედამერში შეგიძლიათ შუასაუკუნეების ყველის ბაზრის ატმოსფერო შეიგრძნოთ.

1593 წლიდან მოყოლებული, ამსტერდამიდან 55 კმ-ის დაშორებით, ალკმაარში, აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით, ყოველ პარასკევს დილის 10 საათიდან ყველაზე ცნობილი ბაზრობა იმართება. ტრადიციულად, მყიდველი ირჩევს რომელიმე სახეობას, თავის ფასს ასახელებს და გამყიდველს ხელს უწვდის, ეს უკანასკნელი საკუთარ ფასს სთავაზობს, მყიდველს ხელზე ხელს დაჰკრავს და პასუხის

მოლოდინში, ჰაერში აჩერებს. ეს მანამ გრძელდება, სანამ ფასზე არ შეთანხმდებიან. შემდეგ ასპარეზზე ყველის მტვირთავი გამოდის, რომელსაც საპატიო მისია ეკისრება – ყველის დიდი თავი ბაზრობის მოედნიდან იმ სასწორზე ასაწონად წაიღოს, რომელიც ალკმაარის ყველის მუზეუმის პირველ სართულზეა განთავსებული.

KAASMUSEUM

ამ შენობაში ოდესღაც სამლოცველო ყოფილა, ახლა კი აქ საწონი მოწყობილობა და შესანიშნავი ექსპოზიციაა. აქ შეძლებთ გაიგოთ, რით განსხვავდება ფერმერული ყველი ქარხნულისაგან; გასინჯოთ სხვადასხვა სახეობის ყველის ნაწარმი; შეიტყოთ ყველაფერი ყველის ისტორიის, მისი დამზადებისა და დაძველების, ნიდერლანდების კულტურაში მისი ადგილის შესახებ.

Waagplein 2, 1811 JP Alkmaar
www.kaasmuseum.nl

HOLY CHEESE

საუკეთესო მდებარეობით გამორჩეული მაღაზია (Dam-ის მოედნიდან 5 წუთის გზაა) ჰოლანდიური ყველის და პურ-ფუნთუშეულის საუკეთესო არჩევანს გთავაზობთ, აქ არა მხოლოდ ყველის უზარმაზარი არჩევანი, მასტერდამში საუკეთესო სენდვიჩები შეგიძლიათ მიირთვათ. სადეგუსტაციო მენიუ იმდენად მრავალფეროვანია, პრაქტიკულად ყველა სახეობის ყველის დაგემოვნებას შეძლებთ.

Oude Doelenstraat 6
www.holy-cheese.nl

CHEESE MUSEUM

მუზეუმში ყველაფერი უფრო იაფია, ვიდრე ცენტრთან ახლოს მდებარე მაღაზიებში. აქ იხილავთ ფერმენტებითა და რძემჟავას პროდუქტებით ხაჭოს მისაღებად ხის ვარცლში მიმდინარე რძის კვეთის, მისი დაქუცმაცების, გაცხელების, სანელებლების დამატების პროცესს. ამოყვანილ გუნდას ნაწილებად ჭრიან, ფორმის მისაცემად ცილინდრებში ათავსებენ და წურავენ, შედეგად მიიღება ტრადიციული „თავები“, რომლებიც დიდ აბაზანაში აგრძელებენ „თავისუფალ ცურვას“. ხის თაროებზე ყველის თავები დაძველების დროის მიხედვითაა განლაგებული: წინ – შედარებით ახალი, ოთხთვიანი დაძველების, უკან – ერთწლიანი, უფრო მეტი და ა. შ. ზედა თაროებზე ჩამწკრივებულია ორწლიანი სიმწიფის თავები, რომლებიც კაშკაშა ყვითელი ფერისაა.
ღიაა: 09.00-21.00

Prinsensgracht 112
www.cheesemuseumamsterdam.com

ჰოლანდიის ნაციონალური სასმლის სახელი სიტყვა JENEVERBES-იდან წარმოიშვა, რაც „ღვიას“ ნიშნავს. მიიჩნევენ, რომ სწორედ იენევერია ინგლისური ჯინის წინაპარი – მათი რეცეპტები ერთმანეთის მსგავსია. თუმცა, ჯინისაგან განსხვავებით, ჟენევერის წარმოება მხოლოდ ჰოლანდიის, ბელგიის, საფრანგეთის ორი პროვინციისა და გერმანიის ორი ფედერალური მიწის ტერიტორიაზე შეიძლება. მას ე.წ. გეოგრაფიული წარმოშობის სისტემა იცავს.

შემადგენლობისა და დაძველების მიხედვით:

GRAANJENEVER – ეს მარკა მხოლოდ მარცვლეული კულტურებისგან მზადდება. როგორც წესი, სულ მცირე, 30% ალკოჰოლს შეიცავს.

KORENWIJN – ეს ჟენევერი 51% ალაოს სპირტსა და 20 გ/ლ შაქარს შეიცავს. მინიმალური სიმაგრე 38%-ია. ამ სახეობას მუხის კასრებში აძველებენ. დასაშვებია სასმელის კარამელით შეფერადება.

JONGE – იენევერის ყველაზე ახალდაყენებული და ამიტომ ყველაზე იაფფასიანი სახეობა; მშრალი და მკვეთრი გემოთი გამოირჩევა.

OUDE – დაძველებული სასმელი; მას ქარვისფერი დაჰკრავს, რადგან რამდენიმე წელი მუხის კასრებში ინახება.

ZEER OUDE (ZO) – ეს ყველაზე მეტად დაძველებული იენევერის სახეობაა. უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე ახალი იენევერი; ჩვეულებრივ, მას თიხის ბოთლებში ასხამენ.

ჟენევერი ჭვავის, სიმინდისა და ხორბლის დისტილაციის მეთოდით მზადდება. მიღებულ „ალაოს ღვინოს“ ღვიის კენკრასა და სურნელოვან სანელებლებს უმატებენ. გამოხდის შემდეგ ფილტრავენ, წყლით დასაშვებ სიმაგრემდე აზავებენ, ჭურჭელში აჩერებენ, მერე კი ჩამოასხამენ და გასაყიდად გზავნიან, ანდა მუხის კასრებში ხანგრძლივად აძველებენ. ეს პროცესი მკაცრად კონტროლდება დისტილატორის მიერ, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული არომატისა და გემობრივი შეგრძნებების იდეალური ბალანსი. ეს ალკოჰოლური სასმელი ჰოლანდიელმა სილვიუს ფრანცისკუსმა შექმნა მუცლის შებერილობის სამკურნალოდ, თუმცა ნაყენმა ხალხში არნახული პოპულარობა მოიპოვა.

Bols-ი ერთ-ერთი უძველესი სახლია, რომელიც ევროპაში სპირტიან სასმელებს აწარმოებს. 1575 წელი მისი დაარსების თარიღადაა მიჩნეული, რადგან იმხანად ბოლსების ოჯახი ამსტერდამში დამკვიდრდა და საფუძველი ჩაუყარა დღეს მოქმედ უძველეს დაწესებულებას. თუმცა ჟენევერის მასობრივი წარმოება 1664 წელს დაიწყო. Bols-ი იენევერის დამზადების ტრადიციებს დღემდე ინარჩუნებს. 1820 წელს Bols-მა წარმოადგინა დახვეწილი გემოს მქონე ჟენევერის ახალი, რევოლუციური რეცეპტი – მასში „ალაოს ღვინის“, მარცვლეულის სპირტისა და მცენარეული დანამატების იდეალური ბალანსი იგრძნობოდა. ეს ძლიერი, ამავდროულად, ფაქიზი გემო ჟენევერის დამამზადებელთათვის დღესაც ეტალონია. დღეისათვის Bols-ი ორი მთავარი სახეობის ჟენევერს სთავაზობს მომხმარებელს – ეს გახლავთ Bols Genever და Bols Genever Barrel Aged. ორივე მათგანი 1820 წლის ლეგენდარული რეცეპტით მზადდება.

დაძველებულ ჟენევერს კარგად ჩაცივებულს სვამენ, პატარ-პატარა ყლუპებად. ახალ ჟენევერს ისევე მიირთმევენ, როგორც ჩვეულებრივ ჯინს: მას შეიძლება შეურიოთ ლიმონის წვენი, ტონიკი და ა. შ. ნიდერლანდებსა და ბელგიაში ჟენევერს ლუდთან ერთად სვამენ, ან ყავაში ამატებენ. თუ გაუზავებელს შეეჩვევით, აუცილებლად ძლიერ ჩაცივებული უნდა იყოს და მცირე ულუფებად დალიოთ.

შეუდარებელი ხარისხის წყალობით, მე-20 საუკუნის დასაწყისში ჟენევერი იმხანად ამერიკაში ახალგაჩენილი „მოვლენის“ – კოქტეილისთვის იდეალურ შემადგენლად იქცა. პირველი კოქტეილები სწორედ მის ფუძეზე მზადდებოდა, რასაც ჟენევერის მკვეთრი არომატი და სხვა სასმელებთან შეხამების უნარი განაპირობებდა. წამყვანი ბარმენები იენევერს დღესაც ძალიან ხშირად იყენებენ.

HOUSE OF BOLS

Bols-ი გთავაზობთ სპეციალურ ტურსა და დეგუსტაციას ამსტერდამის ცენტრში მდებარე მუზეუმში (ვან გოგის მუზეუმის მოპირდაპირე მხარეს), სადაც იენევერის ფუძეზე შექმნილ კოქტეილებს გასინჯავთ და წარმოების პროცესს დაესწრებით. ექსკურსიის დროს შეიტყობთ, როგორ მზადდება შესანიშნავი კოქტეილები, ასევე ბევრ რამეს გაიგებთ ჟენევერის მემკვიდრეობისა და ისტორიის შესახებ. ტურის ფასი 16 ევროა, რომელშიც გათვალისწინებულია 1 კოქტელის ღირებულება და აუდიოგიდი.

Paulus Potterstraat 14
1071 CZ Amsterdam

ლიქიორი

ევროპის ნებისმიერ ცნობილ კლუბში შეგიძლიათ მიირთვათ დახვეწილი გემოს მქონე სხვადასხვა სახის ჰოლანდიური ლიქიორი, რომლის ყველაზე სახელგანთქმული მწარმოებლები არიან კომპანიები – Bols და Wenneker. ჰოლანდიური ლიქიორი შეიძლება იყოს ალუბლის, ბანანის, ატმის, ნესვის, ყავის, ვანილის, პიტნის და ა. შ. ის საკმარისად მაგარი, 24-გრადუსიანი ალკოჰოლური სასმელია, მაგრამ ამასთანავე ნაზი, ხავერდისებრი ტექსტურა და დიდებული არომატი აქვს, რომელშიც სპირტის ნოტები მაინცდამაინც გამოხატული არ არის.

რომი

ნიდერლანდების ექსკლუზიური სპირტიანი სასმელი – რომი მიიჩნევა პრემიუმკლასის ნაწარმად, რომელიც უმაღლესი ხარისხის სპირტების კუპაჟისაგან მზადდება.

ეს ალკოჰოლური ბრენდი ულამაზესი ქარვისფერია. მისი სიმაგრე 37,5 გრადუსია. რომს გაჰნია გაჯერებული, მრავალფეროვანი ბუკეტი, რომელშიც სუნელების, ციტრუსების, დარიჩინისა და ხის მერქნის ტონები იგრძნობა.

RAW HERRING

უმი ქაშაყი კერძის ეს სახელწოდება აზიზი მჭამელებისთვის ოდნავ საშიშად ჟღერს, თუმცა ჰოლანდიის ყველა სტუმარმა უნდა „მისცეს მას ერთი შანსი“.

აუცილებლად შეამჩნევთ ოთხთვალა ფორნებს, რომლებთანაც ამ ჰოლანდიური საკვების გასასინჯად მისული მსუნაგებისა და გასტრონომიულად ცნობისმოყვარე ადამიანების რიგი დგას. თუკი გამყიდველს ეტყვით: „broodje haring“, – იგი მოგართმევთ უმი ქაშაყის, მჟავე კიტრისა და ხახვის მომცრო სენდვიჩს.

ქაშაყს, რომელსაც, ძირითადად, ხახვსა და პურთან ერთად მიირთმევენ, მაისიდან ივლისამდე იჭერენ. სწორედ წლის ამ მონაკვეთშია თევზი საკმარისად მსუქანი და მასში ცხიმის შემცველობა, სულ მცირე, 16 პროცენტია. მეთევზეები ქაშაყს დაჭერისთანავე ასუფთავებენ, შემდეგ კი მარილწყალში ინახავენ. ყოველწლიურად, როცა ქაშაყის პირველ ნაკადს იჭერენ, ყველა თევზსაჭერი ნავისა თუ გემის თავზე დროშაა აღმართული, თევზის „პირველ მოსავალს“ დიდი ზეიმით ხვდებიან და ამ დღეს დროშის დღეს უწოდებენ.

თუ გსურთ, რომ ქაშაყი ჰოლანდიურად მიირთვათ, დაიჭირეთ თევზი კუდით, თავი უკან გადასწიეთ, პირი გააღეთ და ქაშაყი პირში გადაუძახეთ. თუ ეს თქვენთვის მეტისმეტია, სენდვიჩზე მაინც ნუ იტყვით უარს.

BITTERBALLEN

ხრაშუნა ზედაპირიან შემწვარი ხორცის ბურთულებს შესუნელებულ მდოგვთან ერთად მიირთმევენ.

მას შეხვდებით წასახემსებელ ნაკრებში bittergarnituur, რომელიც პაწია „გაუდას“ ყველისაგან, კვერცხის მცირე რგოლებისა და ადგილობრივი ძეხვის ნაჭრებისგან შედგება. ის დაკეპილი ძროხის ხორცით (ზოგჯერ ქათმით ან ვეგეტარიანულ ვერსიაში – სოკოთი) მზადდება, მის შემადგენლობაშია ბულიონი, ფქვილი, კარაქი და მწვანილი.

მას შემდეგ, რაც ნარევს მყარ ტექსტურას აძლევენ, მას ბურთულებად აქცევენ, პურის ნამცეცებში ავლებენ და წვავენ, სანამ ხრაშუნა და ოქროსფერი არ გახდება. ეს ჰოლანდიური სამზარეულოს ერთ-ერთი ყველაზე რჩეული კერძია.

CROQUETTES

რა თქმა უნდა, ეს სულაც არ გახლავთ მიშლენის ვარსკვლავით მონიშნული კულინარია, მაგრამ თუკი ჰოლანდიას ესტუმრებით და დაინახავთ წარწერას FEBO, გვერდით გულგრილად ნამდვილად ვერ ჩაუვლით.

მინის ვიტრინების მიღმა მოჩანს kroketten და frinkandellen. ჯიბეში აუცილებლად აღმოგაჩნდებათ მონეტები, ჩაყარეთ ისინი ავტომატში და ერთი ხელის დაკვრით თქვენი სადილი მზადაა.

KIBBELING

დაბეგვილი და ოქროსფრად შემწვარი თეთრი თევზი ისეთივე გემრიელია, როგორ მადისაღმძვრელადაც გამოიყურება.

„კიბელინგს“ – მაიონეზისა და მცენარეების სოუსითა და ლიმონით მიირთმევენ. საუკეთესო, ახლად შემწვარ „კიბელინგს“ ქუჩის ბაზრობებსა და სწრაფი კვების დახლებზეც მიაგნებთ.

STAMPPOT

ჰოლანდიური ტრადიციული კერძი „სტამპოტი“ ზამთრის ცივი საღამოების გასუყრელი თანამგზავრია და ძალიან წააგავს ბრიტანულ Bubble & Squeak-ს. მისი პირდაპირი თარგმანია „პიურეს ქოთანი“ და სწორედაც რომ კარტოფილისა და სხვა ბოსტნეულის პიურესაგან შედგება.

ტრადიციული „სტამპოტი“ კარტოფილის, მჟავე კომბოსტოს, სტაფილოს, ხახვისა და კომბოსტოს სხვადასხვა კომბინაციას შეიცავს. პიურეს შებოლილ ძეხვსა და საწებელს ატანენ. კერძის სხვადასხვა ვერსიას თავ-თავისი სახელები აქვს: boerenkool (ხუჭუჭა კომბოსტოს), zuurkool (მჟავე კომბოსტოს), hutspot (ხახვისა და სტაფილოს) და rauweandijvie (არდის) – ყოველი მათგანი საუკეთესო წასახემსებელია.

THICK DUTCH FRIES

ეს კარტოფილი ფრი არც ერთ სხვა სახეობას არ ჰგავს. მენიუში აუცილებლად მოგხვდებათ თვალში სახელწოდებები patat ან frite, როცა შეკვეთას მისცემთ, ქაღალდის კონუსში მოთავსებულ სქელად დაჭრილ ცხელ-ცხელ კარტოფილის ფრის მოგიტანენ, რომელსაც მრავალფეროვანი საწებლები და გარნირები მოჰყვება. შეგიძლიათ მოითხოვოთ patate oorlog – ფრი ინდონეზიური წვრილად დაჭრილი ხორცის კერძით, რომელსაც არაქისის სოუსი კიდევ უფრო პიკანტურს ხდის, მაიონეზითა და ხახვით შეზავებული. ფრის კიდევ ერთი ვარიანტია patat speciaal – კარის კეჩუპითა და, ასევე, მაიონეზითა და ხახვით.

SNERT

ბარდის წვნიანის ჰოლანდიური ვერსია სქელი მწვანე მასაა, რომელიც დაჭრილი ბარდის, ღორის ხორცის, ხახვის, ნიახურისა და პრასისგან მზადდება.

მისი სახელწოდებისაგან განსხვავებით, ნამდვილად მადისაღმძვრელი შესახედაობისაა და შესანიშნავი გემოთი გამოირჩევა. მას ხშირად მიირთმევენ, განსაკუთრებით კი, ყინულზე მოსრიალე ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ეს კერძი პირდაპირ ქუჩაში, დახლიდან შეიძინონ.

PANNENKOEKEN

ეს არის უგემრიელესი ჰოლანდიური ბლინები და ჰოლანდიელების ჭეშმარიტად საყვარელი კერძი, რომელსაც ხშირად ტკბილ ან ცხარე საჭმელებთან ერთად მიირთმევენ, მაგალითად, ბეკონთან, ვაშლთან, ყველთან, ქიშმიშთან, სტრუპთან (ჰოლანდიური სიროფი), შოკოლადთან, ვაშლის სიროფთან, შაქრის პუდრთან, თხილთან, შებოლილ ორაგულსა და არაჟანთან ერთადაც კი. ამ ბლინების ჭამა ლანჩზეც შეიძლება, სადილადაც და დესერტადაც. შეგიძლიათ დანაჩანგლით მიირთვათ, ან დაახვიოთ და ხელით ჭამოთ. Pannenkoeken ამერიკულ და შოტლანდიურ ბლინებზე გაცილებით თხელია და ტრადიციულ ინგლისურ ბლინს უფრო მიამსგავსებთ; ზოგჯერ უზარმაზარ Pannenkoeken-საც შეიძლება წააწყდეთ.

ეს ბლინი ხორბლის (ხანდახან წიწიბურას) ფქვილის, რძის, კვერცხისა და მარილისგან ძალიან ცხელ ტაფაზე, სწრაფად მზადდება.

STROOPWAFEL

თუკი მხოლოდ ერთი ჰოლანდიური ტკბილი სასუსნავის გასინჯვის შანსი გაქვთ, არჩევანი Stroopwafel-ზე უნდა შეაჩეროთ. ორი თხელი ვაფლი ერთმანეთს ტკბილი სიროფის ფენით ეწებება. აჯობებს, რომ ეს გასაოცარი ნუგბარი ახალგამომცხვარი მიირთვათ ქუჩის ბაზრობაზე ან საცხობში.

APPELTAART

ჰოლანდიელები საუკუნეების განმავლობაში მიირთმევდნენ Appeltaart-ს ანუ ვაშლის ღვეზელს. 1514 წელს დაბეჭდილი პირველი კულინარიული წიგნი მის რეცეპტსაც შეიცავს.

Appeltaart-ის ზედა და ქვედა მხარე ცომითაა დაფარული და ის ამით განსხვავდება ფრანგული ვაშლის ღვეზელისგან, რომელიც ზემოდან ღიაა. Appeltaart-ს წვრილად დაჭრილი ვაშლის, შაქრის, დარიჩინისა და ლიმონის წვენისგან შემდგარი გულთავსი აქვს. ტრადიციულად, ღვეზლის ზედა მხარეს დაფენილია ზოლებად დაჭრილი ცომი, ასე რომ, შიდა ნაწილის დანახვაც შეგიძლიათ. მიირთვით ათქვეფილ ნაღებსა და ყავასთან ერთად.

POFERJUS

პაწია, ღრუბელივით მსუბუქი, მაგრამ მსუყე ბლინები წიწიბურას ფქვილითა და საფუვრით მზადდება, ჰაერის ბუშტუკებიანი ტექსტურა აქვს და მას ცხელ-ცხელს შაქრის პუდრს აყრიან, ხანდახან ჰოლანდიურ სიროფს, სტრუპს მოასხამენ. ზამთრის სეზონსა და ჰოლანდიურ ფესტივალებზე აუცილებლად აღმოაჩენთ მას დახლებზე და იქვე, ქუჩაში პატარა ჩანგლითაც შეგიძლიათ დააგემოვნოთ. Poferjus-ს სპეციალურ ტაფაზე აცხობენ, რომელსაც ბევრი ფოსო აქვს დატანილი. თუ ამ ბლინების დამზადებას სახლში გადაწყვეტთ, ჩვეულებრივ ტაფაზე, კარაქში მოამზადეთ და ფრთხილად ამოატრიალეთ, როცა მეორე გვერდის გამოცხობის დრო დადგება.

DUTCH LIQUORICE

ძირტკბილას ჭამა ჰოლანდიაში, ფაქტობრივად, დროის გაყვანის ეროვნული „სახეობაა“. სიმართლე ითქვას, ეს ქვეყანა მსოფლიოში მოწინავე ადგილს იკავებს ერთი მაცხოვრებლის მიერ მოხმარებული საშუალო რაოდენობის მიხედვით.

თუ ჰოლანდიაში ვინმე ძირტკბილას შემოგთავაზებთ (ეს კი გარდაუვალია), თავს გაუფრთხილდით! ეს არ იქნება იმ ძირტკბილას მსგავსი, რომელიც ოდესმე გაგისინჯავთ.

ჰოლანდიური ძირტკბილა უფრო მარილიანი და შავია, მას „წვეთს“ ეძახიან და მერე არ ინანოთ, რომ ჩვენი გაფრთხილება ყურად არ იღეთ.

ONTBIJTKOEK

ეს უგემრიელესი ჯინჯერის ნამცხვარი ფუნთუშის ფორმით მზადდება და იმდენად მსუყეა, რომ ერთი პაწია ნაჭერი დასანაყრებლად სრულიად საკმარისია.

სახელწოდება პირდაპირ ითარგმნება, როგორც „სასაუზმო ნამცხვარი“, თუმცა შეგიძლიათ ამ სასუსნავის გასასინჯად საკუთარ თავში „შეამბოხე“ გააღვიძოთ და ის დღის ნებისმიერ მონაკვეთში მიირთვათ. კიდევ უფრო დიდი სიამოვნების მისაღებად ზემოდან სქელ ფენად კარაქი გადაუსვით.

OLIEBOLLEN

ეს დონატის ჰოლანდიური ვერსიაა. ტრადიციულად, მას ახალი წლის ღამეს მიირთმევენ, თუმცა Oliebollen-ს ზამთრის ცივ თვეებში ქუჩის დახლებზე მიაგნებთ. თავად სახელწოდება ზეთოვან ბურთულებს ნიშნავს; მათ ზეთში წვავენ, მაგრამ არც ისეთი ცხიმიანია, როგორც მისი სახელი გვამცნობს. ცომში შაქარი და ლიმონია, შუაგულში

კი შესაძლოა სხვადასხვა ხილის ჩირიც აღმოაჩინოთ, გარედან ამ დონატს შაქრის პუდრი ან მინანქარი აქვს. მიირთვით დახლთან ცხელ-ცხელი ან ცივი, ფინჯან ყავასთან ერთად.

TOMPOUCE

ამ დესერტს ერთ-ერთი ცნობილი შემსრულებლის პატივსაცემად მისი სასცენო სახელი – ტომ პოუსი ჰქვია. მართკუთხა, კრემით გამოტენილი ცომი ზემოდან გლუვი, ვარდისფერი მინანქრითაა დაფარული. Tompouce ყოველთვის უცვლელი ზომის, ფორმისა და ფერისაა, თუმცა „მეფის დღეს“ ამსტერდამში ნარინჯისფერი მინანქრით დაფარულ ამ დესერტს აუცილებლად იხილავთ.

ყვავილების ქვეყანა

ყვავილებისადმი სიყვარული და პატივისცემა ჰოლანდიელს ისევე აქვს შეზრდილი გულში, როგორც გლიცინიის მოუსვენარი ყლორტები ეზრდება კედელს.

არსად მინახავს ამდენი გასაოცარი თაიგული. დახვეწილი გემოვნებით და ცოდნით შედგენილი. მათ დაატარებენ ქუჩებში, ლამაზი ბაფთებით შეკრულებს, ფენენ ყველა მაღაზიასა თუ მუზეუმში; ისინი დგანან, ამაყად თავმომწონენი, ბროლსა და თითქმის გამჭვირვალე კერამიკაში მოთავსებულნი, ამსტერდამის სახლების დიდი ფანჯრების მიღმა. ახლად მოჭრილი ყვავილების თაიგული თითქოს რაღაც აუცილებელი, სავალდებულო ატრიბუტია ჰოლანდიელთა ცხოვრებაში.

ყვავილების მაღაზია ჰოლანდიაში ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობას ჰგავს. ერთი ნაბიჯი და სადღაც ეკვადორის ჯუნგლებს, პროვანსის მინდვრებსა და ჰოლანდიის დაბლობებს შორის აღმოჩნდებით. ფლორისტები უნივერსიტეტის პროფესორებს ჰგვანან. უდავო კომპეტენციისა და პრესტიჟულობის შეგრძნებით, თავიანთ პაწია მაღაზიებში გამეფებულნი, ყველა კითხვაზე შესაშური სისწრაფით იძლევიან დამაჯერებელ პასუხებს.

მოკლედ, ჰოლანდიელებს უყვართ ყვავილები და ყვავილებიც აშკარად სიყვარულით პასუხობენ მათ. არავინ იცის, სად იყო ეს უკვე გენეტიკურ დონეზე გამჯდარი სიყვარული, რომელიც გარკვეულწილად მენტალობას აყალიბებს, მე-16 საუკუნემდე – ხანამდე, როცა ჰოლანდიელებმა პირველად ჩახედეს ყვითელ გულში ერთ ფაქიზ ყვავილს, რომელსაც სამუდამოდ დაუკავშირეს საკუთარი ბედი.

რას წარმოიდგენდნენ ავღანეთის მინდვრებში ველურად მოყვავილე ნაზი ყვავილები, თუ რას ჩაიდენდნენ მათ გამო ადამიანები. ათასობით წელი ხარობდნენ მინდვრად და სულთნების ბაღებში, წითლად ღვიოდნენ ოტომანური იმპერიის კერამიკასა და მეჩეთების კედლებზე ტიტები – სრულიად გულგრილნი ადამიანთა აღფრთოვანებისადმი.
...და აი, 1554 წლის ერთ მშვენიერ დღეს გერმანიის ქალაქ აუგსბურგში უჩვეულო ტვირთი ჩამოვიდა. ხის უბრალო ყუთში შეუხედავი ბოლქვები ეწყო. თურქეთის კარზე მივლენილ ელჩს თვალში მოსვლია ყვავილის სილამაზე და სამშობლოში გამოუგზავნია.

ევროპამ ამ გზავნილის გახსნით პანდორას ყუთი გახსნა. ტიტომანიის საყოველთაო ციებ-ცხელებამ მოიცვა განათლებული და მშვიდი ევროპელების გულები. 1562 წელს ანტვერპენში ტიტების პირველმა სერიოზულმა პარტიამ ჩამოაღწია. სელექციონერები ცას ეწივნენ სიხარულით. ესოდენ დამყოლი ყვავილი იშვიათია, ტიტა საოცრად სწრაფად ექვემდებარება მუტაციას და მისი ასობით სახეობის გამოყვანა სულ მოკლე დროშია შესაძლებელი.

ჰოლანდიის ერთ-ერთ ქალაქში ტიტებით ვაჭრობის საერთო ბრუნვამ 10 მილიონი გულდენი შეადგინა, რაც ოსტ-ინდოეთის კამპანიის მთელ უძრავ და მოძრავ ქონებას უდრიდა. ტიტებს ჰოლანდიელებმა ყოველმხრივ მიაგეს პატივი: გამოიყვანეს ასობით ახალი ჯიში, აღბეჭდეს მათი სილამაზე ყველაზე დახვეწილ ნატურმორტებში, დაადეს მათ ოქროს ფასი.

ბოლოს, როცა უკვე ტიტომანიამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ საღი აზრი სადღაც ბოლქვებს შორის ჩაიკარგა, სახელმწიფომ თავისი სიტყვა თქვა: 1637 წელს გამოიცა კანონი, რომელიც ტიტებით ვაჭრობისას სპეკულაციას ებრძოდა და სჯიდა. ისტერია მიწყნარდა, მაგრამ ეს ნაზი ყვავილი, ახლა უკვე ჰოლანდიურად ჩახუჭუჭებული ფოთლებით, დღემდე ამ ქვეყნის სიმბოლოა.

ჰოლანდია დღემდე რჩება ტიტებისა და ყვავილების წარმოების ლიდერად. 10 ათას ჰექტარზე ყოველწლიურად 4,2 მილიარდი ბოლქვი გამოყავთ. ყოველდღიურად მილიონობით ყვავილი გრილ ყუთებში მოთავსებული, როგორც მათი დები მე-16 საუკუნიდან, იგზავნება მსოფლიოს ყველა კუთხისკენ. ყვავილებისა და მცენარეების უდიდეს აუქციონზე წელიწადში 12,4 მილიარდი ყვავილი და სხვადასხვა მცენარე იყიდება და წლიური ბრუნვა 4,5 მილიარდი ევროა.

ჰოლანდიაში ყვავილები მართლაც ყველგანაა, მაგრამ არის პარკი, რომლის სანახავადაც გაზაფხულის დადგომისთანავე მთელი მსოფლიოდან მოემგზავრებიან ადამიანები.

კეუკენჰოფი – სახელწოდება, რომელიც სამზარეულოს ბაღს ნიშნავს, მე-15 საუკუნეში გაჩნდა. ამ ტყეებში სასახლის სამზარეულოსთვის გროვდებოდა ხილი და ბოსტნეული. კეუკენჰოფის სასახლე 1641 წელს აშენდა და პარკი მის გარშემო უკვე 200 ჰექტარს აღწევდა. 1857 წელს კეუკენჰოფმა, ინგლისური პარკების გავლენით, ცვლილებები განიცადა, მაგრამ პარკის ნამდვილი დიდება სამომავლო საქმე იყო.

1949 წელს ყვავილების ბოლქვების 20-მა მწარმოებელმა წინადადებით მიმართა მუნიციპალიტეტს, კეუკენჰოფი საგაზაფხულო ყვავილების ექსპოზიციად ექციათ. 1950 წელს იდეა უკვე განხორციელებული იყო და პარკმა პირველი დამთვალიერებელი მიიღო. 236 000 ადამიანი ეწვია პარკს პირველსავე წელს. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება და მსოფლიო მნიშვნელობის ფლორისტული მოვლენაა. ყოველწლიური შოუ 8 კვირის განმავლობაში გრძელდება. ამ დროს პარკში 7 მილიონი ყვავილი ყვავის.

კეუკენჰოფი ჰოლანდიური ყვავილების სამყაროს აპოთეოზია, თუმცა მაშინაც კი, როცა აქაურ პარკში 7 მილიონი ყვავილი ერთდროულად არ ახარებს ადამიანთა თვალსა და გულს, ჰოლანდია მაინც რჩება ყვავილების ქვეყნად.

2018 წელს კეუკენჰოფი 22 მარტიდან 13 მაისამდე, დილის 8-იდან საღამოს 9-ის ნახევრამდე იმუშავებს.

კეუკენჰოფში შესასვლელი **ბილეთის ფასია** ზრდასრულთათვის 16€, 3 წლამდე ბავშვებისთვის უფასოა, 4-იდან 11 წლამდე ბავშვებისთვის – 8€. კეუკენჰოფი ამსტერდამსა და ჰააგას შორის მდებარეობს, ამსტერდამიდან (ან ჰააგიდან) რკინიგზის ცენტრალური სადგურიდან შეგიძლიათ გაემგზავროთ მატარებლით სადგურ სხიპოლამდე (2 გზის ბილეთის ფასია 9.40 €), შემდეგ კი – # 858 ავტობუსით პარკამდე. მგზავრობის ხანგძლივობა სულ 1 საათია. გირჩევთ, სხიპოლში ავტობუსისა და პარკის კომბინირებული ბილეთი შეიძინოთ, რომელიც 24 € ღირს.

2160 AB, Stationsweg 166, Lisse
www.keukenhof.nl

დელფტი შესანიშნავი ადგილია ერთდღიანი მოგზაურობისათვის. ქალაქი როტერდამსა და ჰააგას შორის მდებარეობს და იქ მატარებლით 15 წუთში ჩახვალთ. ჰააგიდან დელფტამდე მატარებლით 15 წუთის გზაა; მგზავრობა 3,5 ევრო ღირს, ამსტერდამიდან დელფტში მატარებლით მგზავრობას 1 საათი სჭირდება და ერთი გზის მგზავრობის ფასია 13€.

თუ ერთ მშვენიერ, მზიან დილას ჰააგაში პირველ ნომერ წითელ ტრამვაის შეახტებით, სულ რაღაც 40 წუთში შესანიშნავ პატარა ქალაქში აღმოჩნდებით.

ეს არც ჰააგის გარეუბანია და არც სატელიტი ქალაქი, ეს სრულიად დამოუკიდებელი, უდიდესი ისტორიის მქონე ულამაზესი ქალაქი დელფტია. აქ დაიბადა ჰოლანდიის დამოუკიდებლობა და გარდაიცვალა შესანიშნავი მხატვარი ვერმეერი.

დელფტი თავისი არხებით, მათ გასწვრივ ჩამწკრივებული პატარა სახლებითა და 1246 წელს დაარსებული პროტესტანტული ეკლესიით, პრაქტიკულად, ამსტერდამის მინი მოდელია. მისი შემოვლა ერთ დღეში თავისუფლადაა შესაძლებელი.

XVII საუკუნის ისტორიული ცენტრი, ძველი ტაძარი (Oude Kerk) და ახალი ეკლესია (Nieuwe Kerk) 109-მეტრიანი სამრეკლოთი, პრინსენჰოფის (Prinsenhof) სასახლე და ისტორიული კარიბჭის ნაშთები მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული შედევრებია, ამიტომაც დელფტი ნიდერლანდების ერთ-ერთი საუკეთესო სამოგზაურო მიმართულებაა.

CITY HALL

ეს ნაგებობა Nieuwe Kerk-ის მოპირდაპირედ, მოედან Markt-ზე მდებარეობს. რენესანსის სტილის შენობა 1620 წლით თარიღდება. მანამდე არსებული ადმინისტრაციული შენობა ორი წლით ადრე, 1618 წელს გაჩენილ ხანძარს შეეწირა ძველ ქალაქთან ერთად. ამჟამინდელი ნაგებობა მეცამეტე საუკუნის გოთიკური კოშკის გარშემო აეშენეს.

თავად კოშკში საპყრობილე იყო და ახლაც შეგიძლიათ იხილოთ შუასაუკუნეების დროინდელი საწამებელი ოთახი და საკნები. მისაღები დარბაზი სასამართლოს ფუნქციას ასრულებდა. ამ დარბაზის მიღმა მდებარე კიბეები აივანზე გადის, სადაც სიკვდილმისჯილი ეშაფოტზე აჰყავდათ. ბალთაზარ ჯერარდი, ვილემ ორანელის მკვლელი, სწორედ აქ გაასამართლეს და სასტიკად დასაჯეს.

NIEUWE KERK

ახალი ეკლესიის ვიწრო კოშკი თითქმის 109 მეტრია, მასში მდებარე სამეფო აკლდამა კი სამეფო ოჯახის წევრების სამუდამო განსასვენებელია. ამ ეკლესიაში თექვსმეტი ფერადმინიანი ფანჯარაა.

ფერადი ვიტრაჟები შეგიძლიათ იხილოთ ახალი ეკლესიის იმ ნაწილში, სადაც გუნდი მღერის და რამდენიმე მავზოლეუმია, მათ შორის, ჰუგო გროტიუსის მავზოლეუმიც.

Nieuwe Kerk-ში გამოფენის დათვალიერებაც შეგიძლიათ და ვიდეოპრეზენტაციის ნახვაც, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი ამ ეკლესიისა და სამეფო ოჯახის ისტორია.

თუ ამის სურვილი გექნებათ, 109-მეტრიანი კოშკის ყველა საფეხური უნდა აიაროთ. ახალი ეკლესია **კვირადღეს დაკეტილია.**

Markt 80

ნიდერლანდების სამეფო ოჯახი ვილჰელმ ორანელის მემკვიდრეა. Het Prinsenhof-ის დათვალიერებისას შეიტყობთ, როგორ დაარსდა ნიდერლანდების სამეფო.

PRINSENHOF

დელფტის მთავარი სასახლე, მონუმენტური გვიანგოთიკური შენობა, ოდესღაც წმინდა აგატას სახელობის მონასტერი იყო. ის 1400 წელს ააგეს. XVI საუკუნიდან პრინსენჰოფი გრაფ ვილემ I ორანელის რეზიდენციის ფუნქციას ასრულებდა. სწორედ ამ სასახლეში 1584 წლის 10 ივლისს ნიდერლანდების სამეფო დინასტიის დამაარსებელი სასახლის კიბეზე მოკლა ვინმე ბალთაზარ ჯერარდმა.



ის ახალ ეკლესიაში დაკრძალეს, რამაც ტრადიცია დაუდო ჰოლანდიის სამეფო დინასტიის წარმომადგენელთა სამუდამო განსასვენებელს დელფტში. კიბის კედლები დღემდე ინახავს იმ ტყვიების კვალს, რომლებიც ვილემის სიკვდილის მიზეზი გახდა, ხოლო ამ ტრაგიკული მოვლენის გამო კიბის სექტორს „სიკვდილის დარბაზი“ ეწოდა.

შუასაუკუნეების ტრაგიკულ კედლებში დღეს XVI-XVII საუკუნეების დელფტელი მხატვრების ნამუშევრები და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებია გამოფენილი. არანაკლებ საყურადღებოა დელფტის ფაიფურის უნიკალური კოლექცია. პრინცენჰოფში შეიტყობთ შავი ან თუნდაც ყვითელი ფაიფურის არსებობის შესახებაც.

ღიაა: ორშაბათი-კვირა – 10.00-17.00; **ბილეთის ფასი:** 12€

www.prinsenhof-delft.nl

OUDE KERK

დელფტის უძველეს ტაძარში (1246) იან ვერმეერია დაკრძალული.

ამჟამად აქ საეკლესიო მსახურების გარდა თანამედროვე ხელოვნების გამოფენები ტარდება და საორგანო მუსიკის კონცერტები იმართება.

Geestkerkhof 25

შეგიძლიათ არხები დამოუკიდებლად ან სამგანმეტო ტურის მეშვეობით შეისწავლოთ, სრულად რომ შეიგრძნოთ ქალაქის ისტორიული და კულტურული მომხიბვლელობა. წყლის ტაქსი, დაქირავების შემთხვევაში, ყველა ღირსშესანიშნაობას შემოგატარებთ.

დელფტის არხები

არხების მშენებლობა დელფტის ქალაქდაგეგმარებისას თავიდანვე გაითვალისწინეს. ისინი თავდაცვისა და ქალაქის სიცოცხლისუნარიანობისთვის მნიშვნელოვანი იყო. ქალაქის სახელი წარმოშობილია ზმნისაგან „delven“, რაც „ამოთხრას“ ნიშნავს. ყველაზე ადრეულია „ძველი არხის“ ხაზი, რომლის გარშემოც ქალაქი აგერ უკვე 750 წელია იზრდება. დანარჩენი არხებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს დელფტის ცხოვრებაში. ისინი დღესაც იმავე მიზნებით გამოიყენება, როგორც ადრე: სატრანსპორტო საშუალებებისთვის და საცხოვრებელი ადგილებიდან წყლის გადმოქაჩვა-შეგროვებისათვის.

თუ ფეხით სიარულით დაიღალეთ, ან თუ „როიალ დელფტის“ ქარხანაში გადაწყვიტეთ წასვლა, ქალაქის მთავარ მოედანზე პატარა თეთრი ელექტრომობილები მოძებნეთ. ეს დელფტის ტუკტუკია. ეს შესანიშნავი ტრანსპორტი, რომლით გადაადგილებაც 4 ევრო ღირს, ერთი საათის განმავლობაში მოგატარებთ მთელ ქალაქს. ამ ტრანსპორტს უკვე დასახულიტურისტული მარშრუტი აქვს და გაჩერებებს აკეთებს. თუ ზუსტად იცით, სად მიდიხართ და ეს პუნქტი მარშრუტს ემთხვევა, მძღოლი პირდაპირ დანიშნულების ადგილზე მიგაბრძანებთ. ტუკტუკის მძღოლები იმდენად მეგობრულები არიან, რომ მძღოლს თუ სათანადოდ მოელაპარაკებით, გარკვეულ დროში მოგაკითხავთ კიდეც. ჩვენ ტუკტუკმა სადგურშიც კი მიგვიყვანა.

ვერმეერის ცენტრი

დელფტში ვერმეერის მუზეუმი მდებარეობს, თუმცა უნდა გაითვალისწინოთ, რომ ეს, პრაქტიკულად, ვირტუალური მუზეუმია. სახლი, რომელშიც მხატვარი ცხოვრობდა, არც ინტერიერით გამოირჩევა და არც მისი ნივთებით. მუზეუმის დათვალიერება მხოლოდ იმ შემთხვევაში ღირს, თუ საერთოდ წარმოდგენა არ გაქვთ, ვინ იყო ვერმეერი.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-17.00; **ბილეთის ფასი:** მოზრდილთათვის – 7€, 7-14 წლამდე – 3€, შვიდ წლამდე ბავშვებისთვის უფასოა.

Voldersgracht 21; www.vermeerdelft.nl

DELFT BLUE

დელფტური ნაწარმი მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულია. აქ კერამიკას XVII საუკუნიდან ამზადებენ. 1600-1800 წლებში ის ძალიან პოპულარული იყო და მდიდარი ოჯახების ინტერიერებს ამშვენებდა, რომლებიც დელფტური კერამიკის კოლექციების დემონსტრირებაში ერომანეთს ეჯიბრებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ დელფტელი მეთუნეები თავიანთ ნახელავს ფაიფურს უწოდებდნენ, ეს გაცილებით იაფფასიანი ნაწარმი იყო, ვიდრე ნამდვილი ჩინური ფაიფური.

დელფტში კერამიკას ტიპური ფაიფურის თიხა-მასალისგან კი არ ამზადებდნენ, არამედ თიხისგან, რომელსაც გამოწვის შემდგომ მინანქრით ფარავდნენ. ეს მინანქარი კალის დაჟანგვით ფერმკრთალდებოდა.

მიუხედავად ამისა, დელფტის ლურჯი კერამიკა არნახულად პოპულარული იყო და იმხანად ქალაქში 33 ფაბრიკა მუშაობდა. მათგან მხოლოდ დელფტის ფაიფურის სამეფო ფაბრიკაა (Royal Delft) შემორჩენილი, რომელიც დღესაც მოქმედია.

ROYAL DELFT

ფაიფურის სამეფო ფაბრიკა 1653 წელს დაარსდა. ეს დელფტური ლურჯი კერამიკის XVII საუკუნიდან შემორჩენილი ერთადერთი საწარმოა.

ექსკურსია, სახელწოდებით „გაიცანით სამეფო ფაბრიკა“, ნამდვილი დროში მოგზაურობაა, რომელიც კერამიკის წარსულზე, დღევანდელობასა და მომავალზე მოგითხრობთ. დელფტის სახელგანთქმული ფაიფურის ქარხანა აუცილებლად ღირს ვიზიტად.

გარდა იმისა, რომ ჰოლანდიური ფაიფურის კერას შიგნიდან მოინახულებთ და სამუშაო პროცესს სრულად დაესწრებით, ქარხანას შესანიშნავი მაღაზიაც აქვს, სადაც ნებისმიერი ბიუჯეტის მქონე ადამიანს შეუძლია სასურველი ნივთის შეძენა.

სახელგანთქმული თეთრ-ლურჯი კერამიკის განსაკუთრებული ნიმუშები, რომლებიც დღემდე ხელით მზადდება და ხელით იხატება, 35 ათასი ევროც შეიძლება ღირდეს, თუმცა აქ 20 ევრომდე ღირებულების მაღალი ხარისხის სუვენირებსაც აღმოაჩენთ. მაგალითად, ნაძვის ხის სათამაშოებს, სახელგანთქმულ ფაიფურის საბოებსა და არანაკლებ ცნობილ მინიატურულ სახლებს. **ღიაა:** ყოველდღე – 9.00-17.00

Rotterdamseweg, 196

CHEESE & MORE

ქალაქის მთავარ მოედანზე, რომელსაც ყვავილებით მორთული პატარა კაფეები სარტყელივით აკრავს გარს, არაერთ პატარა მაღაზიას აღმოაჩენთ. ნუ აუვლით გვერდს ყველის მაღაზიებს, რადგან ეს ვიზიტი სამუდამოდ შეცვლის თქვენს წარმოდგენას ამ პროდუქტის შესახებ.

Markt 43

HET GULDEN ABC

ნიდერლანდების ყველაზე მშვენიერ სავაჭრო მოედანზე უნიკალური ატმოსფეროს მქონე კაფე ისტორიულ შენობაშია განთავსებული. კაფეს Het Gulden ABC იმ სტამბის პატივსაცემად ჰქვია, რომელიც მე-17 საუკუნეში ამ შენობაში მდებარეობდა. სტამბის ყოფილ მეპატრონეს, ჯეიკობ დისიუსს სახელგანთქმული იოჰანეს ვერმეერის რამდენიმე ნახატიც ჰქონდა. ჯეიკობის სიკვდილის შემდეგ, 1696 წლის 16 მაისს მისი კოლექცია ამსტერდამში აუქციონზე გაიტანეს. მიირთვით ლანჩი, სადილი ან სასმელები ამ ისტორიულ შენობაში ანდა მყუდრო ტერასაზე წელიწადის ნებისმიერ დროს.

რესტორანს სხვადასხვა დარბაზი აქვს, ყველა მათგანს კი თავისებური მომხიბვლელობა ახასიათებს. უზარმაზარი და მყუდრო ტერასა მოედანს გადაჰყურებს. შეგიძლიათ კაფეს ეწვიოთ ფინჯანი ყავისა ან ჩაისთვის, ახალგამომცხვარი ფუნთუშეულისა თუ ლანჩისთვის ან უგემრიელესი სადილისთვის.

Markt 34

გირჩევთ, ფაბრიკის კაფეში ისადილოთ. აუცილებლად ესტუმრეთ აქაურ ლუდის ბარს. ახალგამომცხვარი რულეტებისა და ჭიქა ყავის მირთმევა ნამდვილად ღირს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მუზეუმის ბოლომდე დათვალიერება დაგეზარებათ.

მენიუში სხვა გემრიელ კერძებთან ერთად აღმოაჩენთ რულეტ Waldkorn-ს ყველი ბრით, ნიგვზითა და თაფლით, თანაც აქედან ეზოზე გამავალი ჩინებული ხედი გადაგეშლებათ თვალწინ.

ნიდერლანდებში სიდიდით მეოთხე და ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქალაქი უტრეხტი ქვეყნის შუაგულში მდებარეობს. მას ცოდნისა და კულტურის ქალაქსაც უწოდებენ, რადგან აქ ჰოლანდიის უძველესი უნივერსიტეტი მდებარეობს (1636 წ.).

უტრეხტის უმაღლეს სკოლებში 70000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს, ამიტომაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ახალგაზრდაა. ისტორიული ქალაქის ფერწერულ ლანდშაფტს ნავმისადგომთან და XIV საუკუნის რომანტიკული არხების გასწვრივ სეირნობისას შეიგრძნობთ.

DE WINKEL VAN SINKEL

ნიდერლანდების პირველი შოპინგ მოლი 1839 წელს გაიხსნა, დღეს აქ შესანიშნავი კაფე, რესტორანი და ღამის კლუბია განთავსებული. შენობას ოთხი გიგანტური თუჯის ქანდაკებიანი ორიგინალური ფასადი აქვს.

Oudegracht 158

112-მეტრიანი Dom Tower კი ქალაქის სავიზიტო ბარათია. ის ნებისმიერი ადგილიდან მოჩანს.

DOM TOWER

ჰოლანდიაში ეს ყველაზე ძველი და ყველაზე მაღალი ტაძარია. ის 1321-82 წლებში შენდებოდა. ეკლესიის შიგნით ორი სამლოცველოა: წმ. მიქაელის სახელობისა და ჰერცოგ გეორგ ედმონდელის პირადი სამლოცველო.

1505 წელს ჩამოსხმული 13 ზარი 880-იდან 18 000 ფუნტამდე იწონის. სამრეკლოს სიმაღლე 112 მეტრია. აქედან შესანიშნავი ხედი იშლება, თუმცა მის დასანახად 465 საფეხურის ავლა მოგიწევთ. კედლისა და აკლდამების მხატვრობა დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. წყნარ ეზოში 140 სახეობის სხვადასხვა მცენარე ხარობს.

Domplein 21

ქალაქის ცენტრი საფეხმავლოა, ასე რომ, მშვიდი სეირნობითა და შოპინგით ერთდროულად შეგიძლიათ ისიამოვნოთ. ვიწრო ქუჩებში ჩამწკრივებულია ცნობილი ბრენდების ბუტიკები. Lijnmarkt, Oude Gracht, Choorstraat, Oudkerkhof და Korte Minrebroederstraat – ეს ქუჩები საუკეთესოა შოპინგისათვის.

RIETVELD SCHRÖDER HOUSE

შროდერის სახლი 1924 წელს ცნობილმა არქიტექტორმა გერიტ რიტველდმა დააპროექტა. ნაგებობა იმ დროსვე უნიკალური გახლდათ და დღემდე ასეთად რჩება. 2000 წელს სახლს იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა. რიტველდი იმ მხატვრული მიმდინარეობის, ე. წ. „სტილის“ წარმომადგენელი იყო, რომლის სათავეში პიტ მონდრიანი იდგა.

ისინი ჰარმონიისა და წესრიგის ახალ იდეალებს ეძებდნენ. სწორი ხაზები და პირველყოფილი ფერები – ეს კონცეფცია ზუსტად მიესადაგება Rietveld Schröder House-ს. ნაგებობა ადრეული ჰოლანდიური მოდერნის საუკეთესო ნიმუშია. **ბილეთის ფასი:** 13€

~~Prins Hendriklaan 50, Utrecht~~

CENTRAAL MUSEUM

ნეოპლასტიციზმის ფუძემდებლის, ცნობილი დიზაინერისა და არქიტექტორის, რიტველდის ყველაზე დიდ კოლექციას ინახავს; **ფასი:** 12.50€

Agnietenstraat 1

TRAJECTUM LUMEN

Trajectum Lumen – ასე ჰქვია ღამის ექსკურსიას, რომელიც უტრეხტის ცენტრში ტარდება. მსოფლიოში ყველაზე ცნობილი შუქის მხატვრები თავიანთ ნამუშევრებს ქალაქის ქუჩებში წარმოადგენენ. თუ ამ ტურს გაჰყვებით, უტრეხტს სრულიად სხვა მხრიდან დაინახავთ. შუქის მხატვრობის პერფორმანსები შენობის ფასადებზე, ხიდებსა და ხეივნებში მიმდინარეობს.

ჰააგა ნიდერლანდებში სიიდით მესამე ქალაქია. მას „სამეფო რეზიდენციას“ და „მშვიდობისა და სამართლიანობის ქალაქს“ უწოდებენ. ნიდერლანდებში ხუმრობენ, რომ ფულს როტერდამი გამოიმუშავებს, ჰააგა განკარგავს და ამსტერდამი ხარჯავს.

ჰააგაშიათავმოყრილინიდერლანდების სამთავრობო უწყებები, სამეფო რეზიდენცია და 150-ამდე საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბ-ბინა. მათ შორისაა საერთაშორისო სასამართლო, საერთაშორისო ტრიბუნალები, გაეროს შტაბ-ბინა, რომელიც თავისი მნიშვნელობით მეოთხეა მსოფლიოში ნიუიორკის, ჟენევისა და ვენის შემდეგ, მუდმივი საარბიტრაჟო სასამართლო, ევროპოლი, მშვიდობის სასახლე, ევროპის ბიბლიოთეკა, ნატოს საკონსულტაციო და კონტროლის სააგენტო, ევროპული საპატენტო ოფისი და ა. შ.

ჰააგაში ასევე განთავსებულია მსოფლიოს ისეთი უმსხვილესი კომპანიების ოფისები, როგორიცაა ნავთობმწარმოებელი Royal Dutch Shell და საერთაშორისო კონცერნი Siemens A. G.

აეროპორტი „როტერდამი-ჰაგა“ ქალაქიდან 15 კმ-ითაა დაშორებული, ხოლო ამსტერდამის აეროპორტი „სხიპჰოლი“ – 40 კმ-ით.

PEACE PALACE

მშვიდობის სასახლე ჰააგაში პაციფიზმის იდეალებისა და მსოფლიო მშვიდობის სახელით ააგეს. XIX საუკუნის ბოლოს ეს პრინციპები არნახული პოპულარობით სარგებლობდა. 1913 წელს, როცა სასახლე აშენდა, ის ისეთივე დიდებული იყო, როგორიც თვით მსოფლიო მშვიდობის იდეა. ნაგებობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევით აშენდა. მისი დათვალიერებისას შეიტყობთ, როგორი უნიკალური წვლილი შეიტანა თითოეულმა ქვეყანამ ბაღების გაშენებაში, ნაგებობის არქიტექტურასა და ინტერიერის დიზაინში. მშვიდობის სასახლე უკეთეს ნავსაყუდელს ვერც იპოვიდა, ვიდრე ჰააგაა – მართლაც მშვიდობისა და სამართლიანობის ქალაქი.

დღეისათვის სასახლეში განთავსებულია გაეროს საერთაშორისო სასამართლო, მუდმივი სამედიატორო სასამართლო, ბიბლიოთეკა და ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემია.

Carnegieplein 2

DES GRAVEN HAGE ᲘᲗᲐᲠᲓᲛᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲒᲠᲐᲤᲔᲑᲘᲡ ᲢᲧᲔ“. ᲰᲐᲐᲒᲐ 1230 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲛᲐ ᲤᲚᲝᲠᲘᲡ IV-Მ ᲐᲥ ᲰᲐᲢᲐᲠᲐ ᲪᲘᲮᲔᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔ ᲐᲐᲨᲔᲜᲐ. ᲛᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲑᲘᲜᲔᲜᲰᲝᲤᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ.

XV ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲰᲐᲐᲒᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲓ ᲬᲔᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲪᲐ.

© GALERIJ PRINS WILLEM V / FOTO FRANK VAN DER BURG

PRINCE WILLEM V GALLERY

გალერეა განთავსებულია ჰააგის ისტორიულ ცენტრში, Buitenhof-თან, Mauritshuis-იდან ხუთი წუთის სავალზე. გალერეას ჰააგის დამალულ საგანძურადაც მოიხსენიებენ. პრინცმა ვილიამ მეხუთე ორანჟ-ნასაუმ ის 1774 წელს ააშენებინა ნახატების გამოსაფენად. კედლები სრულად იყო დაფარული იმისთვის, რომ მისი კოლექციის სიმდიდრე კარგად წარმოჩენილიყო ისეთი ხელოვანების ნამუშევრებით, როგორებიც არიან: რემბრანდტი, ვუვერმანი, სტენი, რუბენსი და სხვები. ღიაა: სამშაბათიდან კვირის ჩათვლით – 12.00-17.00; ორშაბათს დაკეტილია. **ფასი:** 5€

Buitenhof 33

LOUWMAN MUSEUM

მუზეუმი მსოფლიოში ყველაზე შთამბეჭდავი მანქანების კერძო კოლექციას ინახავს. ისტორიული მანქანების დიდი კოლექციის დათვალიერებით თვალს მიადევნებთ ძრავიანი ტრანსპორტის ევოლუციას. აქ თავმოყრილია Formula 1-ის მოდელები და ჰიბრიდული ავტომანქანები, უძველესი და კლასიკური მანქანებიდან მოყოლებული. აქ ნახავთ მანქანის განვითარების გზას ცხენებისა და ეტლების პერიოდიდან მოყოლებული, პირველ ხელნაკეთ ტრანსპორტებამდე, საინტერესო სანახაობაა ნავი-მანქანები, სანაპიროს მანქანები და გედების მანქანები, ასევე, ჯეიმს ბონდის „ასტონ მარტინი“ ფილმიდან „Goldfinger“ და ელვის პრესლის „კადილაკ ფლიტვუდი“. **მუზეუმი ღიაა** ყოველდღე ორშაბათის გარდა, 10.00-იდან 17.00 საათამდე. **ბილეთის ფასი:** 14€

Leidsestraatweg 57

GEMEENTEMUSEUM

ამ მუზეუმში თანამედროვე ხელოვნების მდიდარი კოლექციაა, მათ შორისა, ისეთი მხატვრების ნამუშევრები, როგორებიც არიან: კლოდ მონე, პაბლო პიკასო, ეგონ შილე, ვასილი კანდინსკი, ლუიზ ბურჟუა, ფრენსის ბეკონი.

მუდმივი კოლექცია თანამედროვე ხელოვნების, მოდის, მუსიკის, დეკორატიული ხელოვნების, ბეჭდური ექსპონატების ოთახში განთავსებული 50 000 ნახატის, პრინტისა და პოსტერებისგან შედგება.

Art Deco-ს სტილის შენობის ავტორი, ჰოლანდიელი არქიტექტორი ჰენდრიკ ბერლაჟე თანამედროვე არქიტექტურის ახალი ერის მამად მიიჩნევა. ფერადი ფილების, ბრინჯაოს ფანჯრის ჩარჩოებისა და დახვეწილი დეტალების დამსახურებით, ინტერიერი საოცარ სანახაობას წარმოადგენს.

მოდისა და ხელოვნების ცენტრში ნახავთ მონდრიანის მსოფლიოში ყველაზე დიდ კოლექციას, რომელშიც შედის ცნობილი ნამუშევარიც „Victory Boogie Woogie“.

წელს ჰააგა Mondrian-ის De Stijl-ის 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. ზუსტად 100 წლის წინათ დაარსდა ხელოვნების მოძრაობა De Stijl. პიტ მონდრიანი

მისი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო, ამიტომ 2017 წელს ჰააგაში მრავალი გამოფენა იგეგმება, რომლებიც ცნობილ ხელოვანს და ამ მოძრაობას ეძღვნება. მოვლენების ეპიცენტრი Gemeentemuseum-ია, რომელიც Mondrian-სა და De Stijl-თან დაკავშირებულ სამ გამოფენას მართავს.

ღიაა: სამშაბათიდან კვირის ჩათვლით – 10.00-17.00

Stadhouderslaan 41

MADURODAM

„მადიუროდამი“ ჰოლანდიური მინიატურული ქალაქის მოდელს წარმოადგენს მასშტაბით 1:25. ის ტიპური ნიდერლანდური შენობა-ნაგებობებისაგან შედგება, რომელთა ორიგინალები ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მდებარეობს. მაკეტები უმთავრესად პლასტმასისაგან მზადდება. მინიქალაქის მწვანე საფარისათვის კი ნამდვილი მცენარეები გამოიყენება.

George Maduroplein 1

Johannes Vermeer. Girl with a Pearl Earring, c. 1665. Mauritshuis, The Hague

თუ ოდესმე დაუტყვევებიხართ გოგონას მარგალიტის საყურით, თუ მისი გამოხედვა მოსვენებას არ გაძლევთ, მაშინ მაურიციუსი თქვენი მუზეუმია, რომელიც აუცილებლად დააკმაყოფილებს ყველაზე მომთხოვნი ესთეტის კაპრიზებსაც კი.

მაურიციუსის მუზეუმი ჰააგაში ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო, მე ვიტყოდი, იდეალური მუზეუმიც კია რამდენიმე უბრალო მიზეზის გამო:

უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, კოლექციისა, რომლის ღირებულებაზე თუნდაც ვერმეერის „გოგონა მარგალიტის საყურით“ მეტყველებს. მეორე, რაც, ჩემი აზრით, ამ მუზეუმის განსაკუთრებულობას განაპირობებს, მისი ზუსტი მასშტაბებია. არის მუზეუმი მონსტრები, რომელთა დათვალიერებაც სრულიად შეუძლებელია ერთ დღეში.

მეტიც, ალბათ რამდენიმე თვე ან სულაც მთელი ცხოვრება უნდა მიუძღვნა იქ დაცული კოლექციების შესწავლას. მაურიციუსში ასე არ არის. ამ შესანიშნავი კოლექციის დასათვალიერებლად 3-4 საათი სრულიად საკმარისია. გარდა ამისა, შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ კოლექციის შემქმნელებს „კრემ დე ლა კრემ“ ანუ საუკეთესო შეურჩევიათ, რომ არაფერზე მოცდეთ.

Carel Fabritius. The Goldfinch, 1654. Mauritshuis, The Hague

Frans Hals. Laughing Boy, c. 1625. Mauritshuis, The Hague

მუზეუმის ნაკლებ დატვირთული პერიოდია 15.00 საათის შემდეგ (ყოველდღე), ასევე, ხუთშაბათ საღამოს. მოზრდილებისთვის შესვლა 14€.
ღიაა: ორშაბათი – 13.00-18.00; სამშაბათი-კვირა – 10.00-18.00
Plein 29, Den Haag

Johannes Vermeer. View of Delft, c. 1660-1661. Mauritshuis, The Hague

ვერმეერის „დელფტის ხედი“, კარელ ფაბრიციუსის სრულიად შესანიშნავი „ჩიტი“ და მე-17 საუკუნის ქალი ფერმწერის, კლარა პეტერსის ნატურმორტები... ეს მხატვარი ქალი არ შეიძლება აღფრთოვანებას არ იწვევდეს არა მხოლოდ იმის გამო, რომ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო სურსათ-სანოვაგითა და ყვავილებით დატვირთული ნატურმორტების ხატვა. მას არაჩვეულებრივი თვისება ჰქონდა, მნახველისთვის პატარა გზავნილები დაეტოვებინა. მაურიციუსში დაცულ მის ნატურმორტს „ყველით, ნუშითა და პრეტსელებით“ თუ დააკვირდებით, დანაზე მხატვრის სახელს ამოიკითხავთ, თიხის დოქის ლითონის თავსახურში კი კლარას ანარეკლსაც მოჰკრავთ თვალს.

Clara Peeters. Still Life with Cheeses, Almonds and Pretzels. Mauritshuis, Den Haag

მაურიციუსს ერთ-ერთი საუკეთესო ვებგვერდი აქვს, რომელიც კი ოდესმე მინახავს. თამამად შეგიძლიათ სრული კოლექცია ონლაინ დაათვალიეროთ უმაღლესი რეზოლუციით. ასევე შეგიძლიათ წინასწარ იცოდეთ, თუ რომელი შედევრი არ არის ამწუთას ადგილზე და გატანილია მუზეუმიდან. შედევრი კი აქ მართლაც ბევრია. www.mauritshuis.nl

Rembrandt. Self-Portrait, 1669. Mauritshuis, The Hague

რემბრანდტის „ექიმი ნიკოლას ტულპის ანატომიის გაკვეთილი“ და 1669 წელს, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე შესრულებული მისივე ავტოპორტრეტი ერთ მუზეუმად ღირს; თუმცა მაურიციუსში რემბრანდტის კიდევ არაერთი ნამუშევარი ინახება.

Rembrandt. The anatomy lesson of Dr. Nicolaes Tulp, 1632. Mauritshuis, The Hague

ეს, ასევე, აღმოჩენების მუზეუმია. აქ აუცილებლად მიხვდებით, რომ პიტერ პაულ რუბენსი, რომელსაც უმრავლესობა მხოლოდ ზედმეტად ფერხორციანი ქალბატონებისა და ეკვესტრული სამეფო პორტრეტების ავტორად იცნობს, განუმეორებელი ფერმწერია. საოცარი მგრძნობელობითა და თითქოსდა უბრალოებით შესრულებული მისი ტილო „მოხუცი ქალი და ბიჭი სანთლით“ ამ მხატვრის სიდიადეს სრულად დაგანახვებთ.

ასეთივე შესანიშნავი აღმოჩენა იქნება ჰოლანდიელი და ფლამანდიელი ფერმწერებისთვის ესოდენ საყვარელი სცენა ყინულზე, რომელიც უდავოდ არაერთი გინახავთ, მაგრამ ჰენდრიკ ავერკამპი მას საოცარი იუმორის გრძნობით ავსებს. ზამთრის ჰაერის გამჭვირვალობას და ყინვის ჭახჭახსაც კი იგრძნობთ.

ადრიან კორტეს „ნატურმორტი მარწყვით“ ერთ-ერთი ყველაზე გულის ამაჩუყებელი ნახატია, რომელიც მინახავს. წითელი ხენდროს მადისაღმძვრელი გროვის გამო კი არა, ერთი თეთრი ყვავილის გამო, რომელმაც ჯერ მარწყვად გადაქცევა ვერ მოასწრო.

Hendrick Avercamp. Ice Scene, c. 1610. Mauritshuis, The Hague

ცხადია, რომ ვერმეერის ნამუშევრები დამსახურებულად იწვევს დიდ ინტერესს დამთვალიერებელში. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხატვრის პოპულარობას კინოფილმმაც შეუწყო ხელი, თუმცა მისი დამსახურება ჟანრული ფერწერის განვითარებაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, უბრალოდ, „კარგად“ ხატვის უნარი. თუ ეს თემა დაგაინტერესებთ, მაურიციუსში შედარების შესანიშნავი საშუალება მოგეცემათ, ვინაიდან ვერმეერის თანამედროვეების ნაუშევართა დიდი კოლექცია გელით.

Peter Paul Rubens. Old Woman and Boy with Candles, c. 1616-1617. Mauritshuis, The Hague

ნახატების სამეფო გალერეა მაურიცჰეისი ჰააგის მე-17 საუკუნის სასახლეში მდებარეობს. კოლექცია 800 ნახატისაგან, 50 მინიატურისა და 20 სკულპტურისგან, ასევე სხვადასხვა ჩანახატისა და პრინტისგან შედგება. ბევრი მათგანი ოდესღაც პრინც ვილემ V ორანჟ-ნასაუს ეკუთვნოდა.

Mauritshuis – ნახატების სამეფო გალერეა მაურიცჰეისი ჰააგის მე-17 საუკუნის სასახლეში მდებარეობს. კოლექცია 800 ნახატისაგან, 50 მინიატურისა და 20 სკულპტურისგან, ასევე სხვადასხვა ჩანახატისა და პრინტისგან შედგება. ბევრი მათგანი ოდესღაც პრინც ვილემ V ორანჟ-ნასაუს ეკუთვნოდა.

აქ ნახავთ ვერმეერის კოლექციიდან სამ ყველაზე ცნობილ ნაწარმოებს: „გოგონა მარგალიტის საყურით“, „დელფტის ხედი“ და „დიანა ნიმფებთან ერთად“.

რემბრანდტის 16 ნაწარმოებს შორისაა „ექიმ ტულპის ანატომიის ლექცია“, „დავითი და საული“, „ორი ზანგი“ და სამი ავტოპორტრეტი. გალერეის კოლექცია ინახავს იან სტენის 30 ნახატს, რომლებშიც ასახულია ჰოლანდიელთა მე-17 საუკუნის ყოველდღიური ცხოვრება.

მაურიცჰეისის ყოფილი სასახლე მე-17 საუკუნით თარიღდება. იოჰან მაურიცმა ეს სახლი ჰააგის ყველაზე პრესტიჟულ უბანში ააშენა, ბინენჰოფის (Binnenhof) გვერდზე – იქ, სადაც ჰოლანდიის პარლამენტი იკრიბება. სასახლე უმშვენიერესი ტბის, ჰოფვიჯვერის (Hofvijver) პირას დგას. მაურიცჰეისი ჰოლანდიის კლასიკური არქიტექტურის ყველაზე ლამაზი ნიმუშია, მისი შემქმნელები ჰოლანდიელი არქიტექტორები – იაკობ ვან კამპენი (Jacob van Campen) და პიეტერ პოსტი (Pieter Post) არიან. სასახლე 1633-44 წლებში აშენდა. ვან კამპენის ხელს ეკუთვნის სამეფო სასახლე და რემბრანდტის სახლი (Rembrandthuis) ამსტერდამში.

SCHEVENINGEN

ეს ნიდერლანდების ყველაზე პოპულარული საზღვაო კურორტია, რომელიც ჰააგასთან ძალიან ახლოს მდებარეობს. მზის აბაზანების მოყვარულთათვის სხევენინგენის სანაპირო იდეალური ადგილია.

ზღვის სამყაროს მოსანახულებლად სხევენინგენის აკვარიუმს Sea Life-ს ესტუმრეთ;

ნავმისადგომი

CNN-ის შეფასებით, სხევენინგენის ნავმისადგომი 9 საუკეთესოთა სიაშია. ნავმისადგომი ბულვარს აგრძელებს და ჩრდილოეთის ზღვას „ეჯახება“. მას ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია აქვს. სხევენინგენის პეიზაჟი კი ამ ნავმისადგომის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. სანაპიროზე უამრავი ბარი, რესტორანი და მაღაზიაა. აქაურობა გემრიელი კერძების, საინტერესო გართობისა და ზღვის ხედის მოყვარულთათვის ნამდვილი მექაა.

PANORAMA MESDAG

რემბრანდტი ამსტერდამთან ასოცირდება, ვერმეერი – დელფტთან, ხოლო მესდახი – ჰააგასთან. სხევენინგენში მესდახი ზღვის პეიზაჟებს ხატავდა.

„პანორამა“ მისი ყველაზე ცნობილი ტილოა. ამ უნიკალური ნაწარმოების სანახავად საგანგებოდ მოწყობილ მოედანზე უნდა ახვიდეთ. ევროპის ყველაზე დიდი პანორამული სურათის წყალობით, 1880 წლის სხევენინგენის სანაპიროზე აღმოჩნდებით. ტილოს სიგრძე 120 მეტრია, სიმაღლე – 14 მ, დარბაზის დიამეტრი კი – 40 მ.

BEELDEN AAN ZEE

სიმშვიდის ოაზისი – „ქანდაკებები ზღვაზე“ მნახველს აღაფრთოვანებს ხელოვნების იშვიათი ნიმუშებით, რომლებიც ფერწერული სანაპიროსა და დიუნების ფონზეა განლაგებული.

მუზეუმი სხევენინგენის ბულვარზე, კურჰაუსიდან 200 მეტრის დაშორებით, მეფე ვილემის მიერ 1826 წელს აგებული პავილიონის გარშემოა გაშენებული. ქვისა და ბრინჯაოსგან დამზადებულ, მოწყენილ თუ მხიარულ, მკაცრ თუ მოწყალე სკულპტურულ გამოსახულებებს. კოლექციის ცენტრალურ კომპოზიციად სამეფო ოჯახის ბრინჯაოს ქანდაკებას მიიჩნევენ.



სერფინგი

სხევენინგენი სერფინგის მოყვარულებისათვის სანატრელი ადგილია. სანაპირო აღჭურვილია ყველა საჭირო ობიექტით, სერფინგისთვის განკუთვნილი მაღაზიებით და სკოლებით. დაოსტატებაში სერფინგის საუკეთესო ინსტრუქტორები დაგეხმარებიან. სერფერების სოფელი F.A.S.T. საინტერესო არქიტექტურას და სასიამოვნო ატმოსფეროს გთავაზობთ, ხოლო ხელოვნური რიფებით წარმოშობილი ტალღები დღის ნებისმიერ მონაკვეთში თავისკენ მოგიხმობთ.

KURHAUS

სასტუმრო Kurhaus-ი კომფორტის, ტრადიციებისა და ისტორიის ნაზავს წარმოადგენს. 1818 წელს, როდესაც სანაპიროზე დასვენება განტვირთვისთვის ახალი აღმოჩენა იყო, საზოგადოების მაღალი კლასის წარმომადგენლებისთვის აბანო გაიხსნა, მალე კი „გრანდ ოტელად“ გადაიქცა. Kurhaus-ის სპაში შეგიძლიათ იცუროთ დახურულ აუზში, დაისვენოთ ლაუნჯ-სავარძლებში, ან ტერასაზე მზის აბაზანები მიიღოთ. განტვირთვის ამ საოცარ საშუალებებს სანაპიროსა და ზღვის ხედი აგვირგვინებს.

რესტორან Waves at the Kurhaus-ს ყველაზე დიდი ტერასა აქვს მთელ სხევენინგენში. შეფ-მზარეული გემრიელ კერძებს დაგიმზადებთ, სანამ თქვენ ხედების ცქერით დატკბებით. აქ შეგიძლიათ წახვიდეთ ნებისმიერი მიზნით: საუზმეზე, ლანჩზე, სადილზე, ვახშამზე, უბრალოდ, ყავის დასალევად. სტანდარტული ნომრის ფასი 129 €-დან იწყება.

Gevers Deynootplein 30

შოპინგისთვის ჰააგის ცენტრს უნდა მიაშურო. აქ თავმოყრილია ყველაფერი: ექსკლუზიური haute couture-ით დაწყებული, ცნობილი დიდი ბრენდებითა და ჰოლანდიელი დიზაინერების მაღაზიებით დასრულებული.

HAAGSCHE PASSAGE

ეს ნიდერლანდებში უძველესი სავაჭრო ცენტრია, დიდებული არქიტექტურითა და მართლაც გამორჩეულ მაღაზიებით. Spuistraat-ის, Hofweg-ისა და Buitenhof-ის ქუჩებს შორის მდებარე პასაჟში წარმოდგენილია მოდური ტანსამელი და სიუველირო ნაწარმი, წიგნები, სამზარეულოსათვის საჭირო ნივთები და სხვა.

De Passage 2511

DE BIJENKORF

შესანიშნავი უნივერმაღი Grote Marktstraat-ის ქუჩაზე, უნიკალურ შენობაში მდებარეობს. ის ჰოლანდიის ცნობილ უნივერმაღთაგან ერთ-ერთია, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ მრავალი ცნობილი ბრენდის ნაწარმი. აქ წარმოდგენილია მოდური სამოსი, პარფიუმერია, წიგნები, ინტერიერისთვის საჭირო ნივთები, დეკორატიული ნამუშევრები და ა. შ.

Wagenstraat 32

PLAATS – ჰააგის ამ უძველეს მოედანზე ექსკლუზიური ფეხსაცმლის, სამკაულის მაღაზიებია. თუ კიდევ უფრო ექსკლუზიურ ბრენდებს ეძებთ, ესტუმრეთ ქუჩებს: Hoogstraat, Molenstraat, Noordeinde.

SPUI – დიდი ბრენდ-მაღაზიები თავმოყრილია Spui-სა და Grote-ს ახლოს მდებარე ქუჩებზე.

MARKTSTRAAT – მყუდრო შოპინგის ქუჩაზე ერთმანეთის გვერდით მდებარეობს მოდის და ფეხსაცმლის მაღაზიები.

DENNEWEG – კლასიკური ჰააგის ამ ნაწილში ყოველთვის ფუსფუსებენ საერთაშორისო რეპუტაციის მქონე მაღალი მოდის მაღაზიის თანამშრომლები.

HAAGSCHE BLUF – ეს ჰააგის შოპინგის ერთ-ერთი ცხელი წერტილია. აქ ბევრ გამორჩეულ მაღაზიას ნახავთ.

HEMA

აქ იყიდება ყველაფერი – ტანსაცმლითა და საკვებით დაწყებული, საოჯახო და სასკოლო ნივთებით დამთავრებული. ამას გარდა, უნივერმაღი Hema განთქმულია თავისი ცხელ-ცხელი შებოლილი სოსისებით (Rookworst), რომლებიც ცხოვრებაში ერთხელ მაინც აუცილებლად უნდა გასინჯოთ.

Grote Markstraat 57

NOORDEINDE – ეს უნიკალური რაიონი სამეფო სასახლის გარშემოა განთავსებული. აქ ნახავთ ექსკლუზიური ანტიკვარიატის მაღაზიებს, სამკაულის მაღაზიებს. ამ ადგილებს შეგიძლიათ ესტუმროთ როგორც თანამედროვე დიზაინის, ისე კლასიკური ნამუშევრების დასათვალიერებლად და შესაძენად.

LIVINGSTONE GALLERY (Anna Paulownstraat 7a-b) – თანამედროვე ხელოვნების გალერეა ახალგაზრდა ნიჭიერ ხელოვანებს თავიანთი ნამუშევრების გამოფენის საშუალებას აძლევს. აქ ბევრ ნახატს, ქანდაკებას, ფერწერულ ნამუშევარს ნახავთ.

NEELTJE TWISS (Denneweg 10) – ამ ლამაზ შენობაში თანამედროვე ხელოვნების, ანტიკვარიატისა და დეკორაციული ნივთების ფართო კოლექციებია თავმოყრილი.

CHIEFS EN SPIRITS (Prinsestraat 49) – ეს არტგალერეა ორიენტირებულია ხელოვნების ნაწარმოებთა თავმოყრაზე მთელი მსოფლიოდან. აქ, ძირითადად, აფრიკული წარმომავლობის ბევრ ნახატს და ქანდაკებას იპოვით.

RESTAURANT ALEXANDER

Gault Millau შეფასებით ჰოლანდიის ერთერთი საუკეთესო რესტორანია, აქ საუკეთესო თეთრ და შავ ტრუფელს, უმაღლესი ხარისხის ხიზილალას და შამპანურის საუკეთესო ბრენდებს შემოგთავაზებენ.

Denneweg 138 Den Haag
www.restaurant-alexander.nl

WATERPROEF

თანამედროვე, ფრანგული სამზარეულო ღვინის საუკეთესო მენიუთი ჰააგის ზღვის სანაპიროზე, სხევენინგენში მდებარეობს.

Dr. Lelykade 25, 2583 CL Scheveningen

CALLA'S

გამორჩული დიზაინის რესპექტაბელური რესტორანი ისტორიულ შენობაში მდებარეობს, მიშლენის ერთვარსკვლავიან რესტორანში კლასიკური ფრანგული სამზარეულო და ღვინის მრავალფეროვანი არჩევანი გელით.

Laan van Roos en Doorn 51a

VOYAGER კომენტარი

500€ და 200€ ნომინალის ბანკნოტებს პატარა მაღაზიები და სუპერმარკეტები არ იღებენ.

ნიდერლანდების სამეფოში ფულის შეტანის თაობაზე არავითარი შეზღუდვა არ არის დაწესებული.

როტერდამი მრავალსახოვანი ფენომენია – უძველესი საპორტო ქალაქი, საუკეთესო ბარებით და კლუბებით სახელგანთქმული, შოკინგისთვის ზედგამოჭრილი ადგილი და ავანგარდული ხელოვნების ასპარეზი.

PORT OF ROTTERDAM

როტერდამის საერთაშორისო ნავსადგური ევროპაში უდიდესია, ხოლო მსოფლიოში მეცხრე ადგილზეა.

ამჟამად პორტის ფართობი 12,606 ჰექტარია; ის ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე, 42 კილომეტრის სიგრძეზე გადაჭიმულა. ყოველწლიურად აქ ღუზას 30 ათასი საზღვაო ხომალდი უშვებს. ნავსადგურს წარმატებული სარკინიგზო მიმოსვლა აკავშირებს ქვეყნის დანარჩენ ნაწილთანაც და მთელ ევროპასთანაც. როტერდამის პორტში გადამუშავდება უდიდესი ტვირთის ნაკადები, რომელთა ძირითად ნაწილს ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მადანი და ქვანახშირის წიაღისეული შეადგენს.

ERASMUSBRUG

ერაზმის დაკიდული ხიდი როტერდამის ცენტრში, მდინარე მაასზე მდებარეობს და პირველი ხიდია, რომელსაც ზღვის მხრიდან ქალაქისაკენ წასვლისას შეხვდებით. თავისი არაჩვეულებრივი კონსტრუქციისა და პილონების ასიმეტრიული ნახაზის წყალობით, ერაზმის ხიდი ქალაქის სიმბოლოდ იქცა. მას „ხიდი-გედი“ შეარქვეს. პროექტის ავტორი არქიტექტორი ვან ბერკელემია. ხიდის სიგრძე 802 მეტრია, პილონების სიმაღლე კი – 139 მეტრი. მისი სამხრეთი ნაწილი იხსნება; ეს დასავლეთ ევროპაში ყველაზე დიდი და მძიმე ასაწევი ხიდია.

პორტის წლიური შემოსავალი 12 მილიარდი ევროა, აქ 175 000 ადამიანი მუშაობს. ნავსადგურის დასათვალიერებლად მრავალნაირი ტური არსებობს. ხომალდის ბორტიდან დაათვალიერებთ როტერდამის პორტის ნავმისადგომებს, გემსაშენებს, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილ საწყობებსა და მთელი მსოფლიოდან ჩამოტანილ ათასობით კონტეინერს.

SPIDO

წელიწადის ნებისმიერ დროს „სპიდო“ ნავსადგურში სხვადასხვაგვარ გასართობ-შემეცნებით ტურს გთავაზობთ. არჩევანი თქვენზეა – 75-წუთიანი კრუიზი როტერდამის პორტის გავლით, ხანგრძლივი საზაფხულო ექსკურსია თუ ერთდღიანი მოგზაურობა.

„სპიდოს“ მეშვეობით მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ნავსადგურში აღმოჩნდებით. იქ დავანებულ ასობით ხომალდს შორის ნახავთ თანამედროვე გემებს და გაეცნობით უახლეს ტექნოლოგიებს, რომლებიც ტვირთბრუნვისთვის გამოიყენება.

KUNSTHAL

ყოველწლიურად „კუნსტჰალში“ 25 ახალი გამოფენა იმართება, რომლებიც კულტურული თვითგამოხატვის ყველა ფორმას მოიცავს. ექსპერიმენტული ექსპოზიციები სარისკოდ თანამედროვე და პროგრესულია. ვერნისაჟები მნახველს წარუდგენს ძველ და უახლეს ხელოვნებას, ფოტოგრაფიას, დიზაინს, და საერთოდ, ყველაფერს, რაც კი შეიძლება ხელოვნების მოყვარულებმა წარმოიდგინონ.

ისევე, როგორც როტერდამის სხვა სამუზეუმო ნაგებობები, Kunsthal-იც არქიტექტურული ღირსშესანიშნაობაა. მისმა ავტორმა რემ კოლჰაასმა გადაწყვიტა, მუზეუმისთვის კიდევ 3300 კვ. მ ფართობი მიემატებინა, რაც შესაძლებლობას იძლევა, აქ ერთდროულად ხუთი დიდი გამოფენა მოეწყოს. Kunsthal-ი როტერდამის მუზეუმების პარკში მდებარეობს, სადაც შესანიშნავი დასასვენებელი სივრცეა.
ღიაა: სამშაბათი-შაბათი – 10.00-17.00; კვირას – 11.00-17.00 **ფასი:** € 12

Westzeedijk 341

KUBUSWONING

ეს შენობები როტერდამის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია. Blaak-ისა და Oude Haven-ის ქუჩების სიახლოვეს, როტერდამის ცენტრში 38 სახლი მდებარეობს, რომლებიც 45 გრადუსითაა დახრილი და ერთგვარი კოლონების მსგავს ნაგებობებზეა დამაგრებული. ეს ჰოლანდიაში პირველი კუბის ფორმის სახლებია, რომლებიც 1984 წელს არქიტექტორმა პიტ ბლომმა ააშენა. არქიტექტურა და ექსტერიერის დიზაინი თითქოს ხეების აგებულებას იმეორებს, სახლების „ჯგუფი“ კი ტყეს მოგაგონებთ. ბლომის კონცეფციის მიხედვით, დიდ ქალაქში უნდა შექმნილიყო ერთგვარი სოფელი – მყუდრო თავშესაფარი, სადაც ადამიანი უჩვეულო გარემოში აღმოჩნდებოდა.

HOTEL NEW YORK

როტერდამში რამდენიმე გამორჩეული სასტუმროა. Hotel New York მათგან ყველაზე სახელგანთქმულია. აქედან ოდესღაც ათასობით ემიგრანტი ადიოდა გემ SS Rotterdam-ზე და ამერიკაში მიემგზავრებოდა. დღეისათვის ხომალდი ბაგირით ნავსადგურშია დამაგრებული და, ნაწილობრივ, სასტუმროდაა გადაკეთებული. აქ გატარებული ღამე განუმეორებელ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

Hotel New York-ის ტერასა, რომელიც Holland America Line-ის ყოფილ რეზიდენციას ეკუთვნოდა, მდინარე ნივე-მაასზე გამავალი შესანიშნავი ხედით გაგაოცებთ.

Hotel New York-ის რესტორანი და ბარი დაუვიწყარი შთაბეჭდილებაა გურმანებისათვის. პირველ სართულზე მდებარეობს კაფე-რესტორანი, სადაც ადრიანი დილიდან გვიან ღამემდე 400 სტუმარს შეუძლია ერთდროულად ისიამოვნოს à la carte მენიუთი.

ეს როტერდამში საუკეთესო ზღვის პროდუქტების რესტორანია, ამიტომ გირჩევთ, ადგილები წინასწარ დაჯავშნოთ.

Koninginnenhoofd 1

GROOS (Schiekade, 203) – კონცეპტუალური მაღაზია, რომელშიც მხოლოდ როტერდამული ნაწარმი იყიდება;

ANSH (Mauritsweg, 51) – ANSH (Another Shop-ის შემოკლებული ვერსია), ქალის მოდური ტანსაცმლის მაღაზია, ექსკლუზიური ბრენდების მრავალფეროვან არჩევანს გთავაზობთ.

BETSY PALMER (Witte de Withstraat, 9a) – ექსტრავაგანტული ქალის ფეხსაცმლის მაღაზიაა მათთვის, ვისაც ყველასაგან გამორჩეული ფეხსამოსის ჩაცმა უყვარს.

GINZA (Pannekoekstraat, 6a) – ჰოლანდიაში სპორტული ფეხსაცმლის ყველაზე ექსკლუზიური მაღაზია ბოტასების მრავალფეროვან არჩევანს, პრემიუმ-ბრენდებსა და იაპონური ქუჩის სტილის ტანსაცმელს შემოგთავაზებთ.

კუბის ფორმის სახლების სიახლოვეს ისტორიული ადგილია შემონახული – ძველი ნავსადგომი. აქ სიმშვიდის მომგვრელი ატმოსფერო, ულამაზესი ხედი და რამდენიმე წყნარი კაფე დაგხვდებათ. ნავსაბმელთან ძველი ნავები ჩამწკრივებულან. აქვეა ამწეები – ხომალდების დასატვირთი და გადმოსატვირთი ძველი მექანიზმები.

PARKHEUVEL

თავისი დახვეწილი სამზარეულოთი და ღვინის ზედმიწევნით შერჩეული მენიუთი სახელგანთქმული რესტორანი, რომელიც მიშლენის ვარსკვლავის მფლობელია, Parkhaven-ის ნავსადგურის სიახლოვეს, პარკში მდებარეობს.

Heuvellaan 21

DE MARKTHAL

როტერდამის დახურულ ბაზარში ფართობი საფეხბურთო სტადიონისას უტოლდება. აქაურობა სავსეა ახალი თევზით, ხორცით, ბოსტნეულითა და დელიკატესებით. არქიტექტურული ღირსებების გარდა იდეალური სავაჭრო ადგილია ნამდვილი გურმანებისათვის, რომლებსაც სურთ დღე გემრიელად გაატარონ. აქ ახალი პროდუქტების 100 დახლი, 15 მაღაზია და 8 რესტორანია. ახალგამომცხვარი პური, ყველი, თევზი, ფრინველი, ახალდაკრეფილი მცენარეები და საჭმელი ყვავილები – ეს ყველაფერი ერთ ჭერქვეშ იყიდება.

ბაზრობაზე მაღაზიები ღიაა: ორშაბათი-ხუთშაბათი, შაბათი – 10.00-20.00; პარასკევს – 10.00-21.00; კვირას – 12.00-18.00.

Binnenrotte / Blaak,
Rotterdam Blaak-ის სადგურის უკან

DUDOK

როტერდამის შუაგულში მდებარე კაფე გამორჩეული, შთამბეჭდავი ადგილია შეხვედრებისათვის. მიირთვით ჭიქა ყავა საოჯახო ვაშლის ნამცხვართან ერთად; ანდა მაგარი სასმელი ნელნელა მოწრუპეთ გარემოში, რომელიც ხელოვნების, კულტურისა და არ-

მაასტრიხტში ამსტერდამიდან შეგიძლიათ ჩქარ ემგზავროთ, მატარებლით მგზავრობა 2,5 საათს მასტიხტს და ერთი გზის ბილეთის ფასი 25 ევროა.

მაასტრიხტში ჩრდილოეთი და სამხრეთი ერთიანდება, ის სამი ქვეყნის – ჰოლანდიის, ბელგიისა და გერმანიის გზაჯვარედინია, Euregio Maas-Rijn-ის რეგიონი. მაასტრიხტში ბევრი მუზეუმი, ეკლესია, ისტორიული შენობა, მიმალული ვიწრო ქუჩა და ფართე მოედანია. აქ ნებისმიერი ტიპის არქიტექტურას იპოვით, რომაული ნაგებობებით დაწყებული, Bonnefantenmuseum-ის თანამედროვე დიზაინით დასრულებული.

მაასტრიხტი ყველაფრით განსხვავდება დანარჩენი ჰოლანდიისგან. ქალაქის ცენტრში თვალწინ გეშლებათ ოცსაუკუნოვანი ისტორია. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე მაასტრიხტი მტრის შემოსევებისგან დამცავ ციხე-ქალაქს წარმოადგენდა თავისი ძლიერი კედლებით და ბუნკერებით. შესაბამისად, აქ სამხედრო ისტორიის მეძონე ბევრ შენობას ნახავთ.

SINT-SERVAASBRUG

ქვისგან ნაგები მე-13 საუკუნის ხიდი ჯერ კიდევ რომაელებმა ააგეს. ხიდის განახლებული, ქვის ვერსია 1275 წლით თარიღდება. კარგ ამინდში სასიამოვნოა ხიდიდან მდინარე Meuse-ში მცურავი ნავების ცქერა. მაასტრიხტის მცხოვრებთა მტკიცებით, Sint-Servaasbrug ჰოლანდიაში აშენებული პირველი ხიდია.

ONZE-LIEVE-VROUWE-BASILIEK

XI საუკუნით დათარიღებული ღვთისმშობლის ბაზილიკა რომაული კათოლიკური ბაზილიკის განახლებულ ვერსიას წარმოადგენს. ის ნიდერლანდების უძველესი ქრისტიანული ტაძარია. აქ რელიგიური ხელოვნების ბევრ ნიმუშსაც იხილავთ, რომელთა შორისაც ხელით ნაქარგი მანტიები, ვერცხლის ქანდაკებები და სხვა სიწმინდეებია.

ღვთისმშობლის ბაზილიკა Onze Lieve Vrouweplein-ის მოედანზე მდებარეობს. ერთ დროს ჰოლანდიის ყველაზე ლამაზ მოედნად წოდებულ ტერიტორიაზე მრავალი ღია კაფეა თავმოყრილი, სადაც შეგიძლიათ გემრიელად მიირთვათ და გარემოთი დატკბეთ.

Onze Lieve Vrouweplein 7
www.sterre-der-zee.nl

HET VRIJTHOF

მაასტრიხტი სავსეა ისტორიული მოედნებით და შენობებით, აუცილებლად უნდა ნახოთ het Vrijthof.

BASILIEK VAN ST. SERVAAS

ეს ისტორიული ეკლესია ცნობილია მეოთხე საუკუნეში მოღვაწე მისიონერის, წმინდა სერვანტიუსის სამარხით. ბევრი მომლოცველისთვის ეს ადგილი ეკლესიის საგანძურითაც არის საინტერესო. რომანული ბაზილიკა Vrijthof-ის მოედანზე მდებარეობს.

Keizer Karelplein 3

MUSEUM AAN HET VRIJTHOF

მუზეუმი მაასტრიხტის ისტორიას, ხელოვნებას და არტეფაქტებს ინახავს. თვალწარმტაც წითელ შენობაში მდებარე მუზეუმის კოლექცია მოიცავს ჰოლანდიურ და ფლამანდიურ მხატვრობის ნიმუშებს მე-17 საუკუნიდან მოყოლებული, ასევე, ჰააგის სკოლის ნამუშევრებს, შუასაუკუნეების და რენესანსის პერიოდების სკულპტურებს.

მუზეუმი გამოფენით „500 წელი მაასტრიხტში“ დამთვალიერებელს ამ ქალაქის კულტურულ იდენტობას უჩვენებს. 500 წლის წინ მაასტრიხტში შემოქმედებითი მეწარმეობა ზეობდა, რომლის შედეგიც მუზეუმშია თავმოყრილი. აქვე შეგიძლიათ თანამედროვე ხელოვნების გამოფენებსაც გაეცნოთ. მუზეუმის გამოფენის ექსპონატებივით უნიკალურია მისი ტერიტორია. მე-16 საუკუნით დათარიღებულ ამ შენობას Spaans Gouvernement-ს უწოდებენ. აქ ცხოვრობდნენ მაასტრიხტში სტუმრობის დროს ესპანეთის პრინცი ჩარლზ V და მისი მეუღლე ისაბელი. მათი პორტრეტების ნახვა სასახლის ეზოშია შესაძლებელი.

მუზეუმი **ღიაა** ყოველდღე ორშაბათის გარდა, 10.00-იდან 18.00 საათამდე.

Vrijthof 18

მუზეუმის ახალი მოდერნისტული შენობის ავტორია ცნობილი იტალიელი არქიტექტორი ალდო როსი.

BONNEFANTENMUSEUM MAASTRICHT

სახვითი ხელოვნების მუზეუმი ძველი და თანამედროვე ხელოვნების უნიკალურ კომბინაციას გთავაზობთ. პირველ სართულზე იხილავთ აღორძინების ხანის და შუასაუკუნეების მხატვრობას, XVI-XVII საუკუნეების ფლამანდიური მხატვრობის შთამბეჭდავ კოლექციას.

მუზეუმის კოლექციებშია ვერონეზეს, დონატელოს, ტონტორეტოს, ბრეიგელის, ვან დეიკისა და რუბენსის უმნიშვნელოვანესი ნამუშევრები.

მეორე სართულზე განთავსებულ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში წარმოჩენილია ამერიკული მინიმალიზმი, იტალიური Arte Povera და ევროპელი არტისტების კონცეპტუალური ხელოვნება.

ღიაა ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 10.00-დან 17.00-მდე. **ბილეთის ფასი**: 12€

Avenue Ceramique ; www.bonnefanten.nl

დ'არტანიანის ქანდაკება

“Tous by one, one by tous” („ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“) – ამ ფრაზას Aldenhofpark-ში მდგარ ქანდაკებაზე წაიკითხავთ.

საფრანგეთის მეფე ლუი XIV-ის პერიოდში დ'არტანიანი მეფის მცველი მუშკეტრების კაპიტანი იყო. ის ფრანგებისა და ჰოლანდიელების ომის დროს, 1673 წლის 25 ივნისს გარდაიცვალა მაასტრიხტში. მისი საფლავი Wolder-ის უბანში მდებარე პეტრე-პავლეს ტაძარშია.

ნამდვილი დ'არტანიანი განსხვავდებოდა ალექსანდრე დიუმას რომანის პერსონაჟისაგან და არც კარდინალ რიშელიეს პერიოდში მოღვაწეობდა.

Aldenhofpark 4-5

VOYAGER რეკომენდაცია

IN DE MORIAAN

ჰოლანდიის ყველაზე პატარა კაფე ღია ცის ქვეშ, პირდაპირ პატარა მოედან Op de Thermen-ზე მდებარეობს. ჭიქა ღვინოსთან ერთად აუცილებლად უნდა შეუკვეთოთ ყველის დაფა და escargots – მოხარშული ლოკოკინები (Stokstraat 12).

GRAND CAFÉ D'N INGEL

მაასტრიხტის ყველაზე ლამაზ მოედანზე მდებარე კაფეს ტერასაზე სასიამოვნო განტვირთვა გელით (Vrijthof 13).

მაასტრიხტში აუცილებლად დააგემოვნეთ ZUURVLEES – ხორციანი კერძი ჩიფსითა და ვაშლის სოუსით, ადგილობრივი ლუდი და ღვინოები.

მაასტრიხტის ვენახები

მაასტრიხტის განაპირას მდებარე ლიმბურგის გორებზე ჰოლანდიაში უძველესი ვენახებია გაშენებული ჯერ კიდევ რომაული პერიოდიდან. მაასტრიხტის ვენახების დათვალიერებისას აუცილებლად უნდა დააგემოვნოთ Pinot Noir-ის, Riesling-ისა და Müller-Thürgau-ს ჯიშის ყურძნის ღვინოები.

WYCK: კვარტალი სავსეა მოდური ბუტიკებით, ინტერიერის დიზაინის, ანტიკვარიატის მაღაზიებით, არტგალერეებითა და დელიკატესებით.

JERKERKWARTIER: ეს ქუჩა საუკეთესო არტსტუდიების, ანტიკვარული მაღაზიებისა და რესტორნების ადგილია.

BREDESTRAAT: Vrijthof-ის მოედანთან მდებარე ქუჩა ნებისმიერი გემოვნების მქონე ადამიანის გულს მოიგებს მოდური მაღაზიებით.

RECHTSTRAAT: ამ ქუჩაზე შეხვდებით კარგად ცნობილი ბრენდების მაღაზიებს.

MAYFAIR (Stationsstraat 20): ამ ქუჩაზე მამაკაცებისთვის ბრიტანული სტილის მოდის დახვეწილი ბრენდებია თავმოყრილი.

PL LINE (Bredestraat 7a): ამ ულამაზეს ისტორიულ შენობაში ერთად არის თავმოყრილი მსოფლიოს საუკეთესო დიზაინერების მაღაზიები.

LUTGARDE BAGS & MORE (Havenstraat 16): ულამაზესი ტყავის ჩანთები, კაშნეები, ხელთათმანები და ქურთუკები.

CAFÉ DE TWEE HEEREN

ეს ადგილი ცნობილია უგემრიელესი ლანჩ- და სადილის მენიუთი.

Platiel 17

CAFÉ DE BELSJ

ამ ტრადიციული ყავისფერი პაბის კედლები სავსეა ძველი ნახატებით. უგემრიელეს კერძებს შორის არის ოჯახური რეცეპტით დამზადებული ხახვის წვნიანი და მრავალფეროვანი ყველის დაფა. Maastrichter Heidenstraat 7,

HARBOUR CLUB

შთამბეჭდავი ინტერიერის მქონე რესტორანი წყალზეა გაშენებული. ტერასაზე, მოგუზგუზე ბუხრის გვერდით, შეგიძლიათ გემრიელი კერძებითა და სასმლით ისიამოვნოთ.

Bassinkade 4

LEIDEN

ეს ძველი ქალაქი ამსტერდამიდან 35 წუთის სავალზეა. აქ 3000-ზე მეტი ისტორიული ნაგებობაა შემორჩენილი. ქალაქის ფართობი სულ რაღაც 23 კვ. კილომეტრია, ასე რომ, საითაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან „ძეგლი" დაგხვდებათ.

მე-17 საუკუნეში ლეიდენი ნიდერლანდების ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი ქალაქი იყო. ის მრავალი ცნობილი მხატვრის, მათ შორის, რემბრანდტისა და არმინ ვან ბრიუნენის მშობლიური ადგილია. დღესაც, როცა ლეიდენის ქუჩებში დასეირნობ, აუცილებლად შეიგრძნობ ისტორიულ ატმოსფეროსა და განწყობას.

ლეიდენი ფერადოვანი საუნივერსიტეტო ქალაქია – მრავალი არხით, უცნაური სახლებითა და მუზეუმებით.

უპირველესად კი, ლეიდენი ჩინებული ადგილია სახეტიალოდ და ფერწერული გარემოსაგან სიამოვნების მისაღებად

სულ ახლახან ლეიდენს ახალი ღირსშესანიშნაობა შეემატა, ჰოლანდიელი არტისტის, მარგრიტ ვან ბრევოტის სკულპ-ტურული ნამუშევარი, სახელწოდებით „მომლოდინე HOMUNCULUS LOXODONTUS", ლეიდენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალთან.

ბოტანიკური ბაღი (Hortus Botanicus) ლეიდენის უნივერსიტეტის შთამბეჭდავი პარკია, სადაც მთელი მსოფლიოდან ჩამოტანილ მცენარეთა უნიკალური სახეობები ხარობს. ქალაქში არის რამდენიმე მუზეუმი, რომლებშიც დაცულია უმდიდრესი კოლექციები – ხელოვნების მუზეუმი Lakenhal; ისტორიის, იგივე სიძველეთა ეროვნული მუზეუმი; ბუნების (Naturalis); მეცნიერების (Boerhaave Museum) და ადამიანის სხეულის (Corpus). ყოველი მათგანი თქვენს ინტელექტუალურ ცოდნას იშვიათი სიახლეებით შეავსებს.

CORPUS

ადამიანის სხეულის მუზეუმში მოგზაურობა მუხლიდან იწყება და თავის ტვინში მთავრდება.

მუზეუმის შვიდსართულიან სივრცეში 55-წუთიანი ექსკურსიის დროს გაეცნობით, როგორ მუშაობს ორგანიზმი, რა ხდება, როცა გვძინავს, როცა ვმოძრაობთ, როცა ვაცემინებთ...

მოდელირებული პროცესების ტრანსლირება უზარმაზარ მონიტორებზე ხდება. აქ ყველა ექსპონატს შეიძლება ხელით შეეხო, უნიკალური მუზეუმის საინფორმაციო ცენტრში ექიმები ჯანსაღი ცხოვრების წესისა და კვების შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას მოგაწვდიან.

ფასი: 12 €.

Willem Einthovenstraat 1

HAARLEM

ამსტერდამთან ახლოს, მატარებლით ნახევარი საათის სავალზე მდებარეობს ჩრდილოეთ ჰოლანდიის დედაქალაქი ჰაარლემი. ასწლეულების განმავლობაში ის რეგიონის ისტორიულ ცენტრს წარმოადგენდა.

ადგილობრივი მოსახლეობა ტიტების ბოლქვების გახარება-მოყვანით იყო სახლგანთქმული და გამდიდრებული. ჰაარლემიც ამაყად ატარებდა ყვავილების ქალაქის სახელს – Bloemenstad.

მე-17 საუკუნეში წარმატებული ჰოლანდიური ქალაქის საპატივსაცემოდ ეწოდა სახელი მანჰეტენის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე უბანს, ჰარლემს.

ტრადიციული ფერწერული დღესასწაული Bloemencorso – ყვავილების აღლუმი, რომელიც ნორდვეიკიდან იწყება და ჰაარლემში მთავრდება.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, გროტე-მარკტზე მდებარეობს ჰაარლემის ისტორიული რატუშა – წმინდა ბავონის სახელობის ტაძარი, რომელსაც მყუდრო შიდა ეზო ამშვენებს.

TEYLERS MUSEUM

ჯერ კიდევ 1778 წელს ჰაარლემში საგანმანათლებლო მიზნით შეიქმნა ტეილორის საბუნებისმეტყველო მუზეუმი, რომლის კოლექციაში არა მარტო საბუნებისმეტყველო, არამედ ხელოვნების ნიმუშების უნიკალური კოლექციაა, მათ შორის, მიქელანჯელოს, რაფაელის, რემბრანდტისა და სხვათა ნამუშევრები. მუზეუმშია დაცული წიგნებისა და საინჟინრო ხელსაწყოების უნიკალური კოლექციაც. ეს მსოფლიოში



ერთადერთი მუზეუმია, რომელიც მე-18 საუკუნის ავთენტიკურ შენობაში მდებარეობს და ინტერიერიც პირველყოფილ მდგომარეობაშია შენარჩუნებული. ის პირველი მუზეუმია, რომელიც ნიდერლანდებში დაარსდა იმ ეპოქაში, როდესაც მეცნიერებს და შემოქმედებს სამყაროს შესახებ დაგროვილი ცოდნის სისტემატიზაცია სურდათ.

ღიაა: სამშაბათი-კვირა 10.00 – 17.00. ორშაბათს დაკეტილია.
ბილეთის ფასი: 12.50€

Spaarne 16; www.teylersmuseum.nl

FRANS HALS MUSEUM

აუცილებლად ესტუმრეთ ფრანს ჰალსის, ოქროს ხანის დიდი მხატვრის მუზეუმს, რომელიც 1862 წელს დაარსდა. აქ შესანიშნავ კოლექციას იხილავთ.

ღიაა: სამშაბათი-შაბათი – 11.00-17.00; კვირასა და დღესასწაულებზე – 12.00-17.00. ბილთები ინტერნეტით იყიდება.
19-იდან 24 წლამდე ფასი: 6€-ია;
მოზრდილებისთის: 12,50 €

Groot Heiligland 62

ჰოლანდიის ვენეციად წოდებულ ამ სოფელში ვერ შეხვდებით მანქანებს, რადგან მთელი სოფლის შენობები ტორფის პატარა კუნძულებზეა განლაგებული. კუნძულები ერთმანეთს ხის ხიდებით უკავშირდება.

გითჰორნი ტორფის მომპოვებლებმა დააარსეს. ტორფის მოჭრის შედეგად იქმნებოდა აუზები და ტბები, რომელთა შორის განთავსებულ კუნძულებზე თივის სახურავიან სახლებს აშენებდნენ. ამ სახლებს შორის მიმოსვლა მხოლოდ ხის ხიდებით ან ტრადიციული გითჰორნული ვიწრო ნავებით - პუნტებით იყო შესაძლებელი.

DE LINDENHOF

გითჰორნი სახელგანთქმულია გასტრონომიითაც. რესტორნების დიდი ნაწილი წყლის პირასაა. მათ შორის არის მიშლენის ორვარსკვლავიანი რესტორანი De Lindenhof. ის ჰოლანდიის საუკეთესო რესტორნების ნუსხაში წლების განმავლობაში იკავებს საპატიო ადგილს, ხოლო გრანდ შეფს – მარტინ ქრუითჰოფს ჰოლანდიის საზღვრებს გარეთაც იცნობენ. რესტორანს შეგიძლიათ ეწვიოთ ოთხშაბათიდან კვირის ჩათვლით ლანჩზე, 12.00-14.00 საათებში და სადილზე, 18.00-იდან 21.00 საათამდე.

რესტორნის ტერიტორიაზე განთავსებულია ექვსნომრიანი სასტუმრო. სურვილის შემთხვევაში უმჯობესია ოთახი წინასწარ დაჯავშნოთ:

www.restaurantdelindenhof.nl

გურმანები, ასევე, რეკომენდაციას უწევენ რესტორნებს – „ჰოლანდიის ვენეციას“ (Hollands Venetië; Beulakerweg 77;) და „ახტენჰუზს“ ('t Achterhuus; Dominee TO Hylkemaweg 43).

ოვერიჯსელის პროვინციაში მდებარე ჰოლანდიური სოფელი გითჰორნი ვეერიბენ ვიდენის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამსტერდამიდან გამზავრება მანქანით სჯობს, მგზავრობის ხანგძლივობა 1,5 საათია.

ჩრდილოეთ ჰოლანდიის ქალაქი ზაანდამი ამსტერდამთან ახლოს, 10 წუთის სავალზე მდებარეობს. ის ცნობილია სახელგანთქმულ სოფელთან (მუზეუმი ღია ცის ქვეშ – Zaanse Schans) მეზობლობით.

ჰოლანდიის „ოქროს ხანის“ ეპოქაში მდინარე ზაანი მარცვლეულის წარმოების ცენტრი იყო და მან უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა პირველი საწარმოო რევოლუციის დროს. აქ ათასობით ქარის წისქვილის ენერგიით იხერხებოდა ხე-ტყის მასალა, რომელიც გემთმშენებლობასა და ქაღალდის წარმოებაში გამოიყენებოდა.

ZAANSE SCHANS

შეუძლებელია არ მოინახულოთ ზაანდამის ყველაზე სახელგანთქმული ღირსშესანიშნაობა – ზაანსე ხანსი, შუასაუკუნეების ნიდერლანდების სტილიზებული სოფელი ჯერაც მოქმედი ქარის წისქვილებით.

შეგიძლიათ შეიხედოთ სახელოსნოებში, სადაც ახლაც ამზადებენ კლოგებს. დღემდე შემორჩენილია უძველესი ხის სახლები. კოლორიტულ ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი მაცხოვრებლები შემოგთავაზებენ 50 სახეობის ყველის გასინჯვას, რომელსაც შესაფერისი ღვინოც შეგიძლიათ დააყოლოთ.

ხისგან დამზადებული ფეხსაცმელები – კლოგები ტრადიციული ფეხსამოსი იყო საუკუნეების განმავლობაში. ყველაზე ძველი კლოგები ამსტერდამსა და როტერდამში აღმოაჩინეს და ისინი XIII საუკუნით თარიღდება. ეს ხის ფეხსაცმელები ზუსტად ისეთივეა, როგორსაც ჰოლანდიაში დღეს ამზადებენ.

ამჟამად კლოგებს, როგორც სუვენირებს, ძირითადად, უცხოელი მოგზაურები ყიდულობენ. თანამედროვე კლოგები მაღალი მოდის ნაწილადაც იქცა. 2007 წელს ჰოლანდიური ბრენდის, Victor & Rolf-ის დიზაინერებმა – ვიქტორ ჰორსტინგმა და როლფ სნორენმა თავიანთ საშემოდგომო კოლექციაში ფოლკლორული მოტივები გააცოცხლეს.

ოდესღაც ნიდერლანდებს 10 000 ქარის წისქვილის ქვეყანას უწოდებდნენ, ამჟამად კი ათასზე მეტ ისტორიულ მაღლივ წისქვილს ითვლიან. მაღლივი წისქვილები სხვადასხვა სახისაა, მათ შორის – სვეტებისებრი, ღრუსვეტოვანი, კოშკისებრი და რვაკუთხა. ყოველი მათგანი, სინამდვილეში, საბრუნი წისქვილის სახესხვაობაა, რომელიც ფრთებმიმაგრებულ ვერტიკალურ სვეტს წარმოადგენს, ფრთები კი ქარის მიმართულებით ტრიალებენ. მაღლივი ქარის წისქვილების ზოგიერთ სახეობაში ცენტრალური ნაწილი განიერია – სვეტის შიდა სივრცე ფართოა და მეწისქვილეს იქ ცხოვრება თავისუფლად შეეძლო.

წარსულში ქარის წისქვილებს სხვადასხვა მიზნით აგებდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარის დაბლობებიდან ჯებირებს გადაღმა წყლის გადაქაჩვა იყო, რათა ნიადაგი დასამუშავებლად ვარგისი გამხდარიყო. XIV საუკუნეში ღრუსვეტოვანი წისქვილები გამოიყენებოდა ჭაობიანი ტერიტორიების დასაშრობად.

საერთოდ, ჰოლანდიაში ქარის წისქვილის ყოველ სახეობას თავისი დანიშნულება ჰქონდა: წყლის ამოქაჩვა; დაბლობი რაიონების დრენირება; ხე-ტყის მასალების ხერხვა; მარცვლეულის დაფქვა და ა. შ. დღეს მოქმედ წისქვილთაგან ზოგიერთს ამჟამადაც იყენებენ დრენირებისთვის, მაგალითად, კინდერდეიკში მდებარე ოცი წისქვილიდან ორს, ასევე, ამსტერდამის „მოლენ დე ოტერს“. ქვეყნის ზოგიერთი რეგიონი სწორედ თავისი წისქვილებითაა სახელგანთქმული.

ამჟამად მომუშავე წისქვილები შესაძლოა სულ მალე გაჩერდეს, რადგან მათ გარშემო მაღლივი ნაგებობების რიცხვი მატულობს და წისქვილები ქარის „მოხელთებას“ ძველებურად ვეღარ შეძლებენ. გირჩევთ, მათი დათვალიერება თქვენი მოგზაურობის აუცილებელ ნაწილად აქციოთ.

DE GOOYER WINDMILL

მარცვლეულის საფქვავი ეს წისქვილი ამსტერდამში შემორჩენილ ამავე სახეობის ექვს წისქვილთაგან ერთ-ერთია და ქალაქის ისტორიულ ცენტრთან ახლოს მდებარეობს.

ის 1725 წელს აუშენებიათ და 1814 წელს გადაუტანიათ „ქარის ხელახლა მოსახელთებლად“, რადგან ძველ ადგილას ახალმშენებლობები ჰაერის ნაკადებს აფერხებდა.

დღესდღეობით ცნობილი ლუდსახარშის გვერდით აღმართული ეს წისქვილი მდინარე ეისთან მდებარეობს და უამრავ დამთვალიერებელს იზიდავს. „მოლენ დე გოიერი“ მინრეულია ხისგან აგებულ ყველაზე მაღალ ქარის წისქვილად ჰოლანდიაში.

Funenkade 5
1018 AL Amsterdam

WINDMILLS AT KINDERDIJK

ჰოლანდიური ქარის წისქვილების უკეთ გასაცნობად აუცილებლად ეწვიეთ კინდერდეიკს, რომელიც როტერდამიდან 25 კმ-ითაა დაშორებული. ამ ნაგებობებიდან უმშვენიერესი პეიზაჟები მოჩანს; აქვე შეიგრძნობთ, როგორ ცხოვრობდნენ მეწისქვილეები და მათი ოჯახები.

კინდერდეიკის 20 წისქვილიდან 17 დაახლოებით 1740 წელს ააგეს, როგორც წყლის რესურსების

მართვის ერთიანი განკარგვის ნაწილი, რათა წყალდიდობები თავიდან აეცილებინათ. დღეს ისინი წყლის მართვის ჰოლანდიური სისტემის სიმბოლოდაა მიჩნეული. წისქვილები ერთმანეთის პირისპირ, ორ რიგადაა ჩამწკრივებული და შთამბეჭდავ ხედს ქმნიან. ამ რეგიონის უნიკალურობა 1997 წელს იუნესკომ აღიარა. როტერდამიდან ავტობუსით ან გემით თუ გაემგზავრებით, გზაში სულ რაღაც 30 წუთი დაგჭირდებათ.

მუზეუმის დათვალიერება 6.50 ევრო დაგიჯდებათ.

VIVA Development

მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი ბაბებში

- შინდღეის შუშის ღიფტები
- ბამწვანებული შიდა ეზო
- ფეხბურთის მოედანი
- ბინები 45 m^2-დან
- ეკოლობიურად სუფთა ბარემო
- ალუმინის კარ-ფანჯარა

WWW.VIVADEVELOPMENT.GE + (995) 577 44 48 44 ნყნეთის ბზატკესილი N 15/17

VIVA Development

ნყნეთის ბზატკესილი N 15/17 + (995) 577 44 48 44

SKYLINE RESIDENCE

m²-ის პირველი პრემიალური პროექტი

ექსკლუზიური, 19-ბინიანი საცხოვრებელი სახლი თბილისში უნიკალურ ადგილას, სოლოლაკში, მთაწმინდის პარკისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ აშენდა.

სიახლოვეს განთავსებულია სასეირნო ბილიკები, მთაწმინდის პარკი და ბოტანიკური ბაღი.

- სპორტული დარბაზი
- ღია საცურაო აუზი
- კონსიერჟი
- დაცვა, დასუფთავება, გამწვანების მოვლა

+995 32 2 444 111 | www.skyline.ge | www.m2.ge

მ. მაგაშვილის ქუჩის ჩიხი N3.

m²
REAL ESTATE